


44503  
საქართველოს  
სამართლის  
მუნიციპალიტეტი

F-19.904  
2

მ. მრავალი

F-23

*desideratum*



# კუთხერატული

5

## კევლარული

1283

თარგმანი

ქ. გადატანილებისას



საქართველოს კულტურის  
მინისტრის მიერ მიღების  
მიერ მიღების მიერ მიღების



82.0

ა. ი.

ლეიტურული მუზეუმი

F-19-904

ლ. 95

3066

წინასიტყვაობა. ლიტერატურა ოქტომბრის გარეშე.  
 რევოლუციის ლიტერატურული თანამგზავრები. ფუტუ-  
 რიზმი. პოეზიის ფორმალური სკოლა და მარქსიზმი. პრო-  
 ლეტარული ხელოვნება. პარტიული პოლიტიკა ხელოვ-  
 ნებაში. ხელოვნება რევოლუციის და სოციალისტური  
 ხელოვნება.

## წინასიტაპაობა.

ხელოვნების ადგილი შეიძლება განისაზღვროს შემ-  
დება სქემატური შეკვეთით.

გამარჯვებულ პროცესიარიატს რომ არ შექმნა თავისი  
ჭარი, შერთმელთა სხელმწიფო აღრე გაფშებდა ფეხებს  
და ჩვენ არ ვამსჭვლებდით დღეს სამუშაოთ და იდეურ-  
ებულტურულ პროცესებზე.

დიქტატურას რომ კერ მოუწეო უახლოეს წევბში  
შეურჩობა, რომელიც უზრუნველყოფს მცხოვრებთ მარქ-  
რიალურ ქონების მინიმუმით, პროცესიარული რეჟიმი  
უთუთდ მტკრად იქნებოდა. დღეს შეურჩობა — ამოცანათა  
შეთვალისა.

მარკმ დადებითი გადაჭრა გამოვლების, ტანიატების,  
სითბოსი და სწავლა-განათლების ელემენტარულ საკათექ-  
ბისა თუმცა წარმოადგენს უდიდეს საზოგადოებრივ მიღ-  
წევას, არასდროს არ ნიშნავს ახალი ისტორიული პრინ-  
ციპის, ესე იგი სოციალიზმის, სრულ გამარჯვებას. მხო-  
ლოდ წინსვლა მეტნიერული აზრის საღწერ ნიადაგზე და  
ახალი ხელოვნების განვითარება იქნებოდენ იმის მაჩვენე-  
ბელი, რომ ისტორიულ მარცვალმა არამც თუ მოგვია-  
დერი, არამედ თვით უვავილი. ამ თვალსაზრისით ხელოვ-

ნების განვითარება არის უძალდესი გამოცდა იშირი, თუ რამდენათ მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოა ეს თუ ის ქაფა.

კულტურა იყვებება მუკრნეთბით, და საჭიროა მატერიალური სიჭარბე, რომ კულტურა გაიზარდოს, გათუღლდეს და გამახვილდეს. ჩვენი ბურჯუაზა იმცონილებდა შეწრდობას მეტად ჩქარა იმ პერიოდში, როდესაც იგი ჟამშები თანდათანობით მდიდრდებოდა. პროცეტარიატი შესძლებს ახალი სოციალისტური კულტურის და დიოქტერატურის შექმნას არა დაბროულები გზით, დღევანდელი ჩვენი სიღარავის და უსწავლელობის ნაადაგზე, არამედ საზოგადოებრივ - სიმურნეთ და კულტურულ საშუალებებით. ხელოვნებისათვის საჭიროა ზედმეტი ქონებრივი ძალა. საჭიროა, რომ ღუმელი გარგად იქნას დანთებული, რომ სწრაფად ბრუნავდენ ბორბლები, რომ უფრო ჩქარა მოძრაობები, რომ უპეტესად მუშაობები სკოდება.

ჩვენი ქველი შეწრდობა და კულტურა იქთ აზნაურული და ბაჟროგნატული, აშენებული გლეხერ ნაადაგზე აზნაურმა, რომელსაც თავი არ მმწემბოდა და მოხახიერებდნა აზნაურმა — დასუებს თავისი ბეჭედი რესული შეწრდობის შეწვნელოვან ნაწილს.

შემდეგ გდეხურ და შემხანურ ნაადაგზე აიმართა ინტელიგენტი - რაზნობანები, რომელმაც შეიტანა ცალბე თავი რესული შეწრდობის ისტორიაში.

ინტელიგენტმა რაზნობანები გაიარა საროვნიული

„გაუტოლოვების“ სტადია და შემდებ ბამოიცხადა, მას შეტე დითვერენტიაცია და ინდივიდუალიზაცია და უტე  
ბურუჟაზიას გადახრით. ამაშია დეპარტამენტის და სიმბო-  
ლიზმის ისტორიული როლი. შემდებ საუკუნის დასაწყისის-  
დან, უფრო კა 1907 — 8 წლებიდან ინტელიგენციის  
და მასთან მწერლობის ბურუჟაზული გარდაქმნა ჩეარი  
საბიჯოთ მიღის წინ. თმია აძლევს ამ პროცესს პატრიო-  
ტულ დამოღებებას.

რევოლუციელი დამხმარებელი ბურუჟაზიას და კი გადამწყვეტი  
ფაქტი შეიტება მწერლობაში. ბურუჟაზიული გზათ მა-  
მავალი მწერლობა ამსხვრევა. კველაოური რაც კა დარჩა  
საიმედო მწერლობის და გონიერივ შრომის დარგშა, ცდა-  
ლობის ხახოს ახალი თრიუქტაცია. მისი ღერძი აუთ, მას  
შემდებ, რაც ბურუჟაზია ტარაჟში გამოვიდა, ხალხი — ბურ-  
უჟაზიის გამოვლებით. რა არის კი? უძირველესად კოჭ-  
ლისა — ბლეხობა, ხაწილობრივ ქალაქის შემსახური მას,  
შემდებ მუშაბი, რამდენადაც კიდევ შეიძლება მათი არგა-  
მოეთვა ხალხს — მუშაკერ პროტოტიპიზმიდან. ასეთია ძა-  
რათადი მისვლა კველა თანამგზავრებისა. ასეთია განსკვნე-  
ბული ბლოკი, ასეთია არაან ცოცხლება: პილიაკი, სე-  
რაპიონები, იმავინისტები. ასეთი არაან რამოღენიმედ  
ფუტურისტებიც (ხლებიაკოვი, პრუხათხახი, კ. კამენიკი).  
შემასური საფუძველი ჩვენი კულტურისა — მართალი რომ  
კოქათ უბუღლერებისა, იჩენს თავის პასიურ ძლიერებას.  
ჩვენი რევოლუციელი — კი არის კლება, რომელიც შეიქ-  
ხა პროცესი, რომელიც კულტურა გლეხს და იკვლევს

ახად გზას. ჩვენი ხელოვნება — ეს არის ინტელიგენტი, რომელიც განიცდის მერულის გლეხსა და პროდუქტას შთრის, რომელისთვისაც თრგანოვდად შეუძლებელია შეუკრთხეს ან ერთს, ან მეორეს, მაგრამ რომელიც თავის მდგრადი უფრო უხდოვდება გლეხს: არ შეუძლია გახდეს მუქაკი, მაგრამ შეუძლია ტეტიათის. იმავე დროს რევოლუცია შეუძლებელია, თუ მას ხელმძღვანელად მუშა არა ჰყავს. ამით აიხსნება ის ძარათადი წინააღმდეგობა, რომელიც არის თვით თემასთან მისედაში. ისიც კა შეაძლება ითქვას, რომ ახლანდება გარდატეხის პოეტები და მწერლები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ როგორ გამოდიან ისინა წინააღმდეგობათან და რათა ავსებენ უფრო უფროების: ერთი — მისტიკით, მეორე — რომანტიკით, მესამე — ფრთხილი „უბლისისტობით“, მეოთხე — გამარტინისტებით. თუმცა დაძლევას საშუალებები სხვადასხვა, არსებითად წინააღმდეგობა ერთი და ოგიანა: წარმოშობილია ბერძენიზოულ საზოგადობისაგან განებრძივი შრომის და აგრეთვე ხელოვნების განვითარებისა ფიზიკურ შრომისაგან; — რევოლუცია კა იქთ საქმე იმ ადამიანთა, რომელიც მწევან ფიზიკურ შრომის. რევოლუციის ერთ შინას შეადგენს სტდიოს ამ თან მოღვაწეობათა ერთმანეთისაგან დაშორება. ამასთან ახადი ხელოვნების შექმნის ამოცნა მთლიანად მიდის პუზიშრელ - სიციალისტურ აღმენებლობის საზათ.

სასაციალო უზრუნველყოფა და დიდი სიბრივება ვაჭიქროთ, რომ ხელოვნებას შეუძლია გაერდი აუხვითს ეხდანდეს

ეპთქის მოვლენების. ამ მოვლენების ადამიანები აშშადებენ წინდაწინ, თვეთონებე ასრულებენ, ეს მოვლენები სცვლიან მათ და მათვე თავზე ემსხვრევათ. ხელოვნება შირდაშირ ან ირაბეჭად იძღვა ახარებებს ადამიანთა ცხოვრებისას, რომელიც ამ მოვლენების ჰქმიან, ან განიცდას. ეს და-მახასიათებელია მოვლ ხელოვნებისათვის, როგორიც არ უნდა იქცო იგი — მოხუმენტალური თუ ინტიმური. ეპთქის სფრიალურ სულთან რომ არ იქცო დაკავშირებული ბუნება, სიეპარული და შეგრძნობა, ლირიკა დადი ხანია შესწევებდა თავის არსებობას. მხოლოდ ისტორიის დრომა გარდატეხა, ესე იგი კლასობრივი გადაჭგულება საზოგა-დოებისა შეარჩევს შიროვნების, ჰქმის სხვანაირ დირიჟორ მისვლას შირად შეფზიას ძირითად თემებთან და მით გა-დაარჩენს ხელოვნებას მუდმივ გადამდერებისაგან.

მაგრამ ეპთქის „სული“ ხომ მოქმედობს უნილავად და არ ემორჩილება სუბიექტურ ნებისეუთვას? როგორ ვთქვათ... რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს ეს „სული“ უკედაზე ახ-დებს გავლენას. მათზედაც, ვინც ამ „სულს“ იღებს და ასხორციელებს, მათზედაც, ვინც მას უამედოთ ებრძვის, და კადევ მათზე, ვინც შასიურად ემალება მას. მაგრამ შეუმნებლად პვდებიან ისინი, ვინც შასიურად იმალება. პროცესტანტებს შეუძლიათ ერთი, ან თრი დაბჭიანებული აფეთქებით გააციცლოთ ძველი ხელოვნება. ახალ ხელოვ-ნებას კა, რომელიც გაიუვნის ახალ საზღვრების და გაადი-დებს შემოქმედების სივრცეს, ჰქმის მხოლოდ ის, ვინც ცოცხლობს ერთი სიცოცხლით თავის ეპთქასთან. რომ

დღემანდელ დღიდან გავიყენოთ საზი მომავალ სოციალისტურ ხელოფერისაჲნ, უნდა ითქვას, რომ ახდა ჩვებ განვიტოთ ხანს მომზადებისას მომზადებამდე.

ჭარბი თანხმედროვე ჩვენი მწერლობისა სქემატიურად ასეთა:

მწერლობა თქოომბრის გარეშე, სუკორინის ფელურინისტებიდან მემამულეთა ხევის უმახვილეს ლირიკოსებიამდე, პავლე იმ კლასებთან ერთად, რომელთაც ემსახურებოდა. ფორმალურად და გენერალოგიურად ეს მწერლობა არის ჩვენი ძველი მწერლობის უფროსი ხაზის დასრულება, რომელიც პირველად აზნაურულია, უპასაკნელად კა ბურგუზიული თავიდან ბოლომდე.

„საბჭოთა“ მთატეტავე მწერლობას შეუძლია ფრთმადურად თავისი გენერალოგია გამოიყენოს ძველი მწერლობის სლავინოსტიდურ და საროლინიკულ მიმდინარეობან. რასაცვირველია, მთატეტავენიც არ არიან უშესალოდ ტეტრასაგან. ისინი წარმოიდგინებია იქნებოდენ, რომ არ ჰქონდეთ წარმოიდგინებათ აზნაურული და ბურგუზიული მწერლობა, რომლის უმცროს ხაზს ისინი წარმოადგინენ. ახდა ისინი იცვლათ სახეს, ახალი სოციალური პირობის შიხვევით.

რესტური ფუტურიზმი უთურდ არის შტრ ძველი მწერლობის, რომლის საზღვრებში მან გერ მოასწრო გაშლა და ოფიციალური ცნობის მიღება, როცა ის განიცდიდა აუცილებელ ბურგუზიულ გარდაქმნას. ის რჩებოდა ბოგემურ სტადიაში, რომელიც ხორმისმომვალი თვითუელ ახალ

და ტერიტორიულ მიმართულებისათვის კაპიტალისტურ და ქადაგ-  
ქერ პირთბულები, მაგრამ ამ დროს დაიგრიალა ამმა და რევო-  
ლუციაში. მოვლენათა გაფლენით ფუტურიზმი მიემართება  
ახალ რევოლუციურ კადაპოტები. პროლეტარული ხელოვ-  
ნება აქ არ შეიქმნა და ვერც შეიქმნებოდა. ფუტურიზმი  
ბევრ რამები ისევ არას შეედი მწერლობის ბოგეშური და  
რევოლუციური შტო და სხვა მიმართულებებზე უფრო  
უძალოდ და აქტიურად შედის ახალი ხელოვნების გან-  
ვითარებაში.

რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ამა თუ იმ პრო-  
ლეტარული პიეტების მაღწევები, საზოგადოთ პპრედ  
წოდებული „პროლეტარული ხელოვნება“ განიცდის ახალ  
მოწაფების ხსნას, აკრცელებს მასაში მსატერიულ გუდ-  
რურის ეღემენტებს, ქვედ მაღწევებს აწოდებს ახალ  
კლასს და ამნაირად ეს ხელოვნება არის მომავალი სოცია-  
ლისტური ხელოვნების საწეისი.

შეტან გადია ბურჟუაზიულ კულტურისა და ხელოვ-  
ნების, და პროლეტარულ კულტურისა და ხელოვნების  
დაპირისპირება. ეს უპასასებნელი სუროვად არ იქნებაან, წ  
ეინადან პროლეტარული რეაქი დროებითია და გარდა-  
მავალი. ისტორიული მნიშვნელობა და ზნეობრივი სი-  
დიადე პროლეტარულ რევოლუციისა იმაშია, რომ იგი  
საძირკველს უქრის უდისთ, პირველ, ქმშმარიტ და სა-  
კაცობრით გულტურას.

ჩვენი პოლიტიკა გარდამავალ პერიოდის ხელოვნებაში  
უნდა მცვდოს, რომ სხვადასხვა მსატერიულ ჭბუზების

და მიძღინარების, რომელიც დგანან რევოლუციის ნიადაგზე, გაუადგილონ რევოლუციის შეთვისება; — კველა ამ წიგნებს წაუქნოს გატეგირიული კრიტიკა: — რევოლუციისას ან და რევოლუციის წინააღმდეგ, და მისცეს მათ მხატვრულ თვეთგანმტკიცების დარგში სრული თავისუფლება.

რევოლუცია ნახულობს ხელოვნებაში თავის ანარეპლის, ჯერ მხოლოდ ნაწილობრივს, რამდენადაც ის არ არის მხატვრებისათვის გარეგნები კატასტროფა, რამდენადაც ახალგაზრდა და მთავრები პოლიტიკის და მხატვრების ცენი შეეზრდება რევოლუციის, შეითვისებს მას შიგნიდან, და არა გარედან.

კიდევ დიდ სანი არ დაწეულება სოციალური წეალვარდნიდა. ეკროპაში და ამერიკაში კიდევ ათწლებით იქნება ბრძოლა. არა მარტო ჩვენი თაობა, არამედ შემდეგიც იქნება ამ ბრძოლის მოხაწილე, გმირი და მსხვერპლი. ამ ეპოქის ხელოვნება იქნება მთლიანად რევოლუციის ნიშნის ქვეშ. ამ ხელოვნებას სჭირდება ახალი შეგნება. ის უძირველეს უფლისა შეურიგებელი მტერია მისტიკიზმის, რომელიც იქნება შირდაბირი, ან დაფარული რომანტიკით, რადგანაც რევოლუცია გამოდის იმ ცენტრალურ იდეიდან, რომ ერთად-ერთი პატრიოტი უნდა იქნას კოდექტიური ადამიანი და მისი ძლიერება განისაზღვრება მხოლოდ ბუნებრივ ძალთა შეთვისებით და მათი გამოყენებით. ეს ხელოვნება ეკრანიგდება მისტიკიზმს, სპეციტიზმს და კიდევ სხვა სულიერ პრისტრაციას. ის რეალისტურია, აქტიურია, საკ-

სეა ქმედითა კოლექტივიზმით და უსაზღვროდ სჭერა  
მომავალი.

\*  
\* \*

თავები, რომელნიც იპყვეპენ დღევანდელ შერღობას  
და შეადგენენ წიგნის ნირველ ნაწილს, თრი წლის წინად  
ივნის განზრახელი, როგორც წინასიტუაცია მცენი წე-  
რიდებასათვის, მაგრამ შრომა გააზარდა 22 წლის ზაფ-  
ხელის დასკვენების დროს.

\*  
\* \*

წიგნის მეორე ნაწილში დაგროვილია წერილები, რო-  
მელნიც ეხებიან საერთოდ რევოლუციათა შორის პე-  
რიოდს (1907 — 1914). დატერატურულ-კრიტიკული  
წერილები, რომელნიც უსწრებენ 1905 წ. რევოლუციას,  
მე აქ არ შემიტანა თრი მაზეზის გამო: ნირველი:  
ეს იუთ სხივა ესთქა, სრულიად განსხვაული, მეორე:  
თვით წერილებში კიდევ ბევრაა მოწაფეობა.

მეორე ნაწილის წერილები ეხებიან, მაგრამ არ ამო-  
სწურავენ ეპთისტურ გარდაქმნის, ესთეტიკურ „გამახვილე-  
ბის“, ინდივიდუალიზაციის, ინტელიგენციის გამურულუ-  
ზების სხსას. რევოლუციათა შორისი ესთქას დაბორისტო-  
რიდან ინტელიგენცია გამოვიდა ისეთი, როგორც ის  
იუთ თმის დროს: ოურუკეზიულ-ნატრალიტული; — და რე-  
ვოლუციის დროს: გვთისტურ-საბორცაშვრი, კანტრ-რე-  
ვოლუციური, უიდეო და სიტულურიდით საჭირო.

წერილები, რომელიც ენებიან დასავლეთის შხატ-კრუდ-გუდოურებდ ცხოვრების, შეტანილია წიგნში იმდე-სად, რამდენადაც ისინი ემსახურებიან იმავე მაზანის: ცხად-ექნ, რა შიმართულებით მიღითდა რუსეთის ინტერ-ბენტის იდეოლოგიური გარდაქმნა.

შირველსა და შეთრე საწილეს წიგნის პაკშიარებს ის, რომ გარდამაყალი, ესე იგი დღევანდელი ხელოვნება მთელი თავისი ფესტებით გადამუდია გუშინდელ, რევო-ლურგიამდე კოფიდ დღესთან. ამ საწილის შერის არის ის გავშირი, რომელსაც იძღვა მარქსისტული შეფასების მთლიანობა აკრიტის შიერ.

ქველ წერილებში, რომელიც შეადგენებ წიგნის შე-თრე საწილს, ბევრია სტრიქონები, მაძფენილი ცენზუ-რისადმი, რასაკვირველია, ეს სტრიქონები მასცემებ არა ერთ პრიტიკის, მტრულად განწეობილის რეპოლიტიკო-სადმი, საბოსნ ენა უჩვენთა საბჭოთა ხელისუფლების. რომ არ წაგერთმა ბატონ პრიტიკისებისათვის ეს ბევ-ნიერი საშვალების, ჩვენ არ ამოგვაშლია არც ერთია ასეთი სტრიქონი, იმ შემხევებაშიაც, როდესაც ეს ნების მის-ცემდა მოწინააღმდებრეს გამპეტებინა „სიმეტრიული“ და-სტენები საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. ქველ წერილებში ჩვენ ვაშითოთ, რომ შეფის ცენზურა აწარმოებდა ბრძოლას სიღლოგიზმთან. და ეს მართალია. ჩვენ ვაცავდით სიღლო-გიზმის უფლების ცენზურის წინააღმდებრ. სიღლოგიზმი თავის თავად — გამტბიცებით ჩვენ — უმწერა. განცენებულ იდეის ძღვენამოსილება — გულუბრუვაღლობა. იდეა უნდა გან-

ხორციელდები, რომ გახდეს მაღად. პირიქით, სოციალური  
 ხორცი, რომელმაც სრულიად დატვარგა თავისი იდეა, კი-  
 დევ წარმოადგენს მაღას. იმ კდასს, რომელიც ისტორი-  
 ულად გადაგვარდა, კიდევ შეუძლია იარსებოს თავისი და-  
 წესებულებების დახმარებით, თავისი სიმდიდრის ანერციით  
 და შეანებულია პანტრ-რევოლუციური სტრატეგიათ.  
 მსოფლიო ბურჟუაზია არის ახლა ასეთი დამოუწეული  
 კდასი, რომელიც გამოდის ჩვენს წინააღმდეგ, შეარაღე-  
 ბული თავდასხმის და თავდაცვის უფლები ხერხით. თუ  
 ბურჟუაზიას ემინია მთახმარის თავისი განიტალი საბჭოთა  
 კონცესიებს, ის ერთი წევთთ არ დავიქრდება იმაზე,  
 რომ ჩაქაროს თავისი ფული გაზეოთის და გამომცემლო-  
 ბაში რევოლუციურ ქვეპის სხვადასხვა გუთხებში.  
 იმპერიალიზმის მთელ „დემოკრატიულ“ სამეცნიერო შექმნა  
 ისეთი პირობები გაზევისათვის (ფასი, კრედიტის პირო-  
 ბები, მოედნები და სხვა), რომელნიც ამღევენ მას საშუა-  
 ლებას ამტკიცოს, რომ არც ერთი კომუნისტური, ესე იგი  
 დამოუკიდებული იმპერიალიზმისაგან გაზეთი ვერ გამოვა,  
 თუ მას არ ექნა მატერიალური დახმარება საბჭოთა ხე-  
 დისუფლებისაგან. იმავე დროს ბერძნიაში სტიქეს,  
 ამერიკაში ხერსოს აქტო მათთვის საჭირო გაზეთი პირად  
 მოხმარებისათვის. აი ამ რეზიმს რევოლუცია ვერ დაუ-  
 შების. ჩვენცა გვაქცეს ცენტრა, და მეტად სასტიკი. ის  
 მიმართულია არა სიღოვანზმის წინააღმდეგ (პეტრე-ბერ-  
 გარეს „სიღოვანზმი“), არაუდ წინააღმდეგ კანიტალის  
 გამშარიას ცრურწმუნებასთან. აი რად არ გვაშინებს ჩვენ

ისტორიული ახალობები, რომელიც უკვართ იაფეგასიან  
დემოკრატის, რომელიც უქმაყოვალი არიან იმით, რომ  
რეაქცია სცემს მათ მარჯვენა დოქტებებს, რევოლუცია კი  
მარცხნიაზე. ჩვენ ვიპრიდოთ სიღოგიზმისთვის თვათ-  
შეერთებულ ცენტრის წინააღმდეგ, და ჩვენ მართალი ჭა-  
უვით. ეს სიღოგიზმი აურ გამომხატველი პროგრესიული  
კლასის ნებისუფლის და ამ კლასთან ერთად გაიმარჯვა. იმ  
დღეს, როდესაც პროლეტარიატი ხამდგადად გაიმარჯვების  
დასაფლეთის უძლიერეს ქმედებაში, რევოლუციას ცენტრა  
გაჟემებული იქნება.

ჩვენ ხელმეორეთ ვინაზეთ მეტ წერილებს უმცილე-  
ლად — უკეთა მათი ცენტრული შეთაღებით და ბუნდო-  
ვანებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებულია ვიქ-  
სებოდით ზოგიერთი წერილები გადაგვებულებისა თავიდან  
ბოლომდე. მხოლოდ იმ იძვიათ შემთხვევაში, სადაც რე-  
დაქციაში შემოგვებანი დაუშვა ცენტრულ მთაზრებით,  
ჩვენ კრიალობდით ადგვედებისა ნირველურთვადი ტექსტი.  
ზოგ შემთხვევაში ჩვენ გავასწორეთ არამერ თუ სტილი,  
არამედ შეკრიულეთ ტონი ზოგიერთი შეფასების, რომე-  
ლიც ახდა ჩვენ მიგახნია ზედმეტად, აგრუთვე ჩვენ წაგ-  
ჟალეთ ის დეტალები, რომელიც უარის ამა თუ იმ შე-  
რლის შემდეგი განვითარების მსვლელობაში. მაგრამ უნდა  
ითქვას, რომ ასეთი შესწორებები შედარებით უმნიშვნე-  
ლოა და ექვითან შეორენარისხოვან მომენტების.

თ ტროცკი.

## ლიტერატურა ოქტომბრის გარეშე

ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო არა კერძოს არა მთავრობა, არამედ მთელი საზოგადოებრივი რეეიმი, რომელიც დამყარებული იყო საკუთრებაზე. ამ რეეიმს ჰქონდა თავისი კულტურა და თავისი ოფიციალური ლიტერატურა. რეეიმის დამხობა იყო აგრეთვე ოქტომბრამდე არსებულ შექროლობის დამხობა.

პოეზიის მგალობელი ჩიტი, ისე, როგორც ბუ, სიბრძნის ფრინველი, ჩნდება მხოლოდ მხის ჩასვლის შემდეგ. დღით კეთდება საქმეები, შებინდებისას კი გრძნობა და გონება აძლევენ თავის თავს ანგარიშს, თუ რა გააკეთეს. იდეალისტებს, და აგრეთვე იმათ ყრუ და ბრმა მიმდევრებს, რუსეთის სუბიექტივისტებს, ეგონათ, რომ მსოფლიოს ამოძრავებს შეგნება, კრიტიკული აზრი, სხვანაირად რომ ვთქვათ — ინტელიგენცია განავებს პროგრესს. ნამდვილად კი მთელ წარსულ ისტორიაში შეგნება მათველოდ მაჩანჩალა იყო ფაქტის, რუსეთის რევოლუციის გამოცდილების შემდეგ პროფესიონალურ ინტელიგენციის რეტროგრადული რევენობა არ საჭიროებს დამტკიცებას. ეს კანონი ნათლად ჩანს, როგორც ვთქვათ, ჟელოვნების დარგში. ტრადიციული შედარება პოეტებს წინამდებრებულებთან მისალებია მხოლოდ მათველისათვალისით, რომ პოეტები გამოხატავენ ეპოქას ისეჭრებოდნენ დაგრძენებით; როგორც წინასწარმეტყველნი. თუ მოხვევა, რომ ზოგი ე.



ერთი წინასწარმეტყველნი და მეოსნები „უსწრებენ თა-  
ვის დროს“, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იმათ მისცეს  
განსახიერება საზოგადოებრივ განვითარების ცნობილ  
მითხოვნილებებს არა ისეთი დაგვიანებით, როგორც და-  
ნარჩენ მათ კოლეგებმა.

იმისათვის, რომ წარსულ საუკუნის უკანასკნელ წლების  
და ახლანდელ საუკუნის საწყისის მწერლობას შეხებოდა  
სარიგურავო თრთოლვა რევოლუციურ წინადგრძნობისა,  
საჭირო იყო აღზინდელ ათეულ წლების განმავლობაში  
ისტორიის მოქადინა უდიდესი ცვლილებები ქვეყნის  
სამეურნეო სფეროში, სოციალურ ჯგუფებში და ფართო  
ხალხურ მასების გრძნობაში. ლიტერატურული პენსცენა  
რომ დაეკავებინათ ინდივიდუალისტებს, მისტიკოსებს და  
ავზნიიანებს — საჭირო იყო, რომ 1905 წლის რევოლუ-  
ცია დატაკებოდა თავის შინაგან წინააღმდეგობას, საჭირო  
იყო, რომ დურნოვოს დაერბია მუშები დეკემბერში, სტა-  
ლინის გაერეკა ორი „დუმა“ და შეექმნა მესამე.

სამოთხის მგალობელი ფრინველი სირინ ამბობს თა-  
ვის სიმღერას მხის ჩასვლის შემდეგ, მაშინ როდესაც გა-  
მოჩნდება გრძნეული ბუ. რუსეთის ინტელიგენციის მთელი  
თაობა ჩამოყალიბდა (ან და გაირყვნა) რევოლუციათა შუა  
დროს (1907—1917); მას უნდოდა მოქადინა სოციალური  
ცდა—მონარქიის. აზნაურობის და ბურქუაზიის შერიგებისა.  
სოციალური დაკავშირება არ ნიშნავს უთუოდ შეგნებულ  
დაინტერესებას, მაგრამ ინტელიგენცია და გაბატონებული  
კლასი, რომელიც მას ინახავს, არიან ერთმანეთთან შეერ-  
თებული ჭურჭლები; კანონი დონეს ტოლობისა. აქაც გა-  
მოსაყენებელია. ძეელი ინტელიგენტური რადიკალობა და  
განდეგილობა, რომელთაც რუსეთ-იაპონიის ომის პერი-  
ოდში ახასიათებდა დამარცხების სურვილი, სწრაფად გაჰ-

ქრენ სამ ივნისის ვარსკვლავის ქვეშ. ინტელიგენცია სარგებლობდა ყველა საუკუნეების და ერების ფერ-უმარილით და აგრეთვე ეკლესიის დახმარებით, აცხადებდა თავის თეითლირებულებას დამოუკიდებლად ხალხისაგან. ვაბურუუაზების ბუნებრივი პროცესი იყო მყვირალა, როგორც შურისძიება იმ შიშისათვის, რომელიც ინტელიგენციას მიაყენა ხალხმა 1905 წ. თავისი უპატივცემულობით და ჯიუტობით. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ლეონიდ ანდრეევმა, რევოლიუციათაშორისი ეპოქის ყველაზე უფრო ცნობილმა ფიგურამ, თავისი კარიერა გაათავა პროტოპო-პოვ-ამფითეატროვის ორგანოში, არის სიმბოლიური მაჩვენებელი ანდრეევის სიმბოლიზმის სოციალურ წყაროებისა. აქ უკვე სოციალური დაკავშირება გადადიოდა ნამდვილ სოციალურ დაინტერესებაში. გამახვილებულ ინდივიდუალიზმის, მისტიურ ძიების, მსოფლიო სეედის სახით ტარდებოდა ბურუუაზიული შეჩივება, და ამან ჩქარა იჩინა თავი პატრიოტულ ლექსებში, რადესაც მესამე ივნისის რეეიმის განვითარება დასრულდა მსოფლიო შეტაკების კატასტროფით.

მაგრამ გამოცდა ომით უძნელესი ტვირთი გამოდგა არა მარტო მესამე ივნისის პოეზიისათვის, არამედ თვით მისი სოციალური საფუძველისათვის: რეეიმის საშედრო დამარცხებამ გასტეხა ხერხემალი რევოლიუციათაშორისი ინტელიგენციის თაობის. ლეონიდ ანდრეევი გრძნობდა, რომ მას ფეხქვეშ ეცლებოდა, რომელსაც ემყარებოდა მისი სახელის გუმბათი და ის ხროტინით, დორბლით აქნევდა ხელებს და ცდილობდა რაღაც გადაეჩინა... მიუხედავად 1905 წ. გაკვეთილისა, ინტელიგენცია მაინც არ ტოვებდა იმედს და უნდოდა ალედვინა თავისი სულიერი და პო-

ლიტერატური ბატონობა მასებხე. ომის დროს ის კიდევ უფრთხ დარწმუნდა თავის ილიუზიებში. პატრიოტული იდეოლოგია იყო ის ფსიქოლოგიური ცემენტი, რომელსაც, რასაკვირველია, ვერ შექმნიდა „ახალი რელიგიური შეგნება“ უძლური დაბადებიდანეე და რომლის მოცემა არც მოუნდომებია ბუნდოვან სიმბოლიზმს. ომით აღზრდილი დემოკრატიული რევოლუცია იყო იმავე დროს ომის უშუალო დამთავრება და ამ რევოლუციამ სულ მოკლე ხნით წინ წასწია ინტელიგენტურ მესიანიზმის აღორძინების საქმე. მარტი არის უკანასკნელი ისტორიული აფეთქება. დამწვარმა პატრუქმა დააყენა კერძოშჩინის კვამლიანი სუნი. შემდეგ ოქტომბერი, ლატანი, რომელიც გადასცილდა ინტელიგენციის ისტორიას და იმავე დროს აღნიშნა მისი სამუდამო დაცემა. მაგრამ სწორედ ამ უფსერულში, მიწაზე მიჯაჭეულმა წარსულის ყველა ცოდვებით ინტელიგენციამ დაიწყო ბოდვა ამ წარსულის დიდებით: მის შეგნებაში მსოფლიო გადაბრუნდა სამუდამოთ, ის ბუნებრივი წარმომადგენელია ხალხის; მის ხელშია ისტორიის სარეცეპტო წიგნი. ბოლშევიკები სარგებლობენ ჩინური ოპიუმით და ლატიშურ ჩქმით; ხალხი მათი წინააღმდეგია და ისინი დიდ ხანს კერ გაძლებენ... საახალწლო ტოსტები: „ერთი წლის შემდეგ მოსკოვში“. გაბოროტებული სიბრიუე, მარაზმი! მაგრამ ჩქარი გამოჩნდა: ხალხის სურვილის წინააღმდეგ მართვა-გამგეობა შეუძლებელია, ემიგრანტულ ინტელიგენციის წინააღმდეგ კი ბრძოლა შეიძლება ძალიან კარგად და სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, თუ როგორია ეს ემიგრაცია — გარეშე, თუ შინაური.

საუკუნის დასაწყისის თრთოლვა, პირველი რევოლუცია, რომელმაც ვერ ნახა გამარჯვება, კონტრ-რევო-

ლიუციის მერყევი წონასწორობა, ომის აფეთქება, მარტის პროლოგი, ოქტომბრის დრამა—ყოველივე ეს, როგორც ტარანი, დაუზიგავად სდრეკდა ინტელიგენტურ შევნებას. სად იყო დრო ფაქტების პსიმილიაციისათვის, მათ განსახიერებისათვის სიტუაციაში? მართალია, ჩვენ მივიღეთ ბლოკის „თორმეტი“ და მაიკოსეს რამდენიმე ნაწარმოები. ეს სულ ცოტაა, ეს მცირე წინასწარი ბე არის და არა განაღლება ისტორიულ ანგარიშების, ეს გადახდის დასაწყისიც არ არის. ხელოვნებამ გამოიჩინა, როგორც ყოველთვის დიდი ეპოქის დასაწყისში, საშინელი უმშეობა. მუზას არ მოუთხოვნია პოეტებისგან წმინდა მსხვერპლის მიტანა და ისინი აღმოჩნდნენ ყვლაზე უფრო უბადრუკნი. სიმბოლისტები, პარნასელები, აკმეისტები, რომელნიც დაქროლავდენ სოციალისტურ ინტერესების და ვნებების ზევით, თითქო ღრუბლებზე, აღმოჩნდნენ ეკატირინოდარის ოსვაგში, ან და მარშალ პილსუდსკის დევენჭივის შტატში. შთავონებულნი ვრანგელით, ისინი ლექსებში და პროზაში გვიცხადებენ ჩვენ ანაფემას.

უფრო მგრძნობიერნი და უფრო ფრთხილნი სრულიად გაჩუმდენ. საინტერესოა მარიეტა შავინიანის მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ მოლვაწეობდა ის დონზე ინსტრუქტორად საფეიქრო საქმეში.

საჭირო იყო არა მარტო საწერი მაგიდის დატოვება საფეიქრო დაზებისათვის, საჭირო იყო თავისი თავის დავიწყებაც, რომ კაცი არ დაეკარგა თავისი თავი სამუდამოდ. სხევებმა ჩაყინთეს პროლეტკულტურებში, პოლიტგანათლებებში, მუზეუმებში და თავის სიჩუმიდან უცქეროდენ ყველაზე უფრო ტრაგიულ და მრისხანე მოვლენებს, რომელიც კი განიცადა ოდესშე დედამიწამ. რევოლუციის წლები შეიქნენ სრული პოეტური დუმილის წლებათ. და

სრულიად არ არის აქ დამნაშავე „გლავბუმი“. იმიტომ რომ ახლა შეიძლებოდა იმისი დაბეჭდვა, რაც მაშინ არ დაბეჭდილა. საზღვარგარეთის მწერლობა ჩვენ ვიცით: ეს სრული არარაობაა, მაგრამ ვერც ჩვენმა მწერლობამ მოვცა ისეთი რამ, რაც იყოს ტოლი და შესაფერი ეპოქის.

\* \*

ოქტომბრის შემდეგ მწერლობას უნდოდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა და საზოგადოდ ეს არ შეეხება მას. მაგრამ ისე მოხდა, რომ ოქტომბერმა დაწყო ბატონობა მწერლობაში, მისი დალაგება და დაწყობა არა მარტო ადმინისტრატიულად, არამედ კიდევ უურო ლრმად. ძველი მწერლობის დიდი ნაწილი იყო, და არა შემთხვევით, საზღვარს-იქით, და მოხდა ასე, მართლაც ლიტერატურულად ეს ნაწილი მწერლობისა გამოვიდა ტირაეიდან. თუ არსებობს ბუნინი? მეტეუკოვესიზე არ შეიძლება ითქვას, რამ ის აღარ არის, რადგანაც ის არასდროს არ ყოფილა. ან და კუპრინი? ბალმონტი? ან და თვით ჩირიკივი? შეიძლება რამეს წარმოადგენს „უარ-პტიცა“, „სპოლოხი“, რომლის შესანიშნავი ლიტერატურული თვისება არის მაგარი ნიშნის და ასო „იათის“ დაცვა და ხმარება. ყოველივე ეს არის ვარჯიშობა საჩივრების წიგნში ბერლინის სადგურზე: ცხენებს მოსკოვზე დროზე არ იძლევიან და მგზავრები იგინებიან. პროეინციალურ „სპოლოხებში“ შემოქმედება წარმოდგენილია ნემიროვიჩ-დანჩენკოთი, ამფითეატროვით, ჩირიკივით, პერეუხინით და სხვა მიცვალებულებით, რომელნიც არას დროს არ დაბადებულან. ზოგიერთ, არა ვარკვეულ ნიშნებს სიცოცხლისას იჩენს ალექსეი ტოლსტოი. ამიტომაც იგი უარყოფილია მაგარი ნიშნის დარაჯებისაგან.

სოციოლოგიის პატარა პრაქტიკული გაკვეთილი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ისტორიის მოტუუბა. კარგი! იყო ძალდატანება: მიწები და ქარხნები წაიღეს, ბანქში შეტანილი ფულებიც, გახსნეს სეიცები, მაგრამ ტალანტები და იდეები ხომ არ წაუღიათ? ეს აუწონელი ლირებულებები ხომ გატანილი იყო საზღვარ-გარეთ ძალიან ბლობად, რაიც მეტად საშიშარი იყო რუსულ „კულტურისათვის“, რომლის მედავითნეა ყოველთვის მაქსიმ გორჯი. მაგრამ რატომ არაფერი გამოვიდა ყოველივე ამისაგან. რად არ შეუძლია ემიგრაციას დასახელოს ერთი წიგნი, ერთი მშერალი, რომელნიც ლირსნი იყვნენ ყურადღების. იმიტომ რომ არ შეიძლება მოტუუბა ისტორიის და აგრეთვე ნამდვილი (და არა დავითნის) კულტურისა. ოქტომბერი შევიდა რუსი ხალხის ცხოვრებაში, როგორც გადამშვერი მოვლენა და ყველაფერს მისცა თავისი დაფასება და ელფერი. წარსული უცაბედად დაიჩრდილა, დაკანა და მისი მხატვრულად გაცოცხლება შეიძლება მხოლოდ რეტროსპექტივით იმავე ოქტომბრისაგან. ეინჯ იქტომბრის პერსპექტივების გარეშეა, ის განადგურებულია, უიმედოთ და სრულიად. ამიტომ დადიან ასეთი გამოფუტურებული ფილოსოფისები და პოეტები, რომელნიც არ არიან თანახმა იქტომბრის. იმათ, კეშარიტად, არაფერი აქვთ სათქმელი. ეს მიზეზია, და არა სხვა, რომ ემიგრანტული ლიტერატურა არ არსებობს. არაფერის მქონეს არაფერი არ ეთქმის.

ემიგრაციის გახრწნაში ჩამოყალიბდა ერთგვარი გატკეცილი ტიპი მსტვენავი ცინიკოსისა. ყოველი მიმართება გაუჯდა მას ძვალ-ჩბილში, როგორც აფი სენი, რომელმაც უზრუნველჰყო ის სხვაგვარ იდეურ გავლენისაგან. მეტი სისრულით არის წარმოდგენილი ეს ტიპი მოურიდებელ

ბატონ ვეტლუგინით. შეიძლება ვინმემ იცის, საიდან და-  
იწყო მან? მაგრამ ეს არ არის არსებითი. მისი წიგნები  
(„მესამე რუსეთი“, „გმირები“) მოწმობენ იმას, რომ ავ-  
ტორს წაუკითხავს და უნახავს ბევრი რამ, და შეუძლია  
ქალალდზე კალმის წაყვანა. ის იწყებს წიგნს თითქმის  
ელეგიით, რომელსაც უძლენის დალუპულ ინტელიგენტების  
სულს, მაგრამ უკანასკნელად ადიდებს ქურდ „მეშოჩინება“,  
რომელიც, თურმე, შეიქნება ბატონ პატრონი „მესამე რუ-  
სეთის“. და ეს იქნება ნამდვილი რუსეთი, კერძო საკუთ-  
რების დარაჯი, ყოველი პოზის გარეშე, რომელიც მდიდ-  
რდება, და ულმობელია თავის სიხარუეში. ვეტლუგინმა,  
რომელიც იყო თეთრებთან და უარყო ისინი მათ დამარ-  
ცხების შემდეგ, წინასწარ ჭამიაყენა თავისი კანდი-  
დატურა, რომ გამხდარიყო მეშოჩინეურ რუსეთის იდე-  
ოლოგი. მან კარგად დაახასიათა თავისი საკუთარი მოწო-  
დება. მაგრამ რაც შეეხება მესამე რუსეთს... ასე თუ ისე,  
მაგრამ შეუცდომელ სტილში სამწუხაროდ ისმის ჩერვის  
ვალეტი. პირველი წიგნი იწერებოდა დაახლოვებით კრონ-  
შტადტის ამბების დროს (1921 წ) და ვეტლუგინს ეგონა,  
რომ საბჭოთა რუსეთის საქმე წასულია. გავიდა  
რამოდენიმე თვე, ანგარიში არ გამართლდა და ვეტლუ-  
გინი, თუ არ ვცდებით, ირიცხება ახლა „სმენოვეხელების“  
ბანაკში. მაგრამ ეს სულ ერთია: მას რადიკალურად იფა-  
რავს მისი ცინიზმი იდეურ მერყეობისაგან, და აგრეთვე  
რენეგატობისაგან. ამის გარდა ვეტლუგინი სწერს სასა-  
ცილო რომანს ასეთი დამატიქრებელი სათაურით: „საზი-  
ზლარი კაცის ნაწერები“... და ასეთნი ცოტა არ არიან.  
მხოლოდ ვეტლუგინი უფრო ტიპიურია. ისინი სცრუიან  
აგრეთვე უანგაროდ, იმიტომ რომ მათთვის სიცრუე და  
სიმართლე ერთი და იგივეა: შეიძლება ისინი არიან ნა-

მდევილი ნაუური მეორე რუსეთის, რომელიც ელოდინება მესამე რუსეთს.

ერთი თაროთი ზევით, მაგრამ უფრო მკრთალია ბ. ალდანოვი. ის უფრო კადეტია, და ამიტომ უფრო ფარისეველია. ალდანოვი თითქოს ეკუთვნის იმ ბრძენებს, რომლებმაც შეითვისეს ტონი უმაღლესი სკეპტიკიზმისა (და არა ცინიზმის!). ეს ადამიანები უარყოფენ პროგრესს და იმავე დროს მხათ არიან გაიჩიარონ ვიკის ბაჟშური თეორია ისტორიულ ბრუნვის შესახებ. სკეპტიკები მეტად ცრუმორწმუნე ხალხია. ალდანოვები არ არიან სრულიად მისტიკოსები, ესე იგი არა აქვთ თავისი პოზიტიური მითოლოგია, მაგრამ პოლიტიკური მისტიკიზმი აძლევს მათ უფლებას განიხილონ პალიტიკური მოვლენები მარადისობის თვალსაზრისით; ამის შედეგია განსაკუთრებული სტილი კეთილშობილ ენის მოჩქერებით.

ალდანოვებს თითქმის სჯერათ თავისი უდიდესი უპირატესობა რევოლუციონერებზე საერთოდ, კომუნისტებზე განსაკუთრებით. იმათ ჰვონიათ, რომ ჩვენ არ გვესმის ის, რაც იმათ ესმის; რევოლუცია იმათ წარმოდგენილი აქვთ, როგორც იმის შედეგი, რომ მთელ ინტელიგენციას არ გაუვლია იმ პოლიტიკური სკეპტიკიზმის და ლიტერატურული სტილის სკოლა, რომელიც შეადგენს ალდანოვების გონიეროვ კაპიტალს.

მოცულილმა ემიგრანტებმა დაითვალეს ცველა წინააღმდეგობანი საბჭოთა მოლვაწეების სიტყვებში და განცხადებებში, დაითვალეს აგრეთვე ცველა სუსტად აშენებული ფრაზები „პრავდის“ მოწინავეებში და ისინი თავის წერილებში ჩვენ გვამტყუნებენ სიბრიყეში და ჭიუას აცხადებენ თავის საკუთრებად. მართალია, იმათ დაპქარეს ძალა-უფლება და კაპიტალები, ვერ გამოიჩინეს წინად-

გრძნობა ისტორიის, მაგრამ ყველაფერში დამნაშავეა საძაგლი რუსის ხალხი. ალდანოვებს მიაჩნიათ თავისი თავის ტილისტებათ, რაღვანაც სძლიერ მილიუკოვის ფხენილი ფზაზა და ვექილი გესენის უნამუსო სიტყვა. მათი სტილი კილუპია და მდაბიო, უხასიათო და მახეილს მოქლებული; იგი მეტად შესაფერისა იმ ხალხისათვის, რომელთაც არაფერი აქვთ სათქმელი. თავისებური მანერა ლაპარაკის, დამოუკიდებელი შინაარსისაგან, ეს თავაზიანობა სტილის და კუსის, რომელიც არ ჰქონია ჩვენს ინტელიგენციას, უკეთ შემემავდა რევოლუციათა შორის ხანაში (1907 — 1914 წლები). ახლა ზოგი რამ კიდევ დაინახეს ევროპაში და სწერენ წიგნებს: იგონებენ წარსულს — ირონიით, თითქოს ძალათ იკავებენ თვლემას და მოქნარებას, მოჰყავთ ციტატები სხვადასხვა ენებიდან, სკეპტიკურად წინასწარმეტყველებენ და აქვე ამბობენ წინააღმდეგს. პირველად ეს საინტერესოა, შემდეგ მასაწყენი, უკანასკნელად საზიზღარო. უძლური ფრაზის შარლატანობა, ლიტერატურული მოხეტეობა, სულიერი ლაქიობა!

საერთო გუნდა ვეტლუგინების, ალდანოვების ყველაზე უფრო კარგად გამოსთქვა ლექსათ პარიზში მყოფმა კინგე დონ — ამინადომ:

„კინ აჩის თავდები, რომ იდეალი კეშმარიტია?

რომ კაცობრიობა სულს მოითქვამს?

სად არის საზომი არსებულის? მობრძანდით, გენერალო!...

ათი წლით: ჩემთვისაც და თქვენთვისაც საკმარისია!“

როგორც ვხედავთ, ესპანელი არ არის ამაყი. „მობრძანდით გენერალო!“

გენერლები (და აღმირალიც კი) წამოვიდენ, მხოლოდ ტიზანს ვერ მიაღწიეს.

\*\*\*

საზღვარ აქეთ დარჩა ბევრი ოქტომბრის წინა ხანის მშერალი, რომელიც ენათესავებიან საზღვარს იქით მყოფთ და წარმოადგენენ რევოლუციის შინაურ ემიგრანტებს. „ოქტომბრამდე“ — ეს სიტყვა ჩვენი კულტურის მომავალ ისტორიაში ისეთივე მძიმე გასავონი იქნება, როგორც „საშუალსაუკუნო“ ისმის ჩვენთვის, შედარებით ახალ ისტარიასთან. ოქტომბრამდე არსებულ კულტურის ბევრ პრინციპიალურ მომხრეს ოქტომბრი სერიოზულად მოეწევნა ჰუნების თავდასხმად, რომლებსაც უნდა დაემალო კატაკომბებში ეგრედ წოდებულ ცოდნის და რწმენის ლამპარებით. მაგრამ განდევილებმა და დამალულებმა ახალი სიტყვა ვერა თქვეს. მართალია, ლიტერატურა ოქტომბრამდე და ოქტომბრის გარეშე ემიგრანტულ მშერლობაზე უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ისიც ეპიგონურია და შეპყრობილია საშინელი ავადობით.

ლექსების კრებულები ბლომად გამოვიდა ამ წელში — ამ კრებულებზე ცნობილი სახელებია, პატარა გვერდებზე მაჟლე სტრიქონებია, ამ ლექსებში არის ხელოვნება და გამოძახილი წარსული გრძნობის; და ყოველივე ეს სრულიად არ არის საჭირო დლევანდელი, ოქტომბრის შემდეგ მცხოვრებ ადამიანისათვის, როგორც ჯარისკაცისთვის სტექლიარუსი ომის დროს. თითქოს გვირგვინი ამ გარიყულ მშერლობის, ამ ტირადიდან გამოსულ გრძნობების და აზრების, არის მშენივრად გამოცემული კრებული „შეილდოსანი“, სადაც ლექსები და წერილები სოლოგუბის, როზანოვის, ბელენსონის, კუზმინის და სხვების დაბეჭდილია სამას დანომრილ ეგზემპლიარად.

რომანი რომაულ ცხოვრებიდან, წერილები ხარის ერო-  
 ტიულ კულტის შესახებ, წერილი მიწიერ და ციურ სოფია-  
 ზე, — სამასი დანომრილი წიგნი, — სავსე უიმედობით და  
 სიკედილით. უკეთესი იქნებოდა, რომ ბრაზიანობდენ და  
 იწყევლებოდენ: ეს მაინც სიცოცხლის მსგავსი რამ იქნე-  
 ბოდა.

„ხალხი, შენ არ სცემ პატივს სიწმინდეებს და ამიტომ  
 შედენილი იქნები ისევ ძეველ ბოსელში“ (ზ. გიპიუსი.  
 „უკანასკნელი ლექსები“ 1914 - 18 წ.). რასაკვირველია,  
 ეს პოეზია არ არის, მაგრამ ეს ნატურალური პუბლიცი-  
 სტიკაა! მისწრავება დეკადენტურ-მისტიურ პოეტესისა ჯო-  
 ხი ხელთ იგდოს, როგორი შეუდარებელი ნაწყვეტია ეს ცხოვ-  
 რების! როდესაც გიპიუსი ემუქრება ხალხს მათრახებით  
 „საუკუნეებში“, ეს რასაკვირველია გადამეტებაა, თუ  
 ვიფიქრებთ, რომ გიპიუსის წყევლამ უნდა აათროოლოს  
 ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში; მაგრამ ამ მისატევე-  
 ბელ — გარემოებათა გამო — გადამეტებაში თქვენ ხედავთ  
 ბუნებას: ხედავთ გუშინ კიდევ მოთენილს პიტერის ქალ-  
 ბატონს, დამშვენებულს ტალანტებით, ლიბერალურს, თანა-  
 მედროვეს, — და უცბად ამ ქალბატონშა დაინახა შავი  
 შემაძრწუნებელი უმაღლურობა ბრძოსავან, რომელიც მოდის  
 ლურსმიან ჩექმებით, და ქალბატონი, შეურაცხყოფილი თა-  
 ვის უწმინდეს გრძნობებში, თავის უძლურ გახელებას აქციეს  
 გაშმაგებულ დედაბრულ ვაებათ (თუმცა ლექსებში). და  
 მართლაც: თუ ეს კნავილი ვერაეის აათროოლებს, ყოველ  
 შემთხვევაში დააინტერესებს და, შეიძლება, ასი წლის  
 შემდეგ რუსეთის რევოლიუციის ისტორიუოსმა მიუთითოს  
 მყითხველებს, თუ როგორ შეეხო ლურსმნიანი ფეხი პიტე-  
 რის ქალბატონის ლირიულ ნეკს, რომელმაც იმ წუთშივე  
 აჩვენა ყველას, თუ როგორი კუდიანი და დარაჯი საკუ-

თრებისა იმალება დეკადენტურ - მისტიურ - ქრისტიანულ და ეროტიულ ნიღაბის ქვეშ და აი ამ ბუნებრივ კუდიანობით სჯობია გიპიუსის ლექსები სხვა უფრო კარგს ფორმალურად, მაგრამ მკედარ და ნეიტრალურ ლექსებს.

როდესაც მრავალრიცხვოვან და ნეიტრალურ წიგნთა შორის შეგხვდებათ ორინა ოდოვცევას „სასწაულთა ეზო“, თქვენ თითქმის მხათა ხართ შეურიცდეთ სალამანდრების, რაინდების, ლამურების და მკედარი მთვარის რომანტიკას და სიცრუეს იმ სამი ლექსისათვის, რომლებშიც მოსხანს საბჭოთა ყოველდღიურობა. აქ არის ბალადა მეეტლეზე, რომელიც მის ცხენთან ერთად სიკედილამდე მიაყენა კომისარმა ზონმა, არის მოთხოვობა ჯარისკაცზე, რომელიც ყიდდა მარილს დაფქულ შესასთან ერთად, და უკანასკნელად ბალადა იმის შესახებ, თუ რად გაფუჭდა პეტროვერადში წყალსადენი. ქარგი ოთახურია, ისეთი, რომელიც უნდა მოსწონდეს კუზენ უორქს და ბიურლა ანიას. მაგრამ აქ არის თუნდაც მცირე ანარეკლი ცხოვრების, და არა დაგვიანებული გადამლერება ძეელი სიმლერების, რომელნიც შეტანილი არიან ყველა ენციკლოპედიებში. და ჩვენ მხადა ვარ ერთი წუთით შევუერთოთ ჩვენი ხმა კუზენ უორეის ხმას: მეტად, მეტად მომხიბლავი ლექსებია, განაგრძეთ, მაღლემუაზელ!

ეს შეეხება არა მარტო „მოხუცებს“, რომლებმაც განიცადეს ოქტომბერი. არის ჯგუფი ოქტომბრის გარეშე მდგომ ახალგაზრდა ბელეტრისტების და პოეტების. ნამდვილად არ ვიცი, რამდენად ახალგაზრდები არიან ეს ახალგაზრდები; მოის და რევოლუციის წინა ეპოქაში ისინი ან იყვნენ დამწყებნი, ან და დაწყებულიც არა პქონიათ თავისი გზა. ისინი სწერენ მოთხოვობებს, ლექსებს, რომლებშიც ერთგვარი არა ინდივიდუალური ხელოვნებით

სწერენ იმის შესახებ, რაც გუშინ და გუშინწინ იძლეოდა მწერლის სახელს. რევოლუციამ გასთელა მათი იმედები (ლურსმიანი ჩექმით). იმათ ისე უჭირავთ თავი, თითქოს არაფერი არ მომხდარა და გამოსთქვამენ თავის დაიარებულ სიამაყეს უფერულ ლექსებში და პროზაში. მხოლოდ ღრუგამაშებით ისინი ინუგეშებენ თავს არა ტემპერანტული კუკიშის ჩეენებით ჯიბეში. მთელი ამ ჯგუფისათვის მეტრად უნდა ჩაითვალოს ზამიატინი, მხარევარი „გარიყულთა“. ის მოგვითხრობს ინგლისელებზე. ზამიატინი იცნობს მათ და ასურათებს გვარიანად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც გარეგნულად, როგორც ნიკიერი, დაკვირვებული უცხოელი, რომელიც მაინც დამაინც ბევრს არ ავალებს თავის თავს. მაგრამ იმავე წიგნში ზამიატინს აქვს მოთხოვნობები რუს გარიყულებზე ინტელიგენტებზე, რომელიც სცხოერობენ კუნძულზე, მათთვის უცხო და მტრულ საბჭოთა სინამდელის ოქეანეში. ამ მოთხოვნობებში ზამიატინი უფრა ელასტიურია, მაგრამ არ არის უფრო ღრმა. ბოლოს და ბოლოს ავტორი თვით კუნძულის ადამიანია და ის პატარა კუნძულიდანაა, რომელზედაც ის გადასახლდა ახლანდელ რუსეთიდან. და როცა ზამიატინი სწერს რუსებზე ლონდონში, და ინგლისელებზე პეტრუგრადში, თვითონ ის ყოველთვის უკველი ემიგრანტია. თავის შეკვეული სტილით, რომელშიც მოსჩანს თავისებ ური ლიტერატურული ჯენტლმენობა (სნობიზმის სახლვარზე), ზამიატინი თითქოს შექმნილია მასწავლებლობისათვის ახალგაზრდა განათლებულ და უნაყოფო გარიყულების წრეებში \*).

\* ) მას შემდეგ, რაც ეს დაწერილი იყო, მე გავეცანი პოეტების ჯგუფს, რომელიც რატომძალა უწიოდებენ თავის თავს გარიყულებს (ტიბინოვი და სხვები). მაგრამ მათ შემოქმედებაში არის ცოცხალი ნოტები, მაგალითად, საიმედოა ახალგაზრდა ტიხონოვი. მაგრამ საიდანაა ექოოტიური სახელწოდება?

კუნძულის უდაბნოელებს წარმოადგენენ უმპველად სამხატვრო თეატრის მსახიობნი. არ იციან, როგორ მოიხმარონ თავისი მაღალი ტეხნიკა და რა უყონ თავის თავს. რაც ხდება მათ ირგვლივ, მათთვის უცხოა და მტრული. ეს ხალხი, წარმოიდგინეთ, დღემდე სკეოვრობს ჩეხოვის თეატრის სულიერ განშუობილებით. „სამი და“, „ძია ვანო“ 1922 წელში! რამ გადიდა როს — ავდარი ხომ დიდხანს არ გავრძელდება, — სამხატვროელებმა დადგეს „მადამ ანგოს ქალი“, რომელიც სხვათა შორის იძლეოდა მსუბუქი პორტრეტის საშუალებას რევოლიუციურ ხელისუფლების წინააღმდეგ. ახლა ისინი უჩვენებენ კულტურულ ევროპიელებს და მდიდარ ამერიკელებს, რა მშენიერი ალუბლის ბალი ჰქონდა ძველ აზნაურულ რუსეთს, და რა კარგი თეატრები იყო იქ. ჯავაირ თეატრის კეთილშობილი, მომაკვდავი კასტა. ამ კასტას ხომ არ ეკუთვნის უნიკიერესი ახმატოვა?

„პაეტების ცენტო“ შეიკრიბენ განათლებული მოშაიორენი, რომლებმაც იციან გეზგრაფია, განსხვავება რუკუსი გოტიკისაგან, შეუძლიათ ფრანგულად ლაპარაკი და დიდი თაყვანის მცემელნი არიან კულტურის. ისინი ფიქრობენ და საჩულიად საფუძვლიანად, რომ „ჩენი კულტურა კიდევ ბავშურია, ნორჩია“ (გიორგი ადამოვიჩ). გარეგნული პრიალით იმათ ვერ მიაწონებ თავს: ნამდვილი კულტურის მაგიერობას ვერ გასწევს გარეგნული ელვარება (გორგი ივანოვი). მათ აქვთ იმდენი გემოვნება, რომ იგრძნონ, რამ უალდი სწაბია, და არა პოეტი. ისინი ზოგით უცემრიან მათ, ვინც უარყოფს სკოლას, დისციპლინას, ცოდნას, წინ მისწრაფებას, ამაში კი ჩენცა ვართ დამნაშავე. ისინი ძალიან ბევრს მუშაობენ თავის ლექსებზე. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად ოცუპი, კიდევაც ნი-

ჭიერია. ოცუპი არის სიზმრების, მოვონებების და შიშის პოეტი. ის ყოველ ნაბიჯის შემდეგ ვარდება წარსულში. „სიცოცხლის ნეტარებას“ აძლევს მას მხოლოდ ხსოვნა. „მე ვნახულობ ჩემ ადგილს, პოეტის-მაყურებელის და მეშჩანინის ადგილს, რომელსაც უნდა თავისი სიცოცხლე გადაარჩინოს სიკედილისაგან“, ამბობს ოცუპი თავისთავზე ალექსიანი ირონიით. მაგრამ მისი შიში სრულიად არ არის ისტერიული, თითქმის მშეიღია, შიში ევროპიელის, რომელმაც იცის თავის დაჭერა, სრულიად კულტურული შიში, რომელშიც არ არის მისტიური მანკვა. მაგრამ რად არის უნაყოფო და ცარიელი ყვავილი მათი პოეზია? იმიტომ რომ ისინი არ ქმნიან ცხოვრებას და არიან დაგვიანებული ნალების მხდელნი, სხვისი სისხლით და ოფლით შექმნილ კულტურის ეპიგონები. ისინი არიან განათლებული და მახვილი იმიტატორები, ნაკითხი და ნიკიერი ხმათმიმბაძელები — და მეტი არაფერი.

თავის დროზე აზნაური ვერსილოვი განათლებულ ქვეყნის ნიღაბის ქვეშ იყო უცხო კულტურის ლაქია. მას ჰქონდა რამოდენიმე აზნაურულ თაობის გემოვნება. ევროპაში ის გრძნობდა თავის თავს, როგორც სახლში. ის ზიზლით უცქეროდა რაღიკალურ სემინარიელს, რომელიც, აღსრული პისარევზე, ფრანგულ სიტყვებს ამბობდა სეფის-კვერის მცხობელის აქცენტით, მანერები კი ჰქონდა საშინელი. მიუხედავად ამისა ეს სემინარიელები მესამოცე წლებისა და მისი მემკეიდრე — მესამოცდაათე წლებისა იყვნენ რუსული კულტურის ხუროთმოძღვრები, იმ დროს, როცა ვერსილოვი ჩამოყალიბდა, როგორც უნაყოფო ნალების-მხდელი.

რუსული კადეტობა, მეოცე საუკუნის დასაწყისის დაგვიანებული ბურჟუაზიული ლიბერალიზმი გაელენთილი

პატივისცემით კულტურისადმი, მოჯადოვებულია მისი სტილით, სურნელით, ბალანსში კი — სრული არა հառծა. ჩეტროსპექტიულად განხომეთ ის გულწრფელი ზიზლი, რომლითაც უცქეროდენ კადეტები ბოლშევიზმს თავის პროფესიულ-ლიტერატურულ-კულტურულ-ადვოკატურ კათედრების სიმაღლიდან და შეადარეთ იმ ზიზლს, რომელიც გამოიჩინა ისტორიაში კადეტებისადმი. რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ კადეტური კულტურა, ისე, როგორც კულტურა ვე հისილოვისა, მხოლოდ ბურჟუაზიულ-პროფესიულ ელფერით, გამოდგა დაგვიანებული ანარეკლიუცია კულტურისა რუსულ საზოგადოებრივობის ზერელე საհკეში. ლიბერალიზმი დასავლეთის ისტორიაში ნიშნავდა უძლიერეს მოძრაობას ზეციურ და მიწიერ ავტორიტეტების წინააღმდეგ და გაშმაგვებულ რეეოლიუციურ ბრძოლის დროს იგი აღამაღლებდა მატერიალურ და აგრეთვე სულის კულტურას. საფრანგეთი, როგორც ჩვენ მას ვიცნობთ კულტურის, მოპყრიბის და თავაზიანობის მხრივ, რომელიც დამახასიათებელია მთელი ხალხისათვის, შეიქნა ასეთი მხოლოდ რამადენიმე რეეოლიუციის შემდეგ, აი ეს „ბაზაროსული“ პროცესი კატასტრუციების, გრიგალების ჩანს ეხლანდელ ფრანგულ ენაში, მისი სუსტი და ძლიერი მხარეებით, სისწორით და ნაკლები მოქნილობით, ჩანს იგი აგრეთვე უზანგული ხელოვნების სხვადასხვა სტილებში. რომ ფრანგულ ენას მიეცეს ახალი მოქნილობა, და ძალა, ამისათვის საჭიროა ახალი დიდი რევოლუცია (არა ენის, არამედ საზოგადოების), და იგივე საჭირო, რომ ამაღლდეს ფრანგული ხელოვნება, რომელიც, მაგრე დავად მისა მოვალეობა მისა. მეტად კონსერვატივობია.

ჩეტროსპექტიული კულტურული მიტაცია ლიბერალიზმის, კულტურული უთანამდებობისა და ისტორიის ისტორიიდან

61.11.18

ნაღები პარლამენტარიზმის, კულტურულ თავაზიანობის, ნორმალურ ხელოვნების (მოგების და რენტის მაგარ საფუძველზე). ეს ჩოპიულ სტილების მნევრაობა, მათი შეთვისება, რომ შემდეგ გამოჩნდეს, რომ სათქმელიც არაფერი აქვთ, ეს შეუძლიათ ადამიურიებს, ირეცეპტორებს და სხვებს. მაგრამ ეს ხომ არ არის კულტურის შემოქმედება, ეს ხომ ნაღების მხდელობაა.

როცა ვინმე კადეტურამა ესთეტმა საობურში იმგზავრა და შემდეგ პყვებოდა: რაგორ ის, განათლებული ეკროპიელი საუკეთესო ჩადგმული კბილებით და ეგვიპტულების საცეკვავო ტეხნიკის ცოდნით, ქამურმა რევოლუციის იძულებული ვახადა ემგზავრა ტილიან „მეშოჩინიკებთან“, თქვენ აივსებოდით ზიზლით ოქროს კბილებისადმი, საცეკვავო ესთეტიკისადმი და ამ კულტურისადმი, რამელიც მოპარულია ყველა ეკროპიულ სავაჭროებიდან; და თქვენ გებადებოდათ ლრმა რწმენა, რომ ყველაზე უკანასკნელი ტილი „მეშოჩინიკისა“ ისტორიის მექანიკაში უფრო საჭიროა და მნიშვნელოვანი, ვიდრე ეს თავიდან ფეხებამდე კულტურული, თავის თავშე შეყვარებული ესთეტი.

ომაძევ, ესე ივი სანამ კულტურის ნაღების მხდელნი მიწაზე ფოთხვას და პატრიოტულ ბლავილს დაიწყებდენ, ჩვენთან შემუშავდა გაზირის სტილი. მართალია, მილიუკოვი კიდევ განაგრძობდა პროფესორულ მოწინავეების წერას და მისი თანამშრომელი გესენი ამზადებდა გაყრის საუკეთესო პროცესებს. მაგრამ, საერთოდ თანდათან გადაეჩინ ტრადიციულ და მშობლიურ უგემურებას, მომზადებულს „რუსკიე ვედომოსტის“ საპატიო სამარხეო ზეთზე. ეს პატარა სტილისტური პროგრესი გაზირის (ნაყიდი 1905 წ. სისხლით, რომლიდანაც წარმოიშვა პარტიები და დუმა) თითქოს უკვალოდ დაიხრი 1917 რევოლუ-



ციის ტალღებში. საზღვარგარეთელი კადეტები, განქორ-ჭინების კადეტები და სხვები, უდიდესი ბოროტი სიხა-რულით ლაპარაკობენ საბჭოთა პრესის სისუსტის შესახებ. და მართლაც ჩვენ საზოგადოთ ვსწერთ ნაკლებათ, არ ვიცავთ სტილს და ვბაძავთ „რუსეთი ვედომოსტისაც“ კი. მაშ ეს რეგრესია? არა, ეს არის მხოლოდ გადასვლა მთე-ლი ხალხისა ქაფისმხდელთა პროგრესიდან, დაქირავებულ ადვოკატურ ლუბოკიდან უდიდეს კულტურულ მოძრაობა-ზე; ეს ხალხი - მიეცით მას სულ პატარა დრო — შექმნის თავის საკუთარ სტილს განეთისთვის და ყველაფრისათვის.

კიდევ ერთ კათეგორიის შესახებ *ralliés*. ეს ტერ-მინი ეკუთვნის ფრანგულ პოლიტიკას და ნიშნავს შემო-ერთებულებს. ასეთი სახელწოდება მისცეს ყოფილ როია-ლისტებს, რომელნიც შეურიგდენ რესპუბლიკას. იმათ უარი სთქვეს ბრძოლაზე მეფისათვის, ხელი აიღეს იმე-დებზე და ლოიალურად ვადაიყვანეს თვისი როიალიზმი რესპუბლიკანურ ენაზე. არც ერთი მათგანი მარსელიებას არ დასწერდა, კიდევაც რომ არ ყოფილიყო ის დაწერი-ლი. საეჭვოა, რომ ისინი ენტუზიაზმით ჰლეროდენ მარსე-ლიებას ტირანების წინააღმდევ. მაგრამ შემოერთებულნი სცხოვრობენ და სხვებსაც არ უშლიან ცხოვრებას. ასეთი *ralliés* ბევრია პოეტების, მხატვრების და მსახიობთა შო-რის. ისინი არ სცრულობენ, არ იწყებენ მირიქით, იღებენ, მაგრამ საერთოდ, და არ იღებენ თავის თავზე პასუხისმგებლობას; საღაც საჭიროა, დიპლომატიურად სდუმან, ესე იგი ითმენენ და იღებენ შეძლებისდაგვარ მონაწილეობას. ესენი არ არიან ნამდვილი სმენოვეხელე-ბი, რომელთაც აქვთ მაინც თავისი იდეოლოგია, ესენი არიან მხოლოდ შერიგებული ხელოვანი „ობივატელები“

არა უნიჭო მოხელეები. ასეთი rallyes ჩვენ ვნახულობთ ყველგან, პორტრეტულ მხატვრობაშიც კი: ხატავენ საბჭოთა პორტრეტებს, ხატავენ ხანდახან დიდი მხატვრები. აქ არის ტეხნიკა, გამოცდილება, მაგრამ პორტრეტებში არ არის მსგავსება: რატორი იმიტომ რომ მხატვარს არა აქვს კავშირი და სულიერი ნათესაობა თავის თემასთან და ხატავს ის რუს და გერმანელ ბოლშევიკს ისე, როგორც ის ხატავდა აკადემიაში გრაფინა, შესაძლებელია რომ იმაზე უფრო ნეიტრალურად.

არ არის საჭირო სახელების მოყვანა, რადგანაც ასეთი მხატვრები შეადგენენ მთელ ჯგუფს. შემორთებულნი ვერც პოლიარულ ვარსკვლავს მოსწყვეტან ციდან და ვერც უხმო დენთს გამოიგონებენ. მაგრამ ისინი სასარგებლო არიან, როგორც ნაკელი ახალი კულტურისათვის. ეს კი არც ისე ცოტა არის.

ოქტომბრის გარეშე მდგომი ხელოვნების საჭურისობა სჩანს რელიგიურ ძიებათა და მიღწევათა იღბალზე, რომელნიც ანაურთიერებდენ რევოლუციამდე გაბატონებულ ლიტერატურულ მიმართებას—სიმბოლიზმს. საჭიროა რამოდენიმე სიტყვის თქმა ამის შესახებ.

მატერიალიზმიდან და პოზიტივიზმიდან, და აგრეთვე მარქსიზმიდან — კრიტიკული ფილოსოფიის (კანტიანობის) საშუალებით, საუკუნის დასაწყისიდან ინტელიგეცია მიიჩნევდა მისტიკიზმისაკენ. რევოლუციათაშორის წლებში „ახალი რელიგიური შეგნება“ ციმციმებდა და იკვამლებოდა ბევრი ელამი ცეცხლებით. ახლა კი, როდესაც დაიძრა აღვილიდან ოუიკიალური მართლმადიდებლობა, ოთახის მისტიკოსებმა, რომელნიც თავისებურად იქცევდნენ თავს, მოკავეს კუდები. ეს მასშტაბები შათთვის მიუწვდომელია. სალონის წინასწარმეტყველთა და უურნა,

ლების წმინდანთა დაუხმარებლად, პირიქით, მათი წინააღმდეგობით რევოლიუციურ მოქცევის ტალღებმა მიაღწიეს რუსული ეკლესიის კედლებამდე, რომელსაც არა ჰქონია რეფორმაცია. ის თავს იცავდა ისტორიისაგან ფორმების სასტიკი კონსერვატიზმით, ავტომატიური წესებით და სახელმწიფოებრივი ძალით. რუსული ეკლესია მეფურ სახელმწიფოს წინაშე მოწიწებით იხრიდა ქედს — და თითქმის უცვლელი დარჩა რამოდენიმე წელს თავისი თვითმკრძალი მოკავშირის და მფარველის დალუპვების შემდეგ. მაგრამ მისი რიგიც დადგა. განახლების „სმენოვებური“ მიმართულება ეკლესიაში არის დაგვიანებული ცდა წინდაწინ გაბიუროკრატებულ ბურეუაზიულ რეფორმაციისა იმისთვის, რომ რამენაირად შეეწყონ საბჭოთა სახელმწიფოს.

ჩეენი პოლიტიკური რევოლიუცია მოხდა, და ისიც ბურეუაზის სურვილის წინააღმდეგ — მუშათა კლასის რევოლიუციამდე რამოდენიმე თვით უფრო ადრე. ეკლესიის რეფორმაცია დაიწყო მხოლოდ პროლეტარულ გადატრიალების ოთხი წლის შემდეგ. თუ „ცოცხალი ეკლესია“ ადასტურებს თავისი კურთხევით სოციალურ რევოლიუციას, ეს იმიტომ, რომ უნდა მოიპოვოს მისი მფარველობა. პროლეტარული ეკლესია შეუძლებელია. საეკლესიო რეფორმაციას აქვს არსებითად ბურეუაზიული მიზნები: ეკლესიის განთავისუფლება საშუალ-საუკუნის წოდებრივ სიმძიმისაგან, მიმიურ რიტუალის და მისნობის შეცვლა უფრო ინდივიდუალურ განწყობილებით ცასთან, ე. ი. მეტი მოწნილობა და შეგუება. პირველი ოთხი წლის განმავლობაში ეკლესია იცავდა თავის თავს პროლეტარულ რევოლიუციისაგან კონსერვატიზმით. ახლა ის გადადის ნეპზე. თუ საბჭოთა ნეპი არის სოციალისტური და კაპიტალისტური

შეურნეობის შეერთება, საეკლესიო ნეპი არის ბურუუაზი-ული დამყნა ფეოდალურ ხეზე. მშრომელთა დიქტატურის ცნობა ნაკარნახევია, როგორც ვსოდეთ, მიმიურობის კანონით.

მაგრამ ეკლესიის საუკუნურ შენობის ზანზარი დაიწყო. მარცხნილან (ცოცხალ ეკლესიას აქვს თავისი მარცხენა ფრთა) ისმის უფრო რადიკალური ხმები. უფრო მარცხნივ. რადიკალური სექტები. გულუბრყევილო, ახლად გაღვიძებული რაციონალიზმი ხნავს მიწას ათეიისტურ და მატერიალისტურ სათესისათვის. ამ სამეფოში, რომელმაც გამოაცხდა თავი არ ამ ქვეყნიურად, დადგა ეპოქა ზვავის და გრიგალის. სად არის „ახალი რელიგიური შეგნება“? სად არიან წინასწარმეტყველნი და რეფორმატორნი პიტერის და მოსკოვის ორტერატურულ სალონებიდან? სად არის ანტროპოსოფია? არაფერი ისმის საცოდავი მისტიკური გომეოპატები გრძნობენ თავს, როგორც წყალდიდობის დროს ოთახიდან ყინულზე გამოგდებული კატები. პირველი რევოლუციის შეზარხოშებამ დაბადა მათი „ახალი რელიგიური შეგნება“. მეორე რევოლუციიამ გასთელა ის.

ბ. ბერდიავეს კიდევ მიაჩნია ბურუუებათ ისინი, ვისაც არა სწამს და არ ფიქრობს საიქიო ცხოვრებაზე. განა სასაცილო არ არის? შოკლე სოციალ-დემოკრატიკულმა წარსულმა დასტოა ამ მშენებლის განკარგულებაზი სიტყვა „ბურუუაზიული“, რომლითაც ახლა ის იგერიებს საბჭოთა ანტეკრისტეს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ რუსეთის მუშებს რელიგიური რწმენა არა აქვთ, ბურუუაზია კი შეიქნა მეტად მორწმუნე მას შემდეგ, რაც დაკარგა თავისი სიმდიდრე. ერთ-ერთი უხერხულობა რევოლუციის იმაშია, რომ ის ამჟღავნებს სრულიად იდეოლოგიის სოციალურ

ფესვებს. ამნაირად ახალი „რელიგიური შეგნება“ არარაობით გათავდა, მაგრამ დასტურვა თავისი კუპყი მწერლობაში. პოეტების მთელმა თაუბამ მიიღო 1905 წ. რევოლუცია ივანე კუპალას ღამეთ, მაგრამ დაიწვა სათუთა ფრთხები მის კოცონხე და ციური იერარქია შეიყვანა თავის რიტმებში. იმათ ეძნობოდა რევოლუციათაზორისი ახალგაზრდობა, მაგრამ რადგანაც პოეტები ცუდი ჩეელების გამო წინადაც მიმართავდენ კრიტიკულ გარე მოებაში ნიმუშებს, პანს, მარსს და ენერგიას, აქ პოეტურ ფორმის თვალსაზრისით მოხდა მხოლოდ ნაციონალიზაცია ოლიმპის. ბოლოს და ბოლოს მარსი, თუ წმინდა გიორგი, ეს ივისდა მიხედვით, არის საჭირო ხორეი, თუ იამბი. მაგრამ უეპველია, რომ ბევრი ამის ქვეშ ფარავდა თავის განცდებს, უმთავრესად შიშის განცდებს. შემდეგ მოვიდა ომი, რომელმაც ინტელიგენციის შიში გათქვითა საერთო ციებ-ცხელებაში და ხმაურობაში. ვის უნდა უცადო? ვის უნდა მიმართო? რას უნდა მიენდო? წმინდა ლოცვების გარდა არაფერი დარჩენილა. ახლა თითქმის არავინ არის იმის მსურველი, რომ გასთქვითოს ახალი რელიგიური სიონე, დაწმენდილი ომამდე ბერდიაევის აფთიაქებში; ვისაც აქვს მისტიკური წყურეილი, ის პირდაპირ მამაპაპურად იწერს პირჯვარს. რევოლუციამ წაშალა და გადარეცხა ინდივიდუალური ტატუიროვა, და აღმოაჩინა ტრადიციული, შერეული, შესისხლხორცებული ძიძის რძესთან ერთ-დ, რომელიც მისი სისუსტის და სისხლნაკლებობის გამო ვერ დაშალა კრიტიკულმა აზრმა. ლექსებში თითქმის მუდმივად ბინავდება ქრისტე. პოეზიის ცელაზე უფრო კეთილშობილ ქსოვილად ხდება ლვობიშობლის მანდილი გამანქანებულ ინდუსტრიის საუკუნეში.

გაქვირვებით კითხულობთ ლექსთა კრებულების უმრა-

ვლესობა', განსაკუთრებით ქალურ ლექსებს, სადაც აფ-  
ტორი არ გადადგამს ერთ ნაბიჯს. ძალიან პატარაა  
ახმატოვასი, ცვეტაევასი, რადლოვასი და სხვა სათუთ პოე-  
ტების ლირიული წრე. ეს წრე შეიცავს თვით პოეტებსას,  
უცნობს, კოტელოყით ან და შვორებით, და ღმერთს, რო-  
მელსაც განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს. ეს მესამე  
პირი მეტად სასიამოვნოა, ზრდილობიანი, სახლის მეგო-  
ბარი, რომელიც ქალურ ავადმყოფობათა ექიმის მოვალე-  
ობას ასრულებს დროვამოშვებით. ყოვლად გაუგებარია,  
როგორ შეუძლია ამ არა ახალგაზრდა პერსონაჟს, რომე-  
ლიც დატეირთულია ახმატოვას და ცვეტოვას დავალე-  
ბებით თავის უფალ დროს განაგოს თვით მსოფლიოს ბეჭ-  
ილბალი. შეაპსეაიასათვის, რომელიც ასე ორიგინალურია,  
ბიოლოგიური, ასე გინეკოლოგიური (შეაპსეაია უეპველი  
ტალანტია!), ღმერთი არის რაღაც მსგავსი მაჭანკალის,  
ან ბებია ქალის, უძლიერეს, მესალოფის ნიშნებით. და  
თუ დავუშვებთ სუბიექტივიზმის ნოტას, ჩვენ თანახმა ვირთ,  
რომ ეს სქელგავიანი დეზაბერთა ღმერთი თუმცა არ  
არის იმპოზანტური, მაგრამ მისტიურ ფილოსოფიის ორ-  
თქლიან წიწილზე უურო სიმპატიურია. როგორ არ უნდა  
მიეიღეთ ბოლოს და ბოლოს დასკვნამდე, რომ განათლე-  
ბულ ფილისტერის ნორმალური თავი არის ნავეის ყუთი,  
რაშიაც ისტორია ჰყრის თავისი სხვადასხვა დროის მი-  
ლწევების ნაჭუჭს: აქ არის გამოცხადება, ვოლტერი, და-  
რეინი, ფსალმუნი, აქ არის შედარებითი ფილოლოგია,  
ორჯერ ორი და კარტოფილის სანთელი. სამარტევინო ნა-  
რევი, უურო დამამცირებელი, ვიდრე გამოქვაბულთა ეპო-  
ქის უეიკობა „ბუნების მეფე“, რომელსაც უთულდ უნდა იმ-  
სახუროს კუდის ქნევით, და ხედავს ამაში „უკედავ სუ-  
ლის“ ხმას. ნამდვილად კი ეგრეღწოდებული სული წარ-

მოადგენს ორგანოს — გაცილებით უფრო ნაკლებად ჰარმონიულს, ეიდრე კუჭი, ან ლვიძლი, რადგან უკვდავ სულს აქვს ბევრი ჩასახვითი ბიბილოები და ბრძა ტომისი კები... სადაც იყრის თავს ყოველი უეარგისი სიძველე, რომელიც იწვევს ფხანვასა და სულიერ მუწუკებს. ხანდახან ისინი გასკდებიან გარითმულ სტრიქონებათ: მაშინ ეს საღდება, როგორც ინდივიდუალისტური და მისტიკური პოეზია და იბეჭდება კოხტა წიგნაკებად.

მაგრამ არაუერში არ გამოჩენილა ინტელიგენტურ ინდივიდუალიზმის სიდამპლე და სიცალიერე ისეთი ინტიმური დამაჯერებლობით, როგორც როზანოვის ახლანდელ საერთო კანონიზაციაში: გენიალური ფილოსოფიოსი და წინასწარმეტყველი, პოეტი, და სხვათა შორის სულის ჩაინდი. როზანოვი კი იყო ნამდვილად საძაგელი, მშიშარი, ფარისეველი, სხვის ხარჯზე მცხოვრები. და ეს შეადგენდა მის არსებას. მისი ნიკიერება გამოიხატებოდა ამ არსების გამოთქმის საზღვრებში.

როდესაც ლაპარაკობენ როზანოვის გენიალობაზე, სახეში აქვთ უმთავრესად მისი აღმოჩენები სქესის დარგში. მაგრამ სკადოს რომელიმე მისმა თაყვანისმცემელმა და შეაგროვოს ყველაფერი ის, რაც როზანოვმა სთქვა თავისი ბუნდოვანი ენით სქესის გავლენის შესახებ პოეზიაზე, რელიგიაზე, სახელმწიფოებრივობაზე, — დარჩება რაღაც მეტად უმნიშვნელო და არ იხალი. ავსტრიულმა ფსიქოანალიტიურმა სკოლამ (ფრეიდი, იუნგი, ალბერტ ადლერი და სხვები) გაცილებით უფრო მეტი შეიტანა მეცნიერებაში სქესობრივ მომენტის როლის შესახებ პირად ხასიათის და სახოვადოებრივ შეგნების განვითარებაში.

აქ ნამდვილი შედარებაც შეუძლებელია. ფრეიდის პარადოქსალური გადამეტებანიც კი უფრო მნიშვნელოვა-

ნია და ნაყოფიერი, ვიდრე საეჭვო მიხედრები როზანოვისა, რომელიც განგებ იჩემებს სალოსობას, პირდაპირ ლაყბობს, სკრუობს და იმეორებს ერთსა და იმავეს.

მიუხედათ ამისა ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ როზანოვის ურცხვი მადიდებელნი, შინაური და გარეშე ემიგრანტები აღწევენ მიზანს: თავისი სულიერი მუქთახორობით, ქვემძრომობით, მხდალობით როზანოვი მხოლოდ გამოხატავდა თავის მადიდებელთა ძირითად სულიერ თვისებებს: შიშს ცხოვრების წინაშე და შიშს სიკვდილის წინაშე.

ვიღაც ვიქტორ ხოვინი, მგონი ფუტურიზმის თეორეტიკოსი, ამბობს, რომ როზანოვის სახაგელი ხეტიალი აიხსნება ურთულესი მიზეზებით: თუ როზანოვი 1905 წ. დროებით მიემხრო რევოლუციას, მაგრამ იმავე დროს არ მიუტოვებია „Новое Время“ და შემდეგ მარჯვნით დაიხია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის შეაშინა ზედმეტმა ბანალობამ, რომელიც მან აღმოაჩინა; თუ შემდეგ ასრულებდა შჩევლოვიტოების დავალებებს რიტუალის მიხედვით, თუ ერთდა იმავე დროს სწერდა „Новое Время“-ში, მე-მარჯვნეთა ორგანოში, და „Русское Слово“-ში, პსევდონიმით, როგორც მემარცხენე; თუ მაკანკალივით მიჰყავდა ახალგაზრდა მწერლები თანამშრომლობისათვის სუვორინთან, ყველაფერი ეს აიხსნება მისი ზნეობრიექი ორგანიზაციის სირთულით და სილრმავით. ეს სულელური და ლორწიანი აპოლოგია იქნებოდა ცოტათი მაინც უფრო დამაჯერებელი, რომ როზანოვი მიმხრობოდა რევოლუციას მისი დევნის დროს და უარეულ იგი მისი გამარჯვების შემდეგ. მაგრამ ეს როზანოვს არასდროს არ დაემართებოდა: ხოდინვის კატასტროფას, როგორც განსაწმენდელ მსხვერპლს, ის ადიდებდა გამარჯვებულ პო-

ბედონოსცევის დროს. დამფუძნებელი კრება და ტერორი, ყოველივე რევოლუცური, მან მიიღო 1905 წ. ოქტომბრის პერიოდში, როდესაც დასაჯერებელი იყო, რომ ახალგაზრდა რევოლუციამ დაამხო მთავრობა. სამი ივნისის შემდეგ (1907 წ.) ის უმღეროდა მესამე ივნისელებს. ბელისიადის ეპოქაში ის ამტკიცებდა, რომ ებრაელები სვამენ ქრისტიანების სისხლს. სიკვდილის წინ როზანოვი სწერდა ებრაელებზე თავისებური მანქვა-გრეხებით, როგორც პირველ ერზე მთელ მსოფლიოში. ყველაზე უფრო ჭრიშმარიტი როზანოვში: როგორც ჭია იკლაკნებოდა მთელი თავისი სიცოცხლე ძალის წინაშე. ჭიისებური ადამიანი და შემარიტი: დაგრეხილი, მოქნილი, მლიქვნელი, ის იკუმშება და იწელება, და როგორც ჭია საზიზლარია. მართლ-მადიდებელ ეკლესიას, რასაკვირეელია, თავის წრეში როზანოვი უწოდებდა ნაგავს. მაგრამ რიტუალს იცავდა (მხდალობით და ყოველ შემთხვევისთვის), და როცა კვდებოდა, ხუთჯერ ეზიარა ..... ყოველ შემთხვევისათვის. ის ცასთანაც ეშმაკობდა, როგორც მეითხველთან და გამომცემელთან.

როზანოვი საჯაროდ ყიდდა თავის თავს ფულისათვის და მისი ფილოსოფიაც ასეთია. ასეთივე მისი სტილი. ის იყო ინტერიროჩიკის და კარგიდ მოწყობილი ბინის პოეტი. ის დასკინოდა წინასწარმეტყველებს და მასწავლებლებს, თვითონ კი მუდმივ მასწავლებლობდა: მთავარი არის ცხოვრებაში — რბილი, თბილი, მსუქანი, ტებილი. უკანასკნელ ათეულ წლებში ინტელიგენცია სწრაფად გაბურუუაზდა და ძალიან აფასებდა რბილს და ტებილს, იმავე დროს ერიდებოდა როზანოვს, როგორც მოზარდ ბურეუაზიულ შთამომავალს ერიდება აღვირასილ კოკოტკის, რომელიც თავის მეცნიერებას ქადაგებს საჯაროდ.

მაგრამ თავისი არსებით როზანოვი ყოველთვის მათი იყო. ახლა კი, როცა ღობეებმა დაკარგეს აზრი „განათლებულ“ საზოგადოებაში, როზანოვის ფიგურა იქცევა მათთვის ტიტანიური. და მათ აერთებს ახლა როზანოვის კულტი; აქ არიან ფუტურიზმის თეორეტიკოსებიც (შელოვსკი, ხოვინი) და რემიზოვი, და მეოცნებე ანტროპოსოფები, და არა მეოცნებე იოსებ გესენი, ყოფილი მემარჯვეენები და ყოფილი მემარცხეენები! „დიდება მუქთახორის! ის გვასწავლიდა ტებილს სიყვარულს, ჩვენ კი ვძოდავდით გრიგალებით და ყველაფერი დაკარგეთ. და აი ისტორიაშ დაგვტოვა ჩვენ — უდესერტოთ“...

\* \* \*

კატასტროფა, როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი, ყოველთვის დიდა გამოცდა, იმიტომ რომ უტყუარიდ აღმოაჩენს კეშმარიტს და არა ყალბ სიმპატიებს, პირადს და საზოგადოებრივს. ოქტომბრიამდე არსებულმა ხელოვნებამ, რომელიც თითქმის მთლად იყო წინააღმდეგი ოქტომბრის, დაამტკიცა თავისი კავშირი ძველი რუსეთის ვაბატონებულ კლასებთან. ის იმდენად თვეოლსაჩინოა ახლა, რომ არც არის საჭირო ამის მტკიცება. ემიგრაციაში გადავიდა მემამულე, კაპიტალისტი, სამხედრო და შტატსკი გენერალი, მათი ვექილი და მათი პოეტი. და შეთ ყველამ გადასწყვიტეს, რომ კულტურა დაიღუპა. რასაკვირველია, პოეტი არ გრძნობდა თავის თავს დამოკიდებულად ბურუუსაგან და ხშირად კიდევაც ეურჩებოდა მას. მაგრამ როცა საყითხი გაისვა რევოლუციურ სერიოზულობით, პოეტმა იმ წუთშივე გამოიჩინა მუქთახორის - თანამცხოვრების ბუნება. ეს ისტორიული გაკვეთილი, რომელიც ეხებოდა „თავისუფალ ხელოვნებას“,

გაიშალა. პარალელურად იმ გაკვეთილთან, რომელიც ეხებოდა დემოკრატიის ყველა თავისუფლებებს, იმ დემოკრატიის, რომელაც ხვეტდა და სწმენდდა იუდენიჩის შედეგ... ახალი ისტორიის ხელოვნება, ინდივიდუალური და პროფესიონალური — გაბატონებულ კლასების სიმდიდრეზე და თავისუფალ ღროვე აღმოცენდა და ეს ხელოვნება ამ კლასების ხარჯზე სკოხვრობს. ეს ელემენტი ხასობის, თითქმის უგრძნობი საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ხელუხლებლობის დროს, უხეშად წამოიჭიმა წინ, როდესაც რევოლიუციის ნაჯახმა გადასჭრა ძეელი მარგილები.

ხასობის და მუქთახორობის ფინანსოვანი სრულიად არ ნიშნავს მორჩილებას, ზრდილობას და მოწიწებას. პირიქით, ის გულისხმობს არა სასიამოვნო სცენებს, ღროვებით დაშორებას, სრულ დაშორების მუქარას, მაგრამ მხოლოდ მუქარას. თომა თომას ძე ოპისკინი, ძეელი აზნაურული თანამკხოვერების კლასიკური ტიპი, თითქმის ყოველთვის ემუქრებოდა თავის პრტონს შინაურულ აჯანყებით. მაგრამ კალოს არ გასცილებია, როგორც ვიცით. ეს თითქმის უზრდელობაა: შედარება ოპისკინის აკადემიკოსებთან და თითქმის კლასიკოსებთან, როგორიც არიან: ბუნინი, მერეკოვსკი, გიპიუსი, ნ. კოტლიარევსკი, ზაიცევი, ზამიარინი და სხვები. მაგრამ ისტორიულ სიმღერიდან სიტყვას ვერ გამოაგდებ. ისინი გამოდგენ ხასები და თანამკხოვრებნი. და თუ ეს ხაზი უფრო თვალსაჩინოა ზოგიერთში, შინაურ ემიგრანტების ხასობამ დამოუკიდებელ მიზეზების და ტემპერამენტების სხვადასხვაობის გამო მიიღო მელანქოლიური ხასიათი და თანდათან პქრება მოგონებებში და განმეორებულ განცდებში.

## რევოლუციის ლიტერატურული თანამდზავრები.

ლიტერატურა ოქტომბრის გარეშე იმ სახით, როგორც  
ის ჩვენ დავახასიათეთ პირველ თავში, ახლა უკვე გან-  
ვლილი საფეხურია. მწერალი პირველ პერიოდში აქტი-  
ურად უპირისპირებდა თავს ოქტომბერს, რაც დაკავშირე-  
ბული იყო რევოლუციისთან, ის უარს ეუბნებოდა იმავე  
მოტივებით, რომლითაც მასწავლებელს არ უნდოდა ესწა-  
ვლებინა რუსული ოქტომბერი ბავშებისათვის. მწერლო-  
ბის არა ოქტომბრული ხასიათი იყო გამოსახვა არა მარტო  
ორი ქვეყნის დაშორებისა, არამედ იყო აქტიურ პოლი-  
ტიკის იარაღი, იყო ხელოვანთა საბორტაჟი. ამ პოლიტიკამ  
თვითონ მოუღო ბოლო თავის თავს: ძველ ლიტერატუ-  
რის არა თუ არ უნდა, მას არ შეუძლია შექმნას რამე.  
ბურეუაზიულ ხელოვნებას დაუდგა გადამღერების და დუ-  
მილის ხანა, ახალი ხელოვნება ჯერ კიდევ არ არის; ამ  
ორ ხელოვნების შორის იქმნება გარდანავალი ხელოვნება,  
რომელიც ორგანიულად დაკავშირებულია რევოლუციი-  
სთან, მაგრამ იმავე დროს არ არის რევოლუციის ხე-  
ლოვნება. ბორის პილნიაკი, ვსევოლოდ ივანოვი, ნიკო-  
ლოს ტიხონოვი და „სერაპიონის ძმები“, ესენინი იმავინი-  
სტების ჯგუფით, ნაწილობრავ კლიუევი შეუძლებელი იქ-  
ნებოდენ—ყველა ერთად და თვითეული ცალკე ურევო-  
ლიუკიოთ ეს თვითონ იციან მათ და არ უარყოფენ ამას,  
მათ არ სჭირდებათ ამის უარყოფა, ზოგი მათვანი კი აც-

ხადებს ამას დაეინებით. ისინი არ არიან ლიტერატურული მოხელეები, რომელნიც თანდათან იწყებენ რევოლუციის გამოხატვას. ისინი არ არიან „სმენოვეხელები“, რადგან მათ გაწყვეტილი აქვთ კავშირი წარსულთან და ფრონტი რადიკალურად შეცვლილი. დასახელებულ მწერლების უმრავლესობა შეტად ახალგაზრდაა, ოცი წლიდან ოცდა ათა-მდე. არავითარი წინარევოლუციური წარსული მათ არ აქვთ, თუ უნდა გაეწყვიტათ კავშირი, მხოლოდ წვრილ-მანებთან. ლიტერატურული და სულიერი მათი სახე შექმნა რევოლუციის, რომელმაც გაიტაცა ისინი, და ყველა ისინი იღებენ რევოლუციას, თვითეული მათგანი თავისებურად. მაგრამ ინდივიდუალურ მიღებაში მათ აქვთ ერთი საერთო ხაზი, რომელიც აშორებს მათ კომუნიზმს და, მოსალოდ-ნელია, მის წინააღმდეგ დაიყენებს. ისინი მთლიანად ვერ ითვისებენ რევოლუციას და მისა კომუნისტური მიზანი უცხოა მათვეს.

ყველა ისინი ასე თუ ისე იმედით უცქერიან შუშის იქით გლეხს. ისინი პროლეტარული რევოლუციის ხელოვნები არ არიან, ისინი მისი მხატვრული თანამგზავრებია, იმ აზ-რით, როგორადაც ეს სიტყვა იხმარებოდა ძველი სო-ციალ-დემოკრატიის მიერ. თუ ოქტომბრის გარეშე მწერ-ლობა (რომელიც ნამდვილად ოქტომბრის წინააღმდეგია) არის ბურჟუაზიულ-მამული შვილურ რუსეთის მომაკვდავი მწერლობა, თანამგზავრთა ლიტერატურული შემოქმედება არის ახალი საბჭოთა ტეტიათა მოტრფიალეობა, რომელ-საც არა აქვს ძველი ტეტიათა-მოტრფიალეობის ტრადი-ციები და ჯერ კიდევ არა აქვს პოლიტიკური პერსპექ-ტივები. თანამგზავრის შესახებ ყოველთვის შეიძლება და-ისვას საკითხი: რომელ სადგურამდე? მაგრამ ამ საკითხის გადაწყვიტა ჯერ კიდევ არ შეიძლება რამოდენიმედ მა-

ინც. მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია არა მარტო თანამგზავრის ობიექტიურ თვისებებიდან, არამედ უმთავრესად ყველა ობიექტიურ პირობებისაგან უახლოეს ათ წელში.

მაგრამ თანამგზავრთა მსოფლმხედველობის გაორებაში, რომელიც ვერ ჰქმნის სულიერ მთლიანობას და სიმშეიდეს, არის მუდმივი საფრთხე, მხატვრული და საზოგადოებრივი ერთ და იმავე დროს. ბლოკი სხვებზე უფრო ღრმად გრძნობდა ამ მორალურ-მხატვრულ გაორებას. ნადევდა პავლოვიჩის მოგონებებში მასზე არის ასეთი ფრაზა: „ბოლშევიკები არ გვიქრძალავნ ლექსების წერას, მაგრამ ისინი გვიშლიან ვიგრძნოთ ჩვენი თავი ოსტატებათ. ოსტატია ის, ვინც გრძნობს თავისი შემოქმედების ლერძს და თვითონ უჭირავს რიტმი“. ამ აზრის გამოთქმაში არის დაუსრულებლობა, ბლოკისათვის ჩვეულებრივი, და ამას გარდა ჩვენ გვაქვს საქმე მოგონებებთან, რომელნიც ხშირად არ არიან სწორი. მაგრამ შინაგანი სიმართლე და მნიშვნელოვანება ამ ფრაზის დამაჯერებელია. ბოლშევიკები უშლიან, რომ ივრძნონ თავი ოსტატებათ, რაღვან ოსტატს უნდა ჰქონდეს ლერძი, ორგანიული, უდავო; მთავარი ლერძი კი ბოლშევიკებმა გადასწიეს. არავის თანამგზავრებიდან — თანამგზავრი იყო ბლოკიც, და თანამგზავრები შეადგენენ დღეს რუსული მწერლები მეტად მნიშვნელოვან რაზმს — არა აქვს ლერძი, და ამიტომ ჩვენ გვაქვს მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდი იხალი მწერლობისა, ეტიუდები, კალმის ცდები; ნამდვილი ოსტატობა მაგარი ლერძით ჯერ კიდევ წინ არის.



## ფ უ ტ უ რ ი ზ მ ი.

ფუტურიზმი ევროპიული მოვლენაა და ის საინტერესოა, სხვათა შორის, იმით, რომ მას არ შეუზღუდავს თავი მხატვრულ ფორმის ჩარჩოებით, როგორც ამას გვასწავლის რუსული ფორმალური სკოლა, არამედ ის თავიდანვე დაუკავშირდა — განსაკუთრებით იტალიაში — პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ხასიათის მოვლენებს.

ფუტურიზმი მოგვევლინა ხელოვნებაში ანარექლად იმ ისტორიულ ხანისა, რომელიც დაიწყო ოთხმოცდაათიან შუაწლებში და უშუალოდ გადავიდა მსოფლიო ომში. კაპიტალისტურმა კაცობრიობამ გაიარა ორი ათეული წელიწადი წარმოუდგენელი სამეურნეო აღმრჩევისა, რომელიც პირქვე ამხობდა ძველ წარმოდგენას სიძლიდრეზე და ძლიერებაზე, იმუშავებდა ახალ საზომს, შესაძლებლობის და შეუძლებლობის ახალ კრიტერიებს, აქეზებდა მცონარე ადამიანებს ახალ გაბედულ მოქმედებისათვის.

ამავე დროს ოფიციალური საზოგადოებრივობა კიდევ ცხოვრობდა გუშინდელი აეტომიატიზმით. შეიარაღებული მშეიდობიანობა, დიპლომატიით შეზავებული, პარლამენტარული წყლის ნაყვა, შინაური და საგარეო პოლიტიკა, დამყარებული დამცველი საცობების და ტორმოზების სისტემაზე, — ყოველივე ის ახდენდა გავლენას პოეზიაზე, — იმ დროს, როდესაც პაერში დაგროვილი ელექტრონი გვიქადდა დიდ ნგრევას. ფუტურიზმი მოგვევლინა ხელოვნებაში ამის „წინადგრძნობად“.

და ჩვენ დავინახეთ მოვლენა, ისტორიაში არა ერთხელ განმეორებული: ჩამორჩენილი, მაგრამ სულიერ კულტურის ერთგვარ დონეზე დამდგარი ქვეყნები უფრო მყაფიოდ და ძლიერად გამოხატავდენ თავის იდეოლოგიაში მოწინავე ქვეყნების მიღწევებს. ასე, მე-18-ტე და მე-19-ტე საუკუნეების გერმანიის აზროვნებაში გამოიხატა ეკონომიკური მიღწევები ინგლისელებისა, პოლიტიკური—ფრანგებისა. ასე, ფუტურიზმია ყველაზე უფრო მყაფიო გამოხატულება მიიღო ამერიკაში და გერმანიაში კი არა, არამედ იტალიაში და რუსეთში.

ხუროთმოძღვრების გამოკლებით ხელოვნება ეყრდნობა ტეხნიკას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს საერთოდ კულტურულ აღმშენებლობის საფუძველს. ხელოვნების, მეტადრე სიტყვითი ხელოვნების პრაქტიკული დამოკიდებულება მატერიალურ ტეხნიკისაგან მეტად მცირეა. „ნებოსკრიიობების“, დირიქაბლებისა და წყალქეებიან ნავების მაღიდებელი პოეზიის შექმნა შეიძლება რიაზანის გუბერნიის მიყრუებულ კუთხეში ნაცრისფერ ჭაღალდზე ფანქრის ნატეხით. რიაზანის ნორჩ წარმოდგენის აოგზნებისთვის საქმარისია „ნებოსკრიიობების“, დირიქაბლების, წყალქეებიან ნავების ამერიკაში არსებობა: ადამიანის სიტყვა ყველა მასალაზე ითლი სახმარია.

ფუტურიზმი აღმოცენდა, როგორც ბურჟუაზიული ხელოვნების ნაკვეთი, და სხვანაირად ვერ წარმოიშობოდა— მისი მეტად ოპოზიციონური ხასიათი სრულებით არ ეწინააღმდეგება ამას.

ინტელიგენცია სრულებით არ არის ერთფეროვანი. ყოველი ცნობილი სკოლა იმავე დროს არის სკოლა კარგი საფასურის მიმღები. მას სათავეში უდგას მანდარინები ბურთულებით. საერთო წესის მიხედვით, მხატვა-

რობის მანდარინებს თავის სკოლის საშუალებანი აჰყავთ ზედმეტ სიმახვილემდე. იმავე დროს მის სათადარიგოდ შემონახულ თოფის წამალს აუცილებლად ხარჯავენ. მაშინ რომელიმე ობიექტიური ცვლილება, პოლიტიკური არევ-დარევა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უეხშე აყენებს ლიტერატურულ ბოკებს, ახალგაზრდობას, გენიოსებს საასაკო ხნისას, რომელნიც მაძლარ და გახრწნილ ბურ-ეუაზიულ კულტურის წყევლა-კრულებათან ერთად ოცნებობენ რამოდენიმე შეძლებისდაგვარად მოუქრულ ბურთულებშე.

ის მკვლევარნი, რომელნიც პირველდაწყებითი ფუტურიზმის სოციალური არსების გამოყვლევის დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევენ მის შეუპოვარ პროტესტს ბურეუაზიული ყოფა-ცხოვრების და ხელოვნების წინააღმდეგ, საქმიოდ არ იცნობენ, სწორედ, ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიას. ფრანგი რომანტიკოსები, და მათთან ერთად გერმანელებიც, ბურეუაზიულ ზნეობას და მეშჩანურ ყოფა-ცხოვრებას იხსენიებდენ უკანასკნელი სიტყვებით. გარდა ამისა, ისინი ატარებდენ გრძელ თმებს, მედიდურობდენ სახის მწვანე ფერით, და ტეოფილ გოტიე კი ბურეუაზიის სამუდამოდ შესარცხვენად ატარებდა წითელ საოცარ ეილეტს. ამ რომანტიულ ეილეტს, რომელიც შიშს გვრიდა მამებს და დედებს, ფუტურისტული ყვითელი კოფტა, ცხადია, მესამე მუხლის ნათესავად ერგება. როგორც ცნობილია, რომანტიკის აჯანყებას და პროტესტებს, გრძელ თმებს და წითელ ეილეტს არ მოჰყოლია რაიმე მძლავრი გარდაქმნა. ბურეუაზიულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ კი ბოლოს და ბოლოს მშვენივრად იშვილა ბატონი რომანტიკოსები და სასკოლო სახელმძღვანელოებში შემოიღო და დააკანონა ისინი.

იტალიურ ფუტურიზმის დინამიურობის და რევოლიუციისადმი მისი სიმპატიების დაპირისპირება ბურეუაზის „დაცუმის“ ხასიათთან ზედმეტი გულუბრყვილობაა. ბურეუაზია არ უნდა წარმოვიდგინოთ მოხუც გაძვალტყავებულ კაცად. არა, იმპერიალიზმის მხეცი შეუპოვარია, მოქნილია, ბრკყალებიანია. ნუ თუ დავიწყებულია 1914 წლის გავეთილი? თავის ომისათვის ბურეუაზიან გამოიყენა სავსებით ის გრძნობები და სულისკვეთებანი, რომელნიც თავის ბუნებით ასაზრდოებენ აჯანყებას. საფრანგეთში ომს გვიხარავდენ დიდი რევოლიუციის საქმის დამთავრებად. და განა მეომარი ბურეუაზია არ ახდენდა რევოლიუციებს სხვა ქვეყნებში? იტალიაში ინტერვენციონისტები (ომში ჩარევის მომხრენი) იყვნენ „რევოლიუციონერები“: რესპუბლიკანელები, მასონები, სოციალ-შოვინისტები, ფუტურისტები. უკანასკნელად, განა „რევოლიუციონურ“ მეტოდებით არ მიაღწია ხელისუფლებას იტალიის ფაშიზმა, რომელმაც აამოძრავა მასა, ხალხი, მილიონები მის მიერ შეიარაღებული და გამოწვრთნილნი? არა შემთხვევით, არა გაუგებრობით, არამედ სრულიად კანონშეწონილად მოხდა ის, რომ იტალიის ფუტურიზმი შეუერთდა ფაშიზმის ნიაღვარს.

რესერთის ფუტურიზმი დაიბადა საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ გადიოდა თავის ანტირაპუტინულ ხანის მოსამზადებელ კლასს და ემზადებოდა დემოკრატიულ თებერვლისთვის. ამ გარემოებამ უკვე მისცა ჩვენს ფუტურიზმს უპირატესობა. მან უური მოჰკრა აქტივობის, მოქმედების, ზედწოლის და ნგრევის ჯერ კიდევ გამოურჩავებულ რიტმებს. ამ ქვეყანაზე თავის ადგილის მოსაპოვებლად ის აწარმოებდა ბრძოლას მაფრად და გაბედულად და, რაც უმთავრესია, მეტის ხმაურობით, ვიდრე ამას

შერებოდენ წინა ხანის სკოლები. ყოველივე ეს იყო თანაბარი აქტივისტური მსოფლმხედველობის. ახალგაზრდა ფუტურისტი, რასაკვირველია, არ მიღიოდა ქარხნებში, არამედ ხმაურობდა კაფეებში. მუშტს ურტყამდა პიუპირებს, იცამდა ყვითელ კოფთას, იღებავდა სახეს და გაუგებრად იქნევდა მუშტს.

მეშურმა რევოლიუციამ იუეთქა რუსეთში უფრო ადრე, ვიდრე ფუტურიზმა მოასწრო ვანთავისუფლება თავის ბავშობისაგან, ყვითელი კოუთებისაგან, ზედმეტ სიფიცხისაგან და სანამ გახდებოდა ოფიციალურად ცნობილ, ე. ი. პოლიტიკურად უცნებელ და სტილისტიურად გამოყენებულ მხატვრულ სკოლად.

პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობამ ფუტურიზმს მოუსწრო იმ ხანაში, როდესაც ის ჯერ კიდევ დევნილ აგუფად ითვლებოდა. და უკვე ამისგან გამომდინარეობდა ფუტურიზმისათვის ლტოლვა ცხოვრების ახალ მეპატრონნებისაკენ, მით უმეტეს უმთავრესი თვისებები ფუტურისტულ მსოფლმხედველობისა: ძველი ფორმებისადმი უპატივცემლობა და დინამიურობა. მაგრამ თავის სოციალურ წარმოშობის თვისებები ბურჟუაზიულ ბოგებისაგან — ფუტურიზმა გადაიტანა თავის განვითარების ახალ სტადიაშიც.

\* \* \*

ლიტერატურულ წინბსკოლებაში ფუტურიზმი წარმოადგენს პოეტურ წარსულის ნაყოფს არა ნაკლებად, ვიდრე სხვა რომელიმე თანამედროვე ლიტერატურული სკოლა. იმის თქმა, რომ ფუტურიზმა გაანთავისუფლა შემოქმედება ბურჟუაზიულობის ათასი წლის ბორჯილებისაგან, როგორც ამას სწერს ჩუქავი, ნიშნავს ათასი წლე-

ბის იაფად შეფასებას. ფუტურისტების მოწოდებას წარსულთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, პუშკინის ტრადიციების ლიკვიდაციის შესახებ და სხვ. აქვს აზრი იმდენად, რამდენადაც ის მიმართულია ძველ ლიტერატურულ კასტისადმი, ინტელიგენციის განსაზღვრულ წრისადმი. სხვანაირად რომ ვთქვათ, — რამდენადაც ფუტურისტები მონდომებულნი არიან გადახერხონ ის ჭიბი, რომელიც აერთებს მათ ბურუუაზიულ-ლიტერატურულ ტრადიციების ქურუმთა ორდენთან.

მაგრამ ამ მოწოდების უშინაარსობა აშკარა ხდება იმ წამსვე, როდესაც ის იქნება მიმართული პროლეტარიატისადმი. მუშათა კლასისათვის არ არის საჭირო და არ არის შესაძლებელიც ლიტერატურულ ტრადიციებთან კავშირის შეწყვეტა, ვინაიდან ის სრულებით არ არის მათ მუხრუჭში, მან არ იცის ძველი ლიტერატურა, ის უნდა ეზიაროს, მან ჯერ კიდევ უნდა დაიპყროს მხოლოდ პუშკინი, შეითვისოს ის,—და ამით სძლიოს იგი. ფუტურისტული კავშირის გაწყვეტა წარსულთან არის ბოლოს და ბოლოს ქარიშხალი ინტელიგენციის შემოზღუდულ წრეში, რომელიც აღიზარდა პუშკინზე, ფეტზე, ტიუტევზე, ბრიუსოვზე, ბალმონზე, ბლოკზე და რომელიც იმიტომ კი არ არის „პასეისტური“, რომ შეპყრობილია წარსულის ფორმებისადმი ცრუმორწმუნებრივ თაყვანის-კემით, არამედ იმიტომ, რომ მას თავის სულიერ არსებაში არაფერო გააჩნია ისეთი, რაც მოითხოვს ახალ ფორმებს. მას პირდაპირ არაფერი აქვს სათქმელი, ის ხელმეორედ გადაიმღვერებს ძველ გრძნობებს, ახალი სიტყვებით თდნავად განახლებულებს. ფუტურისტებმა უკუავდეს ისინი და კარგიც ჰქნეს. მხოლოდ არ არის საჭირო უკუგ-

დების ტეხნიკა გადააქციო მსოფლიო განვითარების კანონად.

ფუტურისტების მიერ წარსულის გადაჭარბებული უარისყოფა — ბოგემური ნილილიზმია და არა პროლეტარული რევოლუციონიზმი. ჩვენ, მარქსისტები, ყოველთვის ვცხოვრობდით ტრადიციებით და ამის გამო, მართლაც, არ დავვიკარგავს რევოლუციონერობა. პარიზის კიმუნის ტრადიციების დამუშავება და განცდა ხდებოდა ჯერ კიდევ პირველ ჩვენ რევოლუციამდე. შემდეგ მათ მიემატა 1905 წლის ტრადიციები, რომლითაც ჩვენ ესაზრდობდით მეორე როვოლიუციისათვის მოსამზადებლად. კიდევ უფრო ღრმად ჩვენ უუკავშირებდით პარიზის კიმუნას 48 წლის ივნისის დღეებს და საფრანგეთის დიდ რევოლუციას. თეორიაში ჩვენ მარქსით ვეყრდნობოდით ჰეგელს და ინგლისის ეკონომიკის კლასიკებს. ორგანიულ ხანის პირობებში აღზრდილნი და ბრძოლაში ჩართულნი, ჩვენ ვცხოვრობდით რევოლუციის ტრადიციებით. ჩვენს თვალწინ ჩაისახა არა ერთი ლიტერატურული მიმღინარეობა, რომელიც უცხადებდა ულმობელ ბრძოლას „ბურეუაზიულობას“ და გვთვლიდა ჩვენ მერყევებათ. როგორც ქარი უბრუნდება თავის რკალს, ისე ლიტერატურული რევოლუციონერები და ტრადიციების დამხმაბნი ნახულობდენ გზას აკადემიისაკენ. ინტელიგენციისათვის, და მათ შორის მისი მარცხენა ლიტერატურულ ფრთისათვის ოქტომბრის რევოლუცია იყო სრული დამხმა ჩვეულ ქვეყნისა, — იმ ქვეყნისა, რომელსაც ინტელიგენცია ზურგს აქცევდა ახალი სკოლისათვის და რომელსაც ის შუდმივ უბრუნდებოდა. პირიქით, ჩვენთვის რევოლუცია იყო ჩვეულ, არსებითად გადამუშავებულ ტრადიციების განხორციელებად. იმ ქვეყნი-

დან, რომელსაც ჩვენ თეორეტიულად უარვყოფდით და პრაქტიკულად ძირს ვუთხრიდით, ჩვენ შევედით ქვეყანაში, რომელსაც ჩვენ წინასწარ შევეთვისეთ, როგორც ტრადიციას და წინადხედვას. აი საიდან გამომდინარეობს სხვადასხვაობა ფსიქოლოგიური ტიპების — კომუნისტის — პოლიტიკურ რევოლიუციონერის და ფუტურისტის — ახალის მქადაგებელ ფორმალურ რევოლიუციონერისა. და აი საიდანაა მათ შორის არსებული გაუგებრობა. უბედურება იმაში კი არ არის, რომ ფუტურიზმი „უარპყოფს“ ინტელიგენციის წმინდა ტრადიციებს, — პირიქით, იმაში, რომ ის არ გრძნობს თავს რევოლიუციონურ ტრადიციებში. ჩვენ შევედით რევოლიუციაში, ფუტურიზმი კი ჩავარდა შიგ: მაგრამ მდგომარეობა სრულებით არ არის უიმედო. ფუტურიზმი უკვე არ დაუბრუნდება „თავის რეალს“, ვინაიდან, ნამდვილად, არც კი არსებობს ეს რეალი. და ეს საგრძნობელი გარემოება მეტად უადეილებს ფუტურიზმს ახალ ხელოვნებაში განახლებული სახით შესკვლას — არა როგორც ძირითად მიმდინარეობას, არამედ როგორც საყურადღებო შემადგენელ ელემენტს.

\* \* \*

რუსულ ფუტურიზმში არის რამდენიმე ელემენტები, საქმიანდ თავისებური, ნაწილობრივ ერთი მეორის მოწინააღმდეგე: ცნობილი ფილოლოგიური თეორიები და მოსაზრებანი, საქმიანდ გამსჭვალული არქაიზმით (ხლებნიკოვი, კრუწინიხი) და ყოველ შემთხვევაში პოეზიის სფეროს გარეშე მდებარე; თავისი პოეტიკა, ე. ი. თავისი ცნება სიტყვიერ შემოქმედების მეთოდებზე და საშუალებებზე; თავისი ფილოსოფია ხელოვნებისა, — კიდევაც ორი: ფორმალისტური (ვ. შელოვსკი) და მარქსიზმის მოტ-

რთიალე (არვატოვი, ჩუქაკი და სხვ.); უკანასკნელად,—თვით პოეზია, ცოცხალი შემოქმედება. ლიტერატურულ მეტი-ჩრობას დამოუკიდებელ ელემენტად არ ჩავთვლით, რადგანაც ის ჩვეულებრივად ერთ ერთ ძირითად ელემენტს უქრთდება. როდესაც კრუჩინიში ამბობს, რომ „დირ, ბულ, შჩალ“-ი შეიცავს მეტ პოეზიას, ვიდრე მთელი პუშკინი (ან რაღაც ამის მსგავსს), ეს რალაც საშუალოა ფილოლოგიურ პოეტიკის და — ბოდიშს ვიხდი, ცუდი ხარისხის მეტიჩრობას შორის. უფრო დამშვიდებულად კრუჩინიშის აზრი უნდა ნიშნავდეს, რომ როსტლი ენის სტრუქტურას, მის ხნოვანებას უფრო შეეფერება „დირ, ბულ, შჩილ“-ით ორკესტროვეა ლექსისა, ვიდრე პუშკინის ორკესტროვეა — ფრანგული ენისაკენ შეუგნებელი მიხედვით. სწორია ეს თუ არა, არ ვიციო, მხოლოდ სავსებით აშკარაა, რომ „დირ, ბულ, შჩილი“ სრულებით არ არის პოეტური ექსტრაქტი ფუტურიზმში უკვე არსებულ მიღწევებისა, — მაშასადამე, შესა-დაზებელიც არაუერია. საერთოდ რომ ვთქვათ, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ამ მუსიკალურ-ფილოლოგიურ სარჩევის მიხედვით ვინმე დასწერს ლექსებს, რომელნიც პუშკინის ლექსებს აჯობებენ. დაგვრჩენია მხოლოდ ლადინი.

ხლებნიკოვის და კრუჩინიშის სიტყვათა შემოქმედება ავრეთე პოეზიის გარეშე სდგას: ეს არის ფილოლოგია, — და არც იმდენად საფუძვლიანი, რამოდენიმედ პოეტიკაა, მხოლოდ არა პოეზია. საესებით უდავოა, რომ ენა ცოცხლობს და ვითარდება ახალი სიტყვების შექმნით და ძველის უკუგდებით. მხოლოდ ის ამას აკეთებს ზედმეტი სიფრთხილით, ანგარიშით და სასტიკი საჭიროების მიხედვით. ყოველი ახალი დიდი ხანა აძლევს ენას წინმსვლელობას, ის ფიცხლად შეითვისებს დიდძალ ნეოლოგიზმებს, შემდეგ

კი აწარმოებს ერთგვარ ხელახალ რეგისტრაციას, ყოველივე ზედმეტის და უცხოს განდევნით. როდესაც ხლებნიკოვი ან კრუჩინიშვილი ასებულ ფესვებიდან ჰქმნიან ათს და ას ახალ წარმოშობილ სიტყვებს, ეს მუშაობა შეიძლება წარმოადგენდეს ერთგვარ ფილოლოგიურ ინტერესს; ამ მუშაობას — რამოდენიმედ, ძლიერ მცირედ — შეუძლია გაადვილოს მსელელობა ცოცხალი და ავრეთვე პოეტური სიტყვეისა, — იწინასწარმეტყველოს ხანა ენის ეკოლიუციის უფრო შეგნებული მიმართულებისა. მაგრამ თვით ეს მუშაობა, რომელსაც აქვს ხელოვნებისათვის დახმარებითი ხასიათი, რჩება პოეზიის სახლერების გარეშე.

არ არსებობს იმის საკმაო საბუთი, რომ კუუას იქით მყოფ პოეზიის ხმოვანებამ ჩაგდაყენოს მართლმორწმუნე კატალეპსიაში, იმ პოეზიამ, რომელიც ჰგავს სიტყვეირმუსიკოლურ გამებას და ვარჯიშობას, რაც შესაძლოა ფრიად სასარგებლოა მოწაფეთა რვეულებში, მხოლოდ უკარგისია ესტრადისა თვის; აშკარაა, ყოველ შემთხვევაში, რომ ცდა პოეზიის შეცელისა „ზაუმი“-ს ვარჯიშობით იქნებოდა პოეზიის დახრჩობა. მაგრამ ფუტრიზმი აქ გზით არ მიღის. მაიაკოვსკი — უდავო პოეტი — სარგებლობს საერთო წესით დალის ლექსიკონით და მხოლოდ ხანდისხან ხლებნიკოვის და კრუჩინიშვილის ლექსიკონით უადუძელოდ სიტყვების წარმოშობა და ნეოლოგიზმები მაიაკოვსკის, რაც დრო მიღის, მით უფრო ძეიზად აქვს.

საკითხები, ლეფის თეორეტიკოსების მიერ დასმული: ხელოვნების და სამანქანო ინდუსტრიის ურთიერთობის შესახებ; ხელოვნების შესახებ, რომელიც კი არ ამშენებს ცხოვრებას, არამედ ხელს უწყობს მის ჩამოყალიბებას; ენის განვითარებაზე შეგნებულად ზეგავლენაზე და სისტემატიკურად სიტყვათა შექმნაზე; ბიომექანიკაზე, როგორც

აღამიანის მოძრაობათა აღზრდაზე — როგორც უმაღლეს მიზანშეწონილობაზე და ამითვე სილამაზეზე — ყველა ეს საკითხები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესონი არიან სოციალისტურ კულტურის აღმშენებლობის პერსპექტივაში.

საუბედუროდ, „ლეფის“ ამ საკითხებთან მისელას უტო- პიურ სექტანტების ელფერი ახლავს. ლეფის თეორეტიკო- სები, შეუცდომლად აღნიშნავენ რა ხელოვნების ან ცხოვრე- ბის ამა თუ იმ დარგის განვითარების საერთო ტენდენციის, ისტორიულ წინადგრძნობისაგან აკეთებენ სქემას, რეცეპ- ტურას და უპირდაპირებენ იმას, რაც არსებობს. მათ არა აქვთ ხილი მომავლისაკენ. ამ მხრივ ისინი მოგვაგონებენ ანარქისტებს, რომელნიც, წინასწარ გრძნობენ რა მომა- ვალს, და მის სქემას უპირდაპირებენ რა იმას, რაც არსე- ბობს. გადაისვრიან თანამედროვეობის გემიდან (რასაკვი- რეელია, მხოლოდ თავის წარმოდგენაში) სახელმწიფოს, პოლიტიკას, პარლამენტს და კიდევ სხვა რამ რეალობას. პრაქტიკულად ისინი იმ დროს, როდესაც ძლიესლა გაინ- თავისუფლეს კუდი, ეფლობიან შიგ ცხვირით. მაიაკოვსკი რთულ-რითმოვან ლექსებში ამტკიცებს ლექსების და რი- თმის ზედმეტობას და გვპირდება მათემატიკური ფორმუ- ლებით წერას, თუმცა ამისთვის არსებობს მათემატიკა. როდესაც ვნებიანი მაძიებელი მეიქრხოლდი, სცენის შეუ- პოვარი ბესარიონი, სასწარავოდ შეასწავლის ჯერ კიდევ დიალოგში სუსტ აქტიორებს და ზოგიერთ ნახევრად რითმიულ მოძრაობას და გამოისვრის ამას სცენაზე გიო- მეხანიკის სახით, გამოდის..... უდლეური ბავშვი. ცდა — გამოსტაცო მომავალს ის, რაც შეიძლება განვითარდეს როგორც მისი გაუყოფელი ნაწილი, და ამ ნაწილობრივ წინადგრძნობის საჩქაროდ განხორციელება დლევანდელ

ჯერ კიდევ მშიერ და ცივ სცენაზე — პროეინციალურ დილეტანტიზმის შთაბეჭდილებას სტოვებს. აბა რა უნდა იყოს ახალი ხელოვნების მტერი, თუ არა პროეინციალობა და დილეტანტიზმი!

ახალი ხუროთმოძღვრება შესდგება ორი ელემენტისაგან: ახალი ამოცანისაგან და ახალი და ძველი მასალის დამუშავების ახალ ტექნიკურ საშუალებათაგან. ახალი ამოცანაა: არა ტაძარი, არა კოშკი, არა საცხოვრებელი სახლი, არამედ სახალხო სახლი, მასიური სასტუმრო, საერთო საცხოვრებელი სახლი, სახლი-კომუნა, გიგანტური სკოლა, ამათი დასამუშავებელი მასალები და საშუალება დამოკიდებული იქნება ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობისაგან იმ ხანაში, როდესაც ხუროთმოძღვრება შეუდგება თავის ამოცანების შესრულებას. ცდა მომავლისაგან სახუროთმოძღვრო კონსტრუქციის ამოგლეჯისა მიგვიყვანს მხოლოდ ცოტად თუ ბევრად ჭკუამახვილოვან პირად ნებაყოფლობამდის. ამავე დროს ახალი სტილი ნაკლებად უჩიგდება პირად ნებაყოფლობას. თვით ლეფის მწერლები სწორად აღნიშნავენ, რომ ახალი სტილი ისახება იქ, საღაც სამანქანო ინდუსტრია მუშაობს უსახელო ჩომმარებელზე. ტელეფონის აპარატი — ნაწილია ახალი სტილის. საერთაშორისო დასაძინებელი რონოდები, კიბეები და სადგურები მიწისქვეშა რინის გზებისა, ლიფტები — ყოველივე ეს უდავო ელემენტებია ახალი სტილისა ისე, როგორც, მეორე მხრივ, — ლიტონის ხიდები, გადახურული სავაჭრო დარბაზები, „ნებოსკრიობები“, ასაწევი ონკანები. ამით უკვე ნათქვამია, რომ პრაქტიკულ ამოცანის და განუწყვეტელ მუშაობის გარეშე შეუძლებელია ახალი სახუროთმოძღვრო სტილის შექმნა. ცდა სტილის გამოყვანისა დედუქციის საშუალებით პროლეტარიატის თვისებიდან, მისი

კოლექტივიზმიდან, აქტივობიდან, ულმერთობიდან და სხვ. წარმოადგენს წმინდა წყლის იღეალიზმს და პრაქტიკულად არ მოგვცემს არაფერს, გარდა გაუგებარ თავისებურობისა, უნებისყოფო აღ ეკორიზმისა და იმავე პროცენტიალურ დილეტანტიზმისა.

ლეფის შეცდომა — მისი თეორეტიკოსების მაინც — უფრო ზოგადად წარმოგვიდგება მაშინ, როდესაც ისინი ულტიმატიურად წამოაყენებენ მოთხოვნას ხელოვნების ცხოვრებასთან შეკავშირების შესახებ. რომ ხელოვნებებს ჩამოშორება საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა მხარეებისა-გან იყო შედეგი საზოგადოების კლასობრივად დანაწილებისა; რომ ხელოვნების დამოუკიდებელი მნიშვნელობა არის მეორე მხარე იმ ფაქტისა, რომ ხელოვნება გახდა პრივილეგიების მქონეთა საკუთრებად; რომ ხელოვნების შემდეგი ეკოლიურია გაპკუება იმ გზას, რომელიც მიიყვანს მას თანდათან ცხოვრებასთან, ესე იყი წარმოებასთან, სახლხო დაწესებულებასთან, კოლექტიურ ოჯახურ ყოფა-ცხოვრებასთან — ყოველივე ეს სრულებით უდავოა. და კარგია, რომ ლეფს ეს ესმის და არკვევს ამას, მხოლოდ ცუდია, როდესაც ამისდა მიუხედავად ეხლანდელ ხელოვნებას უყენებენ მოქლევადიან ულტიმატუმა: თავი დაანებოს „დაზღას“ და შეუცრი დეს ცხოვრებას. სხეანა-ირად რომ ეთქვათ: პოეტებმა, მხატვრებმა, მოქანდაკე-ებმა, აქტიორებმა უნდა დაანებონ თავი გამოსახვის და გამოხატვის, ლექსების წერას, სურათების ხატვას, ქანდაკების, სცენაზე დიალოგების ჩატარებას, და უნდა შეიტანონ თავისი ხელოვნება ცხოვრებაში. როგორ? რომელ ალაყაფის კარებით? რასაკვირველია, ჩვენ უნდა მივეგებოთ ხალხურ დღესასწაულებში, კრებებში, სეირნობაში რაც შეიძლება მეტ რიტმის, ხმოვანებისა, ფერადების

შეტანის ცდას, მაგრამ კოტაოდენი ისტორიული თვალთახედვა უნდა ვიქონიოთ, — იმის გასაკებად, რომ ეხლანდელ ჩვენი სამეურნეო და კულტურული სილატაკიდან — ხელოვნების ცხოვრებასთან შეერთებამდის, ე. ი. ყოფა-ცხოვრების ისეთ ზრდამდე, როდესაც ის ხელოვნების ხორცს შეისხამს, ჯერ კიდევ რამდენიმე მოდგმა დასტოვებს ძვლებს. ცუდია თუ კარგია, მაგრამ „დაზვის“ ხელოვნება ჯერ კიდევ მრავალ წლების განმავლობაში იქნება მასების მხატვრულ საზოგადოებრივ აღზრდისა და მათი ქსოვეტიური დატებობის საშუალება: მარტო მხატვრობა კი არა, არამედ ლირიკაც, რომანიც, კომედიაც, ტრალედიაც, ქანდაკებაც, სიმფონიაც. უკანასკნელ ათეულ წლების ბურუუაზიულ პასიურ, იმპრესიონისტულ ხელოვნების სიძულვილის გამო უარისყოფა ხელოვნებისა, როგორც გამოხატვის და მხატვრულ შემეცნების საშუალებისა კეშმარიტად ნიშნავს ახალი საზოგადოების ამშენებელ კლასის ხელიდან მნიშვნელოვან იარაღის გამოთიშვას. ხელოვნება — გვეუბნებიან ჩვენ — სარკე კი არ არის, არამედ ჩაქუჩი: ის კი არ გამოსახავს, არამედ გარდაქმნის, მაგრამ ეხლარომ ჩაქუჩის ხმარებასაც ასწავლიან და სწავლობენ „სარკეს“ საშუალებით, ე. ი. სინათლის მგრძნობ ფირფიტით, რომელიც აღნიშნავს მოძრაობის ცველა წუთებს. ფოტოგრაფია და კინემატოგრაფია — სწორედ იმის წყალობით, რომ მათ აქვთ საშუალება პასიურად სწორი გამოხატვისა, წარმოადგენენ მძლავრ აღმზრდელ საშუალებას შრომის დარგში. წვერის გაპარსევისათვის აუკილებელ საჭიროებას წარმოადგენს სარკე და როგორ უნდა გარდაიქმნა თავის თავი, თავის ყოფა-ცხოვრება ლიტერატურულ „სარკეში“ ჩაუქედავად? რასაკეირელია, აქ სარკეზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ პირობით, არაენ არ

ფიქტობს მოსთხოვოს ახალ ლიტერატურას სარკისებური არავნებიანობა რაც უფრო ლრმად გამსჭვალება ის ცხოვ- ჩების გარდაქმნის მისწრაფებით, მით უფრო მნიშვნელო- ვანად და დინამიურად შესძლებს ის მის „გამოსახვას“.

რა არის „სულის კვეთების“ უარის ყოფა, ინდივიდუ- ალური პიხაევის ლიტერატურაში და სცენაზე? ეს არის დაგვიანებული, უკვე დრომიტმული პროტესტი ინ ტელი- გენციის მარცხენა ფრთისა წინააღმდეგ პასიურ-რეალი- სტურ „ჩეხოვშინისა“ და მეოცნებე სიმბოლიზმისა. თუ „ ძია ვანია-“ს სულის კვეთებამ დაკარვა თავისი სი- ახლე—ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ძია ვანიას აქვს შინაგანი სამყარო. როგორ, რა საფუძველით და რის- თვის შეიძლება მიუპრონდეს ხელოვნება თანამედროვე აუ- მიანის შინაგან სამყაროს, იმ ადამიანის, რომელიც აშენებს ახალ გარეგან ქვეყანას და ამითვე თავის თავსაც? და როგორ შეუძლია ხელოვნებას მოაწყოს შინაგანი სამყარო, თუ ის არ ჩასწვდება მას და არ გამოხატავს მას? აქ ფუტუ- რიზმი პირდაპირ ლეჭავს საკუთარ ძეელ ნაცოხარს, ეხლა უკვე რეაქციონისტებს.

იგივე ითქმის ყოფა-ცხოვრების შესახებ. ფუტურიზმი დაიწყო პროტესტით ცხოვრების წვრილფეხა რეალი- სტურ მუქთახორათა წინააღმდევ. ვექილი, სტუდენტი, მოტორფიალე ქალიშვილი, მაზრის მოხელე, პერედონოვი თავისი გრძნობებით, სიხარულით, ჯავრით, — ამ შეგუბე- ბულ პარტია ქვეყანაში ლიტერატურა იხრჩობოდა და იჩლუ- ნებოდა. მაგრამ განა შეიძლება პროტესტი ცხოვრების მუქთახორების წინააღმდევ გადაქციო ლიტერატურის ჩამოშორებათ ადამიანის ცხოვრების პირობებისაგან და ფორმებისაგან? თუ ფუტურისტულ პროტესტს დაწვრილმა- ნებულ ცხოვრების რეალიზმის წინააღმდევ ჰქონდა ისტო-

რიული გამირთლება, ეს სწორედ იმდენად, რამდენადაც უმხადებდა ნიადაგს ყოფა-ცხოვრების ახალ მხატვრულ გამოხატვას — მის ნგრევის და ხელახლად აშენებას ახლად ჩამოყალიბებულ ხახების მიხედვით.

საინტერესოა, რომ ლეფი, უაზურუს რა ყოფა-ცხოვრების გამოხატვას, როგორც ხელოვნების ამოცანას, იძლევა პროზის ნიმუშად ბრიკის „ნეპაპუტჩიცას“. რა არის ეს, თუ არა ყოფა-ცხოვრება, თუნდაც თითქმის-კომუნისტურ „ბირჟევის“ თვალთახედვათ? უბედურება იმაში კი არ არის, რომ კომუნისტები ქვე არც მეტად ტებილნი და არც მეტად ფოლადისებური არიან, არამედ იმაში, რომ ავტორისა და იმ გახრწნილ წრის შორის, რომელსაც ის გვიხატავს, ვერ იგრძნობ ვერავითარ მანძილს. იმისათვის კი, რომ ხელოვნება ანარეკლის ვარდა კიდევ ვარდაქმნაც იყოს, მხატვარისა და ყოფა-ცხოვრების შორის ისე, როგორც რევოლუციონერის და პოლიტიკურ სინამდვილის შორის, უნდა იყოს დიდი მანძილი.

უფრო ზერელე, ვიდრე დამარტინებელ კრიტიკის საპასუხოდ ჩუქაქს პირველ რიგში მოჰყავს ის მოსაზრება, რომ ლეფი იმყოფება განუწყვეტელ ძიების პროცესში. ცხადია, ლეფი უფრო მეტს ეძებს, ვიდრე ნახულობს. მაგრამ მხოლოდ ამით შეიძლება იმის ახსნა, თუ რატომ არ შეუძლია პარტიას ლეფის ან მისი განსაზღვრული ფრთის დამკვიდრება, როგორც „კომუნისტური ხელოვნებისა“, რასაც დაბეჯითებით უჩჩევს მას ჩუქაქი, არ შეიძლება ძიების დაკანონება ისე, როგორც არ შეიძლება ჯარის შეიარაღება ჯერ კიდევ ვანუხორციელებელ გამოგონებათა იდეით.

მაგრამ ყოველივე ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ  
ლეფტი მთლიანად და საესებით სდგას ყალბ გზაზედ  
და რომ ჩვენ მათთან საერთო არაუერი გვაქვს? არა, არ  
ნიშნავს. საქმე სრულებით არაა იმაში, რომ პარტიას მო-  
მავალი ხელოვნების საკითხში აქვს გამორჩეული და  
მკიდრი გადაწყვეტილებანი, და რომ რომელიმე ჯგუფი  
საბატაქს უწყობს მას. ამის ნიშანიც არ არსებობს. არა-  
ვითარი გამხადებული გადაწყვეტილება ლექსთაწყობის  
საკითხში, თეატრის რევოლუციაზედ, ლიტერატურულ  
ენის განახლებაზედ, ხეროომოძღვრების სტილზედ და  
სხვ. პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს — ისე  
როგორც სხვა დარგში, და არც შეიძლება გვქინდეს გამ-  
ზადებული გადაწყვეტილებანი ნიადაგის საუკეთესო და-  
ნაკელებაზედ, ტრანსპორტის საუკეთესო მიწყობაზედ,  
ტყვიის მურქვევილის საუკეთესო სისტემაზედ, მაგრამ ნა-  
კელის, ტრანსპორტის, ტყვიის მურქვევილის შესახებ პრაქ-  
ტიკული გადაწყვეტილება საჭიროა ეხლავე. როგორ იქცი-  
და პარტია? ის ანდაბს განსაზღვრულ მომუშავეთ ამ საქ-  
მეში ჩარევას, მის შესწავლას და თავისი მხრივ თვალ-  
ყურს იდევნებს ამ მომუშავეთ, უმთავრესად მათი მოქმე-  
დების პრაქტიკული შედეგების მიხედვით. ხელოვნების  
დარგში საკითხი სდგას უფრი მარტივად და უური რთუ-  
ლადაც. რამდენადაც საქმე ეხება ხელოვნების პოლიტი-  
კურად გამოყენებას, ან და მტრების მიერ ასეთი გამოყე-  
ნების არ დაშვებას, პარტიის აქვს საქმაო გამუცდილება,  
გამშეღაობა და საშუალება. მხოლოდ ხელოვნების აქტიური  
განვითარება, მისი ახალ ფორმალურ მიღწევებისათვის  
ბრძოლა არ შეადგენს პარტიის პირდაპირ ამოცანას და  
საზრუნავ საგანს. ასეო სამუშაოზედ ის არავის არ აგზა-

ვნის. ამავე დროს არსებობს ერთგვარი შემაერთებელი ხაზი ხელოვნების, პოლიტიკის, ტეხნიკის და ეკონომიკის შორის. ამ კითხვების ურთიერთშორის კავშირის დამუშავება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სწორედ ამ დამუშავებას იწარმოებს ლეფტის ჯგუფი. ის ბევრს აქანბებს და — საწყენათ ნუ დარჩება — თეორიტიულად სტუცის. მაგრამ სხვა დარგებში, უფრო საჭირო სასიცოცხლო დარგებში ჩვენ განა არ ესტურდით? მეორე მხრივ, განა ვცადეთ სერიოზული გასწორება თეორიტიულად კითხვის დასმისა, ან პრაქტიკულ შემოქმედების სექტანტური გატაცებისა? ჩვენ არა გვაქვს საბუთი ეპვი შევიტანოთ იმაში, რამ ლეფტის ჯგუფი გულწრფელად სცდილობს სოციალიზმისათვის მუშაობას, ლრმად დაინტერესებულია ხელოვნების საკითხებით, და სურს იხელმძღვანელოს მარქსისტული თვალსაზრისით. რატომ უნდა დავიწყოთ გათიშვით და არა ზედმოქმედების და ასსიმილიაციის ცდით? კითხვა სრულებით არა სდგას ასე მწვავედ. გადასინჯვისათვის, ყუჩადლებითი ზედგავლენისათვის და შერჩევისათვას პარტიის საკმაო დრო აქვს. ნუ თუ ჩვენ ისე ბევრი გვევს მაღალი კვალიტიკაციის ძალები, რამ ჩვენ შეგვიძლია ადეილად შეველიოთ მათ?

მაგრამ თავი და თავი კითხვაა არა თეორეტიული დამუშავება ახალი ხელოვნების საკითხებისა, არამედ პოეტური შემოქმედება. როგორ სდგას საკითხი ფუტურისტულ მხატვრულ პრაქტიკის, მისი ძიების და მოღვაწეობის? აქ ჩვენ კიდევ უუჩო ნაკლები საბუთი გვაქვს აჩქარებული მოუთმენლობისათვის.

არა მვონია, რამ შეიძლებოდეს ეხლა სრულებით უარისყოფა ფუტურისტული მილწევებისა ხელოვნებაში, განსაკუთრებით პაეზიაში. მთელმა ჩვენმა პოეზიამ — მცი-

რე გამონაკლისის გარდ—უშუალოდ ან ირიბულად განიცადა ფუტურიზმის ზედგავლენა. მაიაკოვსკის გავლენა მთელ რიგ პროლეტარულ პოეტებზედ სრულებით უდაკოა. კონსტრუქტივიზმაც ბევრს მიაღწია, თუმცა სავსებით არა იმ ხაზით, რომელსაც ის ისახავდა. წერილები ფუტურიზმის სრულ უნაყოფობაზედ და კონტრ-რევოლუციონურობაზედ ძალიან ხშირად იბეჭდება კონსტრუქტივისტის ხელით გაკეთებულ ყდის ქვეშ. არხი-ოფიციალურ გამოცემებში ფუტურიზმის მომაკვდინებელ დაფასებასთან ერთად იბეჭდება ფუტურისტული პოემები. პროლეტკულტი დაკავშირებულია ფუტურიზმთან მრავალი ცხოველი ძაფებით. „გორინ“-ის რედაქციას მკაფიოდ ემჩნევა ეხლა ფუტურიზმის გავლენა. რასაკარიველია, ამ ფაქტების გადაჭარბებისათვის არ არის საბუთები, რადგანაც ისინი, როგორც ჩვენი ხელოვნების ჯგუფების დიდი უმრავლესობა, გადაიშალნენ ჯერ კიდევ საქმიალდ ზერელე გეგმაში და ძლიერ სუსტად არიან დაკავშირებული მუშათა მასასთან. მაგრამ ისისულელე იქნებოდა ამ ფაქტების არ დანახვა, და ფუტურიზმი ჩაგვეთვალა გახრწნის გზაზე დამდგარ ინტელიგენციის შარლატანულ გამოგონებად. თუ ხვალინდელმა დღემ კიდევ აღმოაჩინა, რომ ფუტურიზმის თანხა ილევა—მე კი არ ვსთვლი ამას შეუძლებლად—დღეს კი—ყოველ შემთხვევაში მისი თანხა მეტია, იმ მიმართულებათა რესურსებისა, რომელთა ხარჯზე ფუტურიზმი ვრცელდება.

პირველდაწყებითი რუსული ფუტურიზმი, როგორც იყო უკვე ნათქვამი, იყო აჯანყება ბოგემისა, ე. ი. ინტელიგენციის მარცხენა ნახევრად გაღატაკებულ ფრთისა წინააღმდეგ კარჩაკეტილ კასტიურ ბურეუაზიულ ინტლიგენტურ ესთეტიკისა. პოეტურ აჯანყების სუდარის ქვეშ

სჩანდა უფრო ღრმა სოციალურ ძალთა გავლენა, რაც  
 თეთო ფუტურიზმისათვის რჩებოდა შეუგნებელი. ძველი  
 პოეტური ლექსიკონის და სინტაქსისის წინააღმდეგ ბრ-  
 ძოლა, მთელი თავისი ბოგემურ ახირებულობით, იყო  
 პროგრესიული აჯანყება წინააღმდეგ კარჩაკეტილ, ხელოვ-  
 ნურად შერჩეულ ლექსიკონისა, რომ ზედმეტი არაფერი  
 ყოფილიყო შემაწუხებელი: ცხოვრებით დამტკბარ იმპ-  
 რესიონიზმისა, ზეციურ არარაობაში გართულ და მატ-  
 ყუარა სიმბოლიზმისა და ზინაიდაგიპიუსიზმის წინააღმდეგ,  
 წინააღმდეგ სხვა კველა ინტელიგენტურ - მისტიურ  
 ქვეყნის გამოწურულ ლიმონებისა და გამოწოვილ ქათმის  
 ფეხებისა. თუ ეხლა ყურადღებით გადავავლებთ თვალს  
 უკან დატოვებულ ხანას, არ შეიძლება არ ვიცნოთ, რომ  
 ფუტურიზმის მუშაობა სიტყვის დარგში იყო ცხოველი  
 და პროგრესიული. კიდევ რომ ზედმეტად არ და-  
 ვაფასოთ მათ მიერ მოხდენილი ენის „რევოლუციის“  
 მნიშვნელობა, შეუძლებელია არ ვიცნოთ, რომ ფუტუ-  
 რიზმმა გააძვა პოეზიდან ბევრი გამაფიტული სიტყვა  
 და წინადადება, ზოგს დაუბრუნა მათი სისხლი და ზოგი-  
 ერთ შემთხვევებში მოხერხებულად შექმნა ახალი სიტყ-  
 ვები და წინადადებები, რომელთაც შეუძლიათ გაამდიდრონ  
 ცოცხალი სიტყვა. ეს ეხება არა მარტო განყენებულად  
 აღებულ სიტყვას, არამედ იმ ადგილს, რომელიც მას უკა-  
 ვია სხვა სიტყვათა რიგში, ესე იგი სინტაქსისს. სიტყ-  
 ვათა შეკავშირების და სიტყვათა წარმოშობის დარგში  
 ფუტურიზმი, მართალია, წავიდა ბევრად უფრო შორს,  
 ვიდრე ეს შეუძლია აიტანოს ცოცხალ ენას, მაგრამ განა  
 იგივე არ მოუყიდა რევოლუციას! ასეთია „ცოდვა“ ყო-  
 ველივე ცხოველი მოძრაობისა. რასაკვირველია, რევოლი-  
 უციას, მის შეგნებულ ავანგარდს, მეტი აქვს თვითკრი-

ტიქა, ვიდრე ფუტურისტულ წრეს, მაგრამ სამავიეროდ  
მან მიიღო გარედან საქმიან წინააღმდევობა და, იმედი  
უნდა ვიქონიოთ, კიდევ მიიღებს. გადაჭარბება გათავდება  
და ძირითადი გამასუთავებელი და, უკველად, რევოლუ-  
ციური მუშაობა პოეტურ ენის დარგში დარჩება.

არ შეიძლება აგრეთვე არ ვიცნოთ და არ დავაფა-  
სოთ ფუტურიზმის პროგრესიულ - შემოქმედებითი მუშა-  
ობა რიტმის დარგში. ვინც ამ საგნებს გულვრილად უყუ-  
რებს და ითმენს მათ არსებობას მხოლოდ იმიტომ, რომ  
ისინი არიან წინაპართა ნაანდერძევნი, იმისთვის, რასა-  
კვირველია, ფუტურისტების მიერ ყოველივე ახლად შემო-  
ლებული წარმოადგენს არაასსურველ მოვლენას, რადგანაც  
ეს მოითხოვს დიდ ყურადღებას. შესაძლოა ამას დავუკავ-  
შიროთ და დავსვათ საერთო საკითხი: საჭიროა თუ არა  
საერთოდ რითმა და რიტმი? სასაცილოა, რომ თვით მაია-  
კოვსკი დროგამოშვებით ამტკიცებს რთულრითმებიან  
ლექსებში — რომ რითმა არ არის საჭირო. საერთოდ  
წმინდა ლოლიკური მსჯელობა აუქმებს საკითხს მხატვ-  
რულ ფორმის შესახებ. რაც ფორმალურ ლოლიკის იქით  
მიღის, იმის შესახებ უნდა იმსჯელო არა კუთით, არამედ  
გონიერობით, რომელსაც თავის რეალში შეყავს აგრეთვე  
ირაციონალურიც, რამდენადაც ის ცოცხალია და ცხო-  
ველმყოფელი. პოეზია იმდენად რაციონალური არაა, რამ-  
დენადაც ემოციონალური, და ადამიანის ბუნება, რომელ-  
საც აქვს შესისხლხორცებული ბიოლოგიური და სოცია-  
ლურ-შრომისებური რიტმები და რიტმიული კვანძები,  
ეძებს მათ იდეალურ გამოსახვას ხმოვანებაში, სიმღერაში,  
მხატვრულ სიტყვაში. სანამ ეს მთხოვნილება არსებობს,  
ფუტურისტული რითმები, უფრო მომართულნი, გამბედავნი  
და სხვა და სხვა ნაირი, წარმოადგენენ უმკვილ,

ლირებულ მონაპოვარს და ეს მონაპოვარი უკვე გადას-  
ცილდა წმინდა ფუტურისტულ ჯგუფების საზღვარს.

ასეთივე უდავოა ფუტურისტების მიღწევები ლექ-  
სის ინსტრუმენტოვების დარვში. არ უნდა დაეივიშვილ,  
რომ სიტყვის ხმოვანება არის აზრის აკუსტიური აკომ-  
პანიმენტი. თუ ფუტურისტები იჩენდენ და იჩენენ ხან-  
დისხან გადაჭარბებულ მიკერძოებას ხმოვანებისადმი, წი-  
ნაალმდევ შინაარსისა და აზრისა, ეს გატაცება, რომე-  
ლიც რასაკვირველია — მოითხოვ წინაალმდევობას, წარ-  
მოადგენს მხოლოდ „მემარტენეობის ბავშურ აეადმყო-  
ფობას“, ახალ პოეტურ მიმართულების გაგიერდას — წარ-  
მოადგენს ახალ სმენას, რომელმაც იგრძნო ხმოვა-  
ნება, წინაალმდევ გახუნებულ სიტყვიერ რუტინიორო-  
ბისა. რასაკვირველია, მუშათა კლასის დიდ უმეტესობას  
ამ საკითხებისათვის დღეს არა სკალიან, არც მუ-  
შათა კლასის ავანგარდს აქვს ამისთვის დრო — რამდე-  
ნია უფრო გადაუდებელი ამოცანები, მაგრამ ჩვენ გვაქვს  
ხეალინდელი დღეც. ის მოითხოვს მეტად ყურადღებით,  
სწორ, დახელოვნებულ, არტისტულ მოპყრობას ენასთან  
— კულტურის ძირითად იარაღოთან — და მარტო ლექსებში  
კი არა, არამედ პროზაშიც და უფრო განსაკუთრებით  
პროზაში. სიტყვა არასოდეს არ ფარავს საესებით აზრს  
იმ კონკრეტულობით, რომლითაც ადამიანი ყოველთვის  
იღებს ამ აზრს. მეორე მხრივ სიტყვის, როგორც ხმოვა-  
ნებას, და სიტყვას, როგორც ნახაზს, აქვს გავლენა მარ-  
ტო ყურჩედ და თვალზედ კი არა, არამედ ლოლიკაზედ.  
აზრის სავსებით გამოხატვა შეიძლება მხოლოდ სიტყვის  
სასტიკი შერჩევით, მისი ყოველმხრივი, დაკვირვებითი  
შეთავსებით. აქ აბდა-უბდობა არ ვარგა, აქ საჭიროა მი-  
კრომეტრიული იარაღები. რუტინამ, გადმოცემამ, ჩვეუ-

ლებამ, უხეირობამ აქაც უნდა დაუთმოს ადგილი დაფიქტულ სისტემატიურ მუშაობას. ფუტურიზმი ერთი თავისი საუკეთესო მხრით არის პროტესტი წინააღმდეგ აბდაუბდობისა, ამ უძლიერეს ლიტერატურულ სკოლისა, რომელსაც ყველგან ჰყავს გაელენიანი წარმომადგენლები.

ამ. გორლოვის ჯერ დაუბეჭდავ შჩომაში, სადაც მოცემულია, ჩემის შეხედულებით, შემცდარი ინტერნაციონალური გენეზისი ფუტურიზმისა და სადაც ფუტურიზმი უფრო მეტი შეცდომით — ისტორიულ პერსპექტივების დარღვევით — გათანაბარებულია პოლეტარულ პოეზიასთან, მეტად მოფიქრებულად და შინაარსიანად დასკვნილია ამავე დროს ფუტურიზმის მხატვრულ - ფორმალური მონაპოვარნი. გორლოვი სწორად აღნიშნავს, რომ ფუტურიზმის ფაზმალური „რევოლუცია“, რომელიც გამოვიდა ძველი ესთეტიკის წინააღმდეგ აჯანყებისაგან, გამოხატავს — პირდაპირი ხაზით — აჯანყებას წინააღმდეგ იმ შეგუბებულ, ხავს მოკიდებლ ყუუა-ცხოვრებისა, რომელმაც წარმოშვა ეს ესთეტიკა; ამისათვის ეს აჯანყება მაიაკოვსკისა, სკოლის უძლიერეს პოეტის და მის ახლობელ მეგობრების ბუნებრივად დამთავრდა აჯანყებით იმ სოციალურ წყობილების წინააღმდეგ, რომელმაც წარმოშვა უარყოფილი ყოფა-ცხოვრება მისივე უარყოფილი ესთეტიკით. აქედანაა მათი ორგანიული კავშირი ოქტომბერთან. სქემა ამ. გორლოვისა სწორია, მხოლოდ მოითხოვს დახვეწის და შეზღუდვებს. მართალია, რომ ახალი სიტყვები და სიტყვათა შეკავშირება, რიტმი და რითმა საჭირონი გახდნენ იმიტომ, რომ ფუტურიზმი მსოფლიოს-თავისებურ შეთვისება - გაგებაში გადააჯგუფა მოვლენე

ბი და ფაქტები, დამყარა, ე. ი. აღმოაჩინა თავისთვის  
მათ შორის ახალი განწყობილებანი.

ფუტურიზმი წინააღმდევია — მისტიკის, ბუნების, პას-  
სიურად გაღმერთების, არისტოკრატიულ და სხვაგვარ ხი-  
ზარმაცის, მეოცნებობის, მტირალობის, — ის მომხრეა ტეხ-  
ნიკის, მეცნიერულ ორგანიზაციის, მანქანის, გეგმის, ნების-  
ყოფის, მხნეობის, სისწრაფის, სისწორის, ყოველივე ამ  
თვისებებით შეიარაღებულ ადამიანის. ესთეტიურ „აჯან-  
ყების“ კავშირი ზნეობრივ ყოფა-ცხოვრების აჯანყებას-  
თან მოცემულია უშუალოდ: ერთიც და მეორეც მთლია-  
ნათ და სავსებით შედიან ინტელიგენციის აქტიურ, ახალ-  
გაზრდა, ჯერ ნაკლებად მოშინაურებულ ნაწილის, მემარ-  
ცხენე შემოქმედ ბოგემის ცხოვრების განცდაში.

ყოფა-ცხოვრების სივიწროეის და ზნედაცემულობის  
წინააღმდევ აღმფოთება და ახალი მხატვრული სტილი.  
როგორც გამოსავალი ამ აღმულოთებისათვის და ამითი...  
მისი ლიკვიდაცია. სხვადასხვა კომბინაციებში, სხვადასხვა  
ისტორიული სტილის წარმოშობა მარივ ინტელიგენტურ  
აღმფოთებისაგან ცნობილია. ამით თავდებზე საქმე.  
ამ შემთხვევაში კი პროლეტარულმა რევოლუციიმ დაავლო  
ხელი ფუტურიზმს მისი თეოთ-გამორკვევის განსაზღვრულ  
ხანაში და წინ წასწია ის. ფუტურისტები გახდენ კომუ-  
ნისტები. იმათ შესდგეს ფეხი უფრო ღრმა საკითხთა და  
დამოკიდებულებათა ნიადაგზე, რომელიც შორს სცილდე-  
ბა მათ ძველი ქვეყნის საზღვრებს, და რომელიც არ არის  
ორგანიულად დამუშავებული მათი ფსიხიკის მიერ. ამისა-  
თვის არის, რომ ფუტურისტები, და მათ შორის მაიკოვ-  
სკიც, მხატვრულად სუსტი არიან იმ ნაწარმოებში, სა-  
დაც იხრი უფრო დამთავრებულნი არიან, როგორც კო-  
მუნისტები. და ამის მიზეზი იმდენად საციალური წარ-

მოშობა კი არაა, რამდენად სულიერი წარსული. ფუტურისტ-პოეტებს არა აქვს იმდენად საკმაოდ ორგანიულად შეთვისებული კომუნისტური მსოფლ-მხედველობა და მსოფლიოს შემეცნება, რომ მისცენ მათ ორგანიულივე გამოხატვა სიტყვაში: არა აქვთ შესისხლხორცებული, ასე ვთქვათ. აქედანაა ხშირად მხატვრულ, არსებითად ფსიხოლოგიურ უფსკრულში ჩავარდნა, არა ბუნებრივობა, არარაობაში ჰიქა-ქუხილი. თავის მეტად რევოლიუციონურად განწყობილ შემოქმედებაში ფუტურიზმი უკვე სტილიზაციათ ხდება; ამავე დროს ახალგაზრდა პოეტს ბეზიმენსკის, რომელიც ბევრით დავალებულია მაიაკოვსკიზე, კომუნისტური მსოფლმხედველობის მხატვრული გამოხატვა უფრო ორგანიული აქვს: ბეზიმენსკი არ მისულა კომუნიზმთან ჩამოყალიბებულ პოეტად, არამედ სულიერად დაიბადა მასში

შეიძლება სთქვან — და არა ერთხელ უთქვამო, — რომ პროგრამულ პროლეტარულ დოქტრინას ჰქმნიდნენ ბურეუაზიულ დემოკრატიული ინტელიგენციიდან გამოსული პიროვნებანი. მაგრამ არის განსხვავება, რაც ამ საკითხისათვის გადამწყვეტია. ეკონომიკური და ისტორიულ-ფილოსოფიური დოქტრინა პროლეტარიატისა შესდგება ობიექტიურ შემეცნების ელემენტებისაგან. ზედმეტი ღირებულების თეორიის შემქმნელი რომ ყოფილიყო არა უნივერსალურად განათლებული ფილოსოფიის დოქტრინი მარქსი, არამედ ხარისტი ბებელი, ასკეტიურად მომჭირნე ცხოვრებაში და აზროვნებაში, მჭრელი მანქანასავით მახვილი ტეინის პატრონი, — ის ამ თეორიის გამოხატავდა უფრო გასაგებ, უბრალო და ცალმხრივ შრომაში. „კაპიტალი“-ს ციტატების, სახეებისა, საბუთების, აზრების სიმდიდრე და სხვადასხვაობა უეჭველად ამელიერებდენ დიადი წიგნის „ინტელიგენტურ“ გარეგნობას, მაგრამ, რაღაც საქმე ეხე-

ბა ობიექტიურ შემცირებას, „კაპიტალის“ არსებითი შინაარსი გადავიდა ბებელზედ, როგორც მისი კუთვნილება, და შემდეგ ათას და მილიონ პროლეტარებზედ. პოეზიაში ჩვენ გვაქვს საქმე მსოფლიოს მხატვრულ გამოსახვასთან და არა მეცნიერულად მსოფლიოს შემცირებასთან. ამიტომ ყოფა-ცხოვრებას, პირად მოწყობილობას, ცხოვრებაში პირად გამოცდილებას აქვს განსაზღვრული გავლენა მხატვრულ შემოქმედებაზედ. ბავშვობის ხანაში შეთვისებულ გრძნობათა გადამუშავება მეცნიერულ-პროგრამულ ორიენტაციით — უძნელესი შინაგანი მუშაობაა. ყველას როდი აქვს ამის უნარი. ამისათვისაა, რომ ქვეყანაზედ ბევრია ისეთი ადამიანები, რომელნიც აზროვნებენ როგორც რევოლუციონერები, და გრძნობენ კი როგორც მეშჩანები. სწორედ ამისათვისაა, რომ ფუტურიზმის პოეზიაში, რომელიც საესებით მიეცა კიდევ რევოლუციას, ჩვენ გვესმის უურო ბოგემური, ვიდრე პროლეტარული რევოლუციონიზმი.

მაიაკოვსკი — დიდი, ან და როგორც ბლოკმა დაახასიათა, უზარმაზარი ტალანტია. მას შეუძლია ბევრჯერ ნახული საგნები ისე გადაალაგოს, რომ ისინი ახალ საგნებად ჩნდებიან. ის იმორჩილებს სიტყვას და ლექსიკონს, როგორც ძლიერი ოსტატი, რომელიც მუშაობს თავის საკუთარი კანონების მიხედვით, მიუხედავათ იმისა, მოგვწონს ჩვენ თუ არა მისი ოსტატობა. ბევრი მისი სახეები, გამოთქმანი უკვე შეეიდნენ ლიტერატურაში და დარჩებიან მასში თუ სამარადისოთ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდხახს. მაიაკოვსკის აქვს თავისი აღნავობა, თავისი სახე, თავისი რიტმი და რითმაც. მაიაკოვსკის მხატვრული მოსაზრება ყოველთვის მნიშვნელოვანია და ხანდისხან გრანდიოზული.

პოეტს შეყავს თავის წრეში ომიც და რევოლუციაც, სამოთხეც და ჯოჯოხეთიც.

მაიაკოვსკი მტრულად არის განშეყობილი მისტიკასთან და ყოველგვარ ფარისევლობასთან, აღამინის მიერ ადამიანის ექსპლოტაციის მიმართ, მისი სიმპატიები სრულებით პროლეტარის მხარეზეა. ქურუმობა ხელოვნებაში, ყოველ შემთხვევაში პრინციპიალური ქურუმობა მას არ სწამს, პირიქით, ის მხად არის მთელი თავისი შემოქმედება გასწიროს რევოლუციის სამსახურისთვის. მაგრამ ამ დიდ ტალანტ-შიაც, უფრო სწორედ რომ ითქვას, მაიაკოვსკის მთელ შემოქმედებით პიროვნებაში არ არის აუცილებელი შეთანაბრება შემადგენელ ელემენტების შორის, არ არის სწორწონაობა, თუნდაც დინამიური.

ყველაზე უფრო სუსტი მაიაკოვსკი იქ არის, სადაც საჭიროა გრძნობა ზომიერებისა, ან გრძნობა თეითკრიტიკის.

მაიაკოვსკის მიერ რევოლუციის მიღება ყველაზე უფრო ბუნებრივია, ვინემ ეს აქვს რომელიმე რუს პოეტს, რადგან ის წარმოშობილია მთელი მისი განვითარებისაგან, ინტელიგენტური მისელაა რევოლუციასთან (ბევრი მათგანი ვერ მიღის მიზნამდე). ამიტომ მნიშვნელიანია მაიაკოვსკის პირადი ხაზის დაფასება.

არის გზა „გამუეკებული“ ინტელიგენტების კაპრიზიანი თანამგზავრებისა (იმათხე გვეონდა საუბარი წინად), გზა ფრიად სუბიექტიური მისტიკოსების, რომელნიც ეძებენ მაღალ „მუსიკას“ (ა. ბლოკი), გზა „სმენავეხოველებისა“ და უბრალო შერიგებულთა (შეაპსაია (?), შავინიანი), რაციონალისტებისა და ეკლეტიკებისა (ვ. ბრიუსოვი, გოროდიცკი და ივივე შავინიანი). არის კიდევ გზები, ყველა გზების ჩამოთვლა ძნელია. მაიაკოვსკი ამბოხებული და დევნილი ბოგემის ყველაზე უფრო მაკლე გზით მოვიდა.

რევოლიუცია მაიაკოვსკისთვის ნამდვილი, უპველი და ლრმა განცდაა, რაღან ის თავის ელვით და მეხით თავს დაეცა იმას, რაც მაიაკოვსკის თავისებურად სძულდა, მასთან შერიგება მას კიდევ ვერ მოეწერო — და აი ამაშია სწორედ მისი ძალა.

რევოლიუციონური ინდივიდუალიზმი მაიაკოვსკის ალ-ფრთოვანებით ეზიარა პროლეტარულ რევოლიუციას, მა-გრამ მაინც ვერ შეუერთდა.

მაიაკოვსკის მიმღეობა ქალაქისა, ბუნებისა და მთელი სამყაროსი ქვეშეგნების პირველ წყაროთი არ არის მუშარი, არამედ ბოგემურია.

მელოტი ფანარი, რომელიც ქუჩას წინდას ხდის — თუნ-და ეს ერთი სახეც დამახასიათებელია მაიაკოვსკისათვის, რაღან ნათელს ფენს მის ბოგემურ ურბანიზმს ყოველ მსჯელობაზე უფრო კარგად.

გამომწვევი და ცინიკური ტონი მისი ბევრი სახეებისა, განსაკუთრებით შემოქმედების პირველ პერიოდში, ატარებს ძალიან ნათლად არტისტულ კაფეს, სიგარის კვამლის და სხვა ამისთანების დალს და ბეჭედს.

დინამიურიბა რევოლიუციისა, მისი სასტიკი გმირობა უფრო ახლოს დგას მაიაკოვსკისთან, ვინემ თვითონ გმი-რობის მასიურობა, მისი საქმეთა და განცდათა კოლექ-ტივიზმი.

როგორც ბერძენი იყო ანტროპომორფისტი, რომელიც გულუბრყვილოთ უთანაბრდება თავის თავს ბუნების ძა-ლებს, ისე ჩვენი პუეტიც მაიაკომორფისტია, თავის სა-კუთარ თავით ავსებს რევოლიუციის მოედნებს, ქუჩებს, მინდვრებს. მართალია უკიდურესობანი ერთმანეთს უერ-თდებიან. უნივერსალიზაცია საკუთარ მესი, რამოდენიმეთ

შლის ინდივიდუალობის ხაზს, უახლოეს მას კოლექტი-  
ვიზმს — მეორე მხარედან.

მაგრამ მაინც ერთგვარ საზღვრამდე.

ბოგემურ-ინდივიდუალისტური ამპარტაკონბა, წინააღ-  
მდევ არა უბრალოებისა, რომელსაც არავინ თხოულობს,  
არამედ თვალის ხედვისა, ზომიერების გრძნობისა, რომე-  
ლიც უთუოთ საჭიროა, ასახავს „ყველაფერს, რაც ჩაუ-  
წერია მაიაკოვსკის“. მისი პატეტიურობა ხანდისხან აღ-  
წევს ძალიან დიდ გამძაფრებას, მაგრამ ყოველთვის მაინც  
არ არის ამ გამძაფრების იქეთ ძალა. პოეტი მეტისმეტად  
მოსჩანს, ფაქტებს და მოვლენებს ძალიან ნაკლები ავტო-  
ნომია ენიჭებათ, რევოლუცია კი არ ებრძვის დაბრკო-  
ლებებს, არამედ მაიაკოვსკი, ასე ატლეტობს ის სიტყვის  
ასპარეზზე და ხანდისხან მართლაც ახდენს სასწაულებს,  
მაგრამ უფრო ხშირად ამ გმირულ გამძაფრებით მას ხე-  
ლში აქვს ცარიელი გირები.

თავის თავზე მაიაკოვსკი ლაპარაკობს ყოველ ნაბიჯზე  
პირველ და მესამე სახით, ხან ინდივიდუალურად, ხან კი  
თავის თავს უერთებს ადამიანს. რომ აამაღლოს ადამიანი,  
მას ის აყავს მაიაკოვსკამდე. ისტორიის უდიდეს მოვლე-  
ნებისადმიც ეტყობა მას ფამილიარული ტონი. და ეს არის  
სწორედ მის შემოქმედებში ყველაზე უფრო აუტანელი  
და სახიფათო. ოჩიფეხებზე და კოტურნებზე ლაპარაკიც  
არ გვიხდება.

მაიაკოვსკი ერთი ფეხით სდგას მონბლანზე — მეორე-  
თი კი იალბუზზე. ხმით უნდა ხმა ჩაუწყიტოს მეხს, და  
ამის შემდეგ, რა გასაკვირია, ის ისტორიას ძმა-ბიჭურად  
ეპყრობა, რევოლუციასთან „შენობით“ ლაპარაკობს. ეს  
არის სწორედ ყველაზე უფრო სახიფათო, რადგან ასეთ  
გიგანატიურ მასშტაბით ყველგან და ყოველთვის, ასეთ

მეხის მაგვარ ლრიალში (ეს პოეტის საყეარელი სიტუაცია) პორიზონტზე იალბუშიდან და მოხბლანიდან იქარგებიან მიწის საქმეთა პროპორციები და ვერ ედება საზღვარი დიდსა და პატარა საქმეს. ამიტომ არის, რომ თავის სიყვარულზე, ე. ი. თავის ინტიმობაზე მაიაკოვსკი ისე ლაპარაკობს, როგორც ხალხთა გადასახლებაზე.

ეს არის სწორედ მიზეზი, რომ მას ვერ უნახავს შეტი ლექსიკონი რევოლუციისათვის. ის ყოველთვის ისვრის გადაღმა — და როგორც ეს იციან არტილერისტებმა, ასეთი სროლა ვერ ხედება მიზანს და ყველაზე უფრო ცუდათ მოქმედობს იარაღზე. ჰიპერბოლიზმი რომ რამდენადმე გამოხატავს ჩეენი დროის გამძაფრებას, ეს უდავოა. მაგრამ ამაში კიდევ არ არის ხელალებული მხატვეარული გამართლება, რმსა და რევოლუციის შეჯიბრების ყვირილით ვერ აჯობებ.

საკუთარ ხმის გაწყვეტა კი ადვილია.

ზომიერების გრძნობა ხელოვნებაში იგივეა, რაც პოლიტიკაში არის რეალისტური ალლო.

უმთავრესი ცოდვა ფუტურიზმისა, თუნდაც საუკეთესო მილწევებში, არის სწორედ ამ ზომიერების გრძნობის უქონლობა.

სალონის ზომიერება მან დაკარგა, მოედანის ზომიერება კი ვერ მოუნახავს.

ნახვა კი საჭიროა.

თუ ასეთი ხმით დაიწყე გადალახვა მოედანის, მაშინ აუცილებელია ხმის ჩაწყვეტა და ხრინწიანობა, რომელიც ძალას უკარგავს სიტუაცის შთაბეჭდილებას. უნდა ილაპარაკო იმ ხმით, რომელიც შენოვის მოუცია ბუნებას და არა სხვა ხმით, უფრო მაღლით, რომელიც შენ არა

გაქვს, მაგრამ ხმის გამოყენება კი შეიძლება მთლიანად, თუ კარგად მოუარე.

მაიაკოვსკი ძალიან ხშირად ყვირის იქ, სადაც საჭიროა ლაპარაკი. ამიტომ მისი ყვირილი იქ, სადაც საჭიროა მართლა ყვირილი, არა საკმარისივე ჩნდება, პოეტის პაონის იცვლება ხმის ჩაწყვეტით და ხრინწით.

მაიაკოვსკის დამძიმებული სახეები ხშირად თავის თავად მშვენიერია, მაგრამ ხშირადვე დახსნიან მთელ სხეულს და მოძრაობას ემართება დამბლა. პოეტი, როგორც ეტყობა, თვითონვე გრძნობს ამას, ტყუილად კი არ მოენატრა მას სხვა უკიდურესობანი: მას მოუნატრია პოეზიის თვის უჩვეულო „მატემატიკურ ფორმულების“ ენა.

ჩვენ გვვინია, რომ თვითმყოფი სახეობა, რომლითაც იმავინიზმი ენათესავება ფუტურიზმს, უფრო შეშვენის გლეხურ იმავინიზმს. მას ძირები აქვს ჩვენი კულტურის სოფლურ საფუძველში. მათში უფრო მეტია ნეტარი ვასილიდან, ვინემ რეინისა და ბეტონის ხიდებიდან. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ისტორიულ-კულტურული განმარტება, ფაქტი ასეთია, რომ მაიაკოვსკის შემოქმედებაში ყველაზე უფრო ნაკლებია მოძრაობა. შესაძლებელია, ეს ვინმეს მოეჩვენოს პარადოქსიდ, რადგან ფუტურიზმი დამყარებულია მთლიანად მოძრაობაზე. მაგრამ აქ შედის თავის ძალაში შეუყიდველი დიალექტიკა — გადამეტება გაქანებულ სახეებისა — მიღის მყუდროებამდე. იმისთვის, რომ მოძრაობა ჩვენ ვიგრძნოთ ფიზიკურად, მით უმეტეს, მხატვრულად, ის უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი მიმღობის მექანიკისა და ჩვენი გრძნობების რიტმს.

მხატვრული ნაწარმოები უნდა იძლეოდეს თანდათანობით ზრდას სახისა, იდეისა, გრძნობისა, კვანძისა და ინტრიკისას მაქსიმუმამდე და არ უნდა დაახეტებდეს მჯოხ-

ველს ერთ ბოლოდან მეორე ბოლომდე, თუნდაც ძალიან დაწელილებული, ბუნდოვან ბოქსერულ სახეობით.

მაიაკოვსკის ყოველი ფრაზა, ყოველი მოხრა, ყოველი სახე უნდა იყოს მაქსიმუმი, საზღვარი და მწვერვალი, ამიტომ არის რომ „საგანს“ მთლიანად სწორედ არა აქვს შაქსიმუმი. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება აქვს, რომ მას აიძულებენ თითქო ნაწილობრივ თავისი თავის დახარჯვას და ამიტომ მთლიანობა მას ეკარგება.

მთის აღმართი ძნელია, მაგრამ ის ამართლებს თავის თავს. ბარზე სიარული არა ნაკლებ დალლილობას იწვევს, მაგრამ სამაგიეროთ არა იმდენ სიხარულს. მაიაკოვსკის ნაწარმოებს არ აქვს მწვერვალები, მას აქლიათ შინაგანი დისკიპლინა. ნაწილებს არ უნდათ დაემორჩილონ მთელს, ყველას უნდა ცალკე ყოფნა. თვითეული იმათგანი შლის საკუთარ დინამიკას და ანგარიშს არ უწევს მთელის ნებას. ამიტომ არ არის მთელი და არც მისი დინამიკა. უუტურისტულ შრომას სიტყვაზე და სახეზე ჯერ კიდევ ვერ უნახავს სინტეტიური განხორციელება.

„150.000.000“ უნდა ყოფილიყო რევოლუციის პოემა. მაგრამ ეს არ არის. ამ განზრახვით დიდ ნაწარმოებში, ფუტურიზმის სუსტი მხარეები და მისი უკსკრულები იმდენათ დიდია, რომ ანადგურებენ მთელს.

ავტორს უნდოდა მოეცა ეპოსი მასიურ გმირობისა, 150 მილიონს იკანესგან შექმნილ უსახო რევოლუციისა და ავტორმა ხელი არ მოაწერა, „ამ ჩემ პოემას არ ჰყავს შემთხვეველი“, მაგრამ ეს პირობითი ტიტულიარული უსახეობა არაფერს არა სცენის.

პოემა ლრმად პიროვნულია, ინდივიდუალისტური და ამასთან განსაკუთრებით ცუდი აზრით: მასში ძალიან ბევრია მოტივი მხატვრულ თავისებურობას მოკლებული.

პოემის სახეები: „ვილსონი, ქონში რომ სცურავს“, „ჩიკა-გოში ყოველ მცხოვრებს გენერალზე ნაკლები ჩინი არ აქვს“, „სჭამს ვილსონი, თანდათან იმატებს ქონს, იზრდებიან მუცლები და სართულს სართული ემატება“, და უკელა ამგვარი.

ეს სახეები ძალიან უბრალოები არიან და თანაც უხეში, მაგრამ ეს სრულიად არ არის მასიური და ხალხური სახეები, ყოველ შემთხვევაში არა დღეეანდელი მასის.

მუშას, რომელიც დაიწყებს მაიაკოვსეის პოემების კითხვას, ვილსონი უნახავს სურათზე, ვილსონი ძალიან გამზღვარია, თუმცა ვეთანხმებით ავტორს, რომ ძალიან ბევრ ქონსა და საჭმელს ნოქავს. მუშას წაუკითხავს სინკლერი და იცის-რომ ჩიკაგოში „გენერლებს“ გარდა სცხოვრობენ სასაქლაოს მუშები. ამ მოტივ - მოკლებულ პრიმიტიულ სახეებში, მიუხედავად აჭრიალებულ გიპერბოლიზმისა, თითქოს მოსჩანს ხმის დაჩილება, ისე როგორც უფროსები ელაპარაკებიან ბავშვებს. აქ ხალხის ტალღისებური ფანტაზიის სახეები კი არ მოსჩანს, არმედ ბოგემური ლაზლანდარობა

ვილსონს ისეთი კიბე აქვს, „რომ წადი ყმაწვილი ფეხით, და იქნებ მიხვიდე მოხუცი“. ივანე უტევს ვილსონს და იწყება ჩემპიონატი (!) მსოფლიო კლასობრივი ბრძოლისა და ამასთან ვილსონს აქვს „რევოლვერები ოთხი ლულით, და ხმალი 70 ათჯერ არის მოღუნული“, „ივანეს კი ხელი აქვს, კიდევ ხელი და ისიც ქამარში აქვს ჩაყოფილი“. უიარალო ივანე ხელით ქამარში რევოლვერით შეიარაღებულ ბასურმანის წინააღმდეგ — ეს ხომ ძველი რუსული მოტივია. ილია მურომეცი ხომ არ არის ჩენ წინ? იქნება ივანუშკა დურაჩოვა, რომელიც ფეხშიშველი გამოდის გერმანიის მაცდურ მექანიკის წინააღმდეგი?

ვილსონმა შემოარტყა იქანეს ხმალი „ოთხი ვერსით შეჭრა... და კრილობიდან უცებ კაცი გამოძერა“ და ამ რიგათ კიდევ ქვევით.

მაგრამ, როგორი ზედმეტია და უფრო კიდევ **არა სერიოზული „ბილინური“** და ზღაპრული პრიმიტივი, რომელიც საჩქაროთ არის შეზავებული ჩიკაგოს მექანიკასთან და კლასთა ბრძოლასთან. წინდაწინ გეგმით ბრძოლა უნდა ყოფილიყო ტიტანიური და ნამდვილად კი ატლეტურია და ატლეტიზმიც საეჭვოა, რაღაც პაროდიის მსგავსი და გაბერილი ბუშტებით.

„მსოფლიო კლასის ბრძოლის ჩემპიონატი“ ჩემ-პიონატი! თვითკრიტიკა, სადა ხარ? ჩემპიონატი უსაქმური სანახაობაა და ხშირად უულიკობასთან არის შეერთებული. არც სახე გამოდის აქ და არც სიტყვა. ნაცვლად მართლა 150 ჰილიონთა ტიტანიურ ბრძოლისა — პაროდია „ბილინური“ ცირკის ჩემპიონატისა! მართალია, ეს არ არის შეგნებული პაროდია, მაგრამ ამით რა ემატება!

მოტივ-მოკლებული, ე. ი. შინაგანათ დამუშავებული სახეები ნოქავენ იდეას და არაფერს არ ტოვებენ? და სახელს უტეხენ მას, როგორც მხატვრულად, ისე პოლიტიკურად.

რატომ არის, რომ იქანეს ცალი ხელი ქამარში აქვს, როდესაც მასზე მოდიან ხმალით და რევოლვერებით? საიდან არის ტეხნიკისადმი ასეთი ზიზღი?

ივანე რომ იარაღით ვილსონზე სუსტია — ეს მართალია: მაგრამ სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ ის ორივე ხელით მოქმედებდეს. და თუ ის არ დაეცა დამარცხებული, ეს იმიტომ, რომ ჩიკაგოში მარტო გენერლები კი არ არიან, არიან მუშებიც და რომ მათი საქმაო უმრავლესობა სწორედ ვილსონის წინაღმდეგია და იქანეს ეხმა-

რება. და ეს სწორედ არ არის პოემაში. მისდევს რა სახეების მოჩვენებით მონუმენტალობას, ავტორი ანადგურებს იმას, რაშიაც არის მთელი არსება.

სიჩქარით და აგრეთვე უმოტივოთ ავტორი მსოფლიოს ჰკვეთავს ორ კლასად: ერთი მხრივ ქონში აცურებული ვილსონი და მისი დიდებული ბეჭვები, ციური მნათობები, — მეორე მხრივ ივანე და მასთან ბლუზები და დევის ნაფეხურის მილიონები.. „წავებს — მსოფლიო დეკადენტების ყველა სტრიქონები — ბლუზებს კი ფუტურისტის რენის სტრიქონები“. მაგრამ თვითონ პოემაში თუმცა ბევრია ძლიერი და ბასრი სტრიქონები, ბრწყინვალე სახეები და საერთოთ სიტყვიერი სიმდიდრენი, მაგრამ ნაღდი რენის სტრიქონები ბლუზიანებისთვის მაინც არ არის.

განა არ ყოფნის ტალანტი? არა!

აკლია ნერვებით და ჭკუით გადამდნარი რევოლუციის სახე, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა სიტყვიეროსტატობის ხერხი.

ავტორი ატლეტობს, წამოკრავს ხელს და გამოისვრის ხან ერთ სახეს, ხან მეორეს. შენ ჩვენ ჩაგაძალებთ, ქვეყანავ რომანტიკოსო!.. იმუქრება მაიაკოვსკი. მართალია, კარატევის და ობლომოვის რომანტიკას უნდა მოელოს ბოლო. მაგრამ როვორ? „მოხუცს—სიკვდილი, საწერლებად თავის ჩონჩხები!“ მაგრამ ეს ხომ არის სწორედ ნამდვილი რომანტიკა, თუმცა უარყოფითის ნიშნით. საწერლები თავის ქალიდან უხერხულიც არის და არა გიგიენურიც. და გამძაფრება მაინც მოკლებულია მოტივს, როცა ის აძლევს თავის ქალს ასე უხერხულ დანიშნულებას, თვითონ პოეტი თითქო გარემოცულია რომანტიკით. ყოველ შემთხვევაში არ დაუმუშავებია თავისი სახეები

და არ მიუყვანია მთლიანობამდე. „ჩაჯგიბეთ ყველა ქვეყნების სიმდიდრეები“. ასეთი ფაშიალია ჩული ტონით ლაპარაკობს მაიაკოვსკი სოციალიზმზე. ჩაჯგიბება — ეს ქურდულად ჯიბებში ჩადებას ნიშნავს. და ვანა ეს სიტყვა ვარგა მაშინ, როცა საქმე ეხება მიწისა და ქარხნების საზოგადო მითვისებას? მომაკედინებლად არ ვარგა.

ავტორს ეს ვულგარობა სჭირია, რომ სოციალიზმს და რევოლუციას ძმაბიჭურად მოექცეს. მაგრამ როცა ის ფაშიალიარულად სცემს 150 მილიონ ივანეს, მაშინ საერთო ჯამში პოეტი კი არ იზრდება ტიტანიურ სახლერამდე, თვითონ ივანე პატარავდება ფურცელის მერვე ნაწილამდე. ფაშიალიარობა სრულიადაც არ გადმოვცემს. შინაგან დაახლოებას და ხშირად პოლიტიკურ და მორალურ გაუთლელობის ნიშანი უფრო. არსებითად დამუშავებული კავშირი რევოლიუციასთან გამორიცხავდა ამ ფაშიალიარულ ტონს და წინ წამოწევდა იმას, რასაც გერმანელები ეძახიან დისტანციის პათოსს. პოემაში არის ნათელი სტრიქონები, გაბედული სახეები, ნაპოვნი სიტყვები. საბოლოოთ „ქვეყნის საზეიმო რეკვიეში“ შეიძლება პოემის საუკეთესო აღგილი იყოს. მაგრამ მთლიანათ ეს ნაწერი სასიკედილოთ დაჭრილია, მასში არ არის შინაგანი მოქმედება. წინააღმდეგობანი არ იქუმშებიან, რომ შემდეგ გაიხსნენ. პოემა რევოლიუციაზე მოკლებულია მოძრაობას. სახეები ცხოვრობენ განკერძოებულად, შეეხლებიან ერთმანეთს და შემდეგ სცილდებიან, ისტორიულ სახეების გათიშვა იბადება არა მატერიიდან, არამედ არის ჯამი რევოლიუციონურ მსოფლიო გზნების შინაგან შეუთანხმებლობისა. მაგრამ მაინც, იმისდა მიუხედავათ, როდესაც დათვებ პოემის კითხვას, მართლა დიდი სიძნელით, ეუბნები შენ თავს: რომ ჰქონოდა ზომიერების გრძნობა,

თვითკრიტიკა, ამ ელემენტებიდან გამოვიღოდა უზარმაზარი ნაწარმოქიცი. მაგრამ შეიძლება ის ძირითადი შეცდომებიც არ აიხსნებოდეს იმდენად მაიაკოვსის პირადი თვისებებით, როგორც მუშაობის პირობებით შემორკალულ პატარა ქვეყანაში! ისე არაუერი არ ამცირებს თვითკრიტიკის ნიშანს. როგორც „ქრუუკოვშინა“.

მაიაკოვსკის სატირიულ ნაწერებშიც არ არის გაღრმავებული შეგნება საგანთა არსებისა და მათი განწყობილების. მაიაკოვსკის სატირა ჩქარია და ზერელე. კარიკატურისტი რომ გახდეს მნიშვნელოვანი, მისთვის არ კმარა, რომ იცოდეს მარტო ფანქრის ხმარება. მას სჭირია შიგნეულად იცოდეს და ძირიანად გაიგოს ის ქვეყანა, რომელსაც ჰქიცხავს.

სალტიკოვმა კარგად იცოდა ბიუროკრატია და თავადაზნაურობა. მიახლოვებითი კარიკატურა კი (ასეთი არის დღეს ჩვენი საბჭოთა კარიკატურა) გავს ტყვიას, რომელიც ერთი თითის დადებით ანდა შეიძლება ერთი ბეწვით შორდება მიზანს, თითქო წერტილში არტყამს, მაგრამ მაინც ცილდება. მაიაკოვსკის სატირა მიახლოვებითია, ჩქარი დაკვირვებას მარტო ხანდისხან თითის ოდენათ, ხან კი ერთ მტკაველზე სცილდება შიზანს. მაიაკოვსკის სერიოზულად ჰგანია, რომ შეიძლება განკუნება „სასაცილოსი“ მატერიიდან და მისი დაკვირვება ფორმამდე. თავის სატირების კრებულის წინასიტყვაობაში ის იძლევა კიდევ „სიცილის სქემას“. თუ ამ „სქემის“ კითხვის დროს რამეგამოიწვევს ღიმილს... ანდა უხერხულობას, ეს მხოლოდ ის, რომ სიცილის სქემა სულ არ არის სასაცილო.

მაგრამ მაინც რომ შეიძლებოდეს უფრო ბედნიერი „სქემის“ მონახვა ვინემ ეს მაიაკოვსკიმ შესძლო, მაშინაც კი არ გაპქრებოდა ეს განსხვავება სიცილისა, რომელსაც

იწვევს მიზანს მოხვედრილი სატირა, იმ სიცილისაეთ, რომელიც გამოწვეულია სიტყვიერ ღიტინით.

მაიაკოვსკი ამაღლდა იმ ბოგემასთან შედარებით, რომელმაც ის წარმოშვა, დიდ შემოქმედებით მიღწევებამდე. მაგრამ ხაზი, რომლითაც ის ავიდა ზევით, არის ინდივიდუალისტური. პოეტი აჯანყებულია ყოფა-ცხოვრების მოწყობის წინააღმდეგ, იმ მორალურ და მატერიალურ დამოკიდებულების წინააღმდეგ, რომელშიც არის ჩაყენებული მისი ცხოვრება და კველაზე უფრო მისი სიყვარული. ის იტანჯება და უთვლის ზიზღს ცხავრების ბატონ - პატრინებს, რომელთაც წაართვეს მას საყვარელი ქალი და ის მაღლდება რევოლიუციის წინასწარმეტყელობამდე, რომელიც თავზე დატყდება იმ საზოგადოებას, რომელიც არ აძლევს გასაქანს მაიაკოვსკის ინდივიდუალობას; ბოლოს და ბოლოს „Облако в штанах“, პოემა განუხორციელებელ სიყვარულისა, არის მხატვრულად ყველაზე უფრო შესანიშნავი, შემოქმედებით ყველაზე უფრო გამბედავი და იმედიანი ნაწარმოები მაიაკოვსკის. მნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი გამძაფრებული ძალით და ფორმალური დამოუკიდებლობით დასწერა 22 — 23 წლის ახალგაზრდამ. მისი „ომი და ზევი“, „მისტერია ბუჭხ“, „150. 000. 000“ გაცილებით უფრო სუსტები არიან, სწორედ იმიტომ, რომ აქ მაიაკოვსკი გამოდის თავის ინდივიდუალურ ორბიტან და სკადილობს თავის თავს მისცეს რევოლიუციის ორბიტის მიმართულება. ჩვენ მხოლოდ უნდა მივიღოთ ეს გამძაფრება პოეტის, რადგან მას სხვა გზა საერთოდ არა აქვს. „ამის შესახებ“ არის დაბრუნება ძველ პირად სიყვარულის თემასთან; მაგრამ ეს „ლრუბლებთან“ შედარებით ნაბიჯია უკან“ და არა წინ. მხოლოდ გაფართოვება ხაზის და გალრმავება მხატვრული წინის იძლევა სწორწონაობას უფრო

დიდ დონეზე, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ შეგნებული გადახვევა არსებითად — საზოგადოებრივ-შემოქმედებით გზისკენ — ძალიან ძნელი საქმეა. მაიაკოვსკის ტეხნიკა ამ წლებში უფრო აილესა, მაგრამ მაინც გაშაბლონდა. „მისტერია ბუჭხ“-სა და „15. 000. 000“ არის მშვენიერ აღგილებთან ერთად მომაკედინებელი გადაერდნები, რომელიც გაესხვალია რიტოჩიკით და სიტყვიერ ეკვილიბრისტიკით.

ის ორგანიულობა და უშუალობა, რომელიც იყო „ლრუბელ“-ში, ის ოხერა თავისი გულიდან უკვე იღარ ვვესმის, „მაიაკოვსკი მეორდება“, ამბობენ ერთნი, „მაიაკოვსკი დაიწრიტა“, უმატებენ მეორენი, „მაიაკოვსკი გახდა სახაზინო“, დასკინან მესამენი.

ასეა ეს განა?

ჩენ არ ვეინდა ავტორდეთ პესიმისტური წინასწარმეტყველებით. მაიაკოვსკი არ არის ყრმა, მაგრამ ის მაინც ახალგაზრდაა. მხოლოდ თვალს ნუ დავხუჭვთ იმაზე, რომ გზა ძნელია. იმ შემოქმედებით უშუალობის წყაროს, თვალივით რომ ამოხეთქილია „ლრუბელ“-ში, აშ ველარ დაიბრუნებს. მაგრამ ამაზე არ არის საჭირო რომ ვიდარდოთ. ახალგაზრდა ნიჭი, რომელიც ამოხეთქავს შადრევანივით, უფრო მომწიფებულ პერიოდში იცყლება ხოლმე ოსტატობით, რომელიც ნიშნავს არა მარტო სიტყვის დაპყრობას, არამედ ფართო ცხოვრების და ისტორიულ მოვლენების გაგებას, ძალთა შექანიქაში ჩახედვას, როგორც კოლექტიურში, ისე პირადში, იდეების ტემპერამენტების და ვნებების ათვისებას. ამ მომწიფებულ ოსტატობასთან უკვე არ შეიძლება საზოგადოებრივ დილეტანტიზმის შეერთება, არც ყვირილი, არც თავის-თავის უპატივცემლობა, მარცხენა ფეხის გენიალობა და სხ. ხა-

ზები და ხერხები ინტელიგენტურ კაფესი (იხილე მაია-კოვსკის აეტობიოგრაფია).

თუ პოეტის კრიზისი, კრიზისი კი უდავოა, ბრძნელ თვალის ახელვით გაიხსნება, რომელმაც იცის როგორც კერძო, ისე საზოგადო, მაშინ ლიტერატურის ისტორიული იტყვის, რომ „მისტერია“ და „150.000.000“ იყვნენ აუ-ცილებელნი ამ გადახვევის და დროებით დამდაბლების დროს შემოქმედების მწვერვალზე ასელისათვის. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ მაიაკოვსკიმ მისცეს საბური მომა-ვალ ისტორიულს, რომ ასე დააფასონ ის მომავალშა.

ხელისა და ფეხის გადატეხის დროს ძვალი, კუნთები, ნერვები და კინის ზედაპირი ერთი ხაზით როდი წყდე-ბიან და მარჩენის დროსაც ერთდაიმავე დროს არ შეიძლება. მათი დაშუშება. რევოლუციის გარდატეხის დროსაც საზოგადოების ცხოვრებაში არ არის ერთდრო-ვობა და სიმეტრიულობა იდეალოგიურ და ეკონომიურ პროცესებს შორის. რევოლუციისთვის აუცილებელი იდეოლოგიური წინაგანსაზღვრანი რევოლუციამდე იქმნე-ბიან, მხოლოდ იდეალოგიური შედეგები გაცილებით გვიან ჩნდებიან. ძალიან არა სერიოზული იქნება, რომ ფორმალურ შედარებათა და ანალოგიების საფუძველზე დავამყაროთ თითქმის ერთი და იგივეობა ფუტურიზმისა და კომუნიზმის და აქედან გამოვიყვანოთ, რომ ფუტუ-რიზმი არის სწორედ პროლეტარული ხელოვნება. ასეთი პრეტენზია უნდა იქნას უკუგდებული, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ფუტურისტების მუშაობის დამცირებას. ჩვენი წარმოდგენით ისინი შედიან აუცილებელ რეოლად ახალი დიდი ლიტერატურის ფორმის მიღების პროცესში. მაგ-რამ მასთან შედარებით ისინი მაინც გამოჩნდებიან მხო-ლოდ მნიშვნელოვან ეპიზოდათ. რომ დავრწმუნდეთ

ამაში — საჭიროა კონკრეტულად და ისტურიულად მივუ-  
ღეთ საკითხს.

ფუტურისტები თავის მხრივ მართალი არიან, როცა  
იმ საყვედლურის გამო, რომ ხალხისთვის მიუწვდომელია  
მათი ნაწერები, უპასუხებენ: მარქსის „კაპიტალი“-ც მიუწ-  
ვდომელია.

რასაკვირველია, მასები კულტურულად და ესთეტი-  
კურად არ არიან მოშადებულნი, და ნელნელა მიდიან წინ.  
მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მიზეზი: ფუტურიზმი ატარებს  
თავის თავში იმ ფორმებს და მხატვრულ ხერხებს, რო-  
მელთაც ამჩნევიათ ნაკვალევი იმ პატარა ქვეყნისა, რო-  
მელშიაც ის დაიბადა და რომლისგანაც თითქმის დღევანდელ  
დღემდე ვერ გამოსულა. ჩამოცლა ფუტურიზმიდან ამ ინ-  
ტიგიგნიტურ ერთარსების ისევე არ შეიძლება, როგორც  
არ შეიძლება ფორმა რომ დაშორდეს შინაარსს. და რომ ეს  
ასე მოხდეს, ამით ფუტურიზმი ისეთ ლრმა გარდაქმნას გა-  
ნიცდიდა, რომ მაშინ ფუტურიზმიც არ იქნებოდა. ეს ასეც  
მოხდება, მხოლოდ არა ხეალ. მაგრამ დღეს შეიძლება და-  
ბეჯითებით ითქვას, რომ ბევრი რამ, რაც არის დღეს ფუ-  
ტურიზმში, მოუტანს სარგებლობას და მიეხმარება ხელოვ-  
ნების აღორძინებას იმ შემთხვევაში, თუ ფუტურიზმი თვი-  
თონ გაიკვლევს გზას, და არ ისურვებს, რომ სახელმწიფომ  
დაამკვიდროს ის დეკრეტებით, როგორც ამას ჰქონდა  
ადგილი რევოლუციის დასაწყისში. ახალმა ფურმებმა  
უნდა გახსნას დამოუკიდებელი მისავალი მუშათა კლასის  
შეგნებულ მოწინავე ფენებში, იმდენად, რამდენადაც ის  
კულტურულად გაიზრდება. თუ გარშემო არ ექნა საჭირო  
ატმოსფერა თანაგრძობისა, ხელოვნებას არ შეუძლიან  
არც განვითარება და არც სიცოცხლე, მეორე გზა კი არ  
არის: — მოსალადნელია პროცესი რომელ ურთიერთ განწ-

ყობილებისა. მეშვიდა კლასის კულტურულ ამაღლებით ისაზრდოვებენ და განიშვნებიან ის ნოვატორები, რომელთაც მართლა აქვთ რაიმე სათქმელი.

ეს პროცესი ყველაზე აღზე გულისხმობს მატერიალურ კულტურის დაგროვებას, ტეხნიკის ამაღლებას და სიკეთეთა გაზრდას.

მეტი გზა აღარ არის.

მართლაც, ხომ არ შეიძლება სერიოზულად ვიფიქროთ, რომ ისტორია ფუტურისტების ნაწერიდან გააკეთებს კანსერვებს და მოუტანს მასას ბევრი წლების შემდეგ, როცა მასა მომწიფდება... ეს ხომ იქნებოდა წმინდა წყლის... პასეიზმი. იმ ჯერ კიდევ არამახლაბელ დროს, როცა კულტურულ-ესთეტიური გაზრდა მშრომელი მასებისა მოსპობს პირდაღებულ უფსეზულს ინტლიგენციასა და ხალხს შორის, ხელოვნებას სულ სხვა სახე ექნება, კინემ მას დღეს აქვს.

მის მომხადებაში ფუტურიზმი ერთ აუკილებელ რგოლად გამოჩნდება და ნუთუ ეს ასე ცოტაა?..

## კომიტის უორმალური სეოლა და მარძ- სიზმი.

თუ მხედველობაში არ მიეიღებთ წინარევოლიუციური იდეურ სისტემების სუსტ გამოძახილს, ერთად ერთი თეორია, რომელიც საბჭოთა ნიადაგზე ამ წლებში თავის თავს უპირისპირებდა მარქსიზმს, არის ხელოვნების ფორმალური თეორია. განსაკუთრებული პარადოქსი იმაშია, რომ რუსული ფორმალიზმი დაუკავშირდა რუსულ ფურურიზმს. და მაშინ, როდესაც უკანასკნელმა ქედი მოიხარა კომუნიზმის წინაშე პალიტიკურად, ფორმალიზმი შეძლების-დაგვარად წინააღმდეგობას უწევს მარქსიზმს თეორეტიულად.

ვიკტორ შელოვსკი — ფუტურიზმის თეორეტიკოსი, იმავე დროს არის ფორმალური სკოლის მეთაური. მისი თეორიით ხელოვნება ყოველთვის იყო დამოუკიდებელი, წმინდა ფორმების შემაჯმედება, და ფუტურიზმა ეს პირველად შეიგნია. ამიტომ ფუტურიზმი არის პირველი ისტორიაში შეგნებული ხელოვნება, ფორმალური სკოლა კი არის ხელოვნების პირველი მეცნიერული სკოლა.

შელოვსკის ძალლინით — ეს არ არის პატარა დამსახურება! — ხელოვნების თეორია, და ნაწილობრივ თვით ხელოვნება აღქიმის მდვრმარეობიდან იქნა აყვანილი ქიმიის ხარისხამდე. ფორმალური სკოლის წინამორბედი ხელოვნების პირველი ქიმიკისი, სხვათა შორის მეცნიერულად

თავში ჩაარტყამს იმჯ უტურისტებს — „შენთამხმებლებს“, რომელნიც ეძებენ ხიდს რევოლიუციისაკენ და ფიქრობენ მის ნახვას ისტორიულ მატერიალიზმის თეორიაში. ეს ხიდი არ არის საჭირო: ფუტურიზმი თავის თავადია.

ჩენ უნდა შევჩერდეთ ფორმალიზმის თეორიაშე ორი მიზეზის გამო. პირველი, თვითონ მის გამო: თუმცა ხელოვნების ფორმალისტური თეორია ზერელია და რეაქციონური, ფორმალისტების კვლევა-ძიებითი მუშაობის ერთი ნაწილი სრულიად სასარგებლოა. მეორე: ფუტურიზმის გამო: თუმცა ფუტურისტების პრეტენზიები ახალი ხელოვნების მონოპოლიურ წარმომადგენლობაშე უსაფუძლოა, ფუტურიზმს ვერ ამოშლი მომავლის ხელოვნების მზადების პროცესიდან.

მაშასადამე, რა არის ფორმალური სკოლა?

იმ სახით, როგორც ის ახლა არის წარმოდგენილი შელოვსკის, უირმუნსკის, იაკობსონის და სხვების მიერ, ის უპირველეს ყოვლისა მეტად თავხედი უდღეურია. ამ სკოლამ გამოაცხადა პოეზიის ძირითად არსად ფორმა, და სთვლის თავის ამოცანად პოეტურ ნაწარმოებთა ეთიმოლ-იგიურ და სინტაქსიურ თვისებების ანალიზს, ხმურანთა და თანხმოვანთა, მარცვლების და ეპიტეტების დათვლას. ეს ნაწილობრივი მუშაობა, რომელსაც ფორმალისტები დაუმსახურებლად უწოდებენ პოეზიის მეცნიერებას და პოეტიკას, უთუთ საჭიროა და სასარგებლოა, თუ გავიგებთ ამ მუშაობის შემადგენელ და მოსამზადებელ ხასიათს. ის შევა, როგორც არსებითი ელემენტი, პოეტურ ისტატობის ტეხნიკაში, მის პრაქტიკულ რეცეპტურაში. როგორც პოეტისათვის და, საზოგადოთ მწერლისათვის, სასარგებლოა, ვთქვათ, შედგენა სინონიმების სირხა. რომ გაამრავლოს მათი რიცხვი და გააფართოვოს თავისი სიტყვი-

ერი კლავიატურა, აგრეთვე სასარგებლოა, პოეტისათვის კი ოუცილებლად საჭიროა, სიტყვის დაფასება არა მარტო მისი შინაგანი აზრით, არამედ მისი აკუსტიკით, ვინაიდან სიტყვა გადაღის აღამიანიდან აღამიანამდე უპირველეს ყოვლისა აკუსტიკურად. ფორმალიზმის მეთოდოლოგიური ხერხები, კანონიერ ფარგლებში მოქცეულნი, ხელს შეუწყობენ ფორმის მხატვრულ და ფსიქოლოგიურ თვისებათა გარევევას (ფორმის კონსტრუქცია, მისი მისწრაფება, კონტრასტობა, ვიპერბოლიზმი და სხვა).

აქედან თავის თავად იხსნება გზა — ერთ-ერთი გზა ხელოვანის მსოფლმხედველობისაკენ და ადეილდება ცალკე ხელოვანის და მთელი მხატვრული ჯგუფის გაგება. რამდენად გვაძეს ჩვენ საქმე დღევანდელ ცოცხალ განვითარებაში მყოფ სკოლასთან, მის გასიჯვების სოციალური ზონდით, მის კლასობრივ ფესვების გამორჩევას ჩვენს გარდამავალი ეპოქის პირობებში აქვს უშუალო გეზის მიმცემი მნიშვნელობა არა მარტო მყითხველებისათვის, არამედ თვით სკოლისათვის, მის შემეცნების, გაწმენდის და თვითმიმარებისათვის.

მაგრამ თვით ფორმალისტები არ უჩივდებიან იმას, რომ მათი მეთოდი დახმარებითი და ტეხნიკური ხასიათისაა, როგორც მაგალითად სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებისათვის, და ან მიქროსკოპი ბიოლოგიისათვის. არა, ისინი მიღიან უფრო შორს: მათთვის სიტყვიერი ხელოვნება სრულიად და უკანასკნელად შემოირკალება სიტყვით, სახეითი — ფერადით. პოემა არის ხმათა შეზავება, სურათი — ფერად წინშელების კომბინაცია, ხელოვნების კანონები ეს სიტყვიერ შეერთებათა და ფერად ნიშნების კომბინაციათა კანონებია. სოციალურ — ფსიქოლოგიური მისელა, რომელიც ერთად ერთი ამართლებს

ჩევნთვის მასალაზე მიკროსკოპიულ და სტატისტიკურ მუშაობას, ფორმალისტებისათვის უკვე აღქიმიაა.

„ხელოვნება მუდამ თავისუფალი იყო ცხოვრებისაგან და მისი ფერი არ იმეორებდა ქალაქის ციხის დროშის ფერს“ (შელოვსკი). „დამყარება გამოოქმაზე, სიტუვიერ მასაზე არის ერთად ერთი არსებითი მომენტი პოეზიისათვის“ (რ. იაკობსონი): „უახლოესი რუსული პოეზია“. „რადგანაც არის ახალი ფორმა, მაშასადამე, უთუოდ არის ახალი შინაარსიც. ფორმა, ამდაგვარად, იწვევს შინაარსს“ (კრუჩიონის). „პოეზია არის თვითლირებულ სიტუის ჩამოყალიბება“, ამბობს ხლებნიკოვი.

მართალია, იტალიელი ფუტურისტები ეძებდენ იარაღს ორთქლმავალის, პროპელერის, ელექტრონის, რადიოს საუკუნის გამოსახვისათვის. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ისინი ეძებდენ ახალ ფორმას ცხოვრების ახალ შინაარსისათვის. მაგრამ გამოჩნდა, რომ „ეს არის რეფორმა რეპუზტაციის, და არა პოეტური სიტუეციის“ (იაკობსონი). სხვა არის რუსული ფუტურიზმი: „ის ბოლომდე ემყარება სიტუვიერ მასას“. მისთვის ფორმისაგან დამოკიდებულია შინაარსი.

მართალია, იაკობსონი იძულებულია სთქვას, რომ „მოელი რიგი ახალ პოეტურ ხერხებისა ანალდებს თავის თავს ურბანიზმში“ (ქალაქის კულტურაში). მაგრამ მისი დასკვნა ასეთია: აქედან არის პაიაკვსკის და ხლებნიკოვის ურბანისტული ლექსები. სხვა სიტუეციით: პოეტს ახალი ფორმა უკარნახა არა ქალაქის კულტურამ, პირიქით, ახალმა ფორმამ, დამოუკიდებლად გაჩენილმა, აიძულა პოეტი მოეძებნა შესაფერისი მასალა და წაიყვანა ის ქალაქისაკენ! „სიტუვიერ მასის“ განვითარება ხდებოდა თავის თავად, დაწყებული „ოდისეიდან“ პოემადმე „ღრუბელი შარვლით“: კვარი, თაფლის სანთელი, ელექტრონის ლამ-

პა აქ არაფერ შუაშია! საჭიროა ამ თვალსაზრისის ფორმულად ჩამოყალიბება, რომ გამოჩნდეს მისი ბავშური უშინაარსობა. მაგრამ იაკობსაონი არ ცხება: ისევ იმ მაიაკოვსეიის ხომ აქვს, ამბობს ის ავანსიდ, ამნაირი ლექსებიც: „დასტოვეთ ქალაქები, ბრიყვო ადამიანებო“, და ფორმალურ სკოლის თეორეტიკოსი მსჯელობს: „ეს რა, ლოლიკური წინააღმდეგობაა? მაგრამ დე სხვებმა მოახვიონ პოეტს აზრები, გამოთქმული მის ნაწარმოებში“. პოეტის გამტყუნება მის იდეებისა და გრძნობებისათვის ისეთივე აბსურდია, როგორც საშუალო საუკუნეების საზოგადოების ყოფაქცევა, რომელიც სკემდა მსახიობებს იუდის როლის შესრულებისათვის“...

უეპელია, რომ ყოველივე ამას სწერდა შეხუთე კლასის ნაჭიერი გიმნაზიელი, იმ მოსაზრებით, რომ „შეასოს კალამი“ სიტყვიერების მასწავლებელს, ცნობილ პედაგტს. კალმის შესობაში ჩეენი გაბედული ნოვატორები მეტად დახელოვნებულნი არიან, მაგრამ მათ არ შეუძლიათ თეორეტიული სისწორით ისარგებლონ თავისი კალამით. ამის დამტკიცება არც ისე ძნელია.

რასაკირველია, ქალაქის შთაგონებანი-ტრამვაი, ელექტრონი, ტელეგრაფი, ავტომობილი, პროპელლერი, ღამის კაფე (განსაკუთრებით ღამის კაფე) — ფუტურიზმია შეითვისა უფრო ადრე, ვიდრე ნახავდა თავის ახალ ფორმას. უბანიზმი (ქალაქის კულტურა) ფუტურიზმის ძარღვებშია გამჯდარი შეუგნებლად, ეპიტეტები, ეთიმოლოგია, სინტაქსისი და ფუტურიზმის რიტმი არის ცდა, რომ ახალი მხატვრული ფორმა მიეცეს ქალაქების ახალ სულს, რომელიც დაეცელა შეგნებას. და თუ მაიაკოვსეი ამბობს: „დასტოვეთ ქალაქები, ბრიყვო ადამიანებო“, ეს არის ქალაქის მცხოვრების ყვირილი, და ეს მცხოვრები ქალა-

ქისა უფრო აჩენს თავის ქალაქურ სახეს მაშინ, როდესაც  
სტოკებს ქალაქს და ოქცევა მოაგარავეთ. საქმე იმაში  
კი არ არის, რომ ბრალდება წარეუდგინოთ პოეტს იმ  
აზრებისათვის, რომელსაც ის გამოსთქვამს. რასაკეირვე-  
ლია, პოეტს პოეტი მხოლოდ იმიტომ ჰქონია, რომ მას  
შეუძლია ეს აზრები და გრძნობები გამოსთქვას. მაგრამ  
ბოლოს და ბოლოს პოეტი თავის სკოლის ენის საშვალე-  
ბით ასრულებს ამოცანებს, რომელნიც მის გარეშე სდგა-  
ნან. და ეს იმ შემთხვევაშიც, თუ ის კმაყოფილდება  
ლიზეკის ვიწრო წრით: პირადი სიყვარულით და პირადი  
სიკვდილით. პოეტურ ფირმის ინდივიდუალური ნაჩრდი-  
ლები, რასაკეირველია, ეთანამებიან პირადულ ხასიათს,  
მაგრამ იმავე დროს არ ეწინააღმდეგებიან ეპიგონობას და  
რუტინას, როგორც გრძნობების დაზღვი, ისე მათი გამო-  
თქმის მეთოდებში. ახალი მხატვრული ფორმა, აღებული  
დიდი ისტორიული მასშტაბით, იბადება როგორც ახალ  
მოთხოვნილებათა შედევი. ჩვენ შეგვიძლია დავრჩეთ ინტი-  
მურ ლირიკის წერტილი და მაინც ვიტუვით: სქესის ფიზიო-  
ლოგიისა და ლექსის შორის სიყვარულის შესახებ არის  
ფსიქიკის გადამცემ მექანიზმების რთული სისტემა, რომელ-  
შიც არის ინდივიდუალური, სოციალური და გვაროვ-  
ნული. გვაროვნული საძირკველი, ადამიანის სექსუალური  
საფუძველი, იცელება ნელი-ნელ. სიყვარულის საზოგადოე-  
ბრივი ფორმები უფრო ჩქარა იცვლებიან. ეს ფორმები  
ახდენენ გავლენას სიყვარულის ფსიქიურ ზედნაშენზე, აჩე-  
ნენ ახალ ნაჩრდილებს და ინტონაციებს, ახალ სულიერ  
წყურებილებს, ახალ ლექსიკონის საჭიროებას და მით უყი-  
ნებენ ახალ მოთხოვნილებებს პოეზიას. პოეტს შეუძლია  
ნახოს მასალა შემოქმედებისათვის თავის სოციალურ  
რეალში, როცა მისი მხატვრული შეგნება იღებს სტი-

მულებს ცხოვრებისაგან. ენა, შეცვლილი და გართულებული ქალაქის პირობებით, აძლევს პოეტს ახალ სიტყვიერ მასალას, ან და უადვილებს მას სიტყვის დაძლევას, რომ მისცეს პოეტური ყალიბი ახალ აზრებს და გრძნობებს, რომელთაც უნდათ განვირონ ბნელი კიდელი შეუგნებელისა. რომ არ ხდებოდეს ცვლილებები ფსიქიკაში, საზოგადოებრივი წრის შეცვლის გამო, არ იქნებოდა მოძრაობა ხელოვნებაში: საზოგადოება თაობიდან თაობამდე დაქმაყოფილდებოდა ბიბლიის და ბერძნების პოეზიით.

მაგრამ მაშინ, — გაცხარებით გვეუბნება ჩვენ ფორმალიზმის ფილოსოფისი, — საკითხი ეხება ახალ ფორმას „რეპორტაჟის, და არა პოეტურ ენის დარგში“? ახ, მომკლა!... თუ გნებავთ, პოეზია რეპორტაჟია, მხოლოდ განსაკუთრებულ დიდი სტილის.

კამათი ტენდენციურ და წმინდა ხელოვნებაზე გასავები იყო ლიბერალთა და ტეტიების მოტრიალეთა შორის ჩვენთვის ეს კამათი ზედმეტია. მატერიალისტური დიალექტიკა ამაზე მაღლა სდგას: მისთვის ხელოვნება ისტურიულ - ობიექტურ თვეაღსაზრისით მუდამ უტილიტარულია და ემსახურება საზოგადოებას: ის ნახულობს ბნელ და ბუნდოვან გუნებისათვის სიტყვების საჭირო რიტმს, უახლოვებს ერთმანეთს აზრსა და გრძნობას, ან და უპირისპირებს მათ ერთმანეთს, ამდიდრებს პიროვნებას და კოლექტივის სულიერ განძს, ამახვილებს გრძნობას, აძლევს მას მეტ მოქნილობას, აფართოვებს აზრის ფარგლებს არა პირადი გზით დაგროვებულ გამოცდილების საშუალებით, ზრდის პიროვნებას, საზოგადოებრივ ჯგუფს, კლასს, ერს. და ეს სრულიად დამოუკიდებლად მისგან,

გამოდის ხელოვნება წმინდა თუ ტენდენციურ ხელოვნების დროშით. ჩვენს რუსულ განვითარებაში საზოგადოებრივი „ნაპტალენჩისტვო“ – წინდაწინ აღებული გენი იყა, ინტელიგენციის დროშა, რომელიც ეძებდა კავშირს ხალხთან. ინტელიგენცია, უძლური, შევიწროებული ცარისმით, მოკლებული კულტურულ წრეს, ეძებდა ქვედა ფენებში დახმარებას და უმტკიცებდა ხალხს, რომ ფიქრობს მხოლოდ მასზე, უყვარს იგი გავიეცით და, როგორც ხალხში მიმავალი ტეტიათა მოტროიალენი მზად არიან უარი სოქვან წმინდა საცელებზე, სავარცხელზე და კბილის ჩოთქზე, ისე ინტელიგენცია თავის ხელოვნებაში მზად არის უარი სოქვას ზედმეტ ფორმაზე იმისათვის, რომ მისცეს უფრო პირდაპირი და უშუალო გამოთქმა ჩაგრულთა იმედებს და ტანჯვას. პირიქით, ბურუუაზისათვის, რომელიც ძლიერდებოდა და იმავე დროს ცდილობდა ინტელიგენცია მასთან ყოფილყო, შესაფერი დროშა იყო „წმინდა ხელოვნება“. მარქსიზმის თეალსაზრისი შორს არის ამ ისტორიულად გასაკებ და ისტორიულადევე გადალახულ მიმართებათაგან. მეცნიერულ კვლევა-ძიების დარგში მარქსიზმი გაბედულად ეძებს ტენდენციურ და „წმინდა“ ხელოვნების სიკიალურ ფესვებს. ის ბრალდებას არ უკენებს პოეტს იმ აზრებისა და გრძნობებისათვის, რომელსაც ის გამოსთქვამს, მაგრამ სვამს უფრო ღრმა სიკითხებს: რომელ გრძნობათა წესს ეკეთვნის მხატვრული ნაწარმოების ესა და ეს ფურმა? რაფორია სოციალური პირობითობა ამ აზრების და გრძნობების? საზოგადოების ისტორიულ სელაში რაფორი ადგილი უჭირავთ მათ? და შემდეგ: როგორია ლიტერატურულ მემკეიდრეობის ელემენტები, რომლებმაც შეიმუშავეს ახალი ფორმა? რომელ ისტორიულ პირობათ გავლენით აზრების და გრძნობის დამატებით განვითარება მიმდინარეობს?

ბების ახალმა კომპლექსებმა გაარღვიეს ის რეალი, რომელიც აშორებს მათ პოეტურ შეგნების სფეროსაგან? კელე-ვა-ძიება შესაძლებელია გართულდეს, მაგრამ მთავარი მისი ღერძი იქნება მსახურის როლი ხელოვნების ახალ პროცესში.

ყოველ კლასს აქვს თავის ცვალებადი, დროის შესაფერი პოლიტიკა, ესე ივი თავისი სისტემა მოთხოვნილების წარდგენისა ხელოვნებისათვის: სასახლეების და გრან-სენიერების მეცენატობა, მოთხოვა-მიწოდების ავტომატიზრი მუშაობა, რომელსაც ემატება ინდივიდუალური ზედგავლენა და სხვა. ხელოვნების პეჩსონალურ და სოციალურ დამუჯიდებულებას არ მაღავდენ, პირიქით, მის შესახებ ხმამალლა ლალადებდენ, სანამ ხელოვნება ინახავდა თავის მეფისკარულ ხასიათს. ბურეუაზის უფრო მასიური და ანონიმური ხასიათი ხელს უწყობდა „წმინდა“ ხელოვნების თეორის განვითარებას. ნაროდნიკულ ინტელიგენციის „ნაპრავლენჩესტვო“ არ იყო თავისუფალი კლასობრივ ეგოიზმისაგან: ხალხის გარეშე ინტელიგენციის არ შეეძლო დაფუძნება და მოპოვება ისტარიულ როლის. მაგრამ კლასობრივ ბრძოლის პირობებში მისი კლასიბრივი ეგოიზმი უკულმა გადაბრუნდა და მიიღო მის მარცხენა ფრთაზე უმაღლეს თეითგამეტების ფორმა. ამიტომ არ მაღავდა ინტელიგენცია და ყაველთვის აღიარებდა თავის მიმართებას, უარს ამბობდა ხელოვნებაში თავის ხელოვნებაზე, ისე, როგორც უარს ამბობდა ბევრ სხვა რამეზე.

ჩვენი მარქსისტული გაგება ხელოვნების სოციალური დამუჯიდებლობის და საზოგადოებრივ უტილიტარობისა პილიტიკის ენაზე სრულიად არ ნიშნავს ხელოვნებაზე გაბატონებას დეკრეტების საშუალებით. არ არის მართალი,

რომ ჩვენთვის ახალია და რევოლუციურია მხოლოდ ის ხელოვნება, რომელიც ლაპარაკობს მუშახე და სისულე-ლეა, თითქოს ჩვენ მოვითხოვთ პოეტისაგან, რომ მან უთუოდ უნდა სწეროს ქარხნის მიღზე და კაპიტალის წინააღმდეგ აჯანყებახე! რასაკეირველია, ახალ ხელოვნებას ორგანიულად არ შეუძლია არ დააყენოს თავისი დაკურვების შეაგულში პროლეტარიატის ბრძოლა! მაგრამ ახალი ხელოვნების გუთანი სრულიად არ არის შემჯრკალული მხოლოდ დანომრილი ხაზებით, — პირიქით, მან უნდა გადახნას ხელახლად მოელი მინდორი. პირად ლირიკის სულ პატარია წრეს აქეს უკეცელი უფლება იარსებოს ახალ ხელოვნების ჩატარებში. ამაზე მეტიც: ახალი ადამიანი ვერ ჩამოყალიბდება ახალ ლირიკის გარეშე. მაგრამ ახალ ლირიკის შექმნისათვის საჭიროა, რომ თვით პოეტმა იგრძნოს ქვეყანა სხვანაირად. თუ მას ეუფლება ქრისტე და საბაო (როგორც ახმატოვას, ცვეტავას და შეაპსაიას), ეს უკვე ამტკიცებს ასეთ ლირიკის სიძველეს, მის საზოგადოებრივ, და მაშასადამე ესტეტიურ უვარგის იბას ახალ ადამიანისათვის: იქაც კი, სადაც ეს ტერმინოლოგია არა იმდენად განცდებშია, რამდენადაც სიტყვიერ ნარჩენში, ის ამტკიცებს, ყოველ შემთხვევაში ფსიქიკის ზანტობას და უკვე ამით ეწინააღმდეგება ახალ ადამიანის შეგნებას. არაენ არ აძლევს პოეტებს თემატიურ ამოცანებს. სწერეთ, რაზედაც გნებათ! მაგრამ ნება მიეცით ახალ კლასს, რომელსაც საუუძვლიანად მიაჩნია, რომ აშენებს ახალ ქვეყანას, გითხრას თქვენ ამა თუ იმ შემთხვევაში: თუ თქვენ დომოსტრიოს მსოფლშეგრძნობა გადაგაქვთ აქმეიზმის ენაზე, ეს არ გხდისთ თქვენ ახალ პოეტებად. მხატვრული ფორმა სულ ხშირად დამოუკიდებელია, მაგრამ ამ ფირმის შემომქმედი, და მაყურებელი, რომელიც

ტებება ამ ფარმით, არიან არა ცარიელი აპარატები ფორმის შექმნისათვის, არამედ ცოცხალი ადამიანები დაწმენდილ ფსიქიკით, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ არა ყოველთვის გარმონიულ მოლიანობას. და ეს ფსიქიკა მათი საციალურად პირობითია. შემოქმედება და მხატვრულ ფორმების შეთვისება — ერთ - ერთი ფუნქციაა ამ ფსიქიკის. და რამდენიც არ უნდა იხეთქონ თავი ფორმალისტებმა, მათი კონცეპცია დამყარებულია იმაზე, რომ გვერდს უვლის საზოგადოებრივ ადამიანის ფსიქიურ მოლიანობას, იმ ადამიანის, რომელიც შემოქმედია და მომხმარებელი.

ვროლეტარიატმა უნდა ნახოს ხელოვნებაში ფორმა იმ ახალ სულიერ წყობისათვის, რომელიც მასში მხოლოდ ახლა ყალიბდება და ხელოვნებამ უნდა ცხადჰყოს ეს ახალი. ეს არის არა სახელმწიფოს შეკვეთა, არამედ ისტორიული კრიტერი. მისი სიძლიერე მის ობიექტიური ისტორიულ ლირებულებაშია. ამ კრიტერიის ვერ აუხვევ გვირდს და მის გავლენას ვერ აიშორებ.

ფორმალური სკოლა თითქო ესწრაფება ობიექტივიზმს. ლიტერატურულ-კრიტიკული უპასუხისმგებლობა მას, არა უსაფუძვლოდ, აშფოთებს, ეს სკოლა ეძებს სწორ ნიშნებს კლასიფიკაციისა და დაფასებისათვის. მაგრამ მისი პორიზონტი ვიწროა, მეთოდები ზერელეა და ამიტომ ის ვარდება ცრუმორწმუნეობაში, რომელიც მსგავსია გრაფოლოგიის და ფრენოლოგიის. ამ „ორ სკოლას“ მიაჩნია თავის ამოცანად ნახოს ობიექტიური ნიშნები ადამიანის ხასიათის განმარტებისათვის: განსაკუთრებული კოპი კეფაზე და წერის თავისებური მანერა. უნდა ვიდიქროთ, რომ კოპი და წერის მანერა დაკავშირებული არიან ადამიანის ხასიათთან, მაგრამ ეს კავშირი არ არის უმუალო და ადამიანის

ხასიათი მით არ განისაზღვრება. შედევი ყალბი ობიექტივიზმისა, რომელიც ემყარება სა კითხის შემთხვევითს, მეორეხარისხოვან ელემენტებს, არის უარესი სუბიქტივიზმი, და ფორმალისტების სენი — სიტუაციის ცრუმორწმუნება. ზედშესრულების დათვლის, სტრიქონების აწონის და რითმების გაზომვის შემდეგ ფორმალისტი ან დადუმდება იმ ადამიანის სახით, რომელმაც არ იცის, რა გააკეთოს, ან და ისვრის მოულოდნელ დასკენას, რომელშიც ფორმალიზმის  $5^{\circ}/_0$ -ი და  $95^{\circ}/_0$  არა კრიტიკულ ინტუიციის.

ფორმალისტებს არ მიჰყავთ თავისი გაგება ხელოვნებისა ლოგიურ დასრულებამდე. თუ ჩვენ შევხედავთ პოეტურ შემოქმედებით პროცესს, როგორც სიტუაცია და ხმათა კომბინაციას და ამ სფეროში გვექნება ძიება პოეზიის, ყველა ამოცანების ასსნისა, „პოეტიკის“ ერთად ერთი დასრულებული ფორმულა იქნება ასეთი: დალის სიტუარით ხელში უნდა შევქმნაო ალგებრაულ კომბინაციების და სიტუაციერ ელემენტების გადალაგებათა საშუალებით უკვე შექმნილი და კიდევ არ შექმნილი პოეტური ნაწარმოები. თუ ვიმსჯელებთ ფორმალურად, „ევგენი ონეგინის“ შექმნა შეიძლება ორი მეთოდით: ან სიტუაციერი ელემენტები უნდა დაუმორჩილდეს წინდაწინ განხრახულ მხატვრულ იდეას (როგორც ეს თვით პუშკინს აქვს), ან და ამოცანა უნდა იქნას შესრულებული ალგებრულად, იმავე „ფორმალურ“ თვალსაზრისით. მეორე გზა უფრო ნამდვილია, რადგანაც არ არის დამოკიდებული გუნებისა, აღმაფრენისა და სხვა ნივთებისაგან და აქვს ის უპირატესობა, რომ გზა „ევგენი ონეგინისაკენ“ იძლევა ურიცხვ ნაწარმოებთა შექმნის შესაძლებლობას. ამისათვის საჭიროა მხოლოდ უსაზღვროება დროში, რომელსაც ეწოდება მარადისობა. მაგრამ რადგან კაცობრიობა შოკლებულია მას,

და მით უშეტეს პოეტები, პოეტურ სიტყვათა შესაბამების ძირითად ზამხარათ ისევ რჩება წინად განშენახული მხატვრული იდეა, გაგებული ძალიან ფართედ: როგორც სწორი აზრი, და როგორც მქეოთად გამოთქმელი გრძნობა, პირადი და სუკიალური, და როგორც ბუნდოვანი განწყობილება. ეს სუბიექტიური შემოქმედებითი მორგვი ისწრაფების მხატვრულ რეალიზაციისაკენ და იღებს საძიებელ ფორმისაგან ახალ გაღიზიანებას და ხანდახან მთლიანად გადადის სრულიად მოულოდნელ გეზზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვიერი ფორმა არ არის პასიური ალბეჭდვა წინად განხრახული მხატვრული იდეის, არამედ აქტიური ელემენტი, რომელიც ახდენს გავლენას თვით იდეურ გეგმაზე. მაგრამ ასეთი აქტიური ურთიერთობა, როდესაც ფორმა ახდენს გავლენას შინაარსზე და საუსტლიანად სცელის მას, — ცნობილია ჩენონთვის საზოგად უბრივ და ბიოლოგიურ ცხოვრების ყველა დარგებში. ეს არ გვაძლევს უფლებას უარი ვთქვათ დარეინიშმზე და მარქსიზმზე და დავამყაროთ „თორმილური სკოლა“ ბიოლოგიაში და სოციოლოგიაში.

ვ. შელოვსკი, რომელიც უდარდელად გადადის ფიზმალიზმის სიტყვიერ ჩქლეთიდან სუბიექტიურ დაფასებაზე, ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერიალი ხელოვნების ისტორიულ-მატერიალისტურ გაგებისა. ბერლინში გამოცემულ წიგნში „ცხენის სკოლა“, ის სამ პატარა გვერდის სივრცეზე—სხარტული თქმა არის ძირითადი და უდავო ლირსება შელოვსკისა — განმარტავს ხუთს (არა ოთხ და ექვს, არამედ ხუთს) არგუმენტს ხელოვნებაზე მატერიალისტურ შეხედულების წინააღმდეგ. გადავავლოთ თვალი ამ მტკიცებებს, რადგან კეშმარიტად არ არის მავნებელი იმისი დანახვა, თუ როგორი ბზე საღდება მეცნიერული აზრის

უკანასკნელ სიტყვად (სხვა და სხვა მეცნიერულ მითითებით იმავე სამ მიკროსკოპიულ გვერდზე). „უზველდლიური ცხოვრება და წარმოებითი ურთიერთობა, — ამბობს შელოვსკი, — რომ ახდენდენ გავლენას ხელოვნებაზე, განა სიუჟეტები არ იქნებოდენ მიმაგრებული იმ ადგილებთან, სადაც ამ ურთიერთობას შეეფერებიან ისინი? სიუჟეტები კი უსახლვარონი არიან“. მაგრამ რას იტყვით ოქვენ პელებზე? დარეინის თანახმად ისინი შეესაბამებიან განსაზღვრულ პირობებს, და იმავე დროს დაფრინავენ ადგილიდან ადგილზე არა ნაკლებ რომელიმე და უტვირთავ ლიტერატორისა.

ძნელი ვასაგებია, თუ რად უნდა აგდებდეს ყმების მდგომარეობაში სიუჟეტებს მარქსიზმი. ის ფაქტი, რომ სხვა და სხვა ერები და სხვა და სხვა კლასები ერთი ერისა საჩვენებლობენ ერთი და იმავე სიუჟეტებით, მოწმობს იმას, რომ ადამიანის ოცნება განსაზღვრულია და რომ ადამიანი ცდილობს ყოველ შემოქმედებაში, და აგრეთვი მხატვრულ შემოქმედებაში გაატაროს ძალთა ეკონომია. ყოველი კლასი ცდილობს გამოიყენოს მეორე კლასის მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა. მტკიცება შელოვსკისა შეიძლება გადატანილ იქნას თვით საწარმოვი ტეხნიკის დარგში. დაწყებული ძველ საუკუნეებიდან ისტორიულ კაციბრიბის ურემს პქანდა ერთი სიუჟეტი: ბორბლები, ლერძი, ხელნა. რომაელ პატრიციუსის ეტლი ისე შეეფერებოდა მის გემოვნებას და მოთხოვნილებებს, როგორც გრაფ თალოვის კარეტა, მოწყობილი შინაგან კომფორტით, შეეფერებოდა ეკატერინეს ფავორიტის გემოვნებას. რუსი მუეკის ურემი იცავს მისი მეურნეობის ინტერესებს და შეესაბამება ცხენის ძალას და სოულის თვისებას. ავტომობილი, რომელიც უდავო შედეგია ახალი

ტეხნიკის, ამჟღავნებს იმავე სიუცეტს — ოთხი ბორბალი ორ ლენდშე. და მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როცა გლეხის ცხენი, შეშინებული, გვერდზე გავაჩდება ავტო-მობილის დამაბრმავებელ პროექტორის ცეცხლისაგან, ამ ეპიზოდში ჩვენ ეხედავთ ორი კულტურის დაჯახებას.

„ყოფა-ცხოვრება რომ იყოს გამოთქმული ნოველებში, — ევროპიულ მეცნიერებას არ ექნება თავი სატეხი იმისათვის, თუ სად — ეგვიპტეში, ინდოეთში, თუ სპარსეთში, და როდის შეიქმნა 1001 ლამის ნოველები“, ასე ლალადებს შეკლოვების წიგნაკის მეორე არგუმენტი. იმისი თქმა, რომ ადამიანის და აგრეთვე ხელოვანის ყოფა-ცხოვრება, ესე იგი მისი აღზრდის და ცხოვრების პირობები ნახულობენ თავის განსახიერებას მის შემოქმედებაში, სრულიად არ ნიშნავს იმის თქმას, რომ ამ განსახიერებას აქვს სწორი გეოგრაფიული, ერთნოვრაფიული, და სტატისტიკური ხასიათი. საკვირველი არ არის, თუ რომელიმე ნოველების მიხედვით ძნელია იმის გაგება, შეიქმნებ ისინი ეგვიპტეში, ინდოეთში, თუ სპარსეთში, ვინაიდან ამ ქვეყნების სოციალურ პირობებში ბევრია საერთო, მაგრამ ის ფაქტი, რომ ევროპიული მეცნიერება დაეინებით არყვევს ამ საკითხებს თვით ნოველების მიხედვით, ამტკიცებს იმას, რომ ეს ნოველები გამოხატავენ ყოფა-ცხოვრებას. არა, პირდაპირ ერავინ გამოეთიშება თავის თავს. თვით შეშლილის ბოდვაში არ არის ისეთი რამ, რაც ავადმყოფს ადრე არ შეეთვისებინოს გარედან. მაგრამ იქნებოდა მეორე სიგივე, რომ ჩვენ ბოდვა მიგველო გარეგნულ ქვეყნის ნამდვილ განსახიერებად. მხოლოდ დაკვირვებული ფსიქიატრი, რომელმაც იცის ავადმყოფის წარსული, მოსძებნის ბოდვის ტექსტში რეალობის დამახინჯებულ ნატეხებს. რასაკვირველია, მხატვრული შემოქმედება არ არის ბოდ-

ვა. მაგრამ ესეც არის შეცვლა, ფერისცვალება რეალობის — ხელოვნების განსაუთრებულ კანონების მიხედვით. როგორი ფანტასტიურიც არ უნდა იყოს ხელოვნება, მის განკარგულებაში არის მხოლოდ ის მასალა, რომელსაც აძლევს მას სამი განხომილობის ქვეყანა და კლასობრივ საზოგადოების უფრო განსაზღვრული სამყარო. მაშინაც კი, როდესაც ხელოვანი ჰქონის ჯოჯოხეთს ან სამოთხეს, ის თავის ფანტასმაგორიებში გარდაქმნის საკუთარი ცხოვრების განცდას, რომელშიც შედის ბინის გადაუხდელი ქირა.

„წოდებრივი და კლასობრივი ხაზები რომ სჩანდენ ხელოვნებაში, განაკრძობს შკლოვსკი, განა შესაძლებელი იქნებოდა, რომ „ველიკოროსული“ ზღაპრები ბატონის შესახებ იგივეა, რაც ზღაპრები ხუცესის შესახებ“.

არსებითად ეს არის გამეორება პირველი მტკიცების. რად არ შეიძლება, რომ ზღაპრები ბატონისა და ხუცესის შესახებ ერთი და იგივე იყოს და რად ეწინააღმდეგება ეს მარქსიზმს? მოწოდებებში, რომელიც იწერება ნამდვილ ჩარქსისტების მიერ, ხშირად არის ლაპარაკი მემამულებზე, კაპიტალისტებზე, ხუცებზე და გენერლებზე. მემამულე უთუოდ განირჩევა კაპიტალისტისაგან, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ისინი ერთი და იგივე არიან. რად არ უნდა გააქრთიანოს დროგამოშეებით ხალხურმა შემოქმედებამ ბატონი და ხუცესი, როგორც გლეხზე ზევით მდგარი და გლეხის მძარცველი წოდებები? მოორის და დენის პლაკატებზე ხუცესი სდგას მემამულის გვერდით — და ეს სრულიად არ არის მავნებელი მარქსიზმისათვის.

„ეტნოგრაფიული ხაზები რომ სჩანდენ ხელოვნებაში, არ ცხრება შკლოვსკი, ზღაპრები მცირე ერების შესახებ არ იქნებოდენ საერთო, ხალხი არ მოჰყვებოდა მათ მეორე მეზობლ ხალხის შესახებ“.

ეს კიდევ უარესი. მარქსიზმი სრულიად არ აღასტურებს ეტნოგრაფიულ ხაზების დამოუკიდებლობას. პირიქით, ის ხაზს უსვამს ბუნებრივ - სამეურნეო პირობების დიდ მნიშვნელობას ფოლკლორის ჩამოყალიბების პროცესში. ერთი და იგივე პირობები მეჯოგე და უფრო კი გლეხურ ხალხების განვითარებისა და ანალოგიური ხასიათი მათი გავლენისა ერთმანეთზე, უთუოდ ჰქმნიან მსგავს ზღაპრებს. იმ კითხვის თვალსაზრისით, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, სულ ერთია, ჩნდებოდენ მონათესავე სიუკეტები დამოუკიდებლად სხა და სხვა ხალხებთან, როგორც ანარეული სინამდვილისა, გლეხური ფანტაზიით შეცვლილი, თუ ზღაპრული თესლები გადაპქონდა თანამგზავრ ქარს ადგილიდან ადგილზე, და ისინი იდგამდენ ძირს იქ, სადაც ნიადაგი ხელს უწყობდა. ალბად, სინამდვილეში, მოქმედებდენ ორივე ეს მეთოდები.

და, უკანასკნელად — „რომ ეს არის მართალი“ — შელოვსკი ამტკიცებს მოტაცების კონკრეტულ სიუკეტით, რომელიც იყო ბერძნულ კომედიაში და ვთალწია ისტროვსკამდე; ესე იგი ჩვენი კრიტიკოსი იმეორებს ისევ იმ პირველ არგუმენტს (როგორც ხედავთ, ჩვენი ფორმალისტი ლოლიკით ვერ არის მაინცდამაინც დაჯილდოვებული). დიახ, სიუკეტები გადადიანხა ლხიდან ხალხამდე, კლასიდან კლასამდე, და ავტორიდან ავტორამდე. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ოცნება იცავს ეკონომიას. ახალი კლასი არ ჰქმნის კულტურას თავიდან, არამედ დაეუფლება წარსულ მიღწევებს. გადაალაგებს მათ ხარისხების მიხედვით და განავრძობს თავის აღმშენებლობას. რომ არ იყოს წარსულ საუკუნეების ნახმარ გარდერობის უტილიზაცია, ისტორიულ პროცესში საერთოდ არ იქნებოდა წინსვლა. თუ ისტროვსკის დრამის სიუკეტმა მოაღწია მისადმი ეგვიპტე-

ლებიდან საბერძნეთის გზით, მაშასადამე, იმ ქალალდმაც, რომელზედაც ოსტრავსკი ანვითარებდა თავის სიუკეტს, მოაღწია მისადმი, როგორც ეგვიპტურ პაპირუსის განვითარებამ, რომელიც წინ უსწრებდა ბერძნულ პერგამენტს. აეილოთ უფრო ახლობელი ანალოგია: ის გარემოება, რომ შეკლოვსკის შევნება დაპყრობილია ბერძნულ სოფისტების კრიტიკულ მეთოდებით, რომელნიც თავის დროის წმინდა ფორმალისტები იყვნენ, სრულიად არ ცვლის იმ ფაქტს, რომ თვით შეკლოვსკი -- არის საინტერესო პროდუქტი განსაზღვრულ სოციალურ წრიუა და დროისა.

მარქსიზმის დამარცხება შეკლოვსკის მიერ ხუთი არგუმენტით ძლიერ მოგვაგონებს ჩვენ იმ წერილებს, რომელნიც ძველად იბეჭდებოდენ უზანალ „მართლმადიდებელ მიმოხილვაში“ დარვინიზმის წინააღმდეგ. მართლი რომ იყოს თეორია ადამიანის წარმოშობისა მაიმუნისაგან, — სწერდა სამოცი წლის წინად ოდესელი ეპისკოპოსი და მეცნიერი ნიკანორი, — ჩვენს ბაბუებს უნდა ჰქონიდათ კუდის ნიშნები, ან და უნდა ახსოვდეთ, რომ ასეთი ნიშნები ჰქონდათ მათ ბაბუებს და ბებიებს. მეარე, როგორც ყველამ იცის, მაიმუნებიდან იბადება მხოლოდ მაიმუნები... მეხუთედ, დარვინიზმი არ არის კეშმარიტი, იმიტომ რომ ეწინააღმდეგება მსოფლიო კრებების დადგენილებებს. სწავლულ ბერის უპირატესობა იმაში იყო, რომ ის იყო გულახდილი „პასეისტი“, და იშველიებდა მოციქულს პავლეს, და არა ფიზიკას, ქიმიას და მათემატიკას, როგორც ამას ჩადის, სხვათა შორის, ფუტურისტი შეკლოვსკი.

უდავოა — რომ ხელოვნების მოთხოვნილება იქმნება არა ეკონომიკური პირობებით. მაგრამ კვების საჭიროებაც არ იქმნება ეკონომიკით. პირიქით, საკვების და სითბოს მოთხოვნილება ჰქმნის ეკონომიკას. სრული სიმართლეა, რომ

განსაკუთრებით შარქსიზმის პრინციპების მიხედვით შეუძლებელია მიღება, ან არ მიღება ხელოვნების ნაწარმოებისა. მხატვრულ შემოქმედების პროდუქტები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ფასდებოდენ მისი საკუთარი კანონების, ესე იგი, ხელოვნების კანონების მიხედვით. მაგრამ მხოლოდ მარქსიზმს შეუძლია იმისი განმარტება, საიდან და რად გაჩნდა ამ ეპოქაში ესა და ეს მიმართება ხელოვნებაში, ესე იგი ვინ და რატომ მოითხოვა ეს, და არა სხვა მხატვრული ფორმები.

ბაეშობა იქნებოდა იმისი ფიქრი, თითქო თვითეული კლასი სავსებით და მთლიანად ჰქმნის თავის ხელოვნებას და, კერძოდ, თითქოს პროლეტარიატს შეუძლია შექმნას ახალი ხელოვნება ჩაჟეტილ მხატვრულ სემინარიების, წრეების, და პროლეტეულტების საშვალებით. საზოგადოთ ისტორიულ აღამიანის შემოქმედება მემკვიდრეობითია. ყოველი ახალი ამომავალი კლასი თავის წინამორბედთა შეჩერებულ დგება. მაგრამ ეს მემკვიდრეობა დიალექტიურია, რომელიც ნახულობს თავის თავს შინაგან ვანგლებათა საშვალებით. იმ მიზეზებს, რომელნიც ვამოისახებიან ახალ მხატვრულ მოთხოვნილებებში, ახალ ლიტერატურულ ფორმებში, ჰქმნის ახალი კლასის ეკონომიკა, და ავრეთვე ახალი კლასის კულტურის ძლიერება და მისი გავლენის და სიმდიდრის ზრდა. მხატვრული შემოქმედება ყოველთვის არის რთული შესხვაფერება ძველ ფორმების ახალ პირობების ნიშნის ქვეშ, რომელნიც მოდიან ხელოვნების გარეშე მდგომ სფეროდან. ამ თვალსაზრისით ხელოვნება—მსახურია. ეს არ არის უხორცო სტიქია, რომელიც თვითონ იკვებას თავს, არამედ საზოგადოებრივ აღამიანის ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია მთელ მის ყოფა-ცხოვრებასთან. მეტად დამახასიათებელია, რომ

შეკროვეს კიმ, რომელსაც დაპყავს ყოველი სოციალური ცრუ-  
მიტრუნეობა აბსურდამდე, გამოაცხადა ხელოვნების სრუ-  
ლი დამოუკიდებლობა სოციალურ წყობილებისაგან ჩვენი  
რესული ისტორიის იმ პერიოდში, როდესაც ხელოვნებამ  
მეტი სიშიშვლით, ვიდრე როდესმე, გამოამეღავნა თავისი  
სულიერი, ყოველდღიური და მატერიალური დამოუკიდე-  
ბულება განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასებისა, ქვე-  
კლასებისა და ჯგუფებისაგან.

მატერიალიზმი არ უარყოფს ფორმალურ მომენტის  
მნიშვნელობას — არც ლოლიკაში, არც უფლებაში, და არც  
ხელოვნებაში. როგორც უფლებრივი სისტემა უნდა დაფას-  
დეს მისი შინაგანი ლოლიკის და სისტორიის ნიხედვით, ისე  
შეიძლება დაფასდეს ხელოვნება ფორმალური მიღწევების  
თვალსაზრისით, რადგანაც მათ ვარეშე არ არის ხელოვ-  
ნება. მაგრამ იურიდიული თეორია, რომელსაც უნდა დაამ-  
ტიკოც უფლების დამოუკიდებლობა სოციალურ პირო-  
ბებისაგან, სრულიად ყალბია. მამოძრავებელი ძალა არის  
ეკონომიკაში, კლასობრივ წინააღმდეგობაში; უფლება აძ-  
ლევს შინაგან შეთანხმებას და ყალიბს ამ მოვლენებს არა  
მათ ინდივიდუალურ ვანცალკევებაში, არამედ მათ ერთი-  
ანობაში, მათ ვანმეორებასა და ხანგრძლივობაში. ახლა  
ჩვენ ვამჩნევთ იშეიათი ვამჭვრეტელობით ისტორიაში,  
როგორ კეთდება ახალი უფლება: არა თვითმპურობელ დე-  
დლუკიის მეთოდებით, არამედ ემპირიული ჭრით და ზომ-  
ვით, რომელნიც ემოზილებიან ახალ გაბატონებულ კლა-  
სის სამეურნეო მოთხოვნილებებს. ლიტერატურა თავისი  
შეთოდებით და ფორმებით, რომელნიც იყარგებიან შო-  
რულ წარსულში და წარმოადგენენ სიტყვიერ ოსტატო-  
ბის დაგროვილ მასალას, აძლევს გამოთქმას თავისი ეპო-  
ქის და თავისი კლასის აზრებს, გრძნობებს, იმედებს და

მსოფლმხედველობას. ამას ვერ გაექცევი. არც არის საჭირო გაქცევა, ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც არ ემსახურება გარდასულ ეპოქას და კლასს, რომელიც უკვე დამარცხებულია.

ფორმალურ ანალიზის შეტოდები აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ისინი არ არიან საქმარისი. შეიძლება აღიტერაციების დათვლა ხალხურ ანდაზებში, შეტაფორების კლასიფიკაცია, გამოანგარიშება ხმოვანების და თანხმოვანების საღიდებელ სიმღერაში, — ყოველივე ეს უცკველად შეგვძენს ხალხური პოეზიის შეტ ცოდნას; მაგრამ თუ არ იცი თესვის პერიოდები და მასთან შეერთებული ცხოვრების ბრუნვა, თუ არ იცი სახნისის როლი და მუეკერია საეკლესიო კალენდარი, ესე იგი თუ არ იცი როდის იწერს ჯვარს გლეხი, და როდის ბადებს გლეხის დედაკაცი; თქვენ გაიგებთ ხალხურ შემოქმედებაში მხოლოდ ფორმას, და არა შინაარსს. არქიტექტურულ-კონსტრუქტიული სქემა კიოლნის საყდრისა მაშინ არის გასაგები, როცა გავზომავთ მის საფუძველს და მის თაღების სიმაღლეს, როცა ჩვენ გავიგებთ მის ხომალდების სამ განზომილობას, მისი კოლონნების სიდიდეს და სხვა. მაგრამ თუ ჩვენ არ ვიცით, რა არის საშუალ-საუკუნეების ქალაქი, რა არის ცენტო და რა არის საშუალ-საუკუნეების კათოლიკური ეკლესია, ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ კიოლნის საყდარს.

წინად მოყვანილი ანალოგია დარეინიზმის ლოთისშეტყველურ უარყოფის მოეჩვენება მკითხველს გარეგნულად და ანეგდოტურად. რასაკვირველია, ესეც არის, მაგრამ აქ არის უფრო ლრმა კავშირი. ჩამოდენიმეთ ნაკითხ მარქსისტს ფორმალიზმის თეორია უთუოდ მოაგონებს ძეელ ფილოსოფიურ მელოდიის გადამლერებას. იურისტები და მორალისტები (მოვიგონოთ გერმანელი შტამლერი და

ჩვენი სუბიექტივისტი მიხაილოვსკი) ამტეიცებდენ, რომ ზნეობა და უფლება თუნდაც იმიტომ ვერ განისაზღვრებიან მეურნეობით, რომ თვით მეურნეობა წარმოუდგენელია იურიდიულ და ეტიურ ნორმების გარეშე. მართალია, მორალის და უფლების უორმალისტები არ მისულან უფლების და ეთიკის სრულ დამოუკიდებლობამდე მეურნეობისაგან; იმათ სჯეროდათ ფაქტორების რთული ურთიერთობა, და ეს ფაქტორები, მოქმედებდენ რა ერთმანეთზე, ინახავდენ დამოუკიდებელ უცნობ ინსტანციების თვისებას. ესთეტიურ ფაქტორის სრული დამოუკიდებლობის დამყარება სოციალურ პირობებზე, შესავალის მსგავსად, არის უკვი სპეციფიური ექსტრავაგანტობა, რომელიც გასავებია სოციალურად: ეს არის განძიდების ეგოისტური მანია, რომელშიც არის დამდგარი ყირამალა ჩვენი სასტიკი სინამდვილე. ამ განსხვავების გამოკლებით ფორმალისტების არგუმენტში რჩება დაავადებული მეთოდოლოგიური იგივეობა იდეალიზმის სხვა ტიპებთან. მატერიალისტისათვის თვით რელიგია, სამართალი, ეთიკა, ესთეტიკა, არიან სოციალურად სხვებთან დაკავშირებულ ადამიანის ფუნქციები და ემოტივულებიან მის სახოგადოებრივ ორგანიზაციის კანონებს. იდეალისტი კი ხედავს ისტორიულ განვითარების არა მთლიან პროცესს, რომელიც წამოაყენებს აუკილებლად საჭირო ორგანოებს და ფუნქციებს, არამედ თვითმპყრობელ საწყისების — რელიგიურ, პოლიტიკურ, იურიდიულ, ესთეტიურ და ეთიურ სუბსტანციების განკვეთას, შეერთებას და ურთიერთობას, რომელნიც თავის სახელწოდებაში ნახულობენ თავის განმარტებას და წარმოშობის ფესვებს. პეგელის დიალექტიური იდეალიზმი თავისებურად სცლის ამ სუბსტანციებს (რომელნიც არიან მარადი კაოგორიები) და უკავშირებს მათ გენეტიურ

მთლიანობას. მიუხედავად იშისა, რომ ეს ერთობი ჰეგელის — ეს იგი აბსოლუტური სული, რომელიც დიალექტიურ განვითარების პროცესში იღებს სხვა და სხვა ფაქტების სახეს, ჰეგელის სისტემა — არა იმიტომ, რომ ის იდეალისტურია, არამედ იმიტომ, რომ ის დიალექტიურია, — იძლევა არა ნაკლებ წარმოდგენას ისტორიულ სინამდვილის შესახებ, ვიდრე გადაბრუნებული ხელთაომანი ადამიანის ხელის შესახებ. რაც შეეხება ფორმალისტებს (მათში ყველაზე უფრო გენიალური კანტია), ისინი იღებენ არა განვითარების დინამიკას, არამედ მის გარდიგარდონ ჭრილს მათი ფილოსოფიური აღმაფრენის დროს. ჭრილზე ისინი ამეღავნებენ თვისი ობიექტის სიჩთავეს და მრავლობას (ობიექტის, და არა პროცესის, რადგან ისინი პროცესებით არ აზროვნებენ). სირთულეს ისინი ანაწევრებენ და კლასიფიკაციას უმორჩილებენ. ელემენტებს ისინი აძლევენ სახელებს, რომელიც იმ წუთშივე იქცევიან არსად, უთესისტომო ქვეაბსოლიუტებად: რელიგია, პოლიტიკა, მორალი, სამართალი, ხელოვნება... აქ არის არა გადაბრუნებული ხელთაომანი ისტორიისა, არამედ თითებიდან აგლეჯილი ტყავი: გამხმარი სრულ აბსტრაქციის ხარისხამდე, ისტორიის ხელი კი არის დიდ, საჩვენებელ, საშუალო და სხვა „ფაქტორების ურთიერთობათა“ შედევგი. ესთეტიური ფაქტორი — ეს არის ნეკი, პატარა, მაგრამ არა ნაკლებ საყვარელი.

ბიოლოგიის დარგში ეიტალიზმი არის ვარიანტი მსოფლიო პროცესის ცალკე მხარეების გაღმერთებისა, ამ პროცესის შინაგან აუცილებლობის გავების გარეშე. ზესოციალურ, უსაწყისო მორალისა და ესთეტიკისათვის, ისე, როგორც ზეფიზიკურ, უსაწყისო ცხოვრების ძალისათვის საკიროა მხოლოდ... ერთადერთი შემომქმედი. დამოუკიდებელ

ფაქტორების სიმრავლე, რომელთაც არა აქვთ თავი და  
ბოლო, არის ნიღაბიანი პოლიტეიზმი. და თუ კანტის  
იდეალიზმი წარმოადგენს ისტორიულ მორიგეობაში ქრის-  
ტიანობის თარგმნას რაციონალისტურ ფილოსოფიის ენა-  
ზე, მეორე მხრით იდეალისტურ ფორმალიზმის ყველა ტო-  
ტები ფარულად ან პირადილად მიისწრაფვიან ლმერთი-  
საკენ, როგორც მიზეზთა მიზეზისაკენ. იდეალისტურ ოლი-  
გარიბიის მრავალ ქვეაბსოლიტებთან შედარებით ერთად  
ერთი და პირადი შემომქმედი წარმოადგენს უკვე წესიერე-  
ბის ელემენტს. ასეთია უფრო ღრმა კავშირი ფორმალი-  
ზმა და ლვითისმეტყველებას შორის, რომელნიც მიმართუ-  
ლი არიან მარქსიზმის და დარეინიზმის წინააღმდეგ.

ფორმალური სკოლა არის იდეალიზმის უდღეური  
ხელოვნების საკითხების განმარტებაში, უორმალისტებს  
აზის ბეჭედი ადრე დამწიფებულ ხუცესობისა. ისინი  
ითანიტები არიან: მათთვის პირველად იყო სიტყვა. ჩვენ-  
თვის კი პირველად იყო საქმე. სიტყვა გაჩნდა მის შემდეგ,  
როგორც მისი ბეჭედითი აჩრდილი.

---

## პროლეტარული კულტურა და პროლეტა- რული ხელოვნება.

ყოველი გაბატონებული კლასი თავის კულტუ-  
რას და მაშინადამე თავის ხელოვნებასაც. ისტორიაში იცის  
მონათმფლობელობის კულტურა აღმოსავლეთისა და კლა-  
სიური სიძველის, ფეოდალური კულტურა ევროპის საშუა-  
ლო საუკუნეთა და ბურუუაზიული კულტურა, რომელიც  
დღეს ფლობს მსოფლიოს. აქედან თითქმის თავის თავად  
გამომდინარეობს, რომ პროლეტარიიატმა უნდა შექმნას  
თავისი კულტურა და თავისი ხელოვნება. მაგრამ საკითხი  
სრულიადაც არ არის ისეთი უბრალო. საზოგადოება,  
რომელშიაც ბატონობდენ მონათმფლობელები, არსებობ-  
და მრავალჯერ მრავალი საუკუნეები.

სწორეთ ასე იყო ფეოდალიზმის დროსაც. ბურუუაზი-  
ული კულტურა, თუნდაც რომ ვიანგარიშოთ მხალოდ  
იქედან, როცა დაიწყო მისი აშენება და ქარიშხლიანი ვა-  
მორკვევა, ე. ი. ალორძინების ეპოქიდან, უკვე ხუთი საუ-  
კუნეა რაც არსებობს და ამასთან უნდა ითქვას, რომ მი-  
სი სრული აყვავება აღწევს არა უადრესს XIX საუკ., უფ-  
რო კი მის მროვე ნახევარს. ახალი კულტურის ჩამოყა-  
ლიბება გაბატონებულ კლასის გარშემო ითხოვს, როგორც  
ამას მოწმობს ისტორია, ძალიან დიდ დროს და აღწევს  
თავის დასრულებას იმ ეპოქაში, რომელიც წინ უსწრობს

ამ კლასის პოლიტიკურ დაცუმას. უბრალოთ რომ ვთქვათ, პროლეტარიატს ეყოფა განა დრო, რომ შექმნას „პროლეტარული“ კულტურა? მონათმფლობელთა, ფეოდალთა და ბურჟუათა რეეიმისაგან იმით განიჩინება პროლეტარიატის რეეიმი, რომ მას თავისი დიქტატურა მიაჩინა მოკლევადიან, გარდამავალ ეპოქად.

თოურა ჩვენ გვინდა გავამტყუნოთ მეტად ოპტიმისტური შეხედულებანი სოციალიზმის ჩქარი განხორციელების შესახებ, ჩვენ მოვაგონებთ, რომ სოციალისტურ რევოლუციის ეპოქა მსოფლიო მასშტაბით უნდა გავრჩელდეს არა თვეები, არამედ წლები და ათეული წლები, მაგრამ არა საუკუნეები და მით უმეტეს არა ათეული საუკუნეები. შეუძლია განა ამ დროის განმავლობაში პროლეტარიატის ახალი კულტურის შექმნა? ამ შემთხვევებაში ეჭვებს უფრო მეტი კანონიერება ეძლევა, რადგან სოციალურ რევოლუციის წლები იქნებიან გააფირებული კლასთა ბრძოლის წლები, სადაც დარღვევა უფრო მეტ ადგილს დაიკავებს, ვინემ ახალი აღმშენებლობა. ყოველ შემთხვევებაში აშკარა, რომ მთავარი ენერგია თეოთონ პროლეტარიატისა იქნეთ იქნება მიმართული, რომ დაიპყრას ძალა-უფლება, შეინარჩუნოს იგი და გამოიყენოს არსებობის გადაუდებელ საჭიროებისა და შემდევი ბრძოლისთვის. თავის კლასობრივ არსების სრულ გამომულავნებას და უმაღლეს ძალის მოქრეფას პროლეტარიატი აღწევს სწორეთ ამ რევოლუციონურ ეპოქის დროს, რომელსაც ასეთ ვიწრო საზღვარში შექცავს გეგმაშეწონილი კულტურული აღმშენებლობის შესაძლებლობა. და წინააღმდევე: ჩაც უფრო სრულად იქნება უზრუნველყოფილი ახალი რეეიმი პოლიტიკურ და სამხედრო გადატეხისგან, რაც უფრო ხელსაყრელი იქნება პირობები კულტურულ შემოქმედებისა-

თვის, მით უფრო გაითქვითება პროლეტარიატი ერთ სოციალისტურ ოჯახში, განთავისუფლდება რა თავის კლასიბრივ თვისებებისაგან: ესე იგი, როცა პროლეტარიატი შეწყვეტს არსებობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: დიქტატურის ეპოქის დროს ახალ კულტურის შექმნის შესახებ, ე. ი. უდიდეს ისტორიულ მასშტაბით აღმშენებლობის შესახებ, არ გვიხდება ლაპარაკი. თუ არა და წარსულში ყველასთან შეუდარებელი კულტურული აღმშენებლობა, რომელიც დადგება, როდესაც არ იქნება აუცილებლობა დიქტატურის რეინის ბრჭყალებისა — კლასიურ ხასიათის მატრებელი არ იქნება.

აქედან საჭიროა გამოყვანა იმ საერთო აზრის, რომ პროლეტარული კულტურა არა თუ არ არის, არამედ არც შეიძლება რომ იყოს. ამის შესახებ ჩვენ რომ ვიდარდოთ: არც ამის საბუთი გვაქვს. პროლეტარიატმა სწორედ იმისთვის აიღო ძალა-უფლება, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბალა მოულოს კლასობრივ კულტურას და გაჰკათოს გზები საკაცობრიო კულტურისათვის.

ჩვენ კი ამას ძალიან ხშირათ ვივიწყებთ.

უნიადაგო ლაპარაკი პროლეტარულ კულტურის შესახებ, ბურჟუაზიულ კულტურასთან ანტიტეზით და ანალოგიით, საზრდოობს მეტად არაკრიტიკულ მეთოდით, როცა ერთმანეთს ამსგავსებს ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ისტორიულ ბედს.

ასეთ უხეშ ლიბერალურ მეთოდს ფორმალურ ისტორიულ ანალოგიებისას არავითარი საერთო არ აქვს მარქსიზმთან. არ არის მატერიალური ანალოგიები ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ისტორიულ ობიექტში.

ბურჟუაზიულ კულტურის განვითარება რამდენიმე საუკუნით ადრე დაიწყო, მანამდე, სანამ ბურჟუაზია რამდე-

ნიმე რეეოლიუციის საშეალებით იიღებდა თავის ხელში სახელმწიფო ძალა-უფლებას. მაშინაც კი, როცა ბურუუაზია იყო ნახევრათ უფლება აყრილი მესამე წოდება, ის თამაშობდა დიდსა და თანდათან უფრო საგრძნობელ როლს კულტურულ აღმშენებლობის ყველა დარგებში. ამას განსაკუთრებული გარკვევით ვამჩნევთ ჩვენ ხუროთმოძლერებაში არა სწრაფად, არა რელიგიურ შთავონების მეხის დაცემით შენდებოდენ გოტიური ტაძრები.

კიოლნის ტაძრის კონსტრუქცია, მისი არქიტექტურა და სკულპტურა შედეგია მთელი კაცობრიობის აღმშენებლობითი გამოცდილებისა, მღვიმეში მცხოვრებ ადამიანიდან დაწყებული, როცა ელემენტები ამ გამოცდილებისა მან შეუერთა ახალ სტილს, რომელიც გაღმოგვცემს თავის ეპოქის კულტურას, ე. ი. უკანასკნელად მის სტრუქტურას და: ტეხნიკას.

ძველი ამქრული და გილდიური წინა ბურუუაზია იყო ფაქტიური ამშენებელი გოტიკისა. როცა განვითარდა და გაძლიერდა, ე. ი. გამდიდრდა ბურუუაზია, უკვე შეგნებულად და აქტიურად გაიარა გოტიკის გზა, ის ჰქმნის თავის საკუთარ არქიტექტურულ სტილს — მაგრამ უკვე არა ტაძრებისთვის — არამედ სახლებისა და სასახლეებისათვის.

ის ემყარება გოტიკის მონაპოვარს, იყურება ანტიურ ქვეყნისკენ, განსაკუთრებით რომის არქიტექტურისკენ, სარგებლობს მავრიტანული არქიტექტურით, ყველაფერს ამას უმორჩილებს ახალი ქალაქის ცხოვრების პირობებს და მოთხოვნილებებს და ჰქმნის რენესანსს (იტალია XV საუკუნის პირველ მეოთხედის ბოლოს). სპეციალისტებს შეუძლიათ დაითვალონ და ითვლიან კიდეც — რენესანსის რომელი ელემენტია აღებული ანტიურიდან, გოტიკიდან და რომელ სტილს ეკუთვნის უპირატესობა.

უოველ შემთხვევაში რენესანსი იწყება არა უადრეს იმ მომენტისა, როცა ახალი საზოგადოებრივი კლასი, უკვე კულტურულად ნოკიერი, თავის თავს საქმაოთ ძლიერად გრძნობს, რომ გამოვიდეს გოტიურ არქის ულლიდან, შეხედოს გოტიკას და იმასაც, რაც მას წინ უსწრობდა, როგორც მასალას, და თავისუფლად დაუმორჩილოს თავის აღმშენებლობით მხატვრულ მიზნებს წარსულის ტენიკური ელემენტები. ეს შეეხება აგრეთვე სხვა დანარჩენ ხელოვნებათ, იმ განსხვავებით, რომ თავის დიდი მოქნილობით, ე. ი. უფრო ნაკლები დამოკიდებულებით უტილიტარულ მიზნებიდან და მასალებიდან „თავისუფალი“ ხელოვნებანი ამჟღვნებენ დაძლევისა და სტილთა მორიგეობის დიალექტიას, არა ასეთი დამაჯერებლობით.

რენესანსისა და რეფორმაციის შორის, რომელთაც ჰქონდათ თავისი ამოცანა: შეექმნათ ბურუუაზისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები იდეურ და პოლიტიკურ არსებობისა ფეოდალურ საზოგადოებაში, და რეფოლიუციის შორის, რომელმაც გადასცა ძალა - უფლება ბურუუაზის (საფრანგეთი), გადის სამი-ოთხი საუკუნე ბურუუაზის მატერიალურ და იდეურ ძლიერების ზრდისა. ეპოქა დიდი საფრანგეთის რეფოლიუციისა და აქედან წარმოშობილ ომებისა დროებით ამდაბლებს კულტურის მატერიალურ დონეს. მაგრამ ამის შემდეგ კაპიტალიზმი მყარდება როგორც „ბუნებრიეე“ და „სამარადისო“...

ამრიგად მთავარი პროცესი ბურუუაზიულ კულტურის ელემენტების შექრეცისა, მათი კრისტალიზაცია სტილში, გამომდინარეობდა ბურუუაზის სოციალურ თვისებებიდან, როგორც შეძლებული და ექსპლოატატორების კლასიდან. ის არა თუ მატერიალურად ვითარდებოდა ფეოდალურ საზოგადოების შიგ, სხვანაირი გადაგრეხით იზიდავდა

რა თავისკენ სიმღიდოებს, არამედ მან თავის მხარეზე გადაიყვანა ონტელიგენცია, შეპქმნა რა თავისი დასაყრდნობელი კულტურული ბაზები (სკოლები, უნივერსიტეტები, აკადემიები, განეთები, უურნალები) ბევრად უფრო ადრე, სანამ ჩადგებოდა მესამე წოდების სათავეში და დაეპატრონებოდა სახელმწიფოს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ გერმანიის ბურჟუაზია, მისი შეუდარებელი ტეხნიკით, ფილოსოფიით, მეცნიერულ და მხატვრულ კულტურით, 1918 წლამდე უტოვებდა ძალა - უფლებას ხელში ფეოდალურ - ბიუროკრატიულ კასტას და გადასწყვიტა, ესე იგი იძულებული გახდა აელო ხელში უშუალოდ ძალა - უფლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მატერიალური ჩინჩხი გერმანიის კულტურისა ნაფორებათ იქცა.

მაგრამ შეიძლება შედავება: მონათფლობელობის კულტურა იქმნებოდა ათასი წლობით, ბურჟუაზიისა საუკუნეებით, რატომ არ შეიძლება რომ პროლეტარული კულტურა ათი წლობით შეიქმნას? ტეხნიკური ცხოვრების საფუძვლები ეხლა სხვაა და ამიტომ ტემპიც სხვანაირი იქნება. ეს პირველ შეხედებით ძალიან დამაჯერებელი შედავებაა, მაგრამ ნამდვილათ კი საკითხის შინაარსს გვერდს უხვევს.

უკველია, რომ ახალი საზოგადოების განვითარებაში დაღვება მომენტი, რომლის შემდეგაც მეურნეობა, კულტურული აღმშენებლობა და ხელოვნება მიიღებენ უდიდეს წინსელის საშუალებას, ამ ტემპის შესახებ ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დღეს ვიოცნებოთ.

საზოგადოებამ, რომელმაც თავიდან მოიცილა დამაჩლუნგებელი და უქმური ფიქრი არსებობის პურზე ფიქრისა; როცა საზოგადო რესტორანები კარგ საღილებს ამზადებენ; ყველას შეუძლია გემრიელი და მარგებელი საჭ-

მელი მიიღოს და ამასთანვე არჩევით; როცა საზოგადო სამრეცხველოები მშვენივრად რეცხავენ საცვლებს — აგრე-  
თვე ყველასათვის; სადაც ბავშები მაძლრები არიან, მხია-  
რული და ჯანმრთელი და თავიდანვე ითვისებენ მეცნიე-  
რების და ხელოვნების ელექტრებს, როგორც კვერცხის  
გულს, ჰაერის ან მხის სითბოს; სადაც ელექტრონი და რა-  
დიო მუშაობენ არა ისე გაჯახირებით, როგორც დღეს,  
არამედ დაულეველ ნიალვრის მოვარდნით ცენტრალურ  
სადგურის ენერგიიდან, რომელიც ემორჩილება გეგმის  
კნაკას სადაცან იქნება „ზედმეტი მვამელი“; სადაც განთა-  
ვისუფლებული ადამიანის ეფოზში — ძლიერი ძალა — მთლია-  
ნათ მიიმართება მსოფლიოს შეგრძნობისაკენ, განახლები-  
საკენ და გაუმჯობესებისაკენ,— ასეთ საზოგადოებაში კულ-  
ტურის განვითარების დინამიკა ისეთი იქნება, რომ  
წარსულში მას ვერაფერი შეედრება. მაგრამ ეს დრო მხო-  
ლოდ თანდათანობით და მაგარი გადატეხის შემდეგ იქ-  
ნება, რომელიც დღეს მოლიანად მხოლოდ მომავალშია.

ჩვენ კი ვლაპარაკობთ სწორედ ამ ულელტეხილის ეპო-  
ქაზე.

ვანა ჩვენი ახლანდელი დრო არ არის დინამიური?

მე ვამბობ, რომ უმაღლეს ხარისხითაც. მაგრამ მისი  
დინამიურობა სჩანს მხოლოდ პოლიტიკაში.

ომიც და რევოლუციაც დინამიური არიან — მაგრამ  
უმთავრესად ტეხნიკის და კულტურის ხარჯზე.

მართალია, ომია გამოიწვია მთელი რიგი ტეხნიკურ  
გამოგონებათა, მაგრამ იმ გაკირვებამ, რომელიც ომისგან-  
ვეა დაბადებული, ძალიან შორს გასწია მათი პრაქტიკული  
გამოყენება, რომელსაც შეეძლება კოფა-კხოვრების  
რეკოლიუციის მოხდენა.

ეს ეხება რადიოს, ავიაციას და კიდევ ბევრ ჭიმიურ აღმოჩნდება.

რევოლუცია თავის მხრივ საფუძველს უყრის ახალ საზოგადოებას, მაგრამ ამას აკეთებს ის ძველი საზოგადოების მეთადებით: კლასობრივ ბრძოლით, ძალადობათ, ხალხის გაწყვეტით, დარღვევით. რომ არ დაწყებულიყო პროლეტარული რევოლუცია, ადამიანობა დაიხრჩია მოდა თავისივე წინააღმდეგობებში.

გადატეხა იხსნის საზოგადოებას და კულტურას, მაგრამ საშინელი ქირურგიის ოპერაციებით. ყველა აქტიური ძალები თავს იყრიან პოლიტიკაში და რევოლუციონურ ბრძოლაში, დანარჩენი გადაიდება და ის, რაც ხელს უშლის, სასტიკადაც ისპობა. ამ პროცესში არის, რასაცირკელია, ხშირი ტალღის მოვარდნა და უკან დახვევაც: სახედრო კომუნიზმს სცელის „ნეპი“, რომელიც კიდევ თავის მხრივ გადის რამდენიმე სტადიას.

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის წარმოებით - კულტურული ორგანიზაცია ახალი საზოგადოებისა, არამედ რევოლუციონურ - მებრძოლი წესრიგი მიხი გამარჯვებისათვის.

ამის დავიწყება არ შეიძლება.

უნდა ვიფიქროთ, მომავლის ისტორიასი ძველი საზოგადოების კულტურული ორგანიზაციას მიაკუთნებს 1914 წლის 2 აგვისტოს, როდესაც გაცოვებული ძლიერება ბურჟუაზიულ კულტურისა მთელ ქვეყანას დაეტაქა იმპერიალისტურ ტოსის სისხლით და ხმალით.

კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისი მიეკუთვნება, ჩვენ გვგონია, 1917 წლის 7 ნოემბერს.

მთავარი ეტაპები კაცობრიობის განვითარებისა, უნდა ვიფიქროთ, ასე დაეწყობა: ისტორიის გარეშე „ისტო-

რია“ პირველყოფილ ადამიანისა, ძველი ისტორია, რომლის მოძრაობა მიღიოდა მონობით, საშუალო საუკუნეების — ბატონიშვილის შრომაზე აშენებული, კაპიტალიზმი, დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციით, და ბოლოს სოციალისტური საზოგადოება, თავის უმტკიცნეულო გადასვლით, უნდა ვითიქროთ, უხელისუფლებო კომუნაზე. ყოველ შემთხვევაში ის 20 - 30 - 50 წლები, რომელთაც დაიკავებს მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია, შევლენ ისტორიაში, როგორც მტკიცნეული გადატეხა ერთი წყობიდან მეორეზე, მაგრამ არა როგორც დამუჯიდებელ პროლეტარულ კულტურის ეპოქა. ეხლა, შესვენების დროს, ჩენჭმი, საბჭოთა რესპუბლიკაში, შესაძლებელია ამის შესახებ ილიუზიების დაბადება.

კულტურის საკითხები ჩენჭმი დასმულია დღის წესრიგში. რომ წარმოვიდგინოთ ჩენჭი დღევანდელი დღის ინტერესები მომავალში, შეიძლება პროლეტარულ კულტურამდე ფიქრით მისვლა. მაგრამ ნამდვილად კი, როგორი ღირსშესანიშნავი და ცხოველიც არ იყოს ჩენჭი კულტუროსნობა, ის მთლიანად სდგას ევროპიულ და მსოფლიო რევოლუციის ნიშნის ქვეშ.

ჩენჭ ძელებურად ჯარისკაცები ვართ ლაშქრობაში, ჩენჭ გაჩერებული ვართ ერთი დღით: უნდა გავიჩეცხოთ პერანგი, თმა გავიკრიჭოთ და დაეიცარტხნოთ და უპირველეს ყოვლისა გავწმინდოთ, გავასუფთავოთ ვინტოვკა.

მთელი ჩენჭი დღევანდელი სამეც ბნეო-კულტურული მუშაობა არის რამოდენიმედ წესრიგში მოყვანა საკუთარ თავისა თუ ომისა და ახალი ლაშქრობის შუა, მთავარი ომები კიდევ მომავალშია და შეიძლება არც ისე შორს იყოს ეს დრო. ჩენჭი ეპოქა არ არის ჯერ ახალი კულტურის ეპოქა, არამედ მხოლოდ შესავალია ამ კულტურისა.

ჩვენ, პირველ ყოვლისა, გვპირია სახელმწიფო ბრივად და ყეუფლოთ ძველი კულტურის უმთავრეს ელემენტს, იმდენად მაინც, რომ შეგვეძლოს გზის გაკაფვა ახლისკენ.

ეს ნათელი შეიქმნება, თუ ამოცანას ჩვენ ავიღებთ, როგორც ეს საჭიროა ინტერნაციონალურ მასშტაბით.

პროლეტარიატი, როგორც იყო, ისე დარჩა ლატაკ კლასად. სწორეთ ამით დაედვა ძალიან ვიწრო ზღვარი, რომ ის ზიარებულიყო ბურჟუაზიულ კულტურის ელემენტებს, რომელიც სამუდამოთ შესული არიან კაცობრიობის ინვენტარში. ერთნაირი აზრით შეიძლება თქმა, პროლეტარიატს, ყოველ შემთხვევაში, ევროპაში, პქონდა თავისი რეფორმაციის ეპოქა, მომეტებულად XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ის ჯერ არ აპირებდა უშუალოდ ხელში ჩაეგდო სახელმწიფო ძალა-უფლება, მაგრამ მაინც მასწრო ხელში ეგდი უფრო ხელსაყრელი პირობები განვითარებისა ბურჟუაზიულ რეფომის დროს, მაგრამ პირველ ყოვლისა ამ „რეფორმაციის“ ეპოქისთვის (პარლამენტარიზმი და სოციალური რეფორმები), რომელიც მიეკუთნება II ინტერნაციონალის პერიოდს, ისტორიაში მუშათა კლასს მისცა იმდენი ათეული წლები, რამდენიც ბურჟუაზიას—საუკუნეები.

მეორეთ, პროლეტარიატი ამ მოსამხადებელ ხანაში სრულიად არ გამხდარა უფრო მდიდარ კლასად, თავის ხელში არ იქნებდა მატერიალურ ძლიერებას, პირიქით, სოციალ-კულტურულ თვალსაზრისით ის უფრო და უცრი გალატაკებული რჩებოდა.

ბურჟუაზია მივიდა ძალა-უფლებასთან შეიარაღებული თავის დროის მთელი კულტურით, პროლეტარიატი კი მიდის ძალა-უფლებასთან შეიარაღებული სურვილით ამ კულტურის დაფლობისა. პროლეტარიატის ამოცანაა, რო-

ცა მან ხელთ იგდო ძალა-უფლება, ხელში აიღოს კულტურის აპარატი, რომელიც მას არ ემსახურებოდა წინადა, მრეწველობა, სკოლები, გამომცემლობა, პრესა, თეატრები, ამის საშუალებით გაიხსნას გზა კულტურისაკენ. ჩვენში, რუსეთში, ამ ამოცანას უფრო აძნელებს სილატაკე მთელი ჩვენი კულტურულ ტრადიციებისა და მატერიალური განადგურება, რომელიც უკანასკნელი ათი წლის შედეგია.

ძალა - უფლების დაპყრობის შემდეგ, თითქმის ექვსი წლის ბრძოლის შემდეგ მისი შენახვისთვის და დამკვიდრებისთვის, პროლეტარიატი იძულებულია მთელი თავისი ძალანები მოახმაროს, რომ შექმნის ელემენტარული მატერიალური საშუალება არსებობისათვის და საკუთარ ზიარებისთვის კულტურის ანბანთან, ანბანთან ამ სიტუაცის მართვა ანბანურ აზრის მიზნენებით. ამიტომ არის, რომ ჩვენ დაკისახეთ ამოცანათ შემოვილოთ საყოველოთ წერაკითხვის კოდნა საბჭოთა ძალა-უფლების ათი წლის საიუბილეოთ.

შეიძლება ვინმემ მიპასუხოს, რომ მე ვითომ პროლეტარულ კულტურას ძალიან ფართოდ ვიღებ. სრული და გაშლილი პროლეტარიატის კულტურა ნამდვილად არ იქნება, მაგრამ მაინც მუშათა კლასი, სანამ ვაითქვიფებოდეს კომუნისტურ საზოგადოებაში, მთასწრებს მაინც თავისი ბეჭედი დასევას კულტურას, ასეთნაირი პასუხი ყველაზე უფრო უნდა იქნას აზიცხული, როგორც სერიოზული ვადახვევა პროლეტარულ კულტურის პოზიციიდან.

პროლეტარიატი თავის დიქტატურის დროს რომ დააჩნევს თავის დალს კულტურას, ეს უდავო საკითხია.

მაგრამ აქედან ძალიან შორს არის პროლეტარული კულტურა, თუ იმას გავიგებთ ჩვენ, როგორც კოდნის გაშლილ და შინაგნათ შეთანხმებულ სისტემას მატერიალურ და სულიერ შემოქმედების დარგში.

მარტო ის, რომ ათეული მილიონები ადამიანებისა პირველად ისწავლიან წერაკითხვის ხელოვნებას და არით-მეტიყის ოთხ წესს, ეს თავის თავად იქნება ახლი კულ-ტურული ფაქტი და ამასთან უზარმაზარიც. ახალი კულ-ტურა ხომ თავის არსებით იქნება არა არისტოკრატიული, არა პრივილეგიებით მოსილ უმცირესობისათვის, არამედ მასიური, ხალხური და საერთო.

რიცხვი აქაც გადავა თვისებაში, კულტურის მასიუ-რობით ზრდის შემდეგ მისი დონეც ამაღლდება და მისი სახეც სრულებით გამოიცვლება, მაგრამ ეს პროცესი გაიშლება რამდენიმე ისტორიულ ეტაპად.

მის გამარჯვების მიხედვით და ზომით თანდათან დასუსტდება კლასობრივი კავშირი პროლეტარიატისა და მაშასადამე გაქრება ნიადაგიც პროლეტარულ კულტური-სათვის.

მაგრამ კლასის ზედა ფენები? მისი იდეური ავან-გარდი?

განა არ შეიძლება ითქვას, რომ, ამ თუმცა ვიწრო წრეში, დღეს მაინც ხდება განვითარება პროლეტარულ კულტურისა?

განა ჩვენ არ გვაქვს სოციალისტური აკადემია? წითე-ლი პროფესორები? ასეთი საკითხის განკუნებული დასმით სკოდავენ ზოგიერთები.

საქმე ასე ესმით, თითქოს პროლეტარულ კულტურის შექმნა შეიძლებადეს ლაბარატორულ გზით.

ნიმდევილად კი მთავარ ფენს კულტურისას ქმნიან ურთიერთი განშეყობილება და ურთიერთი მოქმედება ინტელიგენციისა და კლასისა.

ბურჟუაზიული კულტური ტეხნიკური, ფილოსოფიური, მხატვრული იქმნებადა ბურჟუაზიისა და მის გამომგონე-

ბელთა, ბელადების, მოაზროვნეთა და პოეტების საერთო მოქმედებით; მყითხველი ქმნიდა მწერალს და მწერალი მყითხველს.

უფრო მეტად საჭიროა ამის თქმა პროლეტარიატის-თვის, რადგან მისი პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა შეიძლება აშენდეს მხოლოდ მასათა თვითმიმდევრების შემოქმედებით.

მთავარი ამოცანა პროლეტარულ ინტელიგენციისთვის უახლოეს წლებში არის არა აბსტრაქტული ახალი კულტურისა, მის ჯერ-ჯერობით არ არსებულ საძირკველზე არამედ კონკრეტული კულტურისნობა: ე. ი. სისტემატიური, მიზანშეწონილი და, რასაკეირველია, ერიტრიული შეთვისება ჩამოჩენილ მასების მიერ იმ უსაჭიროესი კულტურის ელემენტებისა, რომელიც უკვე არსებობს.

არ შეიძლება შეიქნას კლასობრივი კულტურა, თეითონ, კლასის ზურგს უკან. არამედ უნდა შეიქმნას ის კლასთან ერთად; მჭიდრო შესაბამებით მის საერთო ისტორიულ აღგზნებასთან. ამისთვის კი საჭიროა... აშენება სოციალიზმისა თუნდაც შავად... ამ გზაზე კლასობრივი თვისებები საზოგადოებისა კი არ გაძლიერდებიან, პირიქით, გაუქმდებიან, და ეს იქნება პირდაპირ დაკავშირებული რევოლუციის გამარჯვებასთან. გამათავისუფლებელი აზრი პროლეტარიატის დიქტატურისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს უკლასო საზოგადოებისა და სოლიდარობაზე დაფუძნებული კულტურისათვის გზის გაწმენდისა და საძირკვლის ჩაყრის დროებითს, ხანმოკლე საშუალებას.

რომ უფრო კონკრეტულად ავხსნათ აზრი კულტუროსნულ პერიოდის შესახებ მუშათა კლასის განვითარებაში,

ავილოთ ისტორიული მორიგეობა არა კლასებისა, არამედ თაობათა.

მათი შემცვიდრეობა გამოიხატება იმაში, რომ ყოველი თაობა განვითარებისა და არა დაცემის დროს — უმატებს თავის წვლილს კულტურის წინანდელ დაგროვებას.

მაგრამ, სანამდე ამას გააკეთებდეს; ახალი თაობა გადის მოწაფეობის სტაქს, ის ითვისებს ნალდ კულტურას და თავისებურად ინელებს მას, ასე თუ ისე განსხვავებით უტეროს თაობისგან.

ეს შეთვისება არ არის კიდევ შემოქმედება, ე. ი. შექმნა ახალ კულტურულ ლიტებულებათა, არამედ მისი შესაძლებლობის გარანტია. ეს ითქმის • აგრეთვე ისტორიულ შემოქმედებისთვის ამდგარ შშრომელთა მასების ბედის შესახებაც, მხოლოდ უნდა დაფუძნოთ, რომ, სანამ პროლეტარიატი გამოიიდოდეს კულტურულ მოწაფეობის სტადიოდან — ის უკვე არ იარსებებს, როგორც პროლეტარიატი.

ვიმეორებთ ერთხელ კიდევ, რომ მხოლოდ თავის კულტურულ მოწაფეობით მესამე წოდების ბურჟუაზიის ზედა ფენები გამოიიდენ ფერდალურ საზოგადობის ზედა სახურავიდან. მხოლოდ მის წინაღმი წაეხარდა ის ძელ მპყრობელ წოდებას და შეიქმნა კულტურის მამიჩნავებელი მანამდე, სანამ დაიპყრობდა ძალაუფლებას. პროლეტარიატის და განსაკუთრებით რუსულ პროლეტარიატის მიმართ ეს საქმე სწორედ უკულმა იწყება. ის იძულებულია აიღოს ძალაუფლება, სანამ შეითვისებდეს ბურჟუაზიულ კულტურის ძირითად ელემენტებს. ის იძულებულია გადააყირაოს ბურჟუაზიული საზოგადოება რევოლუციონურ ძალადობით, რადგან ის არ აძლევს ნებას დაეწაფოს კულტურას.

თავის სახელმწიფოებრივი აპარატი მუშათა კლასს უნდა გადააქციოს ძალად, რომ დააქმაყოფილოს კულტურულ ცხოვრების წყურვილი მუშათა კლასებისა. ეს არის გაუზიმელი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა. მაგრამ აქ არ არი შექმნა განსაკუთრებულ პროლეტარულ კულტურისა, თუ არ ვითამაშებთ იოლი სიტყვებით. „პროლეტარულ კულტურისა“ და „პროლეტარულ ხელოვნების“ და სხვა სახელით, სამ შემთხვევაში, მაგალითად, ათი არა-კრიტიკულიდან გვეჩვენება ჩვენ კულტურა და ხელოვნება მომავალ კომუნისტურ საზოგადოებისა, ორ შემთხვევაში ათიდან — ფაქტები, როცა ცალკე ჯგუფები პროლეტარიატისა ითვისებენ ცალკე წინა პროლეტარულ კულტურის ელემენტებს და უკანასკნელ ხუთ შემთხვევაში იმ ათიდან — შერევაა მცნებათა, რომელშიაც სრულებით ვერაფერს გაივებ.

აი ერთი ახალი მაგალითი, ერთი ას შემთხვევიდან, აშეარა არა საფუძვლიანი, არა კრიტიკული და საშიშარი სარგებლობისა „პროლეტარული კულტური“-ს ტერმინით: „ეკონომიკური ბაზისი და მისი შესაფერი ზედნაშენების სისტემა, ამბობს ამს. სიზოვი<sup>1</sup>), შეადგენენ ეპოქის კულტურულ დახასიათებას (ფეოდალური, ბურჟუაზიული, პროლეტარული)“.

ასე რომ აქ პროლეტარული კულტურა იმავე პლანითაა აღებული, როგორც ბურჟუაზიული, მაგრამ ის, რა-საც აქ ეწოდება პროლეტარული კულტურა, არის მხოლოდ მოქალე გადასცლა ერთ საზოგად იებრივ კულტურულ სისტემისა მეორეში, კაპიტალიზმისა სოციალიზმში.

<sup>1)</sup> გრდემლი“, წიგნი 1, წერილი „პროლეტარიატი და მეცნიერება“, გვ. 90.

ბურუუაზიულ რეფიმის დამყარებას წინ უძლოდა თავისი ვარდამავალი ხანა, მაგრამ ბურუუაზიულ რევოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც არა უშედევოთ ესწრაფებოდა ბურუუაზიულ ბატონობის უკვდავყოფას, პროლეტარულ რევოლიუციას აქვს თავისი მიზანი უქნას ლიკვიდაცია პროლეტარიატს, როგორც კლასს, და ამასთან, რაც შეიძლება მოკლე ხანში.

ამ ვადის გაგრძელება უშეალოთ დამოკიდებულია რევოლიუციის გამარჯვებიდან.

განა არ არის საშინელი ამის დავიწყება და პროლეტარულ კულტურული ეპოქის დაუნება ერთ რიგში ფეოდალურ და ბურუუაზიულთან?.. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ასე გამოდის, რომ ჩვენ არც პროლეტარული მეცნიერება გვქონია?..

განა არ შეგვიძლია ჩვენ ვსთქვათ, რომ ისტორიული ჰატერიალიზმის თეორია და მარქსის პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკა წარმოადგენენ დაუფასებელ მეცნიერულ ელემენტებს პროლეტარულ კულტურისას?

რასაკეირველია, მნიშვნელობა ისტორიულ მატერიალიზმისა და შრომის თეორიისა ლიტებულებაზე გაუზომელია, როგორც პროლეტარიატის კლასობრივად შეიარაღებისათვის, ისე საერთოდ მეცნიერებისათვის.

მარტო ერთ „კომუნისტურ მანიფესტ“ -ში მეტია კეშმარიტი მეცნიერება, ვინემ მოელ ბიბლიოთეკაში ისტორიულ და ისტორიულ -ფილოსოფიურ პროფესორულ კომპილიაციებში, სპეცულიაციებში და ფალსიფიკაციებში. მაგრამ თუ შეიძლება ითქვას, რომ მარქსიზმი პროლეტარულ კულტურის პროდუქტია? მაგრამ თუ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ნამდვილად ვსარგებლობთ მარქსიზმით

არა მარტო პოლატიკურ - მებრძოლ, მაგრამ ფართო მეცნიერულ ამოცანებისთვის?

მარქსი და ენგლესი გამოვიდენ წვრილბურეუაზიულ დემოკრატიის რიგებიდან და იზრდებოდენ, რასაკვირველია, ბურეუაზიულ და არა პროლეტარულ კულტურაზე. რომ არ ყოფილიყო მუშათა ქლასი მისი გაფიცვებით, ბრძოლით, ტანჯვით და ამბოხებით, რასაკვირველია, არც მეცნიერული კომუნიზმი იქნებოდა, რადგან იგი არ იქნებოდა ისტორიულ საჭირო. მისი თეორია აღმოცენდა მთლიანად ბურეუაზიულ მეცნიერულ და პოლიტიკურ კულტურის ნიადაგზე, თუმცა უკანასკნელს გამოუცხადა სასიკვდილო ბრძოლა.

შემაერთებელი ახრი ბურეუაზიულ დემოკრატიისა მის ყველაზე უფრო გამბედავ, პატიოსან და შორსმჭერეტელ წარმომადგენელთა სახით, იქმნება კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გავლენით — გენიალურ თვითუარყოფით, რომელიც შეიარაღებულია კრიტიკულ არსენალით, რომელიც მომზადებულია ბურეუაზიულ მეცნიერების განვითარებით.

ასეთია მარქსიზმის წარმოშობა.

პროლეტარიატმა ნახა მარქსიზმში თავისი მეთოდი არა იმ წამსვე, და დღევანდელ დღემდე კიდევ არა სრულად. ეს მეთოდი დღემდე გამოყენებულია მხოლოდ პოლიტიკურ მიზნებისთვის.

მეთოდოლოგიური განვითარება დიალექტიურ მატერიალიზმისა ჯერ კიდევ წინ არის. მხოლოთ სოციალისტურ საზოგადოებაში მარქსიზმი ცალმხრივ პოლიტიკურ ბრძოლის იარაღიდან იქცევა მეცნიერულ შემოქმედების მეთოდათ და სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტად და ინსტრუმენტად.

მეცნიერება რომ ცოტათ თუ ბევრად აჩენს გაბატონებულ კლასის ტენდენციებს — ეს უდავოა.

რაც უფრო მჭიდროთ უახლოედება მეცნიერება მოქმედებით ამოცანებს ბუნების დაპყრობისას (ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება საერთოდ), მით უფრო მეტია მისი კლასის გარეშე საერთო კაცობრიული წვლილი. რაც უფრო ღრმათ არის დაკავშირებული მეცნიერება სოციალურ მექანიკასთან, რომელიც ემსახურება ექსპლოატაციას (პოლიტიკური ეკონომიკა), ან და რაც განკუნებულად მოვციობრობს ადამიანის მთელ გამოცდილებაზე (ფსიქოლოგია არა ექსპერიმენტალურ - ფიზიოლოგიური, არამედ ეგრედწოდებული „ფილოსოფიური“ აზრით), მით უფრო ემორჩილება ის ბურუჟაზიულ კლასიურ ანგარებას, და მით უფრო ცოტა მისი წვლილი კაცობრიობის ცოდნათა საერთო ჯამში. ექსპერიმენტალურ მეცნიერებათა სფეროშიც არსებობენ თავის მხრივ სხვადასხვა სართულები მეცნიერულ კეთილსინდისიერებისა და ობიექტიკობისა საერთო გამაერთიანებელ აზრის მიხედვით. როგორც საერთო წესია, ბურუჟაზიული ტენდენციები უფრო თავისუფლად ქანდაკდებიან მეთოდოლოგიურ ფილოსოფიის მთათა სფეროებში, „მსოფლმხედველობისაც“. ამიტომ საჭიროა გაწმენდა მეცნიერულ შენობისა ქვევიდან — ზევითამდე, რაღაც დაწყება ყოველთვის საჭიროა ზედა სართულებილან.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნება გვეფიქრა, რომ პროლეტარიატი, სანამ მოიხმარდა ბურუჟაზიიდან მემკვიდრეობით მიღებულ მეცნიერებას სოციალისტურ აღმშენებლობისთვის, მოყალეა ის მთლიანად გადაიმუშაოს კრიტიკულად. ეს თითქმის იგივე იქნება, რომ ვსოდეთ მორალისტებსა და უტოპისტებთან ერთად: სანამ ახალ საზოგა-

დოებას ააშენებდეს, პროლეტარიატი უნდა ამაღლდეს კომუნისტურ საზოგადოების მორალამდე.

ნამდვილად კი პროლეტარიატი რადიკალურად შესცვლის მორალს ისე, როგორც მეცნიერებას, მის შემდეგ, რაც, თუნდა შავად, ააშენებს ახალ საზოგადოებას.

მაგრამ ხომ არ ვვარდებით ჩვენ მოჯადოებულ წრეში?

როგორ უნდა აშენდეს ახალი საზოგადოება ტველი მეცნიერებისა და მორალის საშუალებით? აქ საჭიროა ცოტა დიალექტიკის შეყვანა საქმეში, იმ დიალექტიკის, რომელსაც ეხლა უკეონომიოთ გვჩრიან ლირიკულ პოეზიაში და კანცელიარიის საქმის წარმოებაში, და რძის ფაფაში.

ცნობილი დასაყრდნობი პუნქტები, ცნობილი მეცნიერული მეთოდები, რომელნიც ანთავისუფლებენ შეგნებას ბურჟუაზიის იდეურ ულლიდან, პროლეტარიატის ავანგარდისთვის საჭიროა თვითონ მუშაობის დაწყებისთვის. პროლეტარიატი მათ თანდათან იხვევავს, ზოგჯერ კიდევ მოიხვევა. მისი მთავარი მეთოდი მან გამოსცადა ბევრ ბრძოლაში და ბევრ სხვადასხვა ადგილას. მაგრამ აქედან ძალიან შორსაა პროლეტარულ მეცნიერებამდე. რევოლუციონური კლასი არ სწყვეტს თავის ბრძოლის მსელელობას იმის გამო, რომ მის პარტიას არ გადაუწყვეტია მიიღოს თუ არა პიპოთები ელექტრონების და ონების, ფსიხოანალიტიური თეორია ფრეიდის, პოშოგნეზისი ბიოლოგებისა ან და ახალი მათემატიკური ალმაჩენანი შეფარდებისა. მართალია, ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ პროლეტარიატი იღებს უფრო მეტ შესაძლებლობას დაიპყროს მეცნიერება და გადასინჯოს ის, მაგრამ ზღაპარი უფრო მაღლ ითქმება, ვინემ საქმე კეთდება.

პროლეტარიატი სრულიადაც არ გადადებს თავის ალ-მშენებლობას იმ დრომდე, სანამ ახალი მეცნიერები წა-მოიზრდებიან, რომელთა უმრავლესობა ჯერ მოკლე ნიფ-ხვებში დარბიან, არამედ შეამოწმებს და გასწმენდს ყვე-ლა ინსტრუმენტებს და შეგნების არხებს. ის შორს გა-დაისრეის იმას, რაც არ იქნება საჭირო, რაც ტყუილია, რეაქციონური. პროლეტარიატი სარგებლობს თავის ალ-მშენებლობის სხვადასხეა სფეროებში ახლანდელ მეც-ნიერების მეთოდებით და დასკვნებით, იღებს რა იმათ აუცილებლობის მიხედვით, თუმცა იცის მასში დაფარული პროცენტები რეაქციონურ-კლასიური ლიგატურისა.

პრაქტიკული შედეგი საერთოდ და მთლიანად აჩართლებს თავის თავს, რადგან სოციალისტურ მიზნის კონტროლ ქვეშ დაყენებული პრაქტიკა თანდათან გაუ-შევს კონტროლს და გადააზრევს თეორიას, მის მეთო-დებს და დასკვნებს.

იმ დროში კიდევც წამოიზრდებიან მეცნიერები, რო-მელნიც გაიზრდებიან ახალ პირობებში, ყოველ შემთხვევ-ვაში პროლეტარიატმა უნდა შესძლოს იყვანოს თავის სოციალისტური აღმშენებლობა საქაო სიმაღლემდე, ე. ი. საზოგადოების ნამდვილ მატერიალურ უზრუნველყოფამ-დე და კულტურულ გაელენთამდე, სანამ გაყვანილი იქნება გენერალური გაწმენდა მეცნიერებისა ზევიდან ქვევითამდე.

ამით მე არ მინდა ვთქვა რამე საწინააღმდეგოთ იმ მარქსისტულ კრიტიკულ მუშაობისა, რომელიც გაპყავთ ან ცდილობენ გაიყვანონ, ჯგუფური ან და სემინარიული გზით სხვადასხეა დარგებში. ეს მუშაობა საჭიროა და ნაყოფიერი.

საჭიროა მისი ყოველმხრივ გაფართოვება და გაღრმა-ვება. მაგრამ საჭიროა შენახვა მარქსისტულ თეალთახედ-

ვისა სხვადასხვა გამოცდილებათა დღევანდველ ხვედრითი წონის ანგარიშში აღების დროს და იმ ჩვენი ისტორიული მუშაობის საერთო მასშტაბით ცდისა; გამორიცხულია განა შესაძლებლობა, რომ პროლეტარიატის რიგებიდან თვითონ რევოლუციონურ დიქტატურის პერიოდში გამოჩდენ გამოჩენილი მეცნიერები, გამომგონებელნი, დრამატურგები და პოეტები? რასაკირველია, სრულიადაც არ არის გამორიცხული. მაგრამ იქნებოდა ზედმეტი ზერელობა, რომ გვეწოდებინა პროლეტარული კულტურა იმ თუნდა მნიშვნელოვან მიღწევებისთვის, რომელნიც შეიძლება ჰქონოდათ ზოგიერთ პირებს, პროლეტარიატის წრიდან რომ გამოვიდენ.

არ შეიძლება კულტურის მცნება დავახურდავოთ შინაურად სახმარ ფულზე და კულტურის გამარჯვება გავარჩიოთ კალკე პოეტებისა თუ გამომგონებელთა პროლეტარულ პასპორტებით. კულტურა არის ორგანიული მთლიანობა ცოდნისა და გამოყენებისა, რომელიც ახასიათებს მთელ საზოგადოებას, ან და მის მიართველ კლასს. ის გარემო-ცავს და სკრის აღამიანის შემოქმედების ყველა მხარეებს, შეაქეს რა იმაში სისტემის ერთიანობა.

ინდივიდუალური მიღწევები მაღლდებიან ამ დონეზე და თანდათან ამაღლებენ მას.

არის განა ეხლა ესეთი ორგანიული ურთიერთდამოკიდებულება ეხლანდელ ჩენ პროლეტარულ პოეზიასა და მუშაოთა კლასის კულტურის შემოქმედების შორის, თუ მთლიანად ავიღებთ მათ? სრულიად ნათელია, რომ არა ცალკე მუშები თუ ჯგუფები ეზიდებიან იმ ხელოვნებას, რომელიც შეუქმნია ბურჟუაზიულ ინტელიგენციას და აქამდე საკმაო ეკლექტიზმით სარგებლობენ მათი ტეხნიკით.

მაგრამ სარგებლობენ იმისათვის, რომ გამოხატონ თავი-

სი შინაგანი, პროლეტარული ქვეყანა? საქმეც იმაშია, რომ ეს არ არის ასე.

პროლეტარულ პოეტების შემოქმედებას აკლია ორი-  
გინალობა, რომელსაც იძლევა მხოლოდ ურთიერთი კავ-  
შირი ხელოვნებისა და კულტურის განვითარების შორის.  
შესაძლებელია ეს არის ნიჭიერი ლიტერატურული ნაწარ-  
მოები ზოგიერთ პროლეტარებისა, მაგრამ არა პროლე-  
ტარული კულტურა. შეიძლება ეს იყოს ერთი მისი სა-  
თავეთაგანი?

რასაკეიირველია, ეხლანდელ თაობათა მუშაობაში გა-  
მოჩნდება ბევრი ჩანასახები და სათავეები, რომელთვანაც  
კულტოდგინე შთამომავლობა ვაიყვანს ხაზებს მომავალ  
კულტურულ სხვადასხვა სექტორებით ისე, როგორც დღე-  
ვანდელი ხელოვნების ისტორიკოსებს ვაყავთ ხაზი საექ-  
ლესიო მისტერიებიდან იბსენის თეატრამდე, ან და ბერე-  
ბის მხატვრობიდან იმპრესიონიზმსა და კუბიზმამდე. ხე-  
ლოვნების ეკონომიაში ისე, როგორც ბუნების ეკონომია-  
ში არაფერი არ იყარება და ყველაფერი ყველასთან  
დაკავშირებულია. მაგრამ ფაქტიურად, კონკრეტიულად,  
ცოცხლად დღევანდელი პოეტების შემოქმედება მიდის  
არა იმ პლანით, როგორც მიდის პროცესი მომავალ სო-  
ციალისტურ კულტურის მომზადებისა, პროცესი მასათა  
აღდგენისა.

ამხ. დუბოვსკიმ ძალიან გაამშარა და, მგონია, თავის  
წინააღმდეგაც აამხედრა პროლეტარულ პოეტების ჯგუ-  
ფი თავის წერილით, რომელშიც, ჩემი აზრით, საექვო  
აზრებთან ერთად, მან გამოთქვა მთელი რიგი ჰეშმარი-  
ტებათა, თუმცა ძალიან მწარე გემოსი, მაგრამ ძირეულად  
შეურყიველი.

ამხ. დუბოვესეიის დასკვნა ასეთია, რომ პროლეტარული პოეზია „კუნიცა“-ში კი არ არის, არამედ ქარხნების კადლის გაზეთებში, მის უსახელო ავტორებში. ამ დასკვნაში არის მართალი აზრი, თუმცა პარადოქსალურად გამოთქმული. შეიძლება ამავე უფლებით ვთქვათ, რომ პროლეტარული შექსპირები და გიორეები ეხლა დარბიან უებშიშველი პირველ საფეხურის შკოლაში.

უიპვილია ქარხნის პოეტების შემოქმედება ბევრად უფრო ორგანიულია თავისი კავშირით ცხოვრებასთან, ყოფაცხოვრებასთან და მუშათა მასების ინტერესებთან, მაგრამ მაინც არ არის პროლეტარული ლიტერატურა, არამედ წერილობითი გამოთქმაა პროლეტარიატის კულტურულ წარმატების მოლექულიარულ პროცესისა.

ჩვენ ზევით აეხსენით, რომ ეს არ არის ერთი და იგივე. მუშაორები, ადგილობრივი პოეტები, მეიცხავები აკეთებენ დიდ კულტურულ საქმეს, აპოხიერებენ ნიაღავს და ამზადებენ მომავალ თესვას.

მაგრამ სრულფასიანი კულტურული და მხატვრული მექა იქნება, საბედნიეროთ, სოციალისტური და არა „პროლეტარული“...

ამხ. პლეტნიოვი საინტერესო წერილში „პროლეტარულ პოეზიის“ ვზების შესახებ გამოთქვამს იმ აზრს, რომ პროლეტარულ პოეტების ნაწარმოებნი, მიუხედავათ მათი მხატვრული წონისა, მაინც მნიშვნელოვანნი არიან მარტო თავის უშუალო კავშირით კლასის ცხოვრებასთან. პროლეტარულ პოეტების ნაწერების ნიმუშების საკმაო დამაჯერებლობით ამხ. პლეტნიოვი გვაჩვენებს პროლეტარულ პოეტების ხასიათის გამოცელას პროლეტარიატის ცხოვრებისა და ბრძოლის საერთო მსვლელობის მიხედვით.

ამით ამხ. პლეტნიოვი ამტკიცებს უდავოთ, რომ პრო-  
ლეტარულ პოეზიის პროდუქტები არ არიან ყველაფერი,  
მაგრამ ბევრი იმათვანი მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტო-  
რიული დოკუმენტებია, მაგრამ ეს ხომ კიდევ იმას არ  
ნიშნავს, რომ ისინი არიან მხატვრული დოკუმენტები.

„და ეს ლექსები იყვენ სუსტი, ფორმალურად ძვე-  
ლი, თუ გინდათ წერაკითხვის კანონებსაც მოქლებული,  
ამბობს ამხ. პლეტნიოვი, ახასიათებს რა ერთ მუშა პო-  
ეტს, რომელიც ამაღლდა ლოცვებიდან — რევოლიუციო-  
ნურ ბრძოლის მოტივებამდე, მაგრამ განა ეს არ ნიშნავს  
პროლეტარულ პოეტის ზრდას?“

უდავოა: სუსტი, უფერული, და შეიძლება წერაკი-  
თხვეს უცოდინართ ლექსები აღნიშნავდენ პოეტის და  
კლასის პილიტიკურ გაზრდის გზას და შეიძლება ჰქონ-  
დეთ გაუხმოელი პოლიტიკური, კულტურული სიმპტომა-  
ტიური მნიშვნელობა, მაგრამ სუსტი და, მით უმეტეს,  
წერაკითხვის უცოდინარი პოეტები ვერ შეჰქმნიან პრო-  
ლეტარულ პოეზიას, რადგან ვერ ჰქმნიან საზოგადოთ პო-  
ეზიას. ძალიან ნიშანდობრივია ისიც, რომ, აღნიშნავს რა  
მუშათა პოეტების პოლიტიკურ რევოლიუციონურ ზრდის  
პარალელებს, ამხ. პლეტნიოვი ამჩნევს უკანასკნელ წლების  
პროლეტარულ მწერლებს, განსაკუთრებით ახალ ეკონო-  
მიურ პოლიტიკის დაწყების შემდეგ, კლასიდან მო-  
წყვეტას.

„ქრიზისი პროლეტარულ პოეზიისა — ერთ და იმავე  
დროს ფორმალურ ამოცანებისაკენ გადახრით... და ობივა-  
ტელობისაკენაც, რომელსაც ამხ. პლეტნიოვი ხსნის პროლე-  
ტარულ პოეტების არა საქმარის პოლიტიკურ განვითა-  
რებით და პარტიის მათდამი არასაქმარის ყურადღების  
მიქცევით, პროლეტარულ პოეტებს მიიყვანს იქამდე, რომ

ისინი ვერ უძლებენ ბურუუაზიულ იდეოლოგიის კოლოხა-  
ლურ შემატევას და შედრეკენ კიდეც“.

თქმა არ უნდა, ასეთი ახსნა არ არის საკმარისი.

რომელ კოლოხალურ ბურუუაზიულ იდეოლოგიის შე-  
ტევაზე ლაპარაკობს ავტორი?

არ უნდა გადამეტება.

ნუ ვიდავებთ იმაზე, შეეძლო თუ არა პარტიას მეტი  
რამე გაეკეთებინა პროლეტარულ პოეზიისთვის, ვინემ გა-  
აკეთა.

ამით საკითხი იმის შესახებ, რომ ამ პოეზიას არ აღ-  
მოაჩინდა წინააღმდევობის ძალა, არ იწურება ისე, რო-  
გორც არ შეიძლება მიემატოს პოეზიას ძალა სასტიკი  
„კლასობრივი“ ესტიყულიაციით („კუნიცას“ მანიფე-  
სტის სტილით).

საკმის შინაახსი იმაშია, რომ რევოლიუციონურ ეპო-  
ქამდე და რევოლიუციის პირველ პერიოდში პროლეტა-  
რული პოეტები მიმართავდნენ ლექსთა წყობას არა რო-  
გორც ხელოვნებას, რომელსაც აქვს თავისი კანონები,  
არამედ როგორც ერთ-ერთ საშუალებას, რომ შეეჩივლათ  
თავიანთი ბედის შესახებ, ან და გამოეჩინათ თავიანთი  
რევოლიუციონური განწყობილება.

პოეზიას, როგორც ხელოვნებას და ოსტატობას, პრო-  
ლეტარული პოეტები მიაღვენ მხოლოდ უკანასკნელ წელს,  
როცა დასუსტდა სამუქალაქო ომის გამძაფრება.

სწორედ აქ ვამოჩნდა, რომ ხელოვნების სფეროში  
პროლეტარიატს ვერ შეუქმნია კულტურული წრე, ბურ-  
უუაზიას კი ასეთი წრე, ცუდია ეს თუ კარგი, მაინც აქვს.

საქმე იმაში კი არ არის — პარტია, თუ პარტიის  
მაღლა ფენები „კარგად ვერ დაეხმარენ“, არამედ იმაში,  
რომ ძირები არ იყვენ იქ მხატვრულად მომზადებული.

ხელოვნებას კი, როგორც მეცნიერებას, სპირიდ მომზადება. თავისი პოლიტიკური კულტურა ჩვენ პროლეტარიატს აქვს იმ საზღვრებში, რომ უზრუნველყოს თავისი დიქტატურა, **მხატვრული** მომზადება კი მას არა აქვს.

როცა პროლეტარული პოეტები მიდიოდენ საერთო ბრძოლის რიგებში, მათი ლექსები, როგორც იყო წინადნათქამი, ინახადენ რევოლუციონურ დოკუმენტების მნიშვნელობას.

მაგრამ, როგორც კი დადგა პროლეტარულ პოეტების წინ საკითხები ოსტატობის და ხელოვნების, მათ ნებსით თუ უნებლივთ დაიწყეს თავისთავის ახალი წრის ძიება.

აქ, მაშასადამე, უბრალო წინდაუხედველობა კი არ არის, არამედ ღრმა ისტორიულ პირობათა შექმნა.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კრიზისის ფაზაში შესული მუშა პოეტები სამუდამოთ დაიღუპენ პროლეტარიატისათვის.

გვინდა ყოველ შემთხვევაში ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი მაინც იმ კრიზისის დროს უფრო გამაგრდება.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელი დაჯგუფება მუშა-პოეტების მოწოდებული იყოს დაუდვას საფუძველი გარდაუყალ დიდ პოეზიას.

როგორც ეტყობა, ეს იქნება ხელობრი შემდეგ თაობათა, რომელნიც კიდევ გაიღლიან თავიანთ კრიზისებს, რადგან იდეურ-კულტურული, აგუზური წრეების გადახრანი, რეეფა და შეცდომები, რომელთა სათავეშიც სძევს კლასის არა საქმიარისი კულტურული სიმწიფე, ჯერ კიდევ სამყოფია დიდი ხნისათვის.

მარტო ერთი ლიტერატურული ტეხნიკის შესწავლა აუცილებელი კიბეა. ყველაზე უფრო ტეხნიკის უცოდინარობა იმას აჩნდება, ვინც ვერ მოასწრო მისი შესწავლა.

ძალიან ბევრ პროლეტარულ პოეტზე შეიძლება თქმა, რომ ისინი ტეხნიკის გარეშე არიან და ტეხნიკა კიდევ მათგან შორს არის.

ზოგიერთებისათვის, უფრო ნიჭიერები რომ არიან, ეს არის ზრდის ავადმყოფობა, ისინი კი, ვინც ტეხნიკას ვერ ისწავლიან, ყოველთვის იქნებიან „არაბუნებრივი“, მიმბაძეელები, ან და უბრალო მანკიები.

მაგრამ იქნებოდა დაუჯერებელი ამბავი იმის თქმა, რომ ბურუუაზიული ხელოვნების ტეხნიკა მუშებს არ სჭირიათ.

ეხლა კი ამის შესახებ ძალიან ბევრია დაბნეული.

— „მოგვეცით ჩვენ, თუნდა გაუთლელი, მაგრამ ჩვენებური, მშობლიური“.

ეს არის სიყალბე და სიცრუე.

გაუთლელი ხელოვნება არ არის ხელოვნება და ამიტომ, რასაკვირველია, მშრომელ ხალხს ის არ უნდა.

„გაუთლელი“ მისვლა საგანთან თავის თავად არსებითად შეიცავს მასისადმი ზიზღს.

ძალიან ნიშანდობრივია ზოგიერთ პოლიტიკანებისთვის, რომელნიც ინახავენ ორგანიულ ურწმუნოებას კლასისადმი, და ცბიერად კი ქებათა ქებას უძლვნიან და ეუბნებიან „ყველაფერი კარგად არისო“...

ამ დემაგოგების შემდეგ ცრუ-პროლეტარულ გაუბრალოების ამ ფორმულას გულწრფელად იმეორებენ გულუბრყვილონი.

ეს არ არის მარქსიზმი, ეს არის რეაქციონური ტეტრაბა, რომელიც ცოტათი ჰქავს „პროლეტარულ იდეოლოგიას“.

ხელოვნება პროლეტარიატისათვის არ შეიძლება იყოს მეორე ხარისხის ხელოვნება.

სწავლა საჭიროა, მიუხედავათ იმისა, რომ „სასწავლებელი“ ჩვენ მტრებს აქვთ ხელში და შეიცავს ბევრ საშიშროებასაც.

სწავლა საჭიროა და პროლეტ-კულტების მნიშვნელობა, კერძოთ, და სხვა ორგანიზაციების იმით კი არ უნდა იზომებოდეს, როგორი სისწრაფით ჰქმნიან ისინი ახალ ლიტერატურას, არამედ იმით, როგორი გზით უწყობენ ისინი ხელს მუშათა კლასის ლიტერატურულ დონეს ამაღლებას, დაწყებული მის ზედა ფენებიდან.

ამიტომ არის, რომ სახითათოა ისეთი ტერმინები, როგორც: „პროლეტარული ლიტერატურა“, „პროლეტარული კულტურა“, რომ ისინი ფაქტიურად ამოძრავებენ კულტურულ მომავალს დღევანდელ დღის ვიწრო ჩარჩებში.

პერსპექტივებს აყალბებენ, პროპორციებს ანგრევენ, მასშტაბებს ამანიჯებენ და ხელს უწყობენ ყველაზე უფრო მაცდურ ჯგუფურ სიამაყეს.

მაგრამ უარი რომ ვთქვათ ტერმინზე — პროლეტარული კულტურა, მაშინ რა დაემართება... პროლეტკულტის?... მოდით და შევთანხმდეთ... პროლეტკულტი ეწოდოს პროლეტარულ კულტუროსნობას... ესე იგი გამძაფრებულ ბრძოლას მუშათა კლასის კულტურულ დონის ასამაღლებლად.

მართალი რომ ვთქვათ, პროლეტკულტის მნიშვნელობა ამით ერთი იოტითაც არ დამცირდება.

\* \* \*

ჭინადაც გაკერით მოხსენებულ პროგრამულ დეკლარაციაში პროლეტარული მწერლები „სამკედურიდან“ ამბობენ, რომ „სტილი—არის კლასი“, და ამიტომ სოცია-

ლურად სხვაგან დაბადებული მწერლები ვერ შეჰქმნიან მხატვრულ სტილს, რომელიც უპასუხებდეს პროლეტარიატის ბუნებას.

აქედან, თითქო თავისთავად გამოდის, რომ სახელ-დობრ „სამკედურის“ ჯგუფი, თავის შემადგენლობით და ტენდენციებით, ჰქმნის მხოლოდ პროლეტარულ ხელოვნებას.

„სტილი — არის კლასი“ — მაგრამ სტილი სრულიადაც არ იბადება კლასთან ერთად.

კლასი თავის სტილს ნახულობს ძალიან რთული გზებით.

რა კარგი იქნებოდა, რომ მწერალი, მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის ერთგული თავის კლასის, პროლეტარი, დამდგარიყო გზაჯვარედინზე და ეყვირა: „მე გახლავართ სტილი პროლეტარიატისა“.

„სტილი — არის კლასი“ არა მარტო მხატვრობაში, არამედ უპირველეს ყოვლისა პოლიტიკაში. პოლიტიკა კი ერთად-ერთი დარგია, სადაც პროლეტარიატმა მართლა შეჰქმნა თავისი სტილი.

მაგრამ როგორ?

არა მარტო უბრალო სილლოგიზმით: ყოველ კლასს აქვს თავისი სტილი; პროლეტარიატი კლასია: ის ანდობს რომელიმე პროლეტარულ ჯგუფს გამოიმუშავოს მისი პოლატიკური სტილი. არა! გზა ბევრჯერ უფრო რთული იყო. პროლეტარულ პოლიტიკის გამომუშავებამ გაიარა ეკონომიური გაფიცვების გზები, კალიციისთვის ბრძოლა, ფრანგ და ინგლისელ უტოპისტების თეორიები, მუშაობა მონაწილეობა ჩევოლეიუციონურ ბრძოლებში, ბურжуაზიულ დემოკრატიის მეთაურობით, „ქომუნისტური პარტიის მანიფესტი“, სოციალ-დემოკრატიის ზექმნა, რომელიც თუმცა ისტორიის მსვლელობით დაემორჩილა კლასების

„სტილს“, სოციალ-დემოკრატიის რასკოლი, კომუნისტების გამოყოფა, კომუნისტების ბრძოლა ერთიან ფრონტისათვის და კიდევ სხვა ბრძოლა, რომელიც შემდეგშია მოსალოდნელი.

პროლეტარიატის მთელი ენერგია, რომელიც რჩება მას ელემენტარულ ცხოვრების მოთხოვნილებათა და კაციკუფილების შემდეგ, სულ მიღიოდა ამ პოლიტიკურ „სტილის“ შექმნაზე.

მაშინ, როცა ბურეუაზიის წინსელა ხდებოდა თანასწორად საზოგადოებრივ არსებობის ყველა სფეროებში, ის მდიდრდებოდა, აწყობდა ორგანიზაციას, ვითარდებოდა ფილოსოფიურად და ესთეტიკურად, თანდათან ითვისებდა ძალა-უფლების გამოცდილებას — პროლეტარიატი, როგორც კლასი, ლარიბია — ამ თვითგამოზრდევის პროცესს აკეთებს ძალიან მაღე, და ამიტომ ეს პროცესი იღებს ძალიან ცალმხრივ რევოლუციონურ-პოლიტიკურ ხასიათს და აღწევს თავის უდიდეს გამოხატვას კომუნისტურ პარტიაში.

რომ შევადაროთ მხატვრული ჩვენი ზევითსელა პოლიტიკურს, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გვეთქვა, რომ ხელოვნების სფეროში ჩვენ ვართ ეხლა, მაგალითად, იმ პერიოდში, როცა პირველი ულონო მოძრაობა მასების უერთდებოდა ინტელიგენციის და ერთეულ მუშების ცდას უტოპიური სისტემების შექმნისათვის.

ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ პროლეტარულ პოეტებს, რომ შეეტანოთ თავიანთი წვლილი მომავალ ხელოვნების შექმნაში, თუ პროლეტარულში არა, სოციალისტურში მაინც.

მაგრამ ამ პროცესის დღევანდელ არხიპირველ დაწყებით სტადიაში ჩვენ რომ ვიცნოთ „სამჭედურის“ პო-

ეტებში მონოპოლია „პროლეტარულ სტილის“ გამო-  
თქმისა, ეს იქნებოდა დაუშვებელი შეცდომა.

„სამკედური“ შლის თავის მოქმედებას პროლეტარია-  
ტის მიმართ პრინციპიალურად ისევ იმ გეგმით, როგორც  
„ლეფ-ი (მემარცხენე ფრონტი), „კრუგ“ და სხვა ჯგუფე-  
ბი, რომელთაც სურთ მოგვცენ მხატვრული გამოთქმა რე-  
ვოლიუციის, და წმინდა სინდისით რომ ესთქვათ, არ ეი-  
ცით ვისი შემოტანილი წველილი გამოდგება უფრო თვალ-  
საჩინო.

ბევრ პროლეტარულ პოეტს ეტყობა უდავოო უუტუ-  
რისტების გავლენა.

ნიკიერი კაზინი ითვისებს ფუტურისტულ ტეხნიკას.  
ბეჭიმენსკი შეუძლებელია წარმოგვედგინა, თუ მაიაკოსკი  
არ იქნებოდა — ბეჭიმენსკი კი იძლევა იმედს.

„კუზნიცა“-ს დეკლარაცია ძალიან მწუხარე ხაზებით  
და სისტიკ ბრალმდებელის ტონით ხატავს დღევანდელ  
მდგომარეობას ხელოვნებაში:

„ნეპი“, როგორც რევოლიუციის ეტაპი, გამოდგა  
გარემოცული ხელოვნებით, რომელიც მიაგავს მაიმუნების  
თამაშს“.

„ყველაფერ ამაზე იხარჯება ფული.. ბელინსკები არ  
არიან... ხელოვნების უდაბნოს მწუხარი გადაეფარა და ჩენ  
ვამაღლებთ ხმას, მაღლა ვწევთ წითელ დროშას“ და სხვა  
და სხვა.

პროლეტარულ ხელოვნებაზე ძალიან აწეულ ტერმინე-  
ბით არის ლაპარაკი და ხანდისხან ბრტყელ-ბრტყელი სი-  
ტყვებითაც, ნაწილობრივ კი დღევანდელზე.

„ქლასი — მონოლიტი ჰქმის თავის ხელოვნებას მხო-  
ლოდ თავის სახით და მსგავსებით, მისი სხვანაირი ენა  
მრავალხმიანია, მრავალ სალებავიანი, მრავალ სახიანი...

ხელს უწყობს თავის სიმარტივით, ნათელი გრძნობით, სისწორით დიდი სტილის ძლიერებას". მაგრამ თუ ასეა, მაშინ რატომ არის ხელოვნებაში უდაბნო, ან და რატომ გადაეფარა მას ბინდი?

ეს აშეარა წინააღმდეგობანი აღმად ასე უნდა იქნას გაგებული, რომ დეკლარაციის ავტორები უპირისპირებენ მფარველობის ქვეშ აყვანილ საბჭოთა ხელოვნებას — უდაბნოს, მწუხრით რომ არის დაფარული — პროლეტარულ ხელოვნებას დიდი სტილისას და დიდი ტილოებისას, რომელიც თურმე ჯერ არის დამსახურებულით ცნობილი; რადგან „არ არის ბელინსკები“ და იმათ მაგივრობას სწევენ „ზოგიერთი ამხანაგი-პუბლიცისტები ჩვენივე რიგიდან, რომელიც შიჩვეული არიან ხელით დირიქორობას“... თუმცა მეშინიან, რომ მეც ჩარიცხული ვიქნები. ამ უხეშ ხალხის ორდენში, მაგრამ იძულებული ვარ ვთქვა, რომ „კუზნიცა“-ს დეკლარაცია კლასობრივ მესიანიზმით კი არ არის გაულენთილი, არამედ ჯგუფური მამლაყინწობით.

„კუზნიცა“ ლაპარაკობს თავის თავზე, რომ შეოლოდის არის განსაკუთრებული მატარებელი რევოლუციონურ ხელოვნების, სწორედ იმავე სიტყვებით და გამოთქმებით, რომელსაც ხმარობენ ფუტურისტები, იმაუნისტები, სერაპიონის ძმები და სხვა.

ამხანაგებო! სად არის ეს „დიდი ტილოების ხელოვნება, დიდი სტილის და მონუმენტალური ხელოვნება“?

სად არის ის, სად?

როგორც არ უნდა დავაფასოთ შემოქმედება ზოგიერთი პოეტების, რომელიც პროლეტარულ შთამომავლობის არიან, — აქ კი საჭიროა, რასაკეირველია, ყურადღება და სასტიკი ინდივიდუალური კრიტიკული მუშაობა, პროლეტარული ხელოვნება არ არსებობს.

არ შეიძლება, მართლა, სიტყვებით თამაში. ტყუილია, თითქო არსებობდეს პროლეტარული სტილი და ამასთან ერთად დიდი და მონუმენტალური. სად? რაში?

პროლეტარული პოეტები გადიან მოწაფეობის პერიოდს, გავლენა მათზე სხვა სკოლების, განსაკუთრებით, როგორც წინად ითქვა, ფუტურისტებისა, შეიძლება აღინიშნოს ფორმალურ სკოლის მიკროსკოპიულ მეთოდებით. ეს არის არა საწყენათ ნათქვამი, ეს არ არის ცოდვა!

მაგრამ მ.ინუმენტალური პროლეტარული სტილი დეკლარაციებით არ იქმნება.

„ბელინსკები არ არიანო“, შემოგვჩივიან ჩვენი დეტორები. ჩვენთვის რომ საჭირო იყოს იურიდიული დამტკიცება იმისი, რომ „კუზნიცას“ შემოქმედება გაელენთილია ინტელიგენტურ კარჩაეტილ პატარა ქვეყნის, ჯგუფის, პატარა შეკლის სულის დევთებით, ჩვენ ამის დამამტკიცებელ საბუთს მოვნახავდით ამ მინორულ ფრაზაში „ბელინსკები არ არიანო“. ბელინსკი აქ იღებულია, რასაკვირველია, არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც წარმომადგენელი რუსეთის საზოგადოებრივ კრიტიკოსთა დინასტიისა, როგორც შთამავონებელი და გზაზე დამყნებელი ძევლი ლიტერატურისა. მაგრამ ჩვენმა მეგობრებმა „კუზნიციდან“ უნდა იცოდენ, რომ ეს დინასტია შესწყდა სწორედ იმ დროიდან, როცა პოლიტიკურ სცენაზე გამოვიდა პროლეტარული მასა. ერთი თავისი ნაწილით და ძალიან არსებითი ნაწილით პლეხანოვი იყო მარქსისტული ბელინსკი, უკანასკნელი წარმომადგენელი ამ კეთილშობილ პუბლიცისტურ დინასტიისა.

ბელინსკები ლიტერატურის საშუალებით — იღებდენ კარებს საზოგადოებრივობაში, ამაში იყო მათი ისტორული როლი.

ლიტერატურული კრიტიკა სწევდა პოლიტიკის მა-  
გიერობას და იმზადებდა მას. მაგრამ რასაც ბელინსკი  
და უფრო გვიანი წარმომადგენელნი რადიკალურ - პუბლი-  
ცისტურ კრიტიკისა გადაკვრით ლაპარაკობდენ, ჩვენ დღე-  
ებში იღებს თქმუმბრის სისხლსა და ხორცს, იქმნება სა-  
ბჭოთა სინამდვილეთ. თუ წინათ: ბელინსკი, ჩერნიშევსკი,  
დობროლიუბოვი, პისარევი, მიხაილოვსკი, პლეხანოვი,  
თეითეული თავისებურად იყვენ ლიტერატურის საზოგა-  
დოებრივი შთამგონებელნი, უფრო კარგად რომ ითქვას,  
ლიტერატურული შთამგონებელნი ჩასახულ საზოგადოებრი-  
ვობისა, განა დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრივობა თა-  
ვის პოლიტიკით, პრესით, კრებებით, დაწესებულებებით,  
საქმარისად არ არკვევენ თავიანთ საკუთარ გზებს? მთელი  
ჩვენი საზოგადოებრივობა ჩვენ გამოვყავს პროექტორათ,  
ყველა ეტაპები ჩვენი ბრძოლისა ვაშუქებულია მარქსი-  
ზმით, ყოველ დაწესებულებას კრიტიკულად უცქერიან  
ყოველ მხრიდან.

ასეთ პირობებში რომ კიდევ ბელინსკიზე ოხრავდე,  
იმას ნიშნავს, რომ გამოაჩინო მართლა ინტელიგენტურ-  
ჯგუფური განწყობილება, მართლა იმ სტილით (რასაკვი-  
რველია არა მონუმენტალურით), როგორც კეთილმსახურ  
მემარცხენე ნაროდნიკელმა ივანოვ-რაზუმნიკმა გამოიჩინა.

„ბელინსკები არ არიანო“ — მაგრამ ბელინსკი ხომ  
ლიტერატურული კრიტიკოსი არ ყაფილა, არამედ საზო-  
გადოებრივი ბელადი იყო თავისი ეპოქისა, და ცოცხალი  
ბესარიონი ჩვენ დროში რამ გადმოვიყვანოთ, ის იქნებო-  
და თუცილებლად, — არ დაუუმაღავთ ამას „კუზნიკას“ — წევ-  
რი... პოლიტ-ბიუროსი.

და შეიძლება კიდეც მიემართო გამშარებულ ხელნისა-  
თების, თეითონ ამბობდა ის თავის თავზე, რომ ბუნებით

ის დაბადებული იყო ტურასავით ეკივლა და იძულებული კი იყო მელოდიური ხმები გამოეცა.

სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ ჯგუფური პოეზია, ცდილობს რა გადალახოს თავის განდევილობა, ეცემა ხოლმე „კოსმიზმის“ მეავე რომანტიკაში. აზრი იქ დახსლოებით ასეთია, რომ იგრძნო მთელი ქვეყანა, როგორც ერთი მთლიანობა და საკუთარი თავი კი მის აქტიურ ნაწილად იმ პერსპექტივით, რომ შემდეგ უბრძანებ არა მარტო ქვეყანას, არამედ მთელ კოსმოსს.

ყველაფერი ეს, რასაკეირველია, დიდებულია და ხელგაშლილადაც არის აღებული. ვიყავით ჩვენ მარტო კურსეში და კალუგაში, დღეს ხელშეორეთ დავიბრუნეთ ბრძოლით რუსეთი და მივდივართ მსოფლიო ოცნებულისკენ. განა ჩვენ უნდა შევჩერდეთ პლანეტარულ საზღვრებში? მოდით და მოუჭიროთ პროლეტარული სალტე მსოფლიოს.

რა იქნება ამაზე კარგი?

ძალიან ნაცნობი საქმეა: „ქუდებით ჩავქოლავთ“.

კოსმიზმი გვეჩენება, ან შეიძლება გვეჩენოს, ძალიან გაბედულ, რევოლუციონურ და პროლეტარულად ძალად.

მაგრამ საქმეზე რომ მივიდეს, კოსმიზმში არის ელემენტები თითქმის დეზერტიზობის ხელოვნების რთულ მიწიერ საქმეებიდან — სადღაც ვარსკვლავთ ზევით სუეროებში. ამით არის, რომ კოსმიზმი ძალიან ენათესავება მისტიკიზმს.

რომ გადმოიყვანო ვარსკვლავთა სამეფო საკუთარ მხატვრულ მსოფლიო გზნებაში რაღაც ნებისყოფის წესით, ეს ძალიან გასაჭირი ამოცანაა, თუნდა ხელს გიწყობდეს კადეც ასტრონომიის ცოდნა, ყოველ შემთხვევაში არ არის ვადაუდებელი ამოცანა.

და გამოდის, იმიტომ კი არ ხდებიან პოეტები კოს-  
მისტებად, რომ „დევის ნაფეხური“ კარზე გვიყავუნდებდეს  
და პასუხს თხოულობდეს, არამედ იმიტომ, რომ მიწიერი  
საყითხები, რომელნიც ისე ძნელად ემორჩილებიან მხატვ-  
რულ დამუშავებას, ბადებენ იმ ქვეყანაში გადახტომის  
ცდას.

მაგრამ საკმარისი არ არის თავის თავს დაუძახო კო-  
სმისტი, რომ ამით ვარსკვლავები დაჰქრიუო.

მით უმეტეს, რომ ვარსკვლავთ შორის ცარიელი ადგი-  
ლები უფრო მეტია მსოფლიოში, ვინემ თვით ვარსკვლავები.

არ მოხდეს ისე, რომ ამ საეჭვო ტენდენციამ, რომელიც  
ფარავს მსოფლმხედველობის და მხატვრულ შემოქმედების  
ნაპრალებს შუა ვარსკვლავთა სფეროს ფაქიზი მატერიით,  
არ მიიყვანოს ზოგიერთი კოსმისტი უცელაზე უფრო ფაქიზ  
მატერიამდე, სულიშმინდამდე, რომელთანაც ისედაც  
ძალიან ბევრი პატარა პოეტური მიცვალებულები განი-  
სვენებენ.

მახები და მუხრუჭები, რომელიც პროლეტარების პოე-  
ტების წინ არიან ამართული, მით უფრო საშიშარია, რომ  
ეს პოეტები თითქმის უცელანი ახალგაზრდები არიან და  
ზოგიერთები მხოლოდ გამოდიან ჭაბუქობის ასაკიდან.

პოეზიისთვის ისინი გააღვიძია გამარჯვებულმა რევო-  
ლუციამ. მაგრამ მოვიდენ ისინი არა როგორც დამდგარი  
ადამიანები, — ისინი მოიყვანა ფრთებით და ქარიშხლის  
და გრიგალის სტიქიამ.

მაგრამ ეს პრიმიტიული ზარხოშობა გამოსცადეს ბურ-  
უაზიულმა მწერლებმაც, რომ შემდევ გამხდარიყვენ რეა-  
ქციონური მისტიკოსები და კიდევ შეზარხოშებულიყვენ.  
სხვა რამეთი,

ნამდვილი სიძნელე და განსაცდელი სწორედ მაშინ  
დაიწყო, როცა რევოლუციის რიტემი მინელდა, ობიექტი-  
ური პერსპექტივები უფრო დაინისლენ, და უკვე არ შეი-  
ძლებოდა ტალღებში ცურვა, რომ გაეშვათ შთაგონებული  
ბუშტები, არამედ საჭირო გახდა უკან მიხედვა, თხრი-  
ლების გათხრა და გარემოების შეფასება.

აი აქ გამოჩნდა სწორედ ცოცხება.

გაქანდენ პირდაპირ კოსმოსში.

მიწა სად არის?

როგორც მისტიკოსებისთვის, ისე კოსმისტებისთვი-  
საც ის შეიძლება გახდეს უბრალო ტრამპლინი.

ჩვენი ეპოქის რევოლუციონურ პოეტებს სჭირია დი-  
დი გამობრძელა, დიდ ჭაბრაჟში გავლა, ყველაზე უფრო  
მორალური გამობრძედა აქ დაუშორებელია გონებრივ  
გაწმენდისაგან.

საჭიროა დამდგარი, მაგარი ფაქტებით გაეღნითილი  
მომქმედი მსოფლმხედველობა და ამასთან შეერთებული  
მხატვრული მსოფლიოს გზნება. იმიტომ რომ ზერელედ არ  
გაიგო, არამედ ნამდვილად მიიღო, ძირამდე იგრძნო იმ  
დროის ნაკვეთი, რომელშიც ჩვენ ესცხოვრობთ, საჭიროა  
ცოდნა კაცობრიობის წარსულის, მისი ცხოვრების, შრო-  
მის, ბრძოლის, იმედების და მიღწევების.

კარგი საჭმეა ასტრონომია და კოსმოგონია!

მაგრამ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ცოდნა ადამი-  
ანის ისტორიის, დღევანდელი ცხოვრების, მისი უპიროვ-  
ნო კანონების, მის მხატვრულ და სახიერ კონკრეტობაში.

საინტერესოა ის, რომ განყენებულ პროლეტარულ პო-  
ეზიის ფორმულების შემთხვევი ჩვეულებრივ გვერდს უვ-  
ლიან პოეტს, რომელსაც ყველაზე უფრო მეტი უფლება  
აქვს ეწოდებოდეს რევოლუციონურ რუსეთის პოეტის სა-

ხელი. მისი ტენდენციების, მისი სოციალურ სარჩულის გამოკვლევა არ ითხოვს როულ კრიტიკულ შეთოდებს.

დემიანი აქ ერთ ნაჭრიდან არის მოცემული.

ეს არ არის პოეტი, რომელიც მიუახლოედა პოეზიას, თავი დაიმდაბლა რევოლიუციამდე დასვლით, მიიღო ის. ის არის ბოლშევიკი და მისი იარაღი პოეტურია.

ამაშია განსაკუთრებული ძალა დემიან ბედნის.

რევოლიუცია მისთვის მასალა კი არ არის შემოქმედის, არამედ უმაღლესი ინსტანცია, რომელმაც დააყენა ის ამ პოსტე.

მისი შემოქმედება საზოგადოებრივი სამსახურია, არა მარტო ეგრედწოდებულ უქანასქნელ ანგარიშით, როგორც მთელი ხელოვნება, არამედ სუბიექტიურია თვითონ პოეტის შეგნებაში.

და ასეა ეს მისი ისტორიულ სამსახურის პირველ დღეებიდან.

ის შეეზარდა პარტიას, იზრდებოდა მასთან, გაიარა რამდენიმე გზა მისი განვითარებისა, ისწავლა გრძნობა და ფიქრი კლასთან დლითი დღე და ამ გრძნობების და აზრების ქვეყანას უბრუნებს ის მასებს ლექსის ენაზე. იგავით, სიმღერის ლილინით, და როგორც „ჩასტუშკა“, გაბედულია ხმა მოწოდებისა და რისხვისა.

მის რისხვაში და სიძულვილში არ არის არაფერი დილეტანტური, მას შეუძლია შეიძულოს მტერი ყველაზე უფრო რევოლიუციონურ პარტიის დამდგარი სიძულვილით.

მას აქვს ნაწერები დიდი ძალის, დათვეებული ოსტატობით, მაგრამ არა ნაკლები აქვს საგაზეთო, ყოველდღიური და მეორეხარისხოვანი.

დემიანი ისე კი არა ჰქმნის იშეგიათ შემთხვევებში, როცა აპოლონი თხოულობს მსხვერპლს, არამედ დღითი-

დღე, როცა მოითხოვენ ამბები, და... ცენტრალური კო-  
მიტეტი. მაგრამ მთლიანად აღებული მისი შემოქმედება  
წარმოადგენს რაღაც ჯერ არნახულს და თავის გვარში  
ერთად ერთსა. და ის პატარა პოეტუნები პატარა სკო-  
ლებიდან რომ არ ვაუშვებენ შემთხვევას და იქრიკებიან  
დემიანის ხსენებაზე, ეს ხომ ვაზეთის ფელეტონებიაო!  
მაგრამ ერთი მოიხედონ და თავიანთ მახსოვრობაში მო-  
ნახონ მეორე პოეტი, რომელიც ისე უშუალოდ ახდენს  
გავლენას მასებზე და მერე როგორ მასებზე?.. მუშები,  
გლეხები, წითელა/მიელები, და ბევრი მილიონები. და  
მერე როდის? ყველა ეპოქებზე უდიდეს ეპოქაში.

ახალ ფორმებს დემიანი არ ეძებდა. ის განვებ სარ-  
გებლობს ძველი კანონისტურ ფორმებით. მაგრამ ისინი  
მკედრეთით დგებიან და აღორძინდებიან, როგორც შეუ-  
დარებელი გადმომცემი მექანიზმი ბოლშევიკურ იდეების.

დემიანს არ შეუქმნია და არც შექმნის სკოლას, ის  
თეოთონ შექმნა სკოლამ, რომელსაც ჰქვია რ. კ. პ., დი-  
დი ეპოქის საჭიროებისაფის, რომელიც შემდეგ არ გან-  
მეორდება.

ჩვენ რომ დაუშორდეთ პროლეტარულ ლიტერატურის  
მეტაფიზიკურ გავებას, მივიდეთ საქმესთან იმ თვალთახე-  
დვიდან გამოსული, რას კითხულობს პროლეტარიატი, რა  
უნდა მას, რა აინტერესებს, რა უძრავს მოქმედების სურ-  
ვილს, რა ამაღლებს მის კულტურულ დონეს და ამით  
უმხადებს ნიადაგს ახალ ხელოვნებას — ეს არის დემიან  
ბედნის შემოქმედება პროლეტარული და ხალხური, ე. ი.  
ლიტერატურა, რომელიც სჭირია გალვიძებულ ხალხს.

ეს თუ არ არის „ჭეშმარიტი“ პოეზია, მაშინ ის უკ-  
რო მეტია კიდევ მაზე. არა უკანასკნელი კაცი ისტორია-  
ში — ფერდინანდ ლასალი სწერდა ოდესლაც მარქსს და

ენგელსს ლონდონში: „რა სიამოუნებით დაეტოვებდი დაუწერლად იმას, რაც მე ვიცი, რომ შემეძლოს შევა-სრულო ნაწილი იმისი, რის გაკეთებაც ვიცი“. დემიანს შეეძლო ამ სიტყვების დაგვარათ ეთქვა თავის თავზე: „სიამოუნებით დავთანხმდებოდი, რომ სხვებს ახალ უფრო რთულ ფორმებით ეწერათ ჩევოლიუციაზე, რომ მე თეითონ ძეელი ფორმებით ვსწერო — ჩევოლიუციისა-თვის...“

---

## პარტიული კოლიტიკა ხელოვნებაში.

ზოგიერთი მარქსისტი-ლიტერატორები ფრიად ზერელეთ ეპყრობიან ფუტურისტებს, სერაპიონებს, იმაჟინისტებს და საერთოდ „თანამგზავრებს“ — ყველას საერთოდ და განცალკევებით თვითეჭლის განსაკუთრებით მოღათ გადაიქცა დევნა პილნიაკისა, რასაც ფუტურისტებიც კი ეწევიან. ცხადია, პილნიაკს<sup>1)</sup> ზოგიერთი თავის განსაკუთრებული თვისებებით შეუძლია გამოიწვიოს გულისწყრომა: მეტად დიდი სიმჩატე ეტყობა დიდ საკითხებში, გადამეტებული მანქიობა. ზედმეტი ლირიზმი, თითქოს სანაუში დანაყული... მაგრამ პილნიაკმა შესამჩნევად დაგვანახვა სამახრო-გლეხურ რევოლუციის კუთხე, გვიჩვენა „მეშოჩნიკების“ მატარებელი, ჩვენ პილნიაკის წყალობით დავინახეთ ისინი გაცილებით უფრო მქაფიოდ და საგრძნობლად, ვიდრე ვხედავდით მათ აქიმდე. და ვსევოლოდ ივანოვი? განა მისი „პარტიზანის“, „ბრონეპოეზდის“, „ცისფერ სილის“ შემდეგ — მთელი მათი კონსტრუქტიულ ცოდვებით, დაუმუშავებელი სტილით, ოლეოგრაფიულობითაც კი — არ გავიცანით ჩვენ, არ ვიგრძენით უკეთ რუსეთი — მისი ხელმიუწღდომლობა, ენთოგრაფიული სხვადასხვაობა, ჩამორჩენილება, გაქანება?.. შეიძლება, ამ მხატვრულ შე-

<sup>1)</sup> რუსეთის ერთ-ერთი ცნობილი მწერალი ახალი დროისა, რომელმაც დასწერა საუკეთესო ნაწარმოები — „მშეორი წელი“.

მეცნების ადგილი მართლაც დაიკავოს ფუტურისტულ გი-  
პეროლებმა <sup>2)</sup>), ან ტანამისიების <sup>3)</sup> მონოტონურ ქებადი-  
დებამ, ან საგაზეთო წერილებმა, რომელიც ყოველდღე  
იმავე სამას სიტყვას სხვადასხვა კომბინაციებში გამოხა-  
ტავენ. დავუშვათ, რომ მოეიცილეთ თავიდან პილნიაკი და  
ვსევოლოდ ივანოვი და ჩენ რამოდენიმეთ დავლარიბდე-  
ბით... იმათ, ვინც გაიღაშქრეს „თანამგზავრთა“ წინააღ-  
მდეგ — პერსპექტივების და პროპორციების საქმაოდ გა-  
უთვალსწინებლად — აიღეს ნიშანში აგრეთვე... ამს. კორო-  
ნსკი, „კრასნია ნოვის“ რედაქტორი და „კრუგის“ ხელ-  
მძღვანელი, როგორც დამადასტურებელი და თითქმის მო-  
ნაწილეც. ჩენ ვფიქრობთ, რომ ამს. კორონსკი პარტიის  
მინდობილობით ასრულებს დიდ ლიტერატურულ-კულტუ-  
რულ სამუშაოს, და რომ, მართლაც, რამდენად უფრო  
იოლია წერილში — ფრინველის გაფრენის სიმაღლიდან —  
კომუნისტურ ხელოვნების დამკვიდრება დეკრეტით, ვად-  
რე მისი მომხადების საქმეში, ბეჯითი მონაწილეობის  
მიღება.

ფორმალურად ჩენი ზემოხსენებული ლიტერატორები  
განაგრძობენ იმ ხაზს, რომელიც ოდესალაც (1908 წ.) აიღო  
კრებულ „დაშლამ“. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა  
გაეგბა და დაფასება თანამედროვე ისტორიულ წყობილე-  
ბისა და მას შემდეგ მომხდარ ძალთა განწყობილებათა  
ერთვარ გადაჯგუფებისა. მაშინ ჩენ ვიყავით დამარცხე-  
ბული არალეგალური პარტია. რეეოლიუციამ დაიხია უკან,

2) პიპერბოლა — სინამდვილის განდიდების ან მოსპობის რიტო-  
რული ფიგურა.

3) ტრამსმისია — ისეთი ხელსაწყოების სისტემა, რომელიც გადა-  
სცემს მთავარი მამოძრავებელის ენერგიას აღმასრულებელი მექანი-  
ზმით.

კონტრ-რევოლიუცია — სტოლიპინის და ანარქო-მისტიური — გვიტევდა ყოველ მხრიდან, თვით პარტიაში ინტელიგენცია კიდევ თამაშობდა არაპროპორციონალურად დიდ როლს; ინტელიგენტთა ჯგუფები სხვადასხვა პარტიულ მიდრეკილებისა არ იკვნენ დაშორებული ერთმანეთს. ასეთ პირობებში იდეური თავისძაცვა მოითხოვდა გახელებულ ბრძოლას მაშინდელ ლიტერატურულ სულისკვეთების წინააღმდეგ.

ეხლა ხდება სულ სხვა, სრულიად სხვა ხასიათის პროცესი, სოციალურ მიმზიდველობის (გაბატონებულ კლასების მიმართ) კანონი, რომელიც ბოლოს და ბოლოს ჰქმის ინტელიგენციის შემოქმედების ხაზს, ამეამად ჩვენს სასარგებლოდ მოქმედობს და საჭიროა შეთანხმება ამისა და ჩვენი პოლიტიკისა ხელოვნების დარგში.

ტყუილია, თითქოს რევოლიუციურ ხელოვნების შექმნა შეუძლიათ მხოლოდ მუშებს/სწორედ იმიტომ, რომ რევოლიუცია მუშურია, ის — რომ არ გავიმეოროთ წინად ნათქვამი — ძლიერ ცოტა მუშებს ანთავისუფლებს ხელოვნებისათვის. საფრანგეთის რევოლიუციის ხანაში საუკეთესო ნაწარმოებნი, რომელიც პირდაპირ და ირიბულიდ ასურათებდენ მას, შექმნეს ფრანგ მხატვრებმა კი არა, არამედ გერმანელებმა, ინგლისელებმა და სხვებმა. იმ ნაციონალურ ბურჟუაზიას, რომელიც უშუალოდ ახდენდა გადატრიალებას, არ შეეძლო გამოეყო თავის წრიდან საქმაო ძალა იმისთვის, რომ მხატვრულად აღედგინა და აღებეჭდა ის. მით უმეტეს პროლეტარიატი, რომელსაც აქვს პოლიტიკის კულტურა, მხოლოდ ძლიერ ცოტა, აქვს ხელოვნების კულტურა.

ინტელიგენციას, გარდა იმ უპირატესობისა, რომელიც ეძლევა მას თავისი გონიერივი განვითარების გამო, აქვს აგრეთვე პოლიტიკურ პოზიციის პასივობის მედი-

დური პრივილეგია, ცოტათ თუ ბევრად მტრული ან კე-  
თილმოსურნეობითი განწყობილებით ოქტომბრის რევო-  
ლიუციის მიმართ. ვასაკვირი არ არის, რომ ამ „შემეც-  
ნებითი“ ინტელიგენციამ მოგვაცა და გვაძლევს რევო-  
ლიუციის ხელოვნურად გამოხატვის დარგში უფრო მეტს,  
— თუმცა ერთგვარი სიმრუდით, — ვიდრე პროლეტარია-  
ტი, რომელმაც ეს რევოლუცია მოახდინა. ჩვენ ძალიან  
კარგათ ვიცით პოლიტიკური ახრის სიციტიროვე, მერყეო-  
ბა, არასაიმედო თვისებანი „თანამგზავრთა“... მაგრამ,  
თუ ჩვენ უკუკავდებთ პილნიაჟს მისი „მშიერი წელი“-თ,  
სერაპიონებს ვსევოლოდ ივანოვით, ტიხონოვით და  
პოლონესიათი, მაიცავესკის, ესენინს. — მაშინ რა დარჩე-  
ბა არსებითად, გარდა მომავალ პროლეტარულ ლიტერა-  
ტურის გაუნალდებელ ვექსილებისა? მით უმეტეს, რომ  
დემიან ბეჭნიც, რომელსაც ვერც „თანამგზავრთა“ რიცხვ-  
ში ჩასთვლი, ვერც რევოლუციონურ სიმღერიდან — იმე-  
დია, ვერ ამოშლი, არ შეიძლება მივაკუთხოთ პროლეტა-  
რულ ლიტერატურის იმ გაგებით, როგორც ეს „კუზნი-  
ცის“ მანიფესტს ესმის. მაშ რაღა დაგვრჩება?

მაშასადამე, პარტიის — თავის ბუნების წინააღმდეგ —  
ხელოვნების დარგში უკავია წმინდა ეკლექტიური პოზი-  
ცია? ეს საბუთი — პირველ შეხედვით გამანადგურებელი  
— ნამდვილად ფრიად გულუბრყელოა. მარქსისტული  
მეთოდით შეიძლება დაფასება ახალი ხელოვნების განვი-  
თარების პირობებისა, მისი სათავეების კვლევა, ამათში  
ყველაზე პროფესიულ მიმდინარეობათა ხელის შეწყო-  
ბა გზების კრიტიკული გაშუქებით, — ამაზე მეტი კი არ  
შეიძლება. ხელოვნებამ თავისი გზა უნდა გაიაროს საკუ-  
თარი ნაბიჯით. მარქსიზმის მეთოდი არ არის ხელოვნე-  
ბის მეთოდი. პარტია ხელმძღვანელობს პროლეტარიატს და

არა ისტორიულ პროცესს. არის დარგები, სადაც პარტია ხელმძღვანელობს უშუალოდ და მბრძანებლობით. არის დარგები, სადაც ის კონტროლს უწევს და ხელს უწყობს, არის დარგები, სადაც ის მხოლოდ ხელს უწყობს. არის უკანასკნელად დარგები, სადაც ის მხოლოდ ერკვევა საქმის კითარებაში. ხელოვნების დარგი როდია ისეთი, სადაც პარტიას შეუძლია ბრძანებლობა. მას შეუძლია და ვალდებულიც არის დაიცეს, ხელი შეუწყოს და მხოლოდ არა უშუალოდ უხელმძღვანელოს. მას შეუძლია და ვალდებულიც არის პირობითი ნდობა გამოუცხადოს სხვადასხვა ხელოვნების ჯგუფებს, რომელთაც გულწრუელად სურთ რეეოლიუციასთან დაახლოვება, რათა მისცეს დახმარება მის მხატვრულად ჩამოყალიბებას. და ყოველ შემთხვევაში პარტიას არ შეუძლია და არც დასდგება ის იმ ლიტერატურული წრის პოზიციაზე, რომელიც იბრძეის, რამოდენიმეთ კონკურენციას ეწევა სხვა ლიტერატურულ წრეების წინააღმდევ. პარტია სდგას მთლიანი კლასის ისტორიულ ინტერესთა სადარაჯობა. შეგნებულად და ფეხ და ფეხ ამზადებს რა ახალი კულტურის და ამავე დროს ახალი ხელოვნების ნიადაგს, ის ლიტერატურულ თანამგზავრთ უყურებს არა როგორც მუშა-მწერლების კონკურენტებს, არამედ როგორც ნამდვილ და შესაძლო თანაშემწეო იმ აღმშენებლობაში, რომელსაც აქვს უდიდესი გაქანება. მას ესმის გარდამავალი ხანის ლიტერატურული შეჯგუფების შემთხვევითი თვისება და იფასებს მათ არა ბატონ ლიტერატორების ინდივიდუალურ კლასობრივ პასპორტების თვალთახედვის მიხედვით, არამედ იმ ადგილის მიხედვით, რომელიც ამ ჯგუფებს უკავიათ, ან შეუძლიათ დაიკავონ სოციალისტურ კულტურის მომზადებაში. თუ დღეს არ შეიძლება ამა თუ იმ ჯგუფის

ადგილის მონახვა, პარტია, როგორც ასეთი, კეთილგანწყობილად და უურადღებით... მოითმენს. ცალკე კრიტიკოსები ან უბრალო მეითხველები შეიძლება თანაუგრძნობდენ ამა თუ იმ ჯგუფს ავანსად. პარტია მთლიანად, როგორც კლასის ისტორიულ ინტერესების დამცემი, უნდა იყოს ობიექტიური და ბრძნული. მისი სიფრთხილე არ შეიძლება არ იყოს ორმაგი: თუ პარტია არ ასეამს „კუნიცა“-ზე საპროგრამო ბეჭედს მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ სწერენ მუშები, ის არც განდევნის ავანსად არც ერთ ლიტერატურულ ჯგუფს — თუგინდ ინტელიგენტურს — რამდენათაც ის ცდილობს დაუახლოედეს რევოლუციას და დაეხმაროს მას ერთ-ერთ კავშირის გამაგრებაში — კავშირი ყოველთვის სუსტი ადგილია! — ქალაქის და სოფელ შეა, პარტიას და უპარტიონთა შორის, ინტელიგენციისა და მუშათა შორის.

იქნებ ასეთი პოლიტიკა, მართლაც, ნიშნავს იმას, რომ პარტიას შეიძლება დაჩინოს ხელოვნების მხრივ დაუცველი მხარე? ამის თქმა იქნებოდა გადაჭარბება: ხელოვნებაში აშეარად მოშხამულ, გამხრწნელ ტენდენციებს პარტია უწევს და შემდევშიაც გაუწევს წინააღმდეგობას, იხელ-მძღვანელებს რა პოლიტიკური თვალსახისით. მართალია მხოლოდ, რომ ხელოვნების მხარე ნაკლებად დაცულია. ვიდრე პოლიტიკური ფრონტი შაგრამგანა ასეთივე მდგომარეობა არ არის მეცნიერების მხრივაც? რას იტყვიან „წმინდა პროლეტარულ“ მეცნიერების მეტაფიზიკოსები შედარებითი თეორიის შესახებ? შეიძლება მისი მატერიალიზმთან შედარება თუ არა? გადაწყვეტილია ეს საკითხი? სად, როდის და ვინ გადასწყვიტა? ჩვენი ფიზიოლოგ პავლოვის მუშაობა რომ მთლიანად მატერილიზმისაკენ მიდის, ეს ცხადია პროფანებისთვისაც. მაგრამ რა უნდა ვსოქვათ

ფრეიდის ფსიქო-ანალიტიურ თეორიის შესახებ? ური-  
გდება თუ არა ის მატერიალიზმს, როგორც ფიქტობს  
მაგალითად ამ. რადეკი (მასთან ერთად მეც), თუ ეწი-  
ნააღმდეგება მას? იგივე საკითხი ეხება ატომის შენების  
ახალ თეორიებს და სხვ. და სხვ. მშევნიერი. იქნებოდა,  
რომ მოინახოს ისეთი მეცნიერი, რომელიც შესძლებს ახალი  
ზოგადი თეორიების მეთოდთალოგიურ ჩად თავის მოყრის და  
მათ შეყვანას დიალექტიურ-მატერიალისტურ მსოფლმხე-  
დველობის კონტექსტში; ამით ის გამოიწვევდა ახალ თეო-  
რიების თეოთგამოცდას და გააღმავებდა დიალექტიურ  
მეთოდს. მაგრამ მე ძლიერ კშიშობა, რომ ეს მუშაობა,—  
საგაზეთო ან საექტნალო წერილების სახით კი არა, არა-  
მედ როგორც „მოდგმათა წარმოშობა“ და „კაპიტალი“—  
მეცნიერულ-ფილოსოფიური ნაწარმოები — იქნება ასრუ-  
ლებული დღეს ან ხვალ კი არა, ან უკეთ რომ ვსთქვათ,  
თუ კი დღესვე იქნება, შესაძლოა ამ წიგნის ფურცლები  
არც კი იქნება გაქრილი იმ დღემდე, სანამ პროლეტა-  
რიატი შესძლებს განიარაღებას.

მხალედ „კულტუროსნობა“, ე. ი. პროლეტარიატის წი-  
ნა კულტურის ანბანის შეთვისება გულისხმობს კრიტიკას,  
შერჩევას, კლასობრივ თვალსაზრისს? ეს უეჭველია, მხო-  
ლოდ ეს თვალსაზრისი პოლიტიკურია და არა განყენე-  
ბულ — კულტურული. პოლიტიკური თვალსაზრისი უთან-  
ხმდება კულტურულს მხოლოდ იმ ფართო მნიშვნელობით,  
რომ რევოლუცია ამხადებს ახალი კულტურის პირობებს.  
მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ასეთი შეთანხმება  
უზრუნველყოფილია ყოველ ცალკე შემთხვევაში. თუ რევო-  
ლუციის აქტების უფლება, როდესაც საჭიროა, დაანგრიოს  
ხილები და მხატვრული ძევლები, მით უურო ან შეჩერდება

ის იმის წინაშე, რომ ხელი დაადოს ხელოვნების ყოველ  
მიმართულებას, რომელიც თავის ფორმალურ მიღწევების  
გარეშე უქადის რევოლიუციურ წრეში გათიშვის შეტა-  
ნას ან რევოლიუციის შინაგან ძალების ერთმანეთის წინააღ-  
მდევ მტრულ დაპირდაპირებას: პროლეტარიატის, გლე-  
ხობის, ინტელიგენციის. ჩეენი თვალსაზრისი მკაფიო პოლი-  
ტიკურია, მბანებლ აბითი და შეუპოვარი. მაგრამ სწორედ  
ამიტომ მან ნათლად უნდა შემოუარგლოს საზღვრები თავის  
მოქმედებისა. უფრო მეტიოდ გამოსათქმელად ვიტყვი:  
ფხიშელ რევოლიუციონურ ცენტურასთან ერთად — ფარ-  
თო და მოქნილი პოლიტიკა ხელოვნების დარგში, მოკლე-  
ბული ყოველივე ვიწრო ავეაცობის გამოჩენას სრულებით  
აშეარაა, რომ ხელოვნების დარგში პარტიას არ შეუძლია  
ერთი დღითაც იხელმძღვანელოს ლიბერალურ პრინციპით  
*laisser faire, laisser passer* (მიეცით საშუალება ნივთებს  
თავის გზით წავიდეს). მთელი საკითხი მხოლოდ იმაშია,  
რომელი მუხლიდან იწყება საქმეში ჩატევა და სად არის  
მისი საზღვარი, რომელ შემთხვევებში — რისა და რის შეა-  
ვალდებულია პარტია მოახდინოს არჩევანი. და ეს სა-  
კითხი აზრი ისე უბრალოა, როგორც ეს გონია ლეფტის  
თეორეტიკოსებს, პროლეტარულ ლიტერატურის მებაი-  
რახტრეთ და „ზეზეატელებს“. მიზნები, ამოცანები და  
მეთოდები მუშათა კლასისა მეურნეობაში ბევრად უფრო  
კონკრეტულია, გამორკვეული და თეატრეტიულად შემუ-  
შავებული, ვიდრე ხელოვნებაში. მიუხედავად ამისა, პარ-  
ტიამ მეურნეობის ცენტრალისტურ მეთოდით აშენების  
სანმოქლე ცდის შემდევ დაინახა თავის თავი იძულებუ-  
ლად დაეშვა პარალელური არსებობა სხვადასხვა და  
ერთმანეთში მებრძოლ სამეურნეო ტიპებისა: აյ არის  
ტრესტებათ მოწყობილი საერთო სახელმწიფო წარმოე-

ბაც, ადგილობრივ მნიშვნელობის წარმოებებიც და კერძო მესაუკონებისაც, კოოპერაციაც, ინდივიდუალური მეურნეობა, საშინაო სახელოსნოებიც და კოლექტივებიც და სხვა. ძირითადი კურსი სახელმწიფოსი არის ცენტრალისტურ სოციალისტურ მეურნეობისაკენ. მხოლოდ ეს საერთო ტენდენცია შეიცავს აგრეთვე მიმდინარე ხანისთვის გლეხურ მეურნეობის და საშინაო მრეწველობის მხარის დაჭრას. უამისოთ კურსი სოციალისტურ წარმოებისაკენ ხდება უსიცოცხლო განკუნებათ.

ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს მუშების, გლეხების და წერილ-ბურუაზიულ ინტელიგენციის კავშირს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით. ასეთ სოციალურ შეთავსებისაგან — ტეხნიკის და კულტურის აღორძინებისთანავე რამდენიმე ეტაპების განვლის შემდეგ უნდა წარმოიშვას კომუნისტური საზოგადოება. ცხადია, გლეხობა და ინტელიგენცია წავლენ კომუნიზმისაკენ სხვა გზით, ვიდრე მუშები. მათი გზა აუცილებლათ დასტოვებს კვალს ხელოვნებაში. ის ინტელიგენცია, რომელსაც თავისი ბედ-ილბალი განუყრელად არ დაუკავშირებია პროლეტარიატთან, არა კომუნისტური ინტელიგენციაა, ე. ი. მისი დიდი უმრავლესობა ეძებს დასაყრდნობ საფუძველს გლეხობაში, ვინაიდან ბურუაზიაში ის ამას ან სრულებით ვერ ჰპოვებს, ან და ხედავს მეტად სუსტ ნიშნებს. ჯერ-ჯერობით ამ პროცესს აქვს წმინდა მომხადებითი, უფრო სიმბოლიური ხასიათი და გამოიხატება გლეხურ რევოლუციონურ სტიქიის (უკანა რიცხვით) იდეალიზაციაში. თავისებური ახალი ხალხოსნობა („ნაროდნიკობა“) ახასიათებს ყველა „თანამგზავრთ“. შემდეგ, სოფელში სკოლების და მკითხველების გამრავლებისთანავე, ამ ხელოვნების კავშირი გლეხობასთან შესაძლოა გახდეს.

უფრო ვიწრო და შეზღუდული. ამავე დროს გლეხობა დაიწყებს თავის წრიდან თავის საკუთარ შემოქმედ ინტელიგენციის გამოყოფას. გლეხური მისვლა მოვლენასთან — მეურნეობაში, პოლიტიკაში და ხელოვნებაში — უფრო პრიმიტიულია, უფრო ვიწროა, უფრო ეგოისტიურია, ვიდრე პროლეტარული. მაგრამ ეს გლეხური მისვლა არსებობს — და დიდი ხნითაც და მეტად სერიოზულად. და თუ მხატვარი, რომელიც უყურებს ცხოვრებას გლეხურ, უფრო ხშირად ინტელიგენტურ-გლეხურ თვალსაზრისით, გამსჭვალულია იმ აზრით, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი აუცილებელი და სასიცოცხლი მოვლენაა, მისი შემოქმედება, თუ სხვა საკიზი პირობებიც არსებობენ, იქნება ისტორიულად პროგრესიული. მხატვრუ ზეგავლლენის მეთოდებით ის შეაკეთებულის სოფლის და ქალაქის ისტორიულად აუცილებელ თანამშრომლობას. გლეხობის სოციალიზმისკენ წაწევა ჰქმნის ლრმა, შინაარსიან, მრავალმხრივ მხატვრულ პროგრესს და გვაქვს საკმაო საბუთი ვიფიქროთ, რომ მხატვრული შემოქმედება, რომელიც იქნება ამ პროგრესის უშუალო შთაგონების გავლენის ქვეშ, შეიტანს ხელოვნებაში ლირებულ თავებს. პირიქით, იმ შეფასებით მისვლა, რომელიც ორგანიულ, საუკუნო, მთლიან, „ნაციონალურ“ სოფელს უპირდაპირებს ქარაფშუტა ქალაქს, ისტორიულად რეაქციონურია; აქედან გამოსული ხელოვნება პროლეტარიატისაღმი მტრულად არის განწყობილი, ვერ ეთვისება განვითარებას და მას მოელის გადაგვარება. უნდა ვიფიქროთ, რომ ფორმალურადაც მას არ შეუძლია არაფრის მოცემა, გარდა გაღმოლებისა და მოგონებებისა.

კლიუკეს, იმავინისტებს, სერაპიონებს, პილნიაკს, ფუტურისტებსაც კი: — ხლებნიკოვს, კრუჩინის, კამენსკის — აქვთ გლეხური (მუჟიკური) საფუძველი — ზოგს მეტად და

ზოგს ნაკლებად შეგნებული, ზოგს ორგანიული, ზოგს კი არსებითად ბურქუაზიული საფუძველი, გლიხურ ენაზე გადაკეთებული. ფუტურისტების პროლეტარიატისაღმი განწყობილება ნაკლებათაა ორჭოფული. სერაპიონებს, იმაუინისტებს, პილჩიას აქა-იქ ემზნევათ გადახრა ოპოზიციისაკენ პროლეტარიატის წინააღმდეგ, უოველ შემთხვევაში ამ უკანასკნელ ხანამდე ყველა ეს ჯგუფები მეტად მკაფიოდ გამოხატავენ სოფლის აზრთა განწყობილებას სასურსათო განაწილების („პროდრაზეიორსტეის“) ხანაში. იმ წლებში ინტელიგენცია მიიმალა სოფელში და იქ აგროვებდა შთაბეჭდილებებს. თავის მხატვრობაში მან გაუკეთა ამათ საკმაოდ ორ-აზროვანი ვარაუდი, მაგრამ ეს ვარაუდი უნდა განვიხილოთ იმ ხანასთან შეფარდებით, რომელიც კრონშტადტის აჯანყებით დამთავრდა. ეხლა გლეხობაში შესამჩნევი ცვლილება მოხდა. ეს დაეტყო ინტელიგენციასაც და იქონიებს (კიდეც უნდა იქონიოს) ვავლენას გლეხთა მოსიცვარულე „თანამგზავრებზე“. რამოდენიმედ ეს კიდევაც სჩანს. ამ ჯგუფებში იქნება შინაური ომები, განხეთქილება, ახალი გადაჯგუფება სოციალურ მუჯლუგუნის გავლენის ქვეშ. უოველივე ამას უნდა ვადევნოთ თვალყური მეტის ყურადღებით და კრიტიკულად. პარტიას, რომელიც ლამობს, ვიმედოვნებთ არა უსაფუძლოდ, იდეურ ჰეგემონის როლის თამაშს, არა აქვს უფლება ამ საკითხში გამოიჩინოს იაფთასიანი კადნიერება.

მაგრამ განა ფართოდ მოხაზულ წმინდა პროლეტარულ ხელოვნებას არ შეუძლია მხატვრულად გააშუქოს და ასაზრდოვოს აგრეთვე გლეხობის მსვლელობა სოციალიზმისაკენ? რასაკვირველია, „შეუძლია“ ისე, როგორც სახელმწიფო ელექტრონის სადგურის განათოს და ასაზრდოოს თავის ენერგიით გლვხის ქოხი, ბელელი, წის-

ქვილი. საჭიროა მხოლოდ გვერდებს ეს ელექტრონის საფური და მისგან მაჟთულები გაყენილი იყოს სოფელში. მაშინ, ამასთანავე, არ იქნება ქალაქის წარმოებასა და სოფლის მეურნეობას შორის ანტაგონიზმის წარმოშობის საშიშროება. მაგრამ ჯერ ხომ არ არის ეს მაჟთულები, მაშასადამე, არ არის არც თეოთ ელექტრონის საფური. პროლეტარული ხელოვნება არ არის. პროლეტარულ ორიენტაციის ხელოვნება, თუ აქვე ჩავთვლით მუშა-პოეტების და კომუნისტ-ფუტურისტების ჯგუფებს, უფრო ახლო სდგას და შეიძლებს ქალაქის და სოფლის საჭიროებათა მხატვრულ დასურათებას, ეიდრე, ესთქათ, საბჭოთა წარმოება შეიძლებს უნივერსალურ სამეურნეო ამოცანების გადაჭრას.

კიდეც რომ მიეიღოთ მხედველობაში გლეხობა — აბა როგორ შეიძლება ეს? — აღმოჩნდება, რომ პროლეტარიატის საკითხიც, ამ ძირითად კლასის საბჭოთა საზოგადოებისა, არც ისე უბრალოა, როგორც ეს სჩანს ლეფტის ფურცლებშე. როდესაც ფუტურისტები იძლევიან წინადადებას მოვიცილოთ თავიდას ძეველი ინდივიდუალისტური ლიტერატურა, და ეს მატერი იმიტომ კი არა, რომ ის ფორმალურად დაძველდა, არამედ იმიტომაც — საბუთი ჩვენთვის, ცოდვილებისათვის, — რომ ის ეწინააღმდეგება პროლეტარიატის კოლექტივისტურ არსებას, ისინი იჩენენ მეტად სუსტ გაგებას ინდივიდუალიზმსა და კოლექტივიზმს შორის არსებულ წინააღმდეგობის დიალექტურ პრინციპისას. აბსტრაქტიული კეშმარიტება არ არსებობს. გადაჭარბებული ინდივიდუალიზმისაგან ნაწილი რევოლუციის წინახანის ინტელიგენციისა გადავარდა მისტიკაში, მეორე ნაწილმა დაიხია ქაორტიურ-ფუტურისტულ ხაზისაკენ და რევოლუციის ტალღებში ჩავარდნილი, მისდა

სასახელოდ, მიუახლოვდა პროლეტარიატს მხოლოდ, როდესაც დაახლოვებულთ თავის ინდივიდუალისტური კბილის მოქვეთა გადააქვთ პროლეტარიატზე, ისინი რამდენიმედ დამნაშავენი არიან ეგოცენტრიზმში, ე. ი. უკიდურეს ინდივიდუალიზმში.

უბედურებაც ხომ იმაშია, რომ უბრალო პროლეტარს არ ჰყოფნის სწორეთ ეს თვისება. მასიურად პროლეტარის პიროვნება საკმაოდ არ ჩამოკალიბებულა და არ მომხდარა მასში დიფერენციაცია. ძეირფასი შინაარსი იმ კულტურულ ამაღლების, რომლის შესავალში ჩვენ ეხლავდგევართ, იქნება სწორედ ინდივიდუალობის ობიექტიურ კვალიფიკაციის და სუბიექტიურ თვითშემეცნების აწევა. იმის ფიქრი, რომ ბურჟუაზიულ ლიტერატურას შეუძლია კლასობრივ ერთსულოვნობის დანგრევა, გულუბრყვილობაა. ის, რასაც მუშა მიიღებს შექსპირისაგან, გოეტესაგან, პუშკინისაგან, დოსტოევსკისაგან, ეს ცველაზე უწინ არის უფრო რთული წარმოდგენა ადამიანის პიროვნებაზედ; ის უფრო ღრმად და მძაფრად გაიგებს მის ფსიქოლოგიურ ძალებს, იმ როლს, რომელსაც მასში თამაშობს ყოველივე შემეცნების გარეშე მყოფი და სხვ. საერთოდ ის გახდება უფრო მდიდარი. პირელი ხანის გორეკი იყო გამსჭვალული რომანტიკულ-ბოსიაჟურ ინდივიდუალიზმით. მიუხედავათ ამისა, ის ასაზრდოებდა 1905 წლის წინა ხანაში პროლეტარიატის გაზაფხულის რევოლუციონერობას, ვინაიდან ხელს უწყობდა პიროვნების გამოფხიზლებას იმ კლასში, სადაც ერთხელ გამოფხიზლებული პიროვნება ეძებს კავშირს სხვა ასეთივესთან. პროლეტარიატი საკიროებს მხატვრულ კვებას და აღზრდას, მაგრამ არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ პროლეტარიატი არის თიხა,

რომელსაც მხატვრები, წარსულნი და ეხლანდელნი, თავის სახის მსგავსათ აქანდაკებენ.

სულიერად და მაშისადამე მხატვრულად მეტად მგრძნობიარე პროლეტარიატი ესთეტიკურად არ არის აღზრდილი. იქნებ არც კი იყოს კანონიერი საბუთები იმისი, რომ ვიფიქროთ, თითქოს მას შეუძლია უბრალოდ დაიწყოს იქიდან, სადაც შეჩერდა კატასტროფის წინად ბურუჟაზიული ინტელიგენცია. როგორც ინდივიდი ჩანასახიდან თავის განვითარებაში იმეორებს ბიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად თავისი მოდგმის ისტორიას და რამოდენიმეთ მთელ ცხოველთა სამეფოს ისტორიასაც, ისე, განსაზღვრულ ხარისხამდე, ახალ კლასს, რომელიც ეხლახან გამოვიდა თავის უმრავლესობაში ისტორიულ არყოფნიდან, არ შეუძლია არ გაიმეოროს თავის თავზე მხატვრულ კულტურის მთელი ისტორია. მას არ შეუძლია შეუდგეს ახალი სტილის კულტურის აშენებას, თუ არ შეითვისა სავსებით ძველი კულტურის ელემენტები. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს აუცილებლად ხელოვნების მთელი წარსული ისტორიის საფეხურიდან — საფეხურამდე ნელ და სისტემატიურ შესწავლას. შეთვისების და მონელების პროცესს, რამდენათაც ეს ეხება სოციალურ კლასს და არა ბიოლოგიურ ინდივიდს, აქვს ბევრად უფრო თავისუფალი და შეგნებული ხასიათი. მაგრამ თუ წარსულის საყურადღებო გზები არ იქნა განვლილი, შეუძლებელია ახალი კლასის წინმსვლელობა.

მარცხენა მხარე ძველი ხელოვნებისა, რომელსაც რევოლუციამ ასე უმოწყალოდ გამოაცალო სოციალური. ნიადაგი, ისე, როგორც არასოდეს ისტორიაში, იძულებულია ბრძოლაში ამ ხელოვნების კულტურის განუწყვეტელობის შენარჩუნებისათვის ეძიოს დასაყრდნობი ძალა პროლეტა-

რიატში, ან მის იუგველივ აღმოცენებულ ახალ საზოგადო-ებრივობაში მაინც. თავის მხრით, პროლეტარიატი, რო-გორც გაბატონებული კლასი, მიიღების და იწყებს ხელოვ-ნების შეთვისებას და ამით უმხადებს მას წარმოუდგენელ ძლიერების ნიადაგს. ამ აზრით, მართალია, რომ ქარხნის კედლის გაზეთები წარმოადგენენ ახალი ლიტერატურის ფრიად აუცილებელ, თუმცა ჯერ შორეულ, მაგრამ მომა-ვლის წინასწარ პირობას. რასაკვირველია, არავინ იტყვის, რომ დანარჩენ ყველაფერზე უარს ვამბობთ მანამდე, სანამ პროლეტარიატი არ ამალლდება კედლის გაზეთებიდან დამოუკიდებელ მხატვრულ ხელოსნობამდე. შემოქმედების ტრადიციის განუწყვეტელობა პროლეტარიატსაც სჭირ-დება. ის ანხორციელებს ამას ეხლა იმდენათ უშუალოდ კი არა, რამდენათ იჩიბულათ. ბურევაზიულ შემოქმედ ინტელიგენციის საშუალებით, რომელიც ცოტათ თუ ბევ-რად მიიწევს მისკენ, ან რომელსაც სურს მის გვერდით თბილი ადგილი ჰპოვოს: პროლეტარიატი მის ერთ ნა-წილს ითმენს, მეორეს — მხარს უჭერს, მესამეს — ნახევრად იშვილებს, მეოთხეს — საესებით ითვისებს. აი სწორედ პროცესის ასეთი სირთულით, მისი შინაგანი მრავალ-მხრივობით, განისაზღვრება კომუნისტური პარტიის პა-ლიტიკა ხელოვნების დარგში. ამ პოლიტიკის ისეთ ფო-რმულაში გამოხატვა, რომელიც იქნებოდა ბელურას ნი-სკარტზე მოკლე, შეუძლებელია. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საეალდებულო.

## ხელოვნება რევოლუციისა და სოცია- ლისტური ხელოვნება

(უმცველი და მოსალოდნელი).

როცა ლაპარაკობენ რევოლუციის ხელოვნებაზე — მხედველობაში აქვთ ორი რიგის მხატვრული მოვლენები: ერთი მხრით — ნაწარმოებნი თემატიური, სიუჟეტური — რომელნიც გამოხატავენ რევოლუციას და, მეორე მხრით, რომელნიც არ არიან დაკავშირებული რევოლუციასთან თემით, მაგრამ არიან გაუღენთილი და შეღებილი რევო-  
ლუციისგან გამომდინარე ახალი შეგნებით.

სრულებით უმცველია — რომ ესაა მოვლენები, რომელ-  
ნიც იმყოფებიან სულ სხვადასხვა სივრცეებზე.

ალექსეი ტოლსტოი თავის მ.ითხრობაში: „Хождение  
по мукам“ გამოხატავს ომის და რევოლუციის ეპოქას.  
მაგრამ ეს არის „იასნაია პოლიანას“ სკოლა, მისი თვალთ-  
საზრისი და მისევლა საგანთან განუზომელი პატარა მას-  
შტაბით.

უდიდეს მასშტაბის მოვლენებთან შედარებით ის კი-  
დევ უფრო სასტიკათ გვაჩვენებს, რომ „იასნაია პოლიანა“  
იყო და გამოიდა ეხლა ხმარებიდან. როცა ახალგაზრდა  
პოეტი ტიხონოვი რევოლუციაზე კი არ სწერს, არამედ  
საწერიმალო დუქანზე — რევოლუციაზე მას თითქო ერი-

დება წერა — ის ისეთი სიახლით და ვნებით გადმოგვცემს მის გაჩერებულ ყოფნას, რომ ამის დაწერა შეუძლია მხოლოდ იმ პოეტს, რომელიც შეკვენა ახალი ეპოქის დინამიკამ. ამიტომ, თუ ნაწარმოები რევოლუციაზე და ხელოვნება რევოლუციისა ერთი და იგივე არ არიან, ყოველ შემთხვევაში მათ აქვს თავის შეხვედრის ხაზი. მხატვრებს, რომელნიც შეკვენა რევოლუციამ, შეუძლებელია არ მოესურვოთ სთქვან რამე რევოლუციაზე.

მეორე მხრივ ხელოვნება, რომელიც მოინდომებს ძლიერი სიტყვა სთქვის რევოლუციაზე, აუცილებლად უუაგდებს „იასნაია პოლიანს“ მიღვომას, როგორც გრაფისას, ისე ქალამნისას.

რევოლუციის ხელოვნება ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ არიან ელემენტები ამ ხელოვნების, არის დანიშნება, ცდა და, რაც მთავარია, არის რევოლუციონური ადამიანი, რომელიც თავის სახით აძლევს ფორმას ახალ მოწვმას, რომელსაც ეს ხელოვნება ყველაზე უფრო უნდა.

რამდენი დრო არის კიდევ საჭირო, რომ ამ ხელოვნებამ უდავოთ გამოააშკარავოს თავისი თავი<sup>7</sup>. აქ ძნელია მკითხაობა, რადგან ეს არის აუწონელი პროცესი, რომელიც არ ემორჩილება აღრიცხვების. ჩვენ კი სხვა უფრო მატერიალურ საზოგადოებრივ პროცესების დროს გამორჩევაშიც ვართ იძულებული მკითხაობით დავქმაყოფილდეთ.

მაგრამ რატომ ეს ხელოვნება, ან მისი პირველი დიდი ტალღა არ უნდა მოვიდეს მალე, როგორც ხელოვნება იმ ახალგაზრდა თაობისა, რომელიც დაიბადა რევოლუციაში და მიჰყავს ის თავისთან ერთად ეხლა წინ<sup>8</sup>? არ არის საჭირო, რომ რევოლუციის ხელოვნება, რომელიც აუცილებლად გამოხატავს გარდამავალ საზოგადობრივობის ყველა წინააღმდეგობას, შევურიოთ სოციალისტურ ხელოვ-

ნებას, რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ბაზა. მეორე მხრივ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ სოციალისტური ხელოვნება იზრდება გარდამავალ ეპოქის ხელოვნებიდან.

როცა ჩვენ ასეთ განსაზღვრას ვიცავთ, ჩვენ სრულიად არ ვხელმძღვანელობთ რაიმე პედანტიურ სქემის მოსაზრებებით. ტუუილად კი არ უძახოდა ენგელსი სოციალისტურ რევოლუციის ნახტომს „აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“. თვითონ რევოლუცია არ არის კიდევ თავისუფლების სამეფო.

პირიქით, მასში ნიშნები „აუცილებლობისა“ უკანასკნელ საფეხურამდე აღიან. თუ სოციალიზმი აუქმებს კლასობრივ ანტაგონიზმს კლასებთან ერთად, რევოლუციის დაპყავს კლასთა ბრძოლა უდიდეს გამძაფრებამდე. რევოლუციის ეპოქაში ისეთი ლიტერატურაა საჭირო და პროგრესიული, რომელიც ხელს უწყობს მშრომელთა გაერთიანებას ექსპლოატატორების წინააღმდევ ბრძოლაში. რევოლუციონური ლიტერატურა არ შეიძლება არ იყოს ალქორიზმი სოციალურ სიძულვილის სულით, რომელიც პროცეტარულ დიქტატურის ხანაში არის შემომქმედი ფაქტორი ისტორიის ხელში. სოციალიზმის დროს საზოგადოებას საფუძვლად დაედება სოლიდარობა. მთელი ლიტერატურა და მთელი ხელოვნება იქნება სულ სხვა კამერტონზე აწყობილი.

გრძნობები, რომელთაც ჩვენ, რევოლუციონერები, ხშირად ეხლა ვერც კი ვარქმევთ სახელს — იმდენად არიან ეს სახელები დღეს გაფუჭებული პოშლიაკებისა და პირფერი ხალხისაგან, როგორც მაგალითად: უანგარო მეგობრობა, სიყვარული მოყვასისადმი, გულითადი თანაგრძნო-

ბა—ეს გრძნობები სიციალისტურ პოეზიაში ძლიერ აკორდებათ ამეტყველდებიან.

მაგრამ ხომ არ არის საშიშროება, როგორც ამის ეშინიათ ნიცვეანელებს, რომ სოლიდარობის ზედმეტ გრძნობას შეუძლია გარდაქმნას ადამიანი სანტიმენტალ და მტირალ ჯოგის არსებათ?

არასდროს...

ძლიერი გრძნობა შეჯიბრებისა, რომელსაც ბურეუაზიულ საზოგადოებაში აქვს ხასიათი ბაზრის კონკურენციისა, არ გაჰქრება სიციალისტურ წესწყობილების დროს, არამედ, რომ ვსოდებათ პსიხო-ანალიტიკის ტერმინით, მოხდება მისი სუბლიმიგაცია, ე. ი. მიიღებს უფრო მაღალ და ნაყოფიერ ფორმას: გარდაიქმნება თავისი აზრისთვის, თავის პროექტისთვის, თავის გემოვნებისთვის, ბრძოლად.

პოლიტიკურ ბრძოლის ჩამოშორებისთანავე — კლასს გარეშე საზოგადოებაში კი ბრძოლა არ იქნება — განთავისუფლებული ვნებები გაყვებიან კალაპოტს ტეხნიკისას, აღმშენებლობისას, ამაში შევა ხელოვნებაც, რომელიც, რასაკვირველია, გაერთიანდება, დავაუკაციდება, გასალკლდევდება და შეიქნება ცხოვრების აშენების უმაღლეს ფორმათ ყველა დარგებში და არ იქნება მარტო „ლამაზი“ დაბატება.

ცხოვრების ყველ სფეროები: მიწის დამუშავება, ადამიანის დასახლების გეგმის შედეგია, შექმნა თეატრისა, ბავშვების საზოგადოებრივ აღსრულის მეთოდებისა, მეცნიერულ პრობლემათა გადაწყვეტა, ახალი სტილის შექმნა მაშინ ყველას შეეხება და დააინტერესებს. ადამიანები გაიყოფებიან „პარტიებათ“ ისეთ საკითხებში, როგორც: რომელიმე გიგანტურ არხის გაყვანა, საპარის

ოაზისების განაწილება, — იქნება ასთი საკითხიც — ჰავისა და დარის მოწესრიგება, ახალი თეატრები, ქიმიური პიპო-თები, ორი მიმდინარეობა მუსიკაში, უკეთესი სისტემა სპორტისა. ეს ჯგუფები არ იქნებიან მოშხამული კლასო-ბრივ ან კასტიურ ანგარებით, ყველანი ერთნაირად იქნე-ბიან დაინტერესებული მთავარის გამარჯვებაში. ბრძოლას მიეცემა წმინდა იდეური ხასიათი. მასში არ იქნება ის გატაცება მოგებისთვის, არც სიმდაბლე, ღალატი, მოყი-დვა — ყველაფერი ის, რაც შეადგენს სულს და გულს დლევანდელ კლასაბრივ საზოგადოების „შეჯიბრებისას“.. მაგრამ ეს სრულიადაც არ დაუშლის ბრძოლას, რომ იქნეს ის ვნებიანი, დრამატიული და გატაცებული. და რადგან სოციალისტურ საზოგადოებაში ყველა კითხვები, და მათში აგრეთვე ისეთებიც, რომელნიც წინად სწყდებოდენ სტი-ქიურად და ავტომატიურად (ყოფა-ცხოვრება) ან და იყ-ვნენ ერთგვარ ქურუმების კასტის გამგეობაში (ხელ-ივნება), მაშინ შეიქნებიან საერთო საკუთრებად, შეიძლება და-ბეჯითებით ითქვას, რომ კოლექტიურ ინტერესებისთვის და ვნებებისთვის და ინდივიდუალურ შეჯიბრებისთვის იქნება დიდი არე და უამრავი საბაბი.

ამრიგად ხელოვნებას არ ექნება დანაკლისი იმ საზო-გადოებრივ-ნერვიულ ენერგიის სხვადასხვაობაში, იმ კო-ლექტიურ ფსიქიურ სტიმულებში, რომელნიც ჰქმნიან ახალ მხატვრულ მიმდინარეობას და სცვლიან სტილს.

ესთეტიური სკოლები შემოიკრიბავენ თავის ირგვლივ თავიანთ „პარტიებს“, ე. ი. ტემპერამენტით, გემოვნებით, კუუით გაერთიანებულ ჯგუფებს.

ამ უანგარო და გამძაფრებულ ბრძოლის დროს, ამ უფრო და უფრო ამაღლებულ კულტურის საძირკველზე გაიზრდებიან და გაიფურჩქნებიან ადამიანის პიროვ-

ნებები, თავის ძირითად თვისებებში და არც ერთი მიღწევა არ დააქმაყოფილებს მათ.

კეშმარიტათ, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი შიში შეგვეპაროს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანის პიროვნება დაიძინებს და ხელოვნება გამწირდება.

\* \* \*

რომელი ძველი ტერმინით შეიძლება მოინათლოს რევოლუციის ხელოვნება? ამხ. ოსინსკი როგორლაც სწერდა, რომ ის იქნება რეალისტური. ამაში არის სწორი და მნიშვნელოვანი აზრი: მაგრამ უნდა შევთანხმდეთ მცნებაში, რომ შემდეგ არ შეიქნას გაუგებრობა.

ყველაზე უფრო სრული მხატვრული რეალიზმი ჩვენში დაკავშირებული იყო „ოქროს“ საუკუნის მწერლობასთან, მის თავად-აზნაურულ კლასიკასთან.

პერიოდი მიმართულებითი ტემატიზმისა, როცა ნაწარმებს აფასებდენ უმთავრესად ავტორის საზოგადოებრივი ზრახვებით, უერთებდა იმ ეპოქას, როცა გამოლეიძებული ინტელიგენცია ეძებდა საზოგადოებრივ მოქმედების გზებს და ილტვოდა „ხალხთან“ კავშირისაკენ ძეველი რეეიმის წინააღმდეგ.

დეკადენტობა და სიმფოლიზმი, რომელნიც გამოვიდენ გაბატონებულ „რეალიზმის“ წინააღმდეგ, უთანაბრდებიან ეპოქას, როცა ინტელიგენცია დაშორდა ხალხს და გააღმერთა თავისი საკუთარი განცდები და ფაქტიურად დაემორჩილა ბურჟუაზიას, თუმცა სცდილობდა ფსიქოლოგიურად და ესთეტიურად აზ გამდნარიყო მასში.

სიმფოლიზმი თავის საშველად ამ საქმეში ეძახდა ზეცას.

ომამდე არსებული ფუტურიზმი სცდილობდა ინდივიდუალური გზით თავი დაელწია სიმფოლიზმის პროსტრა-

ციისაგან და მოენახა პიროვნული დასაყრდნობი მატერიალურ კულტურის უსახო მონაპოვარში.

ასეთია ტლანქი ლოგიკა დიდ პერიოდების მორიგეობისა რესული ლიტერატურის განვითარებაში. ყოველი მიმა ჩთულება შეიცავდა განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ჯვუფურ მსოფლიო გრძნებას, რომელიც ასვამდა ბეჭედს მის ნაწარმოებთა ტემებს, სიუკეტებს, წრის ამორჩევას და მომქმედ პირებს. შინაარსის მცნება უახლ უდება არა სიუკეტს სიტყვის ფორმალურ აზრით, არამედ საზოგადოებრივ განზრახვის. ეპოქა, კლასი და მისი მსოფლიო გრძნება გამოიხატება უსიუკეტო ლირიკაში ისე, როგორც სოციალურ რომანში.

შემდეგ იწყება ფორმის საკითხი. ეს უკანასკნელი განსაზღვრულ ფარგლებში ვითარდება თავის საკუთარ კანონებით ისე, როგორც ყოველი ტეხნიკა. ყოველი ლიტერატურული სკოლა, თუ ის მართლა ლიტერატურული სკოლაა და არა უბრალო მინაზარდი — გამომდინარეობს მთელ წინანდელ განვითარებიდან სიტყვისა და სალებავის ოსტატიბიდან და შორდება მიღწეულ ნაპირს სტიქიასთან, ახალი ბრძოლისთვის.

განვითარება აქაც დიალექტიკურ ად მიღის: ახალი მხატვრული მიმართულება უარყოფს წინანდელს.

რისთვის?

აღბათ რაღაც გრძნობებს და აზრებს ეძნელებათ ძველ ჩარჩოებში ყოფნა. მაგრამ იმავე დროს გაქვავებულ ხელო-ენებაში ახალი მიმართულება პოულობს ისეთ ელემენტებს, რომელთაც შეუძლიანთ განვითარების შემდეგ ახალი გრძნობები გამოხატონ. ასე იმართება ამბობების დროში ძველის წინააღმდეგ, მის ზეგიერთ ელემენტების განვითარებისათვის. ყოველი ლიტერატურული სკოლა პოტენ-

ციალურად მოთავსებული იყო ძველში და უკველ მათგანს ანეითარებდა წარსულთან ბრძოლა.

განწყობილება ფორმისა და შინაარსის შორის (უკანასკნელში უნდა იგულისხმებოდეს არა მარტო „თემა“, არამედ ცოცხალი კომპლექსის განწყობილებისა და იდეებისა, რომელნიც ეძებენ მხატვრულ გამოთქმას) განისაზღვრება იმით, რომ ახალი ფორმა აღმოჩნდება და განვითარდება შინაგან მოთხოვნილების ძალით, კოლექტიურ-ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებით, რომელსაც, როგორც სხვა ადამიანურ ფსიქოლოგიას, აქვს თავისი სოციალური ძირები.

ამით აიხსნება ორნაირობა უკველ ლიტერატურულ მიმართულებისა, მას შეაქვს ოალაც შემოქმედების ტეხნიკა-ში, ამალლებს (თუ ამდაბლებს) საერთო დონეს ოსტატობისას; მეორე მხრივ ისტორიულ კონკრეტობაში ის აძლევს გამოთქმას გამორკვეულს უკანასკნელ ანგარიშით კლასობრივ მოთხოვნილებას. ვლაპარაკობ კლასობრივ, მაგრამ ეს ნიშნავს ინდივიდუალურსაც — ინდივიდუუმის საშუალებით ლაპარაკობს კლასი. ესევე ნიშნავს ნაციონალურს, რადგანაც ერის სული განისაზღვრება კლასით, რომელიც ბატონობს მასში და ამით იმორჩილებს მის ლიტერატურას.

ავილოთ სიმეოლიზმი.

რა უნდა ვიგულიხმოთ აქ: ხელოვნება სინამდევილის სიმბოლიური გარდაქმნისა, როგორც მხატვრულ შემოქმედების ფორმალური მეთოდი?

ან შეიძლება ის სიმბოლიური მიმართულება, რომლის მატარებელი იყო ბლოკი, სოლოგუბი და სხვა? სიმბოლო არ არის გამოვონებული რუსის სიმეოლიზმისგან: უკანასკნელმა შეიძლება უფრო სისხლეულად დაამყნა ის მოდერნისტულ რუსულ სიტყვის ორგანიზმს. ამ აზრით მომავალი

ხელოვნება, რა გზითაც არ უნდა მიღიოდეს ის, არ მოინდო-  
მებს უარი სთქვას სიმვოლიზმის ფორმალურ მიღწევებზე.  
მაგრამ ცოცხალი სიმბოლიზმი ამ და ამ წლებისა სარგე-  
ბლობდა სიმბოლოთი გარკვეულ საზოგადოებრივ აზრით.

### როგორით?

დეკადენტობა, რომელიც წინ უსწრობდა სიმბოლიზმს,  
ეძებდა ყველა მხატვრულ კითხვების გადაჭრას თავის პირო-  
ვნების განცდათა კიქაში: სქესი, სიკედილი და სხვ. მას არ  
შეეძლო მოკლე ხანში არ ამოეწურა თავისი თავი. აქედან  
მოთხოვნილება — არა საზოგადოებრივ სტიმულის გარეშე —  
მონახვა უმაღლეს საქციელისა თავის მოთხოვნილებისთვის,  
გრძნობისთვის, გუნებისთვის, ამით გამდიდრება, შეადგენა.  
სიმბოლიზმი, რომელმაც სახიდან შექმნა არა მარტო  
მხატვრული ხერხი, არამედ სარწმუნოების სიმბოლო, ინტე-  
ლიგენციისთვის შეიქმნა მხატვრულ ხიდათ მისტიკურიზმისკენ.

ამ არა აბსტრაქტულ-ფორმალურ, არამედ კონკრეტულ-  
საზოგადოებრივ აზრით სიმბოლიზმი იყო არა მარტო  
მხატვრულ ტეხნიკის ხერხი, არამედ ინტელიგენციის გაქ-  
ცყვა რეალობიდან, ახალ, არა ამ ქვეყნიურ მსოფლიოს  
აშენება, მხატვრული ობიექტი მეუცნებელისა და პასიუო-  
ბის. ბლოკში ჩვენ ვნახულობთ გამოდერნისტებულ უკუ-  
კის! და მარქსისტული კრებულები და პამფლეტები (1908  
და შემდეგი წლების) „ლიტერატურულ დაშლის“ ტემაზე,  
რაც უნდა უხეში არ ყოფილიყვნენ ისინი თავიანთ საერ-  
თო დასკვნებში, ყოველ შემთხვევაში იძლეოდენ უფრო  
მართალ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ დიაგნოზს, ვინემ,  
მაგალითად, ამხანაგი ჩუქავი, რომელიც ბევრ მარქსისტე-  
ბზე ადრე დაფიქრდა ფორმის საკითხეზე, სხვაზე უფრო  
ყურადღებით ეპყრობოდა მას, მაგრამ შემდეგ დაემორჩილა  
მორიგ მხატვრულ მიმართულებას, ხელავდა მათში ეტა-

პებს პროლეტარულ კულტურის დაგროვებისას და არა ეტა-  
პებს ინტელიგენციის მოწყვეტისას მასებიდან.

რა ვიგულისხმოთ ჩვენ ეხლა რეალიზმის ქვეშ?

სხვადასხვა ეპოქებში რეალიზმი იძლეოდა სხვადასხვა  
საზოგადოებრივ ჯვაფთა გრძნობისა და მოთხოვნილებათა  
გამოხატვის და ამასთან ერთად სხვადასხვა ხერხით.  
რომელი ამ რეალიზმთაგანია ეხლა ლიტერატურულ საზოგა-  
დოებრივად გამოსარკვევი და რომელი უნდა დაფასდეს  
ფორმალურ-ლიტერატურულად? რა არის საერთო მათში?  
ზოგიერთი არა შესანიშნავი ხაზები მსოფლიო გრძნებისა:  
ცხოვრებისადმი ლტოლვა, ისე როგორც ის არის, არა გადა-  
ხრა სინამდვილისაგან, არამედ მის შეატვრული მიღება,  
მისდამი აქტიური ინტერესი, მისი კონკრეტიული დაფუ-  
ძნება, ან და ცვალებადობა-ლტოლვა, რომ ეს ცხოვრება —  
ან გარდაქმნა შედევრიად, ან გაამართლო ან გაამტყუნო,  
ან ფოტოგრაფიით გადაღება, ან გაფართოება, ან გასიმ-  
ბოლოება; — მაგრამ სახელდობრ მაინც ეს ცხოვრება, ჩვენი  
სამი გაზომის ცხოვრება — როგორც საკმარისი მატერია  
შემოქმედებისა. ასეთ ფართო ფილოსოფიურ და არა  
ლიტერატურულ-სკოლურ აზრით შეიძლება გადაჭრით  
ითქვას, რომ მომავალი ხელოვნება იქნება რეალისტური.  
რევოლუცია ვერ იცხოვრებს მისტიკასთან ერთად.

თუ ის, რასაც პილნიაკი, იმაუინისტები და სხვები  
ეძახიან თავის რომანტიკას, არის იგივე შემპარავი მისტი-  
კა, — მაშინ რევოლუციაც ვერ იცხოვრებს რომანტიკასთან  
ერთად. ეს არ არის დოქტრინონიორობა, არამედ დაუძლე-  
ველი ფსიქოლოგიური ანგარიში. არ შეიძლება ჩვენ დროში  
იყოს პორტატიული, კეკლუცი მისტიკა „სხვათა შორის“,  
როგორც ოთახის პატარა ძალლი.

ჩვენი დრო ნაჯახით სჭრის.

ირამდის გაპობილი და ქაოიშხლიანი ცხოვრება ლაპარაკობს: „მე მინდა სატვარი, რომელსაც მხოლოდ ერთი ეყვარება. როგორ მ. მხვევე ხელსა და ამიუფან ხელში, რა საშუალებას იხმარ ინსტრუმენტად და იარაღად, რომელნიც შექმნილია ხელოვნების განვითარებით, ეს შენთვის მომინდვია, შენი ტემპერამენტისთვის, შენი გენიისთვის, მაგრამ შენ მე გამიგე, როგორცა ვარ, და მიმიღე ისეთი, როგორიც ვიქნები, და ჩემს გარდა შენთვის არაფერი არ არის“...

ეს ნიშნავს: რეალისტურ მონიზმს მსოფლიო განწყობილების აზრით და არა „რეალიზმს“ ტრადიციულ-ლიტერატურულ სკოლის არსენალიდან წამოღებულ აზრით.

პირიქით: ახალ მხატვარს მოუნდება ყველა ხერხები და მეთოდები, რომელნიც შეუქმნია წარსულს, რაღაც კიდევ დამატებითი, რომ ახალ ცხოვრებას დაეუფლოს

და ას არ იქნება მხატვრული ეკლექტიკა, რადგან ერთიანობა შემოქმედებისა მოცემულია აქტიურ მსოფლიო გრძნობით.

19 და 19 წლებში არ იყო იშვიათი ფრონტებზე შეხვედროდით სამხედრო ნაწილს, რომელსაც წინ უძლოდა ცხენოსანი მხვერავები და უკან კიდევ დროვები არტისტებით, არტისტ ქალებით, დეკორაციებით და ყოველგვარი რეკისიტით. ხელოვნების ადგილი საერთოდ არის ისტორიული განვითარების „ობოზში“. ხანდისხან ჩვენ ფრონტებზე ისეთი მდგომარეობა იქმნებოდა, რომ დროვები არტისტებით და დეკორაციებით უხერხულ ყოფნაში ვარდებოდენ და არ იცოდენ სად წასულიყვენ. ხანდისხან ხელში უვარდებოდენ თეთრგვარდიელებს. არა ნაკლებ საძნელოა მთელი ხელოვნების მდგომარეობა, რომელსაც ისტორიულ ფრონტზე თავს დაატყდა ბევრი ცვლილებები.

უკელაზე უფრო საძნელოა თეატრის მდგომარეობა, რომელმაც სულ არ იცის სად წაეიდეს და რა „აჩვენოს“, და ყველაზე უფრო აღსანიშნავია, რამ თეატრს, ამ ყველაზე უკონსერვატორესს დარგს ხელოვნებისას, ყველაზე მეტი რადიკალური თეორეტიკოსები აღმოაჩნდენ. ცნობილია, რომ ყველაზე უფრო რევოლიუციონური წოდება საკავშირო რესპუბლიკებში არის წოდება თეატრალურ რეცენზენტებისა. საჭირო იქნება რომელიმე რევოლიუციონურ ოკაზიის დროს დასაცლეთში, ან აღმოსავლეთში შეიქნას მებრძოლი რაზმი „ლევტერეცების“ (მემარცხენე თეატრალური რეცენზენტების), როცა თეატრები სდგამენ „მაღამ ანგოს ქალიშვილს“, „ტარელკინის სიკვდილს“, „ტურანდოტს“, „რქების მატარებელს“. აქ კიდევ ითმენენ პატივუმული „ლევტერეცები“. მაგრამ როცა საქმე მიდგა მარტინეს პიესებზე, ისინი უკვე დადგენ ყალყზე (მანამდის, სანამ მეიერხოლდი დასდგამდა „ყალყზე შემდგარ დედამიწის“). პიესა პატრიოტულია... მარტინე პაციფისტია! ერთი იმათვანი ასე იძახდა: ჩეენთვის ყველაფერი ეს გუშინდელი დღეა და ამიტომ არაფერ საინტერესოს არ წარმოადგენს. აი ასეთ მემარცხენეობაში სასტიკად დამალულია მეშჩანობა და არც ერთი გროშის რევოლიუციონერობა არ არის შიგ. რომ დავიწყოთ პოლიტიკურ პასპორტიდან, მაშინ გამოჩნდება, რომ მარტინე მაშინ იყო რევოლიუციონერი და ინტერნაციონალისტი, როცა ეხლანდელი უმემარცხენეს წოდების წარმომადგენელნი არც კი ყნოსავდენ მემარცხენეობის მაღლს და მაინც რას ნიშნავს ეს: „მარტინე ჩეენთის გუშინდელი დღეა“? განა საფრანგეთის რევოლიუცია უკვე მოხდა? განა მან გაიმარჯვა? ან და თუ ჩეენთვის საფრანგეთის რევოლიუცია არაა დამოუკიდებელი ისტორიული დრამა და უბრალო

მოსაწყენი განმეორება იმის, რაც იქნ ჩვენში? ასეთ მემარტინენი ერთობაში იმალება პოშლიაკური ეროვნული ჩამორჩენილობა. რომ მარტინეს პიესაში არის გძელი ადგილები, რომ ის უფრო ლიტერატურული ნაწარმოებია, ვინემ სცენიური (ალბად აეტორი არც კი მოელოდა თავისი პიესის დადგმას სცენაზე), ეს უდავოა. მაგრამ ეს ნაკლი თანდათან გაქრებოდა, რომ თეატრს აელო ეს პიესა თავისი ნაციონალურ - ისტორიულ კონკრეტობით, ე. ი. არა როგორც სქემატიზაცია უალყზე ამდგარ დედამიწის, არამედ როგორც საფრანგეთის პროლეტარიატის დრამა, მისი დიდი გზის ერთ - ერთ ულელტეხილზე. მოქმედების გადატანა ისტორიულ გარემოდან განყენებელ კონკრეტიულობაში არის ამ შემთხვევაში წასვლა რევოლუციიდან, იმ ნამდვილ, რეალურ რევოლიუციიდან, რომელიც გამძაფრებით გადადის მხარიდან მხარეში, და რომელიც ამიტომ ზოგიერთ პსევდო-რევოლიუციონერებს ეჩვენებათ განვლილ გზის მოსაწყენ განმეორებათ. მე არ ვიცი, ვგინდა თუ არა დღეს ჩვენ სცენაზე ბიო - მექანიკა, ე. ი. არის თუ არა ის ისტორიულ აუცილებლობის წესრიგში დამდგარი. სამაგიეროთ მე სრულიადაც არ ვეკვობ, თუ მექნება ნება ვილაპარაკოთ სუბიექტიურ ტერმინებით, რომ ჩვენ თეატრს უსაშველოთ სჭირია ნორჩი რევოლიუციონურ ყოფა-ცხოვრების რეპერტუარი და პირველ რიგში საბჭოთა კომედია.

ჩვენ გვინდა ჩვენი „ნედოროსლი“, ჩვენი „ვაი ჰეიისაგან“, ჩვენი „რევიზორი“ არა ახალი გასცენიურება ამ სამი ძველი კომედიის, არა პაროდიული კარნავალური გადაბრუნება ამ პიესისა საბჭოთა ყაიდაზე, თუმცა ეს ჩვენი რეპერტუარის 99 პროცენტია, არა, ჩვენ უბრალოთ გვინდა საბჭოთა კომედია ჩვეულებებისა, რომელიც გაგვაცინებს და გაგვარისხებს. მე საგანგებოთ ვიღებ ძველი

სიტყვიერების სახელმძღვანელოების ტერმინებს და სრულიადაც არ მეშინია, რომ ბრალს დამდებენ ჩამოტჩენილობაში, რადგან ახალ კლასს, ახალ ყოფნას, ახალ ცოდვებს, ახალ რეგვენობას სჭირიათ, რომ ისინი გამოიყვანონ სიჩემისაგან და, როცა ეს მოხდება, ჩვენ მივიღებთ ახალ თეატრალურ ხელოვნებას, რადგან თუ არ იხმარე ახალი ხერხი, ისე ვერ აღწერ ახალ რეგვენობას. რამდენია ახალი „ნედოროსლები“, რომელნიც კანკალით ელიან თავიანთ განხორციელებას სცენაზე. რამდენია დღეს უბედურება ჰკუისაგან ანდა ძალათ ჰკუიანობისაგან, და რა კარგი იქნებოდა, რომ მთელ საბჭოთა მინდორზე გაიაროს თეატრალურმა რევიზორმა. ნუ გადააბრალებთ ჟველაფერს თეატრალურ ცენტურას — ეს არ არის მართალი. თუ ახალი კომედია გვეტყვის: აი ვიწყებთ ახალი ცხოვრების აშენებას, და რამდენია ჩეკენს ირგვლივ ძველი და ახალი ლორობა, ქამობა, არამზადობა — მოდი გადავგავოთ... მაშინ ცენტურა არათერსაც არ დაუშლის და, თუ სადმე ვინმე რეგვენობით ამას დაუწყებს ბრძოლას, ჩვენ გაუმჯობედებით ასეთ ცენტურას ორივე ერთად.

იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა მე მიხდებოდა მეუურებინა სცენისათვის, ზრდილობიანათ კი ვამთქნარებდი სახელოში, რომ არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმეუწებინა, ჟველაზე უფრო დამრჩა ხსოვნაში, თუ როგორ ცოცხლად ეგებება აუდიტორია ჟველაფერს, რაც ცოტათი მაინც შეიცავს დღევანდელ ცხოვრების აღნიშვნის ნიშანწყალს, ჟველაზე უფრო ცნობისმუყვარეობის აღძვრით შეიძლებოდა ამის დანახვა სამხატვრო თეატრის ოპერეტულ რესტავრაციებში, რომელსაც არ აკლია მკლები (ვარდი არ არის უეკლოთ), და მაშინვე მომდიოდა თავში ეს ფიქრი,

თუ ჯერ კიდევ ჩვენ ვერ მივალშევთ კომედიას, შევქმნათ მაინც საზოგადო ყოფა-ცხოვრების სანახაობა.

უსათუოდ, უსათუოდ, უსათუოდ გამოვა მომავალში თეატრი ოთხი კედლიდან და შეუერთდება მასების ცხოვრებას, რომელიც სრულიად დაემორჩილება ბიომექანიკის რიტმს და სხ. მაგრამ ეს მაინც „ფუტურიზმია“, ე. ი. შორეული მომავალის მუსიკა. მაგრამ წარსულისა და მომავალის შორის არის დღევანდელობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. კარგი იქნებოდა პასეიზმისა და ფუტურიზმის შუა თეატრუში მიეცეს ადგილი... პრეზენტიზმაც... ამხანავო მკითხველო, მივსცეთ ხმა ამ მიმდინარეობას. ერთი კარგი საბჭოთა კომედია თეატრს აღაფრთოვანებს რამდენიმე წლით და იქ კიდევ გამოჩნდება ტრაგედია, რომელიც პატივნაცემია, როგორც უმაღლესი სახე სიტყვიერ ხელოვნებისა.

\* \* \*

მაგრამ შეუძლია განა ჩვენ ულმერთო ეპოქას შექმნას მონუმენტალური ხელოვნება? ვვეკითხებიან ახალი მისტიკოსები, რომელნიც მზად არიან მიიღონ რევოლუციაც კი, მხოლოდ იმ პირაბით, რომ მან უზრუნველვყოს საიქიონ ცხოვრება. ყველაზე უფრო მონუმენტალური ფორმა სიტყვიერ ხელოვნებისა არის ტრაგედია. კლასიკურ ხანას ტრაგედია გამოჰყავდა მითოსიდან. არ არის ანტიური ტრაგედია გარდა ბედისწერის ბრძა რწმენის გარეშე. საშუალო საუკუნის მონუმენტალური ხელოვნება გაერთიანებულია ქრისტიანობის მითოსით, რომელიც აძლევს აზრს პრა მარტო ტაძრებს და მისტერიებს, არამედ მთელ ცხოვრების ურთიერთობას. მონუმენტალური ხელოვნება იყო შესაძლებელი მხოლოდ იმ ეპოქებში,

როცა იყო ერთიანობა რელიგიურ შენობისა და თუ გარიყულია რელიგიური რწმენა, არა ბუნდოვანი მისტიური საბურავი თანამედროვე ინტელიგენტური სულისა, არამედ კეშარიტი რელიგია ღმერთით, ზეციერ კანონმდებლობით და საეკლესიო იერარქიით, მაშინ ცხოვრება გატიტვლებულია და არ აქვს ადგილი უმაღლეს კოლიზიებს: გმირს და ბედისწერას, ცოდვას და მის გამოყიდვას. ასეთ მხარიდან უდგება ხელოვნებას არა ნაკლებ ცნობილი მისტიკოსი სტეპუნი თავის წერილში: „თანამედროვეობის ტრაგედია“. ის თითქო გამოდის თვითონ ხელოვნების მოთხოვნილებებიდან, გვაცდუნებს ახალი მონუმენტალური შემოქმედებით, გვაჩვენებს პერსპექტივებში ახალ ტრაგედიის აღორძინებას და დასკვნაში თხოულობს: ხელოვნების სახელისთვის თაყვანი ეცი და დაემორჩილე ზეციურ ძალებსთ. სტეპუნის აღნაგობაში არის შემპარავი ლოლიკა. ავტორს ნამდვილათ ტრაგედია კი არ უნდა, რადგან რა არის ტრაგედია ზეციურ კანონმდებლობასთან? მან უნდა დაიკიროს ჩეენი ეპოქა ტრაგიულ ესთეტიკის ნეკის თითით, რომ შემდევ დაიპყრას მთელი ხელი. მაგრამ დიალექტიურ თვალსაზრისით მთელი სტეპუნის აღნაგობა ფორმალურია და ზერელე. ეს არის წმინდა იეზუიტური მიდგომა საკითხთან.

ის შევნებულად უარყოფს ისტორიულ მატერიალურ საფუძველს, რომელზედაც ზედმიწევნით აღმაცენდა ანტიური დრამა, გოტიკის ხელოვნება და უნდა აღმოცენდეს ახალი ხელოვნება.

ბედისწერისადმი რწმენა აღნიშნავდა იმ ვიწრო რეალს, რომელშიც იყო მოქცეული ანტიური ადამიანი ნათელი აზრითა, მაგრამ ლარიბი ტეხნიკით. მას კიდევ ვერ გაე-

ბედა თავის მიზნად გაეხადა ბუნების დამორჩილება დღე-ვანდელი მასშტაბით -- და ის ადგა მას თავზე, ისე რო-გორც ბედისწერა. განსაზღვრულობა და უმოძრაობა ტეხ-ნიკურ საშუალებათა, ხმა სისხლისა, ავადმყოფობა, სიკ-ვდილი, ყველაფერი ის, რაც ადამიანს საზღვრავს და არ აძლევს ნებას იყოს ამპარტავანი, ყოველივე ეს არის ბედისწერა. ტრაგიულობა იყო გამოწვეული გალვიძებულ შეგნების დიდ განზრახვებით და განხორციელების საშუა-ლებათა განსაზღვრულობით. მითოსი კი არ ჰქმნიდა ტრაგედიას, არამედ აძლევდა მას სახიერ გამოთქმას კა-ცობრიობის ბავშობის ენაზე.

საშუალო საუკუნეებში სპირიტუალისტური ქრისტიანი გამოყიდვისა და საერთოდ მთელი სისტემა ორმაგი ან-გარიშისა მიწიერის და ზეციერის გამომდინარეობდა რელიგიის ორ სულისაგან, განსაკუთრებით ისტორიულის-ვან, ე. ი. ნამდვილ ქრისტიანობისაგან, ის კი არ ჰქმნი-და ცხოვრების წინააღმდეგობას, არამედ მხოლოდ გამო-ხატავდა და ფაქტიურად სწყვეტდა კიდევაც.

საშუალო საუკუნის საზოგადოებას გადაჰქონდა ვექ-სელი ლეთის ძეზე, როცა უნდოდა მომატებულ წინააღ-მდეგობათა გადალახვა.

მბრძანებელნი აწერდენ ხელს, საეკლესიო იერარქია გამოდიოდა, უდგებოდა თავდებათ და დაჩაგრულები ფი-ქრობდენ ცაში მის განალდებას.

ბურუუაზიული საზოგადოება უშერებოდა ატომიზა-ციას ადამიანთა ურთიერთ განწყობილებას, მისცა რა მას გასაკვირველი მოქნილობა და მოძრობა. პრიმიტიუ-ლი მთლიანობა შეგნებისა, როგორც საფუძველი მონე-მენტალურ რელიგიურ ხელოვნებისა, გაძქრა პრიმიტიულ ეკონომიურ განწყობილებასთან ერთად. რელიგიაშ მიიღო

რეფორმაციის საშუალებით ინდივიდუალისტური ხასიათი. რელიგიურ ხელოვნების სიმბოლოები ჩამოშორდენ ზე-ციერ ჭიპს და თავქვე დაემხევენ, დაიწყეს დასაყრდნობის ძებნა ინდივიდუალურ შეგნების მურყევ მისტიკაში.

შექსპირის ტრაგედიებში, რომელთა წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა ურეფორმაციოთ, ანტიური ბედისწერა და საშუალო საუკუნეების ქრისტეს ვნებანი გაძევებული არიან ინდივიდუალურ ადამიანის ვნებებით: სიყვარულით, ეჭვით, შურისძიების გაუმაძლობით და სულიერ განხე-თქილობით. მაგრამ შექსპირის ცეკველა დრამებში პირადი ვნება დაყვანილია გამძაფრების ისეთ ხარისხამდე, როცა ის გადაწრდება ადამიანს, ხდება ზეპიროვნული და ხდე-ბა ერთგვარ ბედისწერათ. ასეთია ოტელოს ეჭვი, მაკე-ტი დიდების მოყვარეობა, შეილოკის სიხარბე, რომეოს და ჯულიეტას სიყვარული, კორიოლანის ამპარტავნობა, ჰამლეტის სულიერი ლელვა.

შექსპირის ტრაგედია ინდივიდუალისტურია და ამ აზ-რით არ არის ისეთი საერთო აზრის, როგორც ედიპოსი, რომელიც გამოთქვამდა საერთო ხალხურ შეგნებას.

მაგრამ მაინც შექსპირი უდიდესი ნაბიჯია წინ გა-დადგმული და არა უკან ესხილთან შედარებით. შექსპი-რის ხელოვნება უფრო ადამიანურია.

ყოველ შემთხვევაში ახალ ტრაგედიას, სადაც ღმერ-თი მბრძანებლობს და ადამიანი ემორჩილება, დღეს ჩვენ არ მივიღებთ. და ამას არც კი არავინ დასწერს. როცა განწყობილებათა ატომიზაციის აკეთებდა ბურულაზიული საზოგადოება თავის გამოსვლის პირველ ეპოქაში, ისახავ-და მიზნათ პიროვნების განთავისუფლებას. იქედან დაიბა-დენ შექსპირის დრამები და გიორგეს „ფაუსტი“.

ადამიანი აყენებს თავის თავს მსოფლოს ცენტრად  
და ამით ხელოვნების ცენტრადაც. ეს ტემები რამდენიმე  
საუკუნოებს ეყო.

არსებითად რომ ვთქვათ, მთელი ახალი ლიტერატუ-  
რა იყო ამ საჯითხის დამუშავება. მაგრამ პირველყოფი-  
ლი მიზანი — პიროვნების განთავისუფლება, მისი კვალი-  
ფიკაცია — თანდათან კარგავდა ფერს და გადადიოდა ახალ  
უსულო მითოლოგიაში, იმის მიხედვით თუ როგორ ში-  
ნაგანი სიღატაე ბურუუზიულ საზოგადოებისა იჩენდა  
თავს მის აუტანელ წინააღმდევობებში.

შეტაკება პირადულისა ზე-პიროვნულთან შესაძლებე-  
ლია არა მარტო რელიგიურ საფუძველზე და არა მარტო  
ადამიანზე გადაზრდილ ადამიანურ ენებების გამო.

ზე-პიროვნული კველაზე ადრე არის საზოგადოებ-  
რივი. სანამ ადამიანი ვერ დაეპატრონა თავის საზოგა-  
დობრივ ორგანიზაციას, ზე-პიროვნული ადგია მას თავზე,  
როგორც ბედისწერა. გადაიძრობს თუ არა ის თავის  
თავიდან რელიგიურ ჩრდილს, ეს ყოველ შემთხვევაში  
მეორე კატეგორიის გარემოებაა, რომელიც ასახავს ადა-  
მიანის უილაჯობის ხარისხს.

ბაბეფის ბრძოლა კომუნიზმისთვის იმ საზოგადოებაში,  
რომელიც ამისთვის არ იყო მომწიფებული, იყო ბრძოლა  
ანტიურ გმირისა ბედისწერისათან. ბაბეფის ბედს აქვს  
კველა ნიშნები ჰეშმარიტი ტრაგედიის, ისე როგორც იმ  
გრაფების ბედს, რომელთა სახელიც უწოდა თავის თავს  
ბაბეფმა.

ტრაგედია შეკუმშული პირადი ენებებისა მლაშეა  
ჩვენი დროისთვის.

მაგრამ რისთვის?

იმიტომ, რომ ჩეენ ვცხოვრობთ სოციალურ ვნებების ეპოქაში.

ტრაგედია ჩეენი ეპოქისა არის შეტაკება პიროვნებისა კოლექტივთან.

ან და შეტაკება ორ კოლექტივს შორის პიროვნების საშუალებებით.

ჩეენი დრო ხელმეორედ არის დრო დიდი მიზნებისა. ამის ბეჭედი აზის მას.

მაგრამ გრანდიოზობა ამ მიზნებისა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს უნდა გაინთავისუფლოს თავი მისტიურ და ყოველ ამგვარ ნისლიდან, უნდა გარდაქმნას საზოგადოება და თავისი თავიც. აი გეგმა, რომელიც მან თვითონ შექმნა.

ეს რასაკვრელია უფრო დიდი საქმეა, ვინემ ბავშური თამაში ძველი ადამიანებისა, რომელთაც შეეფერებოდათ ეს თავის ასაქში, ან და ბერების ბოდვა საშუალო საუკუნეებში, ან ინდიდუალიზმის ამპარტაცნობა, რომელიც პიროვნებას გამოკვეთავს კოლექტივიდან და როცა გამოსწურავს, გადააგდებს პესიმიზმის სიცარიელეში და ან ხელმეორეთ დააწყებინებს ფორთხვას განახლებულ ხარის აპისის წინ.

ტრაგედია ამიტომ არის უმაღლესი ფორმა ლიტერატურისა, რომ გულისხმობს საგმირო გამძაფრებას ლტოლვათა, განსაზღვრას მიზნებისას, კონფლიქტებისას და ტანჯვებისას.

ამ მხრივ სტეპუნი მართალია, როცა ახასიათებს ჩეენი „მწუხრი“-ს უმნიშვნელობას, როგორც ამას თვითონ უძახის „Канунное искусство“, ესე იგი, რომელიც წინ უსწრებდა ომსა და რევოლუციას.

ბურუუაზიული საზოგადოება, ინდივიდუალიზმი, რეფორმაცია, შექსპირის დრამა, დიდი რევოლუცია არ სტოვებენ ადგილს იმ მიზნების ტრაგიული აზრისთვის, რომელიც გარედან გვევლინებიან. დიდმა მიზანსა უნდა ვაიაროს შეგნება ხალხისა ან და იმ კლასისა, რომელსაც მიჰყავს ხალხი, რომ მიიყეანოს გმირობასთან და შეჭქმნას ნიადაგი დიდი გრძნობებისათვის, რომელიც ასულდგმულებენ ტრაგედიას.

მეფის ომი, რომლის ამოცანები ვერ შევიდენ შეგნებაში, იძლევა მხოლო უმნიშვნელო ლექსებს, მის ვერდით კი ნაკადულობდა ინდივიდუალისტური პოეზია, რომელიც ვერ მაღლდებოდა ობიექტიურობამდე, და ვერ ჰქმნიდა დიდ ხელოვნებას.

დეკადენტობა და სიმეოლიზმი, ყველა თავისი ტოტებით, ხელოვნების ალდგენის ისტორიულ თვალსაზრისით იყვენ მხოლოდ კალმის გასინჯვა, ოსტატობის მომზადება და ინსტრუმენტების მომართვა. „Канун“-ი იყო ხელოვნებაში ეპოქათ, რომელსაც არ ჰქონდა მიზნები.

ვისაც ჰქონდა მიზნები, მას კიდევ ხელოვნებისათვის არ ეცალა. ეხლა საჭიროა დიდი მიზნები ვატარდეს ხელოვნებაში.

მთასწრებს თუ არა რევოლუციის ხელოვნება მოგვცეს „მაღალი“ რევოლუციონური ტრაგედია, ამის წინდაწინ თქმა ძნელია. მაგრამ სოციალისტური ხელოვნება აღადგენს ტრაგედიას. ახალი ხელოვნება იქნება ულმერთო ხელოვნება.

ის აგრეთვე აღადგენს კომედიას: რადგან ახალი ადამიანი მოინდომებს გაცინებას.

ის მისცემს ახალ ცხოვრებას რომანსაც, ის მისცემს ყველა უფლებებს ლირიკას, რადგან ახალ აღამიანს ექნე-

ა აიუვარული და უფრო ძლიერი, ვინემ ძველ ადამიანებს, და დაფიქტდებიან სიკედილისა და სიცაცხლის საკითხზე.

ახალი ხელოვნება აღადგენს ყველა ძველ ფარმებს, რომელიც შექმნა შემოქმედ სულის განვითარებამ.

გახტნა და განხეთქილება ამ ფორმებისა სრულიადაც არ ატარებს აბსოლუტურ მნიშვნელობას, ე. ი. არ ნიშნავს მის შეურიგებლობას ახალ დროის სულთან.

საჭიროა მხოლოდ, რომ ახალი დროის პოეტმა გამოიაზროს ადამიანის ფიქრები და იგრძნოს ადამიანის გრძნობა ახალი გრძნობით...

ამ წლებში (ომისა და რევოლუციის) ყველაზე უფრო დაზიანდა არქიტექტურა და არა მარტო ჩვენთან: ძველი შენობები თანდათან ინგრეოდა, ახალი შენობები არ შენდებოდა. აქედან წარმოიშვა ბინის კრიზისი მთელ მსოფლიოში. ომის შემდეგ, როდესაც განახლდა მუშაობა, ადამიანის ცდა და ძალ-ლონე მიმართული იყო მოხმარების აუცილებელ საგნების შექმნაზე და მხოლოდ შემდეგ ცხოვრების ძირითად მოწყობაზე და სახლთა აღმშენებლობაზე. უკანასკნელ შემთხვევაში ომების და რევოლუციების დამკრევი ეპოქა მისცემს უძლიერეს საბაბს არქიტექტურის განვითარებას — მაგალითად, იმ აზრით, როგორც 1812 წლის ხანძარში ხელი შეუწყო (მართლაც ხელი შეუწყო) მოსკოვის გამშვენიერებას. რუსეთში დანგრევისათვის იყო უფრო ნაკლები კულტურული მასალა, ვიდრე სხვა ქვეყნებში; ინგრეოდა მეტი, ვიდრე სხვა ქვეყნებში, აშენება კი ჩვენთვის გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სხვა ქვეყნებისათვის. არ არის საკეირველი, რომ ჩვენ ამ წლებში არ გვეცალა არქიტექტურისათვის, რომელიც ყველაზე უფრო მონუმენტალური ხელოვნებაა.

ახლა ჩვენ თანდათან ვიწყებთ ქვაფენილების შეკეთებას, კანალიზაციის მიღების აღდგენას, ვათავებთ ჩვენთვის დატოვებულ დაუმთავრებულ სახლების შენებას, ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ. სასოფლო-სამეურნეო გამოუენა ჩვენ შევქმენით ხისაგან. დიდი მასშტაბის აღმშენებლობა ჩვენ უნდა გადავდეთ შემდეგისათვის. ვიგანტურ პროექტების ავტორებს, როგორც ტატლინს, უნებლით ნება ეძლევათ დამატებით დასვენებისა ახალ მაფიქრებისათვის. რასაკვირველია, არ უნდა წარმოვიდგინ ით საქმე ისე, რომ ჩვენ გვინდა დავკმაყოფილდეთ ათეულ წლების განმავლობაში სახლების და ქვაფენილების შეკეთებით. ამ პროცესში, ისე როგორც სხვა პროცესებში, არის როგორც პერიოდი შეკეთების, თანდათანობითი მომზადების და ძალების, დაგროვების, აგრეთვე დაჩქარებული აწევის პერიოდი. როგორც კი თავს იჩენს სიუხვე, აუცილებელ და სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაქმაყოფილების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფო დააყენებს დღის წესრიგში კითხვას გიგანტურ აღმშენებლობის შესახებ, რომელშიც ჩვენი ეპოქის სული ნახავს თავის მონუმენტალურ გამოსახვას. ტატლინმა თავის პროექტში უკუაგდო ნაციონალური სტილი, ალეგორიული ქანდაკება, ვენწელები, კუდები და ხუჭუჭები, სცადა რა დაემორჩილებინა მთელი იდეა მასალის სწორ კონსტრუქტიულ გამოყენებისათვის; და ამაში ის უთუოდ მართალია, ასეთია კონსტრუქცია მანქანების, არქიტექტურა ხიდების და დახურულ ბაზების, არა მარტო გუმინდელი დღიდან. მაგრამ მართალია თუ არა ტატლინი იმაში, რაც შეადგენს მის პირად გამოვნებას: მბრუნავი კუბი, პირამიდა და ცილინდრი შუშისგან, — ამის დამტკიცება იმას კიდევ დასჭირდება.

კარგია ეს თუ ცუდი, მხოლოდ გარემოება აძლევს იმას დროს და საშუალებას არგუმენტების მოძებნისათვის.

მოპასანს სძულდა ეიფელის კოშკი. და არავინ არ არის ვალდებული იმას წაბაძოს. მაგრამ უკეთესია, რომ ეიფელის კოშკი ახდენს ორმაგ შთაბეჭდილებას: ის გვიზიდავს ფორმების ტეხნიკური სისადავით და იმავე დროს ის უარსა-ყოფია თავისი უმიზწობის გამო. მასში არის შინაგანი წინააღმდეგობა: მეტად დიადი შენობის თვალსაზრისით ბიზანტიური გამოყენება მასალის. მაგრამ რისთვის? ეს შენობა კი არ არის, ეს ვარჯიშობაა. ახლა, ეიფელის კოშკი, როგორც ყველასთვის ცნობილია, ასრულებს რა-დიო-სადგურის როლს, ეს აზრს აძლევს იმას და აგრეთვე აძლევს მას ესთეტიკურ მთლიანობას. თუმცა, ეს კოშკი რომ თავიდანვე აეშენებიათ რადიო-სადგურისათვის, ის ალბად მიაღწევდა ფორმის მეტ მიზანშეწონილობას და, მაშასადმე, იქნებოდა მხატვრულად უფრო დამთავრებული.

ტატლინის ძეგლის პროექტი ამ თვალსაზრისით უფრო ნაკლებათ დამაკმაყოფილებელია. ძირითად შენობის მიზანია შუშის ბინების მოთავსება მსოფლიო „სოვნარკომის“ სხდომებისათვის, კომუნისტურ ინტერნაციონალისათვის და სხვა. მაგრამ ბიჯგები და ბურჯები, რომელნიც ევლებიან და აკავებენ შუშის ცილინდრს და პირამიდას,— მხოლოდ ამ სამსახურს სწევენ, — ისე მძიმე და ვეებერთელა არიან, რომ გვანან შენობის აულაგებელ ტყეს. თქვენ არ გესმით, რისთვის არიან ისინი საკირო. თქვენ გიპასუხებენ: რომ დაიკავონ მბრუნავი ცილინდრი, რომელშიაც იქნება სხდომები. თქვენ ეკამათებით: მაგრამ სხდომები არ იქნება უოუზდ ცილინდრში და ცილინდრი არ არის ვალდებული იბრუნოს. მახსოვს, ბავშობაში მე ენახე ხის საყდარი, რომელიც აშენებული იყო ლუდის ბოთლში. ამან გააკვი-

რა ჩემი წარმოდგენა და მე მაშინ არ ვკითხულობდი; რატომ? ტატლინი მიღის წინააღმდევი გზით: შუშის ბოთლი მსოფლიო „სოვნარკომისათვის“ მას უნდა მოათავსოს სპირალურ რკინის და ბეტონის საყდარში. მაგრამ მე ეხლა არ შემიძლია შევიკავო თავი კითხვისაგან: რატომ? უფრო სწორედ: ჩვენ, ალბათ, მივიღებდით ცილინდრსაც და მის ბრუნვასაც, რომ ეს იყოს შეერთებული კონსტრუქციის სისაღავესთან და სიმჩატესთან, ესე ივი, რომ მოწყობილობა ბრუნვისათვის არ ჩრდილავდეს მიღწევას.

აგრეთვე ვერ დავეთანხმებით ჩვენ იმ აჩვეუმენტებს, რომელიც მოჰყავთ, რომ მხატვრული განმარტება მისცენ ქანდაკებას, თუნდაც იაკობ ლიპშიცინას. ქანდაკებამ უნდა დაკარგოს თავისი ფიქტიური დამოუკიდებლობა, რომელიც ნიშნავდა მისთვის გაყინვას უკანა ეზოებში ან და მუხეუმების სასაფლაოებზე, მან უნდა განაახლოს თავისი კავშირი არქიტექტურასთან ერთგვარ უმაღლეს მთლიანობაზი. ამ ფართე აზრით ქანდაკებამ უნდა მიიღოს უტილიტარული დანიშნულება. ძალიან კარგი! მაგრამ სრულიად არ სჩანს, როგორ უნდა მიხევიდე ამ იდეებით ქანდაკებასთან. ფოტოგრაფიულ წალზე ჩვენს წინ არის რამდენიმე გადაჭდობილი სიბრტყეები, რომელიც შეგვიძლია მივიღოთ როგორც პირობითი სქემატიზაცია დამჯდარი ადამიანის სიმებიანი საკრავით ხელში. ჩვენ გვიუბნებიან: თუ ეს დღეს-დღეობით არ არის უტილიტარული, სამაგიეროთ „მიზანშეწონილია“. რა აზრით? რომ ვიმსჯელოთ მიზანშეწონილობაზე, უნდა ვიცოდეთ მიზანი. როდესაც კი ფიქრობ ამ მრავალრიცხოვან გადაჭდობილ სიბრტყეთა და კუთხოვან ფორმათა და შვერილთა მიზანშეწონილობის და შესაძლო უტილიტარობის შესახებ, მიღიხარ დასკვნამდე, რომ შეიძლებოდა ქანდაკების გამოყენება

საკიდარად. მაგრამ მაინც, თუ ავტორმა დაისახა მიზნად გამოქანდაკებულ საკიდარის შექმნა, ალბად ნახავდა ამისა-თვის უფრო მიზანშეწონილ ფორმებს. ყოველ შემთხვევა-ში საჭიროა ასეთი საკიდარი არ ჩამოყალიბდეს გიპსში. ბელოს და ბოლოს უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სკულ-პტერია ლიპშიცის, როგორც სიტყვიერი შემოქმედება კრუ-ჩიონიხის, არის მხოლოდ ხელოსნობის ტეხნიკური ვარჯი-შობა, გამგები პასაუები და ექ्शერცისები მომავალი სიტ-ყვიერი და საქანდაკო მუსიკისათვის. მაგრამ ნაშინ არ უნდა გინდოდეს ექ्शერცისების მუსიკათ გასაღება. სკო-ბია არ გამოუშვა ისინი სახელოსნოდან და არ უჩეენო ფოტოგრაფებს.

უკვე ლია, რომ მომავალში ასეთი მონუმენტალური ამოცანები, როგორც ახალი აღნაგობა ქალაქების-ბალების, გაგმები სანიმუშო სახლების, რკინის გზების და ნავთსა-დვურების, გაიტაცებენ არა მარტო ინეინჩებს-არქიტე-ქტორებს, არამედ ფართო ხალხურ მასებს. ჭიანჭველისე-ბური დაჯგუფება და აშენება უბნების და ქუჩების: თვი-თეულ აგურით, შეუმჩნევლად, მოდგმილან მოდგმაში, შეი-ცალება ქალაქების-სოფლების ბუმბერაზულ აშენებით, რუ-ქით და ცირკულით. ამ ცირკულს გარშემო მოხდება ჭეშ-მარიტად ხალხური დაჯგუფება მოწინააღმდეგეთა და მომ-ხეთა, თავისებური ტეხნიკური და აღმშენებლობითი პარტიები მომავლისა, აგიტაციით, პათოსით, მიტინგებით და კენჭის ყრით. ამ ბრძოლაში არქიტექტურა განმეორე-ბით დადგება უფრო მაღალ საფეხურზე, გაიელენთება მა-სიურ გრძნობათა და განწყობილებათა სუნთქვით, კაცობრი-ობა კი აღზრდის თავის თავს პლასტიურად; ესე იგი თან-დათან მიეჩვევა შეხედოს ქვეყანას, როგორც მორჩილ თიხას ცხოვრების უფრო იდეალურ ფორმების შექმნისა-

თვის. კედელი ხელოვნებასა და მრეწველობას შორის დაეცემა. მომავალი დიდი სტილი იქნება არა დამაშვეიდუბელი, იგი გამოვა ახალი ფორმების შექმის პრინციპიდან. ამაში ფუტურისტები მართალი არიან. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გაგვეგო ეს როგორც ხელოვნების ლიკვიდაცია, როგორც მისი გაუქმება ტეხნიკის სასარგებლოდ. ხელოვნების ტეხნიკასთან შეთანხმებას კალმის დანის გაკეთებაში შეუძლიან წავიდეს ორი ძირითადი ხაზით: ხელოვნება ამშვენებს დანას, დახატავს არა მის ტარზე სპილოს, სილამაზისთვის დაჯილდოვებულ ქალს, ან და ეიფელის კოშკს; ხელოვნება მეორე შემთხვევაში ეხმარება ტეხნიკას ნახოს დანისთვის იდეალური ფორმა, ესე იგი ისეთი, რომელიც ზედმიწევნით შეეფერება დანის მასალას და დანიშნულებას. შეცდომა იქნებოდა იმისი ფიქრი, რომ ასეთი ამოცანის გამორკვევა შეიძლება მხოლოდ ტეხნიკური საშუალებით, რადგანაც მასალა და ამოცანა იძლევიან საშუალებას ვარიანტების ურიცხვ რაოდენობისთვის. იდეალურ დანის შექმნისთვის საჭიროა, გარდა მასალის თვისებებისა და დამუშავების ცოდნისა, ფანტაზია და გემოვნება ინდუსტრიალურ კულტურის ტენდენციებთან სრული თანხმობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხატვრული წარმოდგენა მატერიალურ საგნების წარმოების სფეროში იხრუნებს ნივთის, როგორც ნივთის იდეალურ ფორმის დამუშავებაზე, და არა მის დამშვენებაზე, როგორც თვით საგნის ესთეტიურ პრემიაზე.

თუ ეს მართალია კალმის დანის შესახებ, მით უფრო მართალია ტანისამოსის, ავეჯის, თეატრების და ქალაქების შესახებ. ეს სრულიად არ უნდა ნიშნავდეს „საზოგადო“ ხელოვნების უეკველ ლიკვიდაციას, თუნდაც თვით შორეულ მომავალში, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც და-

დგება, ალბათ, უშეალო თანამშრომლობა ხელოვნების ტენიკის ყველა დაზებთან. რას ნიშნავს ეს? მრეწველობა გაიცემონთება ხელოვნებით, თუ ხელოვნება აიყვანს თავის ოლიმპშე მრეწველობას? პასუხის მიცემა ამ კითხვაზე შეიძლება ასეც და ისეც, იმისდა მიხედვით, მივალთ ჩეენ საკითხთან მრეწველობის თუ ხელოვნების თვალსაზრისით. მაგრამ ობიექტიურ დასკვნისათვის განსხვავება ამა თუ იმ პასუხში არ არის. ორივე პასუხი ნიშნავს ხელოვნების წრის გიგანტურ გაფართოვებას და ავრეთვე მრეწველობის მხატვრულ კვალიფიკაციის გიგანტურ აყვავებას. მრეწველობას კი ჩეენ ვგულისხმობთ, ოფიციალურ აღამიანის მთელ საწარმოო მოლვაშეობას: მიწათმოქმედება მანქანის და ელექტროფიკაციის საშუალებით შეიქმნება იმავე მრეწველობის ნაწილი, მაგრამ კედელი დაცემა არა მარტო ხელოვნებასა და მრეწველობას შორის, კედლი დაცემა იმავე დროს ხელოვნებასა და ბუნებას შორისაც. არა იმ უან-უაკისებურ აზრით, რომ ხელოვნება მიუახლოედება ბუნებრივ მდგომარეობას, პირიქით, იმ აზრით, რომ ბუნება გახდება უფრო „ხელოვნური.“ ახლანდელი მდებარეობა მთებისა და მდინარეების, მინდვრებისა და ველების, ტკების და ზღვის ნაპირების უთუოდ არ არის სამუდამო და უკანასკნელი. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცელილებები ადამიანმა უკეთ შეიტანა ბუნებაში, მაგრამ ეს მხოლოდ მოწაფის ცდა არის იმასთან შედარებით, რაც იქნება. თუ სარწმუნოება მხოლოდ გვპირდება მთების ამონტავებას, ტეხნიკას მართლაც შეუძლია რწმენის დაუხმარებლივ აფეთქება და გადალაგება მთების. აქამდის ეს კეთდებოდა სამრეწველო მიზნებით (მაღაროები), ან სატრანსპორტო მიზნებით (გვირაბები); მომავალში ამას გააკეთებენ გაცილებით დიდი მასშტაბით — საწარმოო-მხა-

ტერულ მიზნების მოსაზრებით. ადამიანი შეუდგება მოებისა და მდინარეების პერერეგისტრაციას და საზოგადოთ და არა ერთხელ შეასწორებს ბუნებას. ბილოს და ბოლოს ის გადააკეთებს ბუნებას თუ არა თავის თავის მსგავსათ, ყოველ შემთხვევაში თავისი გემოვნებით. ჩეენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვითიქროთ, რომ ეს გემოვნება იქნება ცუდი. იჭვნეული, ქვევიდან გამომზირალი კლიუევი მაიაკოვსკისთან კამათში აცხადებს: რომ მომლერალს არ ეყადრება იზრუნოს ასაწევ ონჯანებზე, და რომ გულის ლუმელებში (და არა სხვა რამეში) ჩამოყალიბდება ცხოვრების მეწამული ოქრო. ამ კამათში ჩაერია ივანოვ-რაზუმინიკი: ტეტიათა მოტრფიალე, რომელმაც გადიარა მემარცხენე ესერობის რეალი. ამით ყველაფერი ნათქვამია. ჩაქუჩის და მანქანის პოეზიას, რომლის სახელით თითქოს ლაპარაკობს მაიაკოვსკი, ივანოვ-რაზუმინიკი უწოდებს გარდამავალ ეპიზოდს, ხელთუქმნელ მიწის პოეზიას კი აცხადებს მსოფლიოს მარად პოეზიათ. მიწა და მანქანა უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც მარადი წყარო პოეზიის უპირისპირდება დროებითს; და, რასაკეირველია, იმანქნტური იდეალისტი, ფრთხილი და მემარცხულე, ნახევრად მისტიკოსი რაზუმინიკი უპირატესობას აძლევს მარადს დროებითის წინაშე. ნამდვილად კი ეს დუალიზმი მიწისა და მანქანის ყალბია: შეგვიძლია დაეუპირისპიროთ ჩამორჩენილ გლეხის ხენას ხორბალის ქარხანა, პლანტატორული ან სოციალისტური. მიწის პოეზია ცვალებადია და არა მარადი, და ადამიანმა იმღერა განწევრებული სიმღერები მხოლოდ მის შემდეგ, როცა დააყენა მიწას და თავის შორის იარაღები და ინსტრუმენტები, პირველი უბრალო მანქანები. უგუთნოდ, უნამგლოდ და უცელოდ შეუძლებელია კოლ-

ცრეი. ნიშნავს ეს განა იმას, რომ მიწას სახნისით აქვს მარადისობის უპირატესობა მიწასთან ელექტრონის გუთნით?.. ახალი ადამიანი, რომელიც მხოლოდ ახლა ანხორციელებს თავის თავს, არ დაუპირისპირებს, როგორც კლიუპი და მის შემდეგ რაზუმნიყო, ტყის ქაომის სიმღერას და ზუთხის დასაკერ ბადეებს, ასაწევ ონკანებს და ორთქლის ჩაქრის. სოციალისტური ადამიანი ისურვებს და მოახერხებს იყოს ბატონი ბუნებისა მთელ მის სივრცეზე. ტყის ქაომებით და ზუთხებით, მხოლოდ მანქანის საშუალებით. ის იტყვის, სად უნდა იყვნენ მთები, და სად უნდა დაიხიონ იმათ. შესცელის მდინარეების მიმართულებას და შექმნის კანონებს ოკეანესათვის. იდეალისტურ ბაიკუშებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ეს მოსაწყენი იქნება, მაგრამ ისინი ამიტომაც არიან ბაიკუშები. რასაკირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი დედამიწა იქნება დახაზული უჯრედებათ, რომ ტყეები გადიქცევიან პარკებათ და ბოსტნებათ. ალბად დარჩება ტყეც, უდაბნოც, ტყის ქაომებიც, ვეფხვებიც, მაგრამ იქ, სადაც მიუთითებს ადამიანი. და ის ამას ისე კარგათ იქმს, რომ ვეფხვი ვერც შეამჩნევს ასაწევ ონკანს და არ მოიწყენს, და იცხოვრებს ისე, როგორც სცხოვრობდა პირველყოფილ დროში. მანქანა არ არის წინააღმდეგი მიწისა. მანქანა არის თანამედროვე ადამიანის იარაღი ცხოვრების ყველა დარგებში. ეხლანდელი ქალაქი წარმავალია. მაგრამ ის არ გაითქვითება ძველ სოჭელში. პირიქით, მთავარში და ძირითადში სოფელი ამაღლდება ქალაქიმდის. ამაშია მთავარი ამოცანა. ქალაქი წარმავალია: მაგრამ ის აღნიშნავს მომავალს და გზას უჩვენებს მას. ახლანდელი სოფელი კი — სრულიად წარსულშია. ამიტომაც მისი ესთეტიკა არქაულია — სახალხო ხელოვნების მუზეუმიდან არის.

სამოქალაქო ომის ეპოქიდან კაციბრიობა გამოვა დალარიბებული — საშინელ დანგრევებით იაპონიურ მიწისძვრის დაუხმარებლადაც. სურვილი სიმშილის, ნაკლებობის და გაჭირვების დაძლევისა, ესე ფი ბუნების დამორჩილებისა შეიქნება უპირველეს ტენდენციათ ათეულ წლების რიგთა განმავლობაში. ამერიკანიზმის საუკეთესო მხარეები იქნებიან თანამგზავრი ახალ სოციალისტურ საზოგადოების პირველ ეტაპისა, ჩასიური თავის შექცევა ბუნებით გაუქმდება ხელოვნებაში. ტეხნიკა იქნება უფრო ძლიერი. შთამავონებელი მარტივ უულ შემოქმედებისა. უფრო გვიან კი წინააღმდეგობა ტეხნიკისა და ბუნების შერიცვებული იქნება უფრო მაღალი სინტეზით.

\* \* \*

რაზედაც კერძა ენტუზიასტები ოცნებობენ ახლა უხერხულად — ყოფა-ცხოვრების თეატრიზაციისა და თვით ადამიანის რიტმიზაციის შესახებ, კარგათ და მოხდენილად შედის ამ პერსპექტივაში. როდესაც ადამიანი გამსკვალავს შეგნებით მთავარ იდეიას და დაუმორჩილებს მას თავის სამეურნეო წესწყობილებას, იგი ქვას ქვაზედ არ დასტოებს ახლანდელ თავის დამპალ ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაში. გამოკვების და აღზრდის დარღი, რომელიც სამარისებურ ლოდათ აწევს ახლანდელ ოჯახს, მოიხსენებიან და გახდებიან საზოგადო ინიციატივის და დაუშრეტელ კოლექტიურ შემოქმედების საგნად. ქალი გამოვა უკანასკნელად ნახევრად მონურ მდგომარეობიდან. ტეხნიკასთან ერთად პედაგოგიკა ახალ თაობათა ფსიქო-ფიზიკურ აღზრდის მიხედვით — შეიქნება საზოგადოებრივ აზრის მეფედ.

პედაგოგიური სისტემები შეაერთებენ თავის გარ-  
შემო უძლიერეს „პარტიებს“. სოციალურ-აღმზრდელო-  
ბითი ცდები და სხვადასხვა მეთოდების მეტოქეობა  
მიიღებენ ისეთ გაქანებას, რომლის წარმოდგენაც ძნელია  
ახლა ჩვენთვის. კომუნისტური ყოფა-ცხოვრება დალაგ-  
დება არა ბრმად, როგორც მარჯვის ბრაგები (რიფა), ის  
მოწყობა შეგნებულად, გაისინჯება აზრით, იქნება არა  
ერთხელ გასწორებული და გამართული. როცა ყოფა-  
ცხოვრება არ იქნება სტიქიური, ის არ იქნება კონსერ-  
ვატიული. ადამიანი, რომელიც ისწავლის მდინარეების  
და მოების გადადგმას, სახალხო სახლების აშენებას მონ-  
ბლანის სიმაღლეზე და ატლანტიკის ფსკერზე, მოახერ-  
ხებს, რასაკეირველია, მისცეს თავის ყოველდღიურ ცხო-  
ვრებას არა მარტო სიუხვე, ბრწყინვალება, დაჭიმულობა,  
არამედ უმაღლესი დინამიურობა. ყოფა-ცხოვრების გარ-  
სი, როგორც კი ის შემოირკალება, ისევ გაირლვევა  
ახალ ტეხნიკურ და კულტურულ გამოგონებათა და მილ-  
წევათა გავლენის ქვეშ. მომავალი ცხოვრება არ იქნება  
ერთფეროვანი. პირიქით, ადამიანი ბოლოს და ბოლოს  
იზრუნებს თავის საკუთარი თავის პარმონიზაციაზე,  
მისი ამოცანა იქნება: — თავის საკუთარი ორგანოების  
მოძრაობა შრომისა, სიარულის და თამაშის დროს გახა-  
დოს უფრო მյაფიო, მიზანშეწონილი, ზომიერი და უბრა-  
ლო. ის მოინდომებს დაეუფლოს ნახევრად შეგნებულ და  
შემდეგ შეუგნებულ პროცესებს საკუთარ ორგანიზმში:  
სუნთქვას, სისხლის მოძრაობას, საჭმლის მონელებას,  
განაყოფიერებას — და აუცილებლად საჭირო საზღვრებში  
დაუმორჩილებს მათ გონების და ნებისყოფის კონტ-  
როლს. ცხოვრება, თუნდაც ფიზიოლოგიური, შეიქნება  
კოლექტურ-ექსპერიმენტაციური. ადამიანის მოდგმა,

აყინული homo sapiens, ისევ განიცდის რაღიკალურ გადამუშავებას და შეიქნება საკუთარი თითების ქვეშ ხელოვნური შერჩევის და ფსიქოლოგიურ ვარჯიშობის ურთულეს მეთოდების ობიექტად. ეს მთლიანად მდებარეობს განვითარების ხაზზედ. პირველად ადამიანი სდევნიდა ბნელ სტიქიას წარმოებიდან და იდეოლოგიდან, ბარბაროსულ რუტინას ამარცხებდა მეცნიერულ ტეხნიკით და რელიგიას — მეცნიერებით. შემდეგ მან განდევნა შეუგნებელი პოლიტიკიდან, დაამხო მონარქია და წოდებრივობა — დემოკრატიით, რაციონალისტურ პარლამენტარიზმით, და შემდეგ სრულიად გამჭვირვალე საბჭოთა დიქტატურით. ყველაზე უფრო ძლიერია ბრძა სტიქია ეკონომიკურ ურთიერთობაში, — მაგრამ იქიდანაც სდევნის მას კაცობრიობა მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით — ამით შესაძლებელი ხდება ძირითადი შეცვლა ტრადიციულ ოჯახურ ტიპისა.

ბოლოს და ბოლოს თვით ადამიანის ბუნება მიიმაღლა სტიქიურის, შეუგნებელის ნიადაგის ქვეშ მყოფ ბრძა და ბნელ კუთხეში. განა ცხადი არ არის, რომ მკვლევართა აზრი და შემომქმედთა ინიციატივა მიმართული იქნება აქეთ? იმისთვის კი არ შესწავეტს კაცობრიობა ფურტვეს მუხლებზე ლმერთის, მეფეების და კაპიტალის წინაშე, რომ დაემორჩილოს მემკვიდრეობის და სქესობრივ შერჩევის ბნელ კანონებს! განთავისულებული ადამიანი ისურვებს მიაღწიოს მეტ წონასწორობას თავისი თრვანოების მუშაობაში, თავისი ქსოვილების უფრო სწორ და ზომიერ განვითარებას და გახარჯვას, რომ ამით სიკედილის შიში განსაზღვრული იყოს თრვანიშმის მიზანშეწონილ რეაქციით საშიშრობის წინააღმდეგ, რადგანაც უკველია რომ ზედმეტი დისგარმონიულობა ადამიანის —

ანატომიური, ფიზიოლოგიური — განსაკუთრებული უთანა-  
სწორობა ორგანოების და ქსოვილების გახარჯვისა,  
ცხოვრების პროცესს აძლევენ სიკვდილის შიშის არა-  
ნორმალურ ისტერიულ ფორმას, რომელიც აბნელებს  
გონებას და ჰეცებას ბრიყვ დამამცირებელ ფანტაზიებს  
საიქო არსებობის შესახებ.

ადამიანის მიზანი იქნება დაიპუროს თავისი საკუთარი-  
გრძნობები, ასწიოს ინსტინქტები შეგნების სიმაღლეზე,  
გახადოს ისინი გამსჭვირვალე, გაიყვანოს ნებისყოფის  
მავთულები სტიქიურის და ფარულის სუეროში და ამით  
აიყვანოს თავისი თავი ახალ საფეხურზე — შექმნას უფ-  
რო მაღალი საზოგადოებრივ-ბიოლოგიური ტიპი, თუ  
გნებავთ — ზექაცი.

თეითგამგეობის როგორ საზღვრებამდის მიიყვანს თა-  
ვის თავს ადამიანი? ამისი თქმა ისეთივე ძნელია, როგორც  
იმ სიმაღლეების დანახვა, რომელბამდეც მიიყვანს ის  
თავის ტეხნიკას. საზოგადოებრივი აღმშენებლობა და  
ფსიქო-ფიზიკური თეითალზრდა შეიქმნებიან ერთ და იმავე  
პროცესის ორ კიდეთ. ხელოვნება: სიტუაციერი, თეატრა-  
ლური, სახვითი, მუსიკალური, არქიტეტურული მისცემენ  
ამ პროცესს: მშენიერ ფორმას. უკეთ რომ ქსოვათ: ის  
სამოსელი, რომელშიდაც გახვევს თავის თავს კულტურულ  
აღმშენებლობის და კომუნისტურ ადამიანის თეითალზრ-  
დის პროცესი, განავითარებს უკიდურეს ძლიერებამდე  
ეხლანდელ ხელოვნებათა ყველა სასიცოცხლო ელემენტებს,

ადამიანი იქნება გაცილებით უფრო ძლიერი, ჰკვიანი და გამახვილებული. მისი ტანი ჰარმონიული, მოძრაობა რიტმიული, ხმა მუსიკალური, ყოფა-ცხოვრების ფორმები მიიღებენ დინამიურ თეატრალობას. საშუალო ადამიანის ტიპი აიწევა არის ტოტელის, გოეტეს და მარქსის სიმაღლემდე. ამ სიმაღლის ზევით აღიმართება კიდევ ახალი მუსიკალები.

---